


გალის რაიონი
ოჩამჩირე
გალი


ოჩამჩირის რაიონი
ოჩამჩირე

პაატა ცხადაია
ვილენა ჯოჯუა

სამშრომყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი

თბილისი
2003

სამურზაყანო ენობრივი თვალსაზრისით ფრიად საინტერესო რეგიონია. აქ ორი ხალხის – აფხაზთა და ქართველთა (მეგრელთა) – სამასწლოვანმა თანაარსებობამ შექმნა ერთგვარი ენობრივ-დიალექტური და ეთნიკური გარდამავალი ზონა, რაც გამოიხატა ბუნებრივ ორენოვნებაში (ორივე ენის თითქმის თანაბარი ფლობითა და გამოყენებით), ორმხრივ ლექსიკურ ნასესხობებსა და ჰიბრიდულ ტოპონიმებში, ჩამოყალიბდა ურთიერთნდობა და პატივისცემა, ჭირსა თუ ლხინში თანადგომის ტრადიცია, ჩვეულებრივი მოვლენა გახდა შერეული ქორწინებანი. და ყოველივე ეს მომავალშიც უნდა გაგრძელდეს და განმტკიცდეს.

რედაქტორი: თეიმურაზ გვანცელაძე

წინამდებარე ლექსიკონი მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ პროფ. ფ. ერთელიშვილის სახელობის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში. განხილული და რეკომენდებულია გამოსაცემად ამავე უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

წინასიტყვაობის მაგიერ

ბერძნულენოვანი საისტორიო წყაროების "ოქრომრავალი კოლხეთის" ის ნაწილი, რომელიც ენგურის ქვემო დინებასა და ღალიძგას შუა მდებარეობს, 1805 წელს სამართავად მიიღო აფხაზთა სამთავრო სახლის ერთ-ერთმა მემკვიდრემ – მურზაყან შარვაშიძემ. მხარის სახელწოდება სამურზაყანო სწორედ მის სახელს უკავშირდება.

ოდიშის სამთავროს ჩრდილოეთი საზღვრის საკითხი სადავო არაა: XVI ს. ერთი თურქული საბუთის მიხედვით, გურიელის ქვეყნის შემდეგ სოხუმამდე არის დადიანის ქვეყანა. "კლისურის ციხეს" საგულდაგულოდ ამაგრებს ლევან II დადიანი. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც 15 წელზე მეტი დაყო ენგურისპირა სოფელ წიფურიაში, 1654 წელს ნეაპოლში იტალიურ ენაზე გამოცემულ "სამეგრელოს აღწერაში" საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სამეგრელოს "ყველაზე უკანასკნელი მდინარეა" კოდორი, ხოლო "კოდორს იქით ცხოვრობენ აფხაზები თავისი განსაკუთრებული ენით".

XVII ს. დამლევისათვის აფხაზმა ფეოდალებმა ჩრდილოეთკავკასიელ დაქირავებულთა დახმარებით დაიპყრეს ოდიშის სამთავროს ჩრდილოეთი ნაწილი ჯერ ღალიძგამდე, ხოლო შემდეგ – ენგურამდე. ამან მნიშვნელოვნად შეცვალა ეთნიკურ-ენობრივი სიტუაცია ენგურ-კოდორის შუამდინარეთში: აბჟუის აბორიგენი მოსახლეობა სრულიად გააფხაზდა და ძირძველი კოლხურენოვანი ტოპონიმია დღეს აქ მხოლოდ სუბსტრატის სახითაა შემორჩენილი (თ. გვანცელაძე). ღალიძგასა და ენგურს შუა მდებარე ტერიტორიის (ამჟამინდელი სამურზაყანოს) მცხოვრებთა ეთნიკური ცვლა-გააფხაზება მიმდინარეობდა ძალიან ნელა, ხოლო XIX ს-ში სრულებით შეწყდა (ზ. შარვაშიძე). ყოველივე ამის შედეგად ღალიძგის მარცხენა ნაპირის სოფლებში თვით მდ. ოხურეიმდე (ილორის თემში შემავალი სოფლების გამოკლებით, სადაც მეგრულია გაბატონებული), შეიძ-

ლება ითქვას, შეიქმნა ერთგვარი ენობრივ-დიალექტური გარდამავალი ზონა, ნარევი აფხაზურ-მეგრული მეტყველება აფხაზური ენის გარკვეული უპირატესობით (მკითხველი ამის დასტურს მიკროობიექტთა პარალელურ, ორენოვან სახელწოდებებში იპოვის). გალის რაიონში კი (სოფ. ჩხორთოლის ერთი უბნის გამოკლებით) აფხაზთა ნამყოფობას მხოლოდ რამდენიმე ათეული აფხაზური ტოპონიმური სუპერსტრატი და მეგრული მეტყველების მიერ შეთვისებული ასევე რამდენიმე ათეული სიტყვა შეგვახსენებს. ისტორიული წარსული და ტოპონიმთა ჩვენებანი საფუძველს აცლის შ. ინალიფას მტკიცებას, რომ აფხაზები წარმოადგენდნენ სამურზაყანოს ძირძველ მოსახლეობას, ხოლო საზღვრისპირა ქართული ელემენტი "შედარებით გვიანდელია" (იხ. ამასთან დაკავშირებით: პ. ცხადაია, ტოპონიმიკური ვითარება სამურზაყანოში: არტანუჯი. საისტორიო ჟურნალი, 10, 2000, გვ. 67-86).

სამურზაყანოს სრული ტოპონიმური აღწერა განვახორციელეთ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში. ჩაწერილია 11 ათასზე მეტი გეოგრაფიული სახელწოდება. დიდ ობიექტთა სახელები (საკუთრივ ტოპონიმები და მაკროტოპონიმები) და მათი დაწერილობა ისედაც ცნობილია სამეცნიერო და საცნობარო ლიტერატურის მიხედვით. გეოგრაფიულ სახელწოდებათა ენობრივი და ონიმური ასპექტებით კვლევისათვის განსაკუთრებით ფასეულია მცირე ობიექტთა სახელები, ანუ მიკროტოპონიმები. სამურზაყანოს მიკროტოპონიმიიდან წინამდებარე სალექსიკონო მასალისათვის შევარჩიეთ ის ერთეულები, რომლებიც შეიცავენ საინტერესო ჩვენებებს ფონეტიკური პროცესების მიმდინარეობის, გრამატიკის, ლექსიკოლოგიის, სიტყვაწარმოების, მოტივაციის თვალსაზრისით. საჭიროების შემთხვევაში (შესადარებლად, დასაზუსტებლად) გამოყენებულია პროფ. ვალერიან ზუხბაიასა და დოც. ბეჟან კილანავას ჩანაწერები, რომლებიც ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ფონდშია დაცული. სოფლებისა და ისტორიული ძეგლების შესახებ ინფორმაციისათვის, გარდა ჩვენ მიერ საველე ექსპედიციებში მოპოვებული მასალისა, გარკვეულწილად გამოყენებულია უცხოელ მისიონერთა და მოგზაურთა ჩანაწერები, ქართველ და არაქართველ მკვლევართა (შ. ინალიფა, ხ. ბღაჟბა, ზ. ანჩაბაძე, ზ. შარვაშიძე, გ. გასვიანი, ვ. ზუხბაია, თ. მიბჩუანი, ვ. სილოგავა და სხვ.) მოსაზრებანი და დასკვნები, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია და სხვ.

ლექსიკონის აგებულება:

მეთაური სიტყვა წარმოადგენს გეოგრაფიულ სახელწოდებას. ტირეს შემდეგ მას მოსდევს დენოტატის (სახელდებული ობიექტის) განსაზღვრა და ერთი ან რამდენიმესაფეხურიანი ლოკალიზაცია (ე.წ. "მიბმა") რომელიმე სხვა (ჩვეულებრივ, უფრო დიდი) ობიექტის (ობიექტების) მიხედვით. მრგვალ ფრჩხილებში დასახელებულია რაიონი (თემისათვის), თემი (სოფლისათვის), სოფელი (სოფლის ტერიტორიაზე მდებარე ობიექტისათვის). სამურზაყანოში 30 თემია (თემი პირობით ვუწოდეთ ყოფილ სასოფლო საბჭოს). ესენია: აჩიგვარის, ბედიის, განახლების, გუდავის, დიხაზურგის, ზემო ბარღების, თაგილონის, ლეკუხონის, მზიურის, მუხურის, ნაბაკევის, ოტობაიის, ოქუმის, პირველი გალის, რეფი-შეშელეთის, რეჩხის, საბერიოს, სიდის, ფიჩორის, ქვემო ბარღების, ღუმურიშის, ჩხორთოლის, წარჩის, ჭუბურხინჯის (გალის რ-ნში) და აგუბედიის, ილორის, ოტაფის, ოხურეის, რეკის, ტყვარჩელის, ფოქვეშის (ოჩამჩირის რ-ნში). ამ თემებში შედის 123 სოფელი (გალის რ-ნში – 91, ოჩამჩირის რ-ნში – 32). ცალკეა მითითებული ქალაქები – გალი და ტყვარჩელი (ლექსიკონში შესულია ქ. ტყვარჩელის იმ ტერიტორიის ტოპონიმური მასალა, რომელიც მდებარეობს მდ. ღალიძგის მარცხენა მხარეს). დასახელებული ადმინისტრაციული ერთეულების გარდა, სახელწოდებით აღნიშნულ ობიექტთა ადგილმდებარეობა მითითებულია ორი ტერიტორიული ერთეულის მიხედვით. ესენია: გინძე ეწერი (იგულისხმება შავი ზღვისპირა ვაკე სოფ. გაგიდიდან სოფ. მეორე გუდავამდე) და მთა (იგულისხმება სამურზაყანოს მთა – ღალიძგა-ენგურის წყალგამყოფი ქედის ის ნაწილი, რაც მოქცეულია გალისა და ოჩამჩირის რაიონების ფარგლებში).

აქვე აღვნიშნავთ, რომ თავის დროზე სოფელი საბჭოთა ჩაი შეიქმნა ორი სოფლის – მაბირისა და ხიტუშ მუხურის – შეერთებით. რადგანაც საჭირო გადარქმევა ჯერ არ განხორციელებულა, იძულებული ვართ სათანადო ობიექტთა ადგილმდებარეობის მითითებისას პირობითად გამოვიყენოთ "საბჭოთა ჩაი".

სემანტიკურად გამჭვირვალე (ან ეტიმოლოგიადადგენილ) ტოპონიმს ახლავს ასეთი ენობრივი კომენტარები: ა) თარგმანი ქართულ ენაზე (შენიშვნით: აფხ. – აფხაზური; მეგრ. – მეგრული), მაგ.: აჰა იძიხ "ბატონის წყალი" (აფხ.) – წყარო უჩან ირაში, აძგძკვარის სათავე (პატრახუწა, აგუბედიის თემი); აჰაფდუ "დიდი მღვიმე" (აფხ.) – მღვიმე კლდის ძირას, აბაჟუს კალთაზე (ნარჯხეუ); ტახილი

“ოღროჩოღრო, ამტვრეულ-დამტვრეული ადგილი“ (მეგრ.) – ტყე ოქუმაბსთაში (მთა); **ცუმურხუმლა** “გამხმარი ტყემალი“ (მეგრ.) – ფერდობი ქორთუშ ღალის ნაპირას (რეჩხი) და სხვ. ბ) ამოსავალი ფუძის განმარტება, რაც მოსდევს ლოკალიზაციას ან სამისამართო ერთეულის (სოფლის, ტერტორიული ერთეულის) დასახელებას. იგი წარმოდგენილია ბ. ჯანაშიას ან თ. გვანცელაძის ლექსიკონებზე დაყრდნობით ან ინფორმატორისეული სიტყვებით, მაგ.: **აწურ-ბელთრა** – გუბე კეკვაჩ იკვარის მარც. ნაპირას (აძხიდა, ტყვარჩელის თემისა). ა-წკრბელ (აფხ.) ← წურბელი (მეგრ.) ← წურბელი (ქართ.); **აჭირკვატანრა** – წიფ იკვარის შენაკადი (აყვარაში, ფოქვეშის თემისა); ა-ჭარკვატან (აფხ.) ← ჭარკვატანა (მეგრ.) “კოთხოჯი, ყვითელი ყვავილი“; **ანარა** – მთა-საძოვარი აკიბოში, ოქუმწყარისა და ოკალმახის წყალგამყოფზე (მთა). ა-ნაარა (აფხ.) “ფერდობი, გვერდობი“; **ოლეფონე** –ტყე-ჭაობნარი ოჯოღორის მარჯ.. მხარეს (რეფი-ეწერი). ლეფონი (მეგრ.) “ლაფანი“; **ოხოჯური** – ვაკე-სახნავი ერისწყლის მარჯ. ნაპირას (ლეკუხონა). ოხოჯური (მეგრ.) “ხარით სახნავი“ (ხნავდნენ ვაკეს, ფერდობს კი თოხით ამუშავებდნენ). შდრ. ოხოჯე, რაც სახარეს, ე.ი. ხარის სადგომად ან საძოვრად გამოყოფილ ადგილს, აღნიშნავს.

საკუთარი სახელის კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანია წარმოჩენა სახელმდებლის (ინდივიდის, კოლექტივის) ენობრივ-ონიმური თვალთახედვისა, რაც მჟღავნდება სახელდებისათვის სამოტივაციო ნიშნის (ნიშნების) ამორჩევაში. წინამდებარე ლექსიკონში შესული გეოგრაფიული სახელწოდებების მნიშვნელოვან ნაწილს ახლავს ავტორების მოსაზრებანი ან ინფორმატორების ახსნა-განმარტებანი სახელწოდების წარმოქმნის ობიექტურ მიზეზებზე (ინფორმატორისეული ახსნა-განმარტებანი და ეტიმოლოგიები არაიშვიათად აპელატიური ფუძის (ფუძეების) სემანტიკის გაბუნდოვანებისა და შემდგომი გადააზრების შედეგია, მაგრამ მაინც მოგვყავს, როგორც სწორედ ამგვარი მოვლენის ნიმუში).

ტოპონიმთა მართლწერისათვის:

კოლხურ გეოგრაფიულ სახელწოდებათა მართლწერა მიჰყვება იმ წესებს, რომლებიც გატარებულია “ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მრავალტომეულში, “საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონსა“ (1987 წ.) და “საქართველოს სსრ ტოპონიმიის მასალების“ I ტომში (1987 წ.) და ჩამოყალიბებულია მათს წინასიტყვაობებში.

აფხაზურენოვან გეოგრაფიულ სახელწოდებათა მართლწერასთან დაკავშირებით კი აღვნიშნავთ შემდეგს: ა) ტოპონიმები და მაკროტოპონიმები წარმოდგენილია სამეცნიერო და საცნობარო ლიტერატურაში დადასტურებული ტრადიციული ფორმით, მაგ.: **აჩიგვარა, აგვავერა, აკვარიქვა, კაციჰაბლა, შაშიკვარა** და სხვ.; ბ) საველე მუშაობისას ჩაწერილ მიკროტოპონიმთა მართლწერისას კი შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია ინფორმატორის (აფხაზისა თუ მეგრელის) წარმოთქმის თავისებურებანი და აფხაზურ ფონემათა ქართული ტრადიციული ტრანსკრიფცია (იხ. სატრანსკრიფციო ტაბულა: თ. გვანცელაძე, მცირე აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2001, გვ. 13–14). რაც შეეხება რთულ მიკროტოპონიმთა დაწერილობას, ვითვალისწინებთ, თუ ვინაა დღეს მათი მომხმარებელი: ღალიძგა-ოხურეის შუამდინარეთის სოფლებში (ილორის თემის გამოკლებით), სადაც მოსახლეობა ძირითადად აფხაზურენოვანია (თუმცა მათმა ძალზე დიდმა ნაწილმა იცის მეგრული), დაცულია აფხაზურისათვის ტრადიციული დაწერილობა მიკროტოპონიმებისა, მაგ.: **ბუჭ იჰა** "ბუჭის მსხალი" – ტყე სოფ. ურთაში; **ფაჩულია რჰაბლა** "ფაჩულიების უბანი" – უბანი კაციჰაბლაში და სხვ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი აფხაზურენოვანი ტოპონიმი წარმოადგენს სუპერსტრატს (ე.ი. აფხაზთა დანატოვარს მეგრული მეტყველების გავრცელების ტერიტორიაზე), რთული სახელწოდება გაიაზრება როგორც ერთი ლექსიკურ-ფონეტიკური საწარმოთქმო ერთეული (სათანადო მახვილებით) და ამიტომაც იწერება ერთ სიტყვად, მაგალითად, სოფ. აყვარაშში, რომელიც შედის ფოქვეშის თემში (ოჩამჩირის რ.), აფხაზებმა თუ გააფხაზებულმა მეგრელებმა იციან თითქმის ყველა მიკროტოპონიმის აპელატიური (ამოსავალი ფუძეების) მნიშვნელობა და სახელდების მოტივაცია და, აქედან გამომდინარე, ვიცავთ აფხაზურენოვანი გეოგრაფიული სახელწოდებებისათვის მიღებულ მართლწერას: **სალდათ იძიხ** – წყარო, **სამსონ ინხართა** – ტყე, **საჯაია რხუ** – ბორცვი, **ჭუთარ იპლან** – სახნავი და ა.შ. მაგრამ ამ სოფლის გაგრძელებაზე (აყვარაში, ოხურეის თემი) მხოლოდ ქართველები (მეგრელები) ცხოვრობენ და მათს მეტყველებაში რთული სუპერსტრატული აფხაზური სახელწოდებანი წარმოითქმის ერთ სიტყვად (შემადგენელი კომპონენტების გააზრების გარეშე), ამიტომ ჩვენც მათ ერთ სიტყვად წარმოვადგენთ: **გჳზმალიკვარა** – ღელე, **(ა)წიშიკვარა** – ღელე... სხვა მაგალითები: **აძიქვა** – წყალვარდნილი მდ.

მორინჯეზე და კუნიაშთა – სახნავი (ორივე სოფ. აგვავერაში). ეს სახელწოდებანი აფხაზურენოვანი სუპერსტრატებია კოლხურ ენაში, წარმოქმნილი XVIII-XIX საუკუნეებში. არაა იშვიათი ისეთი პარალელური, აფხაზურ-მეგრული, სახელწოდებანი, როგორიცაა: ათგრქეიკვარა//თურქიშ ღალ – ღელე სოფ. ლეკუმხარაში, აბაბეჟარა//ჟირჯიხაშქა – გზის მონაკვეთი სოფ. ჩხორთოლში და სხვ.

ა

ააკგჰი "მოხრილი ურთხელი" (აფხ.) -ტყე ალრა-აშვრის გზაზე (აძხიდა).

აბააბჟარა//ჟირჯიხაშჭა - "ორციხეშუა" (აფხ., მეგრ.) – გზის მონაკვეთი ჰუჰუიჰვისთის ქვემოთ. გზა გადის ნაციხარის კედლებს შუა (ჩხორთოლი).

აბააჟუ "ძველი ციხე" (აფხ.) – 1. ტყე ნაციხარით ნარჯხეუს სერის კალთაზე (ნარჯხეუ); 2. გორა ჯუხუს სათავესთან (მ. კოპიტი); 3. ნაეკლესიარი ღალიძგის მარცხ. მხარეს. ვარ.: ნაჯიხ (კაციჰაბლა).

აბააჟუ(ა)ხუ "ძველი ციხის გორა" (აფხ.) – სერი ნაციხარ-ნაეკლესიარით ქვაღაის მარც. მხარეს (ურთა).

აბააართა "ციხის ტერიტორია" (აფხ.) – კლდე ტყვარჩელის საზღვართან (ატიშადუ).

აბაახუწა//ჯიხაშ ახუწა – ფერდობი სატყებუჩოში, ბედიის მონასტრის სერზე (აგუბედია). სახელწოდების პირველი ვარიანტი აფხაზურია, მეორე ვარიანტი – მეგრული: ა-ხუაწა (აფხ.) "მთის ქვემო კალთა; გორისძირი" შესულია მეგრულში. იხ. ტოპონიმები: ახუნწა, ახუცა, ახუწა.

აბაბჟარა "ციხეთაშუა"(აფხაზ.) – ღრმა ხევი. ოისირედან ჩადის ჯუხუში (მ. კოპიტი).

აბაბჟარაშდუდი//ოქუალონი – ტყე-ფერდობი აბაბჟარაში (მ. კოპიტი). პირველი ვარიანტი ჰიბრიდულია: აფხაზურენოვან ტოპონიმს დართვია მეგრული დუდი "თავი" ინდიკატორი; მეორე ვარიანტი ოქუალონი "ქვავნარი" მეგრულია.

აბაგგდ - ბორცვი ალაჰვარის სათავესთან (კოხორა).

აბაზი - ბორცვი საჯობაოში, კეიშის მარც. მხარეს. ინფ.: "აქ კაცს ყიდდნენ ერთ მტკაველში ერთ აბაზად" (რეჩხი).

აბაზუ – ალაჰვარის შენაკადი ჯვეშ ცხირში (ზ. ცხირი).

აბათყუჯრა – იხ. აბუთკუჯრა.

აბანა – 1. სამკურნალო წყალი კაჟამღალის ნაპირას. ინფ.: "გოგირდოვანია. ათბობენ და აბაზანობენ" (ჰუბურხინჯი); 2. წყარო საშონიოში (რეჩხი). მეგრ. აბანა ← ქართ. აბანო "სამკურნ. წყალი".

აბანააძ "აბანოს წყალი" – სააბაზანო-სამკურნალო წყალი (აყვარაში, ფოქვეშის თემი). ჰიბრიდული (მეგრულ-აფხაზური) ჰიდრონიმია: აბანა (მეგრ.) "აბანო", ა-ძგ (აფხ.) "წყალი".

აბანარზენი – იხ. აბანაწყარი.

აბანაწყარი//ცინწყარი "აბანოს წყალი//ცივწყალი" (მეგრ.) – სააბაზანო-სამკურნალო ცივი წყალი ოხურეიწყარის მარც. ნაპირას. აქვეა ჭალა "აბანარზენი" (პ. ოხურეი).

აბაჟვი – იხ. აბაჟუ.

აბაჟუ//აბაჟვი- ბორცვი საჯიჯეიოში (სამქვარი). შდრ. აბააჟუ.

აბარრა//ცორადილი აძმახი – ტლაპო წყურგილის მარც. მხარეს (ჩხორთოლი). ა-ბაარრა (აფხ.) "ჭანჭრობი, ჭაობი, საფლობი". ცორადილი (მეგრ.) "დამპალი". იხ. აძმახი.

აბაყა – 1. გზათგასაყარი თევეზ იკვარის მარჯ. მხარეს: ერთი გზა მიდის აყვარაშში, მეორე – ურთაში (ფოქვეში); 2. მინდორი საქუთელიოს ტყეში (ბედია) და სხვ. აფხ. ა-ბაყა "ძეგლი".

აბაყ(ჳრ)ჩა – ნატყევარი, სოფლის კუთხე ყოჯელსა და მდ. შაშიკვარას შუა. ინფ.: "აბაყჩა მამაკაცის სახელია" (შაშიკვარა).

აბაცუანარა "ზღმარტლის ფერდობი" (აფხ.) – ფერდობი წარჩის მარჯ. მხარეს (ჩხორთოლი).

აბაცუკვარა – იხ. ბაციკვარა.

აბგარა – ჩამონამეწყარი ფერდობი ჯუხუს ნაპირას (მთა). ა-ბგარა (აფხ.) "მეწყერი".

აბგახუჭი//ჰიჰე ტურა "მელია" (აფხ., მეგრ.) – ბორცვი ნარჯხეუს სერის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. ინფ. "აქ ჰიჰე ტურა მოუკლავთ" (ნარჯხეუ).

აბდახარა//აბდაჰარა//ადაფხარა – დიდი ერისწყლის ტოტი. გაათხრევინა ყარამან ემხვარმა წისქვილის გასამართავად, ხოლო გერმანელმა მრეწველმა ფეტერმა ჰიჰე ერწყარს შეუერთა და ხეების სათრევად გამოიყენა (ხუმენი-ნათოფური, გინძე ეწერი).

აბდაჰარა – იხ. აბდახარა.

აბზაკვარა – იხ. აბძაკვარა.

აბთუზი – ფერდობები ლაკადის ზემოთ (ფართონოხორო).

აბლაჰვარა – სახნავი ელაღირის მარც. მხარეს (ჩხორთოლი).

აბჟაყვა – ფერდობები აბჟაყვაშ ღალის სათავესთან (მიშველი).

აბჟაყვაშ ღალი – ეშმაკიშ ღალის შენაკადი (მიშველი).

აბჟაც – ერქვა ტყეს ერწყარის მარჯ. ნაპირას. ამჟამად ეწოდება ციხოშ ტყა (პ. შეშელეთი).

აბჟიკვარა – ღელე ჩანჩქერით მორინჯის ზემოთში (აგვაევერა).

აბჟუა - "ენგურსა და ღალიძგას შუა არის სამურზაყანო. ენგურს იქით – სამარგალო, ღალიძგის გაღმა – სააფხაზო, რომელსაც აფხაზები აბჟუას უწოდებენ" (ჩაწერილია ოხურეიში, აჩიგვარაში, მეორე გუდავაში).

აბჟუარა "თუთები" (აფხ.) – ფერდობები კეკეჩ იკვარის ზემო წელზე (აძხიდა, ტყვარჩელის თემი).

აბჟ(ღ)გდარა//აჟგდარა – ჩაის ფართობი ელიაკვარის მარჯ. მხარეს (პ. ოხურეი).

აბრაგიშ ტახტი – ფართო ქვა, შესასვენებელი ადგილი ოჭაკის გზაზე (მთა). იხ. ტახტი.

აბსვანუეფიშ ონტყოლაშე "აბსვანუების საფლობი" (მეგრ.) – ტლაპო სატაბაღუოში (საბერიო).

აბსთა//ოქუმაბსთა "ხეობა//ოქუმის ხეობა" (აფხ.) – ოქუმწყარის ხეობა. იწყება ნასტოლბთან (მთა).

აბსრაკვარა//სამაჯინო – ოქუმწყარის მარც. შენაკადი და მისი ხეობა (მთა). პირველი ვარიანტი აფხაზურია (ა-ფსრა „სიკვდილი, გაქრობა"), მეორე ვარიანტი მეგრულია (სამაჯინო ის ადგილია, სადაც მონადირე უსაფრდება ნადირს).

აბსრუხუ – ტყე-საძოვრები ოჭაკესა და ოქუმაბსთას შუა (მთა).

აბუზიშ გვალა – მრგვალი ბორცვი, საალანიოს სერის მწვერვალი (ფშაური, წარჩის თემი).

აბუთკუჯრა//აბათყუჯრა - ბორცვი ქვაღაის მარჯ. მხარეს. ინფ.: "აბუთკუზს აფხაზები უწოდებენ შინდისნაირ მცენარეს" (აკვარაში, ფოქვეშის თემი).

აბუხვაწა – იხ. ბოხუიწა.

აბქვაცი – იხ. (ჰ)აბქვაცი.

აბქვაცწყარი – ეციწყარის შენაკადი (მთა).

აბყგზრა – იხ. აბყგრზა.

აბყგრზა//აბყგზრა – ნაჭაობარი ბჟანიეფიშ სუკის გაგრძელებაზე. ინფ.: "აბყგზ აფხაზურში ისლისნაირი მცენარეა, რომელიც ჭაჭყობებში ხარობს" (რეკა).

აბშგრა//ანარააფშგრა "გადასახედი//ანარის გადასახედი" (აფხ.) – მინდორი ანარაში (მთა).

აბძაკვარა//აბზაკვარა//ახრაწყარი – ოქუმწყარის ერთ-ერთი მდგენელი (მთა). იხ.: ახრა, აკვარა.

აბძაკვარაშ ახრა – ჭიუხები აბძაკვარის სათავესთან (მთა).

აბწა – 1. სახნავი საშარანგიოში (მუხური); 2. დავაკება ფერდობების ძირას, კოლოშანის მარც. მხარეს (ფშაური, წარჩის თემი).

აბჭიკვა//ავ(ი)ჭიყვა – მთა-საძოვარი ღალიძგის ზემოთის, დალის სვანეთისა და ენგურის ხეობის წყალგამყოფ მასივზე, აკიბოს ქედსა და დიდქუას შუა (მთა).

აბხოზი – იხ. ახობზი.

აბხოზიშ ეკალ "აბხოზის აღმართი" (მეგრ.) – აღმართი ოკალმახის ხეობაში (მთა).

აბხუზი – იხ. ახობზი.

აბჯიკვარა//აჯბიკვარა//ჰაჯიბეიკვარა – აბქვაცწყარის მარც. შენაკადი (მთა).

აგაროდი – ბოსტანი. ინფ.: "აგაროდი დიდი ბოსტანია. მცირეს ორტვინი ეწოდება" (პატრახუწა). ← რუს. огород.

აგვავერა – სახნავი ღალიძგის მარც. მხარეს (აყვარჩაფანი).

აგვავიაცვგია//გლახა ნოღო "ცუდი ხევი" (აფხაზ., მეგრ.) – ტყე-ხევი ოხოჯის მარც. მხარეს (ნარჯხეუ).

აგვაშუ "კარი" (აფხ.)– კლდე ბილიკით მორინჯის ნაპირას (აგვავერა).

აგრუაკვარა "მეგრელის ღელე" (აფხ.) – ბობოშიაკვარის მარჯ. შენაკადი. ინფ.: "ღელისპირას ესახლნენ გოგოხიები – ჩამოსული მეგრელები" (საჩინო).

აგუა – სოფლის კუთხე ღალიძგის მარც. მხარეს (ფოქვეში). ა-გუ (აფხ.) "გული; შუა, შუაგული"; ა-გუაა "ცენტრში მცხოვრებნი".

აგუბედიაშ ჯიხა – იხ. ჯიხა.

აგუმეფიშ მხარე – აგუმავების უბანი ჭითა ფონის ნაპირას (საბჭოთა ჩაი).

აგუმეფიშ ღალ – ჭირის მარჯ. შენაკადი. გაივლის აგუმეფიშ მხარეს (საბჭოთა ჩაი).

აგუმეფიშ სუკი – ბორცვი მაჭირხოლიშ ღალის სათავესთან (ზ. ცხირი).

აგურძგული//ეგურძგული – ვაკე ღალიძგის მარც. მხარეს (ფოქვეში). ინფ.: "აგუ აფხაზურად ნიშნავს გულს, შუას. აგურძგულიც ვაკის შუა ნაწილია"; "(ა)გურძგული შავი ყურძნის ჯიშია, მსხვილი მარცვლები აქვს. აქ ხარობდა".

აგუშარრა – ტყე ოტაფის მარჯ. მხარეს. ინფ.: "აგუშა აფხაზურში აღნიშნავს ვაზის ჯიშს" (ატიშადუ).

აგუძერა – ფერდობები საკიკორიოში (ჩხორთოლი).

ადამიაში//ადამიაშ ნოხორი – ტყე ერწყარის მარჯ. მხარეს. ადამია გვარია (მ. გუდავა).

ადამიაშ ნოხორი – იხ. ადამიაში.

ადამიეფიშ მგკოხილი – იხ. მგკოხილი.

ადაფხარა – იხ. აბდახარა.

ადაღთრა//ოგორდე "საბაყაყე (ადგილი)" – სახნავი ალრაშ ღალის ნაპირას (აძხიდა, აგუბედიის თემი).

ადესა//ოდესა – ფერდობები საგარგულიოშ სუკის კალთაზე (სამარქვალო).

ადაუიჩკუაბართა "დევის საბანაო (ადგილი)" (აფხ.) – მღვიმე და წყარო მკუვათიშხის კალთაზე (აძხიდა, ტყვარჩელის თემი).

ადიღაჯრა//ადკღაჯრა – ჯაგნარი ჯოყობაში (ფოქვეში). ინფ.: "ადკღაჯ აფხაზურში ეკლიანი მცენარეა. მეგრულად ქოცხოცხო ეწოდება".

ადოუ – მინდორი უჩან ირაში (პატრახუწა, აგუბედიის თემი).

ადკღაჯრა – იხ. ადიღაჯრა.

აერო – საზაფხულო აგარაკი ოჭაკეში. დაერქვა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში (მთა).

ავასარა "ცხვრის საკრეჩი (ადგილი)" (აფხ.) – 1. ტყე-ფერდობი მორინჯის მარჯ. მხარეს. აქვეა დავაკება დავითიშ ოღაჭუე (აგვავერა); 2. ბორცვი და ქორომონის მდგენელი. ვარ.: ავაშარა (კოხორა, ზ. გალი). ა-უასა (აფხ.) "ცხვარი".

ავაშარა – იხ. ავასარა.

ავაჯაყთრა – ფერდობები ალრის ძირას. ინფ.: "ავაჯაყ აფხაზურად ბუხარს ნიშნავს. აქ, ნასახლარზე, დიდხანს იდგა" (აძხიდა, აგუბედიის თემი).

ავირჰარრა – ტყე-ფერდობები ბებილყრის კალთაზე (მთა, ჩხორთოლი). ინფ.: "სახელწოდება აფხაზურად ნიშნავს ორთაშუას. ეს ადგილი მართლაც ორ ხევს შუაა".

ავიფუ – ხევი ოჭუმის საზღვართან (ჩხორთოლი). შდრ. აჲუფუ.

ავიწა – იხ. არხავიწა.

ავ(ი)ჰიყვა//აბჰიყვა – მთა-საძოვარი აკიბოს ქედის ჩრდ. ნაწილში (მთა). კარტოგრაფიულ რუკებზე ამ ადგილას

აღნიშნულია მდინარე ავიჩიკვარა (ღალიძგის მარც. შენაკადი), რაც მეორდება "საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც".

ავაზარა – საბანაო მორევი ჯუხუზე (ჩხორთოლი).

ავწკრყარა – ნაგზაური ლაშქინდარის კალთაზე (ქ. ტყვარჩელი). 1930 წელს აზანიშს ჰქონდა სოფლის სტატუსი და შედიოდა ლეკუხონის სას. საბჭოში.

აზანიში – სოფლის კუთხე ერისწყლის მარჯ. ნაპირას (ლეკუხონა).

აზანიშსუკი – სერი აზანიშში (ლეკუხონა).

აზანიშღალ – ერისწყლის მარჯ. შენაკადი აზანიშში (ლეკუხონა).

აზეიფშძლაგარა "სათემო (საერთო) წისქვილი" – სახნავი აგურძგულში (ფოქვეში).

ათახკრა – ბუჩქნარი საშონიოს განაპირას (რეჩხი). ინფ.: "ათახკრა თხის აბურაა აფხაზურში. აბურა არის თხის სამწყვდევი. მეგრულად მარაკას ვუწოდებთ".

ათვაბაჟ//ათვაბაშ – ფერდობები და ხევი, რომელიც აბაჟუახუდან ჩადის აყვარაშში (ურთა, აყვარაში). ათვა (აფხ.) "ცაცხვი; თივა".

ათვაბაჟძიხ – წყარო ათვაბაჟში (იხ.).

ათვაბაშ – იხ. ათვაბაჟ.

ათ(ვ)ადუ "დიდი ცაცხვი" (აფხაზ.) – ტყე მორინჯის სათავესთან (აგვავერა).

ათვაზარა – ბუჩქნარი მორინჯის ზემოთში (აგვავერა). ათვაზა (აფხ.) მცენარეა.

ათვაძარა//ათუაძარა "ნედლი ბალახი. სათიბი" (აფხ.) – წარჩე-წყარის მდგენელი (მთა).

(ა)თვაძჷზთოუ – ცაცხვი ჩხორთოლიდან მთაში მიმავალ გზა-ზე (მთა). ინფ.: "აფხაზურად ნიშნავს: "ცაცხვი, რომელშიც წყალი დგას". საქმე ისაა, რომ ახლომახლო წყარო აღარსადაა. ამ ცაცხვის ჩაღრმავებაში ჩაგუბებულ წვიმის წყალს იყენებენ სასმელად".

ათვარხვარა "მრუდე ხე" (აფხ.) – ღალიძგის მარც. შენაკადი (ტყვარჩელი).

ათიშადუ – იხ. ატიშადუ.

ათუაძარა – იხ. ათვაძარა.

ათშფარა "ვიწრობი" (აფხ.) – გზის მონაკვეთი ჟიპიშხასა და ანარას შუა (მთა).

ათჷრქეიკვარა//თურქიშ ღალ "თურქის ღელე" (აფხ., მეგრ.) – აყვარათბის მარჯ. შენაკადი (კოხორა, ლეკუმხარა).

აილიწჷრთრა//შხურიშ გჷშაცუნაფალი "ცხვრის გამოსაყვანი" (აფხ., მეგრ.) – მინდორი ჯალონისა და შუშელის საზღვარზე (მთა). ინფ.: "შემხანაგებულ მწყემსებს შემოდგომაზე, ბარად დაბრუნების წინ, საერთო ფარიდან აქ გამოჰყავდათ თავ-თავისი ცხვარი".

აიმაც(გც)რა – ღრმა კლდოვანი ხევი ფართოღალის სათავესთან (ფართოღალი, ღუმურიშის თემი).

აირიაშ ნოხორი – იხ. ერიაშ ნოხორი.

აისახ – ჯაგნარი წიფ იკვარის სათავესთან (კაციჰაბლა).

აისჷრთრა "საისლე" (აფხ.) – ტყე აჭირკვატანკვარის სათავესთან (ფოქვეში). აფხ. აისკრ ← მეგრ. ისკრი ← ქართ. ისლი.

აისჷრრა//ოისკრე//ეისკრე "საისლე" - მთა, ლაშქინდარის განშტოება ჯუხუს სათავემდე (მთა, მ. კოპიტი). ძირითადი და თავდაპირველი ვარიანტია მეგრული ოისირე.

აიუხაა – ნაგზაური. გზა ჩადიოდა აშკცრაში. ინფ.: "ვიწროდ ჩახერხილი ადგილია. ამიტომ დაურქმევიათ" (ფოქვეში).

აიშარა – მინდორი ღალიძგის მარც. მხარეს (მთა).

აიცი – საძოვარი აიცწყარის სათავესთან (მთა).

აიცწყარი//ეცი – ენგურის მარჯ. შენაკადი. მოედინება აიციდან (მთა. ხუდონი).

აიჭარა – მინდვრები აიჭარაღალის ზემო წელზე (ზ. ღუმურიში).

აიჭარაღალ – კეიშის მარც. შენაკადი (ზ. ღუმურიში).

აიხაა – გზის მონაკვეთი საკოზმას სერზე (კაციჰაბლა). შდრ. აიუხაა, ეიუხაა.

აკათუ "შესართავი" (მეგრ.) – ოხურეისა და ალაკვარის შესართავი (ოხურეი, აჩიგვარის თემი).

აკაკათუ "შესართავი" (მეგრ.) – ფიცარღალისა და ოკვინორეწყარის შესართავი (გაგიდა).

აკაკარა "სწორი ადგილი" (აფხ.) – ფართო მინდორი ჭამგვარის ძირას (რეჩხი). აკაკარა აფხაზური სუპერსტრატული ტოპონიმია, ე.ი. ამჟამინდელი რეჩხის ტერიტორიაზე მოსახლე (სავარაუდოდ, XVIII ს. მეორე ნახევარში) მცირერიცხოვანი აფხაზურენოვანი მოსახლეობის დანატოვარი.

აკაკიშ წყურგილე – იხ. ანარია//ანარიაწყარი.

აკალოშრა – ხევი ჯუხუს მარც. მხარეს. ინფ.: "ნოღო ადგილია, კალოშს ჰგავს"; "კალოში ვაზის ჯიშს ეწოდება მეგრულში. აქ იყო გაშენებული" (ჩხორთოლი). კოლოში მეგრულში ერთგვარი შავი ყურძნის ჯიშია.

აკანტორაძიხ – იხ. აფს(ჰ)ა იძიხ.

აკარდამა "აკლდამა" (მეგრ.) 1. ბორცვი ნაციხარით საჩხარჩხალიოში (კაციჰაბლა); 2. სახნავი ოქუმწყარის ნაპირას. ხის ამოძირკვისას ტრაქტორი ორმოში ჩავარდნილა. მასში აღმოუჩენიათ სამარხი ძვლებითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით (წარჩე).

აკარმარა – 1. დასახლება, ღალიძგის ხეობის მონაკვეთი კვეზანიდან 15 კმ-ზე (ქ. ტყვარჩელი); 2. ტყე-ფერდობები მორინჯის მარჯ. მხარეს (აგვაევერა) და სხვ. შდრ. აყარმარა.

აკაჭარა – 1. ტყე ტომბაწყარის მარჯ. ნაპირას (ოცარცე); 2. სერი საჯიჯეიოში (სამქვარი). 3. იხ. ოკაჭაროხი. აკაჭარა მცენარეა ერთგვარი. სამურზაყანოში მცხოვრები აფხაზები მას თვლიან ჯაგრცხილად, ხოლო ქართველნი (მეგრელნი) – ზღმარტლის მსგავს ხედ.

აკაჭაროხი – ბუჩქნარი სათანჯოს კალთაზე (პ. აკვაღა). შდრ.: (ო)კაჭაროხი.

აკა ჭყონი "ერთადერთი მუხა" (მეგრ.) – ტყე ერისწყლის მარც. მხარეს (გინძე ეწერი).

აკვაკი – სახნავი აგურძგულსა და ახუს შუა (ფოქვეში). ა-კვაკგ (აფხ.) "კუნჭული; კუთხე ოთახისა".

(ა)კვალაშანი//კოლოშანი – ტყე ქვაღეის მარჯ. მხარეს (ნარჯხეუ). კვალაში, კოლოში ყურძნის ჯიშია მეგრულში. -ან (←-ონ) მეგრულში კრებითობის სახელების მაწარმოებელი სუფიქსია. მაშასადამე, ტოპონიმის თავდაპირველი ფორმაა კოლოშანი, ხოლო აკვალაშანი მისი გააფხაზურებული ვარიანტია. შდრ.: აკალოშრა.

აკვარა "ღელე" (აფხ.) – ღალიძგის მარც. შენაკადი (ტყვარჩელი).

აკვარათობა – იხ. (ა)კვარათ(გ)ბა.

(ა)კვარათ(გ)ბა//აკვარათობა – ნიშნის მარჯ. შენაკადი (ზ. გალი, კოხორა). თავდაპირველი ფორმა არის აკვარათბაა (აფხაზური სუპერსტრატი) "ფართო ღელე". მისგანაა წარმოქმნილი მეგრული ფონეტიკური ვარიანტები.

აკვარაღაში "ბრმა ღელე" (აფხ.) – ტყე, ღელე აშვრაში (აძხიდა, ტყვარჩელის თემი).

აკვარახუჭ – იხ. აძაგაძ.

აკვარიკვა//აკვარიქვა (← აკვარეიქვა) "შავი ღელე" (აფხ.) – წიფონის მარჯ. შენაკადი (აკვარიქვა, ხუმუშქური).

აკვაღა – პირველი აკვაღისა და მეორე აკვაღის საერთო სახელი.

(ა)კიბო – ენგურ-ღალიძგის აუზების წყალგამყოფი ქედი ოქუმწყარის სათავეებიდან ლარაკვაკვამდე. იყოფა: 1. დიდი (ა)კიბო – მთა ოქუმაბსთასა და ანარას შუა. აქაა აკიბოს მწვერვალი – ხალერიშ სუკი (2811 მ.). აქედანვე გაედინება კიბოშ ღალ (ქვემო წელზე ეწოდება რჩხინაშ ღალ და ერთვის ენგურს); 2. ჭიჭე (ა)კიბო – მთა დიდ(ა)კიბოსა და ბუყუნსტუს შუა (მთა). აქედან ჭველეთონაშ ღალ ჩაედინება ენგურში (მთა). შენიშვნა: სახელწოდება აკიბო//აკიბა უფრო გავრცელებულია სამურზაყანოში, ხოლო კიბო – ენგურისპირა სოფლებში (წალენჯიხის რ.). ინფ.: "ქედის მთავარი მწვერვალი შორიდან ისე მოჩანს, თითქოს ქვის კიბეები საფეხურებად იყოს დალაგებული. ამიტომ დაერქმეოდა კიბო. აფხაზები კი განმარტავენ როგორც ცუდ ალმართს". იხ. აკიბის ქედი (ქსე, I).

(ა)კირახუ "კირის ბორცვი" (აფხ.) – სერი, უბანი ოტაფის მარც. მხარეს (ურთა).

აკირბგლგრთა "კირის საწვავი (ადგილი)" (აფხ.) – ფერდობი წარჩის მარჯ. მხარეს (ჩხორთოლი).

აკირძგ "კირის წყალი" (აფხ.) – წყარო აკირახუში (ურთა). ა-კჲგრ (აფხ.) ← კირი (ქართ., მეგრ.).

აკნაჰარა – ტყე-ფერდობები ოისკრის კალთებზე (რეჩხი).

აკოტახილი//აკოტახილი – ხევხუვიანი ფერდობები სადგებიოში (სამარქვალო, საბერიო). შდრ. ტახილი.

აკუათრა – ღალიძგის მარც. შენაკადი არხახუჭში (საჩაჩხალია). ა-კუუა (აფხ.) ← კუ (მეგრ., ქართ.).

აკურტანეთგფ "ჩალვადრის კარავი" (აფხ.) – ტყე ლაშქინდარის კალთაზე (ქ. ტყვარჩელი).

ალაკვარა//ცალაკვარა//ელაკვარა – ღელე. სიგრძე 2 კმ. გაედინება ჭიჭე ბებესირიდან ჯოცობაში (ანარია, ოხურეი აჩიგვარის თემისა). ძირითადი ვარიანტია ალაკვარა (აფხ.) "თხმელის ღელე". ცალაკვარა (მეგრ.) "გიჟი ღელე" ტოპონიმის აპელატიური

მნიშვნელობის დაბინდვისა და შემდგომი გადააზრების შედეგადაა წარმოქმნილი.

ალასაძიხ – 1. ბებესჯრის შენაკადი. სათავეა მაფაშ წყურგილი (ოხურეი, აჩიგვარის თემი); 2. იხ. აფს(ჰ)ა იძიხ. შდრ.: აფხ.: ა-ლას "მსუბუქი, მჩატე; სწრაფი, ჩქარი" და ა-ძჯხა "წყარო".

ალაშარა – ორგან ეწოდება ტყეს აგვავერა-ანარის გზაზე. განარჩევენ: ალაშარახუჭი "პატარა ალაშარა", ალაშარადუ "დიდი ალაშარა" (მთა). აქვე, შიბშხერასა და ჟიპიშხას შუა, არის ხევი ალაშარაქვა. ინფ.: "ალაშარა აფხაზური სიტყვაა და სინათლიან, სათვალსაწიერო ადგილს ნიშნავს". შდრ. მეგრ.: გონთე.

ალაშარადუ – იხ. ალაშარა.

ალაშარაქვა – იხ. ალაშარა.

ალაშარახუჭი – იხ. ალაშარა.

ალაშკვარა – ოქუმწყარის ერთ-ერთი მდგენელი (მთა). ინფ.: "ალა ძაღლის სახელია. კვარას აფხაზები ხევში მიმდინარე წყალს უწოდებენ".

ალაჰვარა – 1. მინდორი ნარჯხეუს სერის კალთაზე (ნარჯხეუ); 2. მინდორი მარშანკვარის ზემო წელზე (მთა); 3. მახუნჯიის ერთ-ერთი მდგენელი (ზ. ცხირი); 4. ჭორომონწყარის მდგენელი (ვარ.: ალაჰვარაშ ღალ) და ბორცვი ამ ღელის სათავესთან, ოქუმისა და მუხურის საზღვარზე (ვარ.: ალაჰვარაშ სუკი. ორივე ს. კოხორა). შდრ.: ალაჰვარა (აფხ.) "ჩამური, საცეხველი".

ალაჰვარაშ სუკი – იხ. ალაჰვარა.

ალაჰვარაშ ღალ – იხ. ალაჰვარა.

ალაჰუეთრა "საყორნე (ადგილი)" – კლდე ჯუხუს სათავესა და აყარმარას შუა (მთა). შდრ. ა-ლაჰვა (აფხ.) "ყორანი".

ალეკვარა – იხ. ელიაკვარა.

ალეკვარაშ (რ)ზენი – ვაკე ალეკვარასა და ალეკვარაშ ფარყს შუა (აჩიგვარა).

ალეკვარაშ ფარყი – ფერდობი, რომელიც გასდევს ალეკვარის მარც. ნაპირს (აჩიგვარა). იხ. ფარყი.

ალემი//ალგმი – ჭირის შენაკადი (ქვ. ბარღები). ინფ.: "ალიონზე (მეგრ.: "ალენი") მიდიოდნენ გარეულ ღორზე სანადიროდ".

ალენი//ალგნი//ალენწყარი//ალიონი – ხუმუშჭურის მარც. შენაკადი. ერთვის ოჯოღორის შესართავის პირდაპირ. აქვეა ტყე ალენპიჯი (ბოკვეთი. თხინაშკარი).

ალენპიჯი – იხ. ალენი.

ალენწყარი – იხ. ალენი.

ალესიშ ნაწისქვილ – იხ. თარხანიშ ნაწისქვილ.

ალესიშ ნაჰიშკარ – იხ. ნაჰიშკარ.

ალექსიშ ცხიმურონი – იხ. ცხიმურონი.

ალზაწუ "ეული თხმელა" (აფხ.) – მინდორი სოფლის ცენტრში (აყვარჩაფანი)

ალიაკვარა – იხ. ელიაკვარა.

ალიოშაშ მგნაჯინუ "ალიოშას შემოსახედი" (მეგრ.) – ფერდობი ცხიმურძაგაში. ალიოშა ხევს გალმა ცხოვრობს (ჟირღალიშქა)

ალმაკრა//ამაკარა//ე(ლ)მაკრა//ეიმაკარა – ფართოღალის ვიწრო კლდოვანი კალაპოტი ცხირის ფართოღალის საზღვართან (ფართოღალი, ღუმურიშის თემი). იხ. აგრეთვე: ეიმაკარა.

ალონი – იხ. ალენი.

ალრა "თხმელნარი" (აფხ.) – 1. ტყე ოქუმაბსთაში. ვარ.: არლა (მთა); 2. სერი, ყოფილი დასახ. უბანი აძხიდისა და ოხოჯის სათავეებთან. აქედან გაედინება ალრაშ ღალ//სამსონიეფიშ წყურგილი – ოხოჯის ერთ-ერთი მდგენელი (აძხიდა) და სხვ.

ალრაშ ღალ//სამსონიეფიშ წყურგილი – იხ. ალრა (2).

ალრაშ წყარი – ოქუმის მდგენელი ოქუმაბსთაში (მთა).

ალსანდრიაშ ღალ – ნიშონის მარჯ. შენაკადი (ზ. გალი).

ალფუ//არაზატუშ ალფუ – ხევი არაზატუში (ჩხორთოლი). ინფ.: "ალფუ აფხაზური სიტყვაა და ხრამს უნდა ნიშნავდეს"..

ალძაგა "თხმელის ვეძა" (აფხ.) – ტყე-ფერდობი ცამხანკვარის ნაპირას (ჩხორთოლი).

ალჯში – იხ. ალემი.

ალჯნი – იხ. ალენი.

ამაკარა – იხ. ალმაკრა.

ამარდა "ფერდობი" (აფხ.) – 1. სერი ალრასა და აშვრას შუა (აძხიდა, ტყვარჩელის თემი); 2. შემაღლებული ვაკე ღალიძგის მარც. ნაპირას (ფოქვეში); 3. ტყე-ფერდობები წყურგილის სათავესთან (ჩხორთოლი).

ამვეკკრა//ამუაკკრა//ამუაკკრახუ - ბორცვი ნარჯხეუს საზღვართან (აძხიდა, ტყვარჩელის თემი). ინფ.: "ამუა "გზა" და ახუ "ბორცვი" აფხაზური სიტყვებია. კკრა არის მეგრული კკრუა

“შეკვრა, გადაკეტვა“. გამოდის, ამუაკგრა არის გზის შესაკრავი ადგილი, საყარაულო“.

ამუაკგრა – იხ. ამვეკგრა.

ამუაკგრახუ – იხ. ამვეკგრა.

ამუშკვარა “დათვის ღელე“ (აფხ.) – ნიშონის მარჯ. შენაკადი (ზ. გალი, ლეკუმხარა). ა-მშვ (აფხ.) “დათვი“.

ამუხკვარა – მიტიშ ღალის ზემო წელი (მ. კოპიტი). ინფ.: “ეკლის ღელეს ნიშნავს აფხაზურად“. შდრ. აფხ.: ა-მღ “ეკალი“ (ბ. ჯანაშია, თ. გვანცელაძე), ა-მხგ “ყანა“.

ამცარხე//ამცარხია – ლიოს მარჯ. შენაკადი. იწყება ნახვარცამში (ზენი, ილორი).

ამცარხია – იხ. ამცარხე.

ამჭგბღასართა – შურო წარჩის ხეობაში (მთა).

ანარა “ფერდობი“ (აფხ.) – მთა-საძოვარი აკიბოში, ოქუმწყარისა და ოკალმახის აუზების წყალგამყოფზე (მთა).

ანარააფშგრა – იხ. აბშგრა.

ანარია//ანარიაწყარი – ოხურეიწყარის მარც. შენაკადი. მდგენლებია: აკაკიშ წყურგილე, გუგუშ წყურგილი, კადგრიშ წყურგილი (ანარია). ოხურეისთან შეერთების შემდეგ ორივე სახელით მოიხსენიება: ანარია//ანარიაწყარი უფრო გავრცელებულია მ. გუდავაში, ხოლო ოხურეი//ოხურეიწყარი – ნაგვალოუსა და ილორში. იხ. აგრეთვე ოხურეი.

ანარია წყარი – იხ. ანარია.

ანგურაშ ნაჭვი “სადაც აგურს წვავდნენ“ (მეგრ.) – მინდორი კეიშის ხეობაში. ვარ.: ნაანგურ (რეჩხი).

ანდიშ ცხიმურონი – იხ. ცხიმურონი.

ანდრიაშ დახვენჯი “ანდრიას დასაჯდომი“ (მეგრ.) – გზისპირი, სადაც ანდრია ხშირად იჯდა ბრტყელ ქვაზე. აქვე, მდ. ერისწყალზე, იყო საბანაო “ანდრიაშ ტანიშ ობონუე“ (ცხირი).

ანდრიაშ ტანიშ ობონუე – იხ. ანდრიაშ დახვენჯი.

ანდროშ ომანდარინე – იხ. ოისგრე.

ანიშვაფშ(რ)აკვარა//ჩე დიხაშ ღალ – ოხურეიწყარის მარჯ. შენაკადი საკოზმაში (პ. ოხურეი). შდრ.: ანგშვაფშრა (აფხ.) “თიხნარი“; ჩე დიხა (მეგრ.) “თეთრი (თავსაბანი) მიწა“.

ანშერთრა//ომუნჩქონი – ფერდობები ქვაღაის მარჯ. მხარეს (ურთა).

ანჩბაიაშ კუნთხუ – ერქვა ტყეს ერისწყლის მარჯ. მხარეს. ამჟამად ეწოდება კაკუბაშ კუნთხუ (ტოგონი).

ანჩბაიეფიშ პლანი – იხ. სკრყვაშ პლანი.

ანჩიბაიაშ გემნაჩემი "ანჩიბაიას განაყიდი" (მეგრ.) – სახნავები ფიცარღალსა და ოკვინორეღალს შუა. ანჩაბაძეებისაგან უყიდიათ ბელქანიებს და აქ დამკვიდრებულან (ქვიშონა, ოკვინორე).

ანჭაგვართა – უბანი მორინჯის მარჯ. ნაპირას (აგვავერა). ინფ.: "ანჭა აფხაზურად ნეკერჩხალის სახელია. მის ძირში ჰქონიათ აგვართა – საქონლის ღამის სადგომი".

ანჭარა ← ანჭა "ნეკერჩხალი" (აფხ.) – ტყე წყურგილის მარც. მხარეს (ჩხორთოლი).

აჲუფუ – ხევი ალრაში. ინფ.: "აფხაზურად ნიშნავს ჩაქცეულ, ჩაპობილ ადგილს" (აძხიდა, ტყვარჩელის თემი). შდრ.: აუფუ.

აპაპ(ი)კვარა//პაპაშ წყარი "მღვდლის ღელე" (აფხ., მეგრ.) – ოქუმწყარის ერთ-ერთი მდგენელი (მთა). წყალში მღვდელი ჩავარდნილა. ამიტომაც დარქმევია. პაპა (მეგრ.) "მღვდელი" → აპაპ (აფხ.) "მღვდელი".

აპაპ იჰაბლა "მღვდლის უბანი" (აფხ.) – მცირე უბანი ნაეკლესიართან (აყვარაში, ფოქვეშის თემი).

აპგარა "ნამეწყრი" (აფხ.) – ფერდობი ოხოჯის მარჯ. მხარეს (აძხიდა, ტყვარჩელის თემი). შდრ.: აბგარა, აპუგარა.

აპილოშ ნაინჭ "აპილოს ნაჭავარი" (მეგრ.) – ტყე ოხოჯესა და ჯიხას შუა (ფშაური, წარჩის თემი).

აპტარახუ – ბორცვი ოტაფის მარჯ. მხარეს, სადაც უწინ სასოფლო საბჭოს ცენტრი ყოფილა (ატიშადუ).

აპუგარა "ნამეწყრი, ჩაქცეული ადგილი" (აფხ.) – 1. ტყე-ხეობა მორინჯის სათავესთან (მთა, აგვავერა); 2. საძოვარი ანარაში (მთა). შჟრ. აბგარა, აპგარა.

აპუგარაწყარი – ოქუმწყარის შენაკადი. გაედინება ანარიდან (მთა).

აჟაბარა "ჭეჭყობი" (აფხ.) – ჭეჭყობი აშკრაში (ფოქვეში).

აჟარა – სახნავი ტუია რხუსა და აბააჟუახუს შუა (ურთა).

აჟვიფშხერა – იხ. (ა)ჟუბხერა.

აჟვიშაგირთა – იხ. აჟვიშეგირთა.

აჟვიშეგირთა//აჟვიშაგირთა – მინდორი ოტაფე-ღალიძგის შესართავთან (საჩაჩხალია). ინფ. "აქ ზაფხულობით საქონლის დასადგომი ადგილია და აფხაზური სახელიც ამას ნიშნავს".

აჟირანგხგ "სამჭედლოს სალოცავი" (აფხ.) – საკულტო სამჭედლო კუმიზში, ერთ-ერთი არშბას ოჯახში (ქ. ტყვარჩელი).

(ა)ჟუბხერა//აჟუფხაარა//აჟვიფშხერა//აშხვერა//ჟიბშხერა//შიფშხერა//შიბჟხაარა//სიფშხირა – ტყე წარჩის სათავესთან, ოქუმიდან და ჩხორთოლიდან მთის საძოვრებისაკენ მიმავალ გზაზე (მთა). ინფ.: "აფხაზურია და ნიშნავს: "ადგილი, სადაც შუადღეზე საქონელს წველიან".

აჟურგმუა "ძროხის გზა" (აფხ.) – ნაგზაური ქაცვაარკვარასა და ალრას შუა (აძხიდა, აგუბედიის თემი).

აჟუფხაარა – იხ. (ა)ჟუბხერა.

აჟგდარა – იხ. აბჟ(ღ)გდარა.

არაგგდ "გადატეხილი კაკალი" (აფხ.) - ხეობა არაგგდკვარის ზემოთში (ტყვარჩელი).

არაგგდკვარა – ღალიძგის მარც. შენაკადი (ქ. ტყვარჩელი).

არადუ "დიდი კაკალი" (აფხ.) – 1. სახნავი ჭორომონსა და ერისწყალს შუა (პ. შეშელეთი); 2. იხ. დიდნეძი.

არადუშ მგკაულარი – კლდე არადუში (პ. შეშელეთი). მგკაულარი (მეგრ.) "გასასვლელი ბილიკი კლდეზე".

არადუშ ტომბა – მორევი ერისწყალზე, არადუსთან (პ. შეშელეთი.

არადუძგა "არადუს ნაპირი" (მეგრ.) – ფერდობი ერისწყლისპირას, არადუსთან (პ. შეშელეთი).

არავედა "ზემო კაკალი" (აფხ.) – ტყე ღალიძგის ზემოთში (ქ. ტყვარჩელი).

არაზატი – იხ. არაზატუ.

არაზატუ - 1. ტყე-საძოვარი ოჯოღორის მარჯ. ნაპირას. ვარ.: არაძატუ (გინძე ეწერი); 2. სერი არაზატუღალსა და ალაჰვარას შუა. ვარ.: არაზატი//არაზატუშ სუკი (ზ. ცხირი); 3. სერი-ხეობა მთის ძირას, აგვავერის საზღვართან. ვარ.: არაზაწუ (ჩხორთოლი) და სხვ. ამოსავალი ფორმაა აფხაზური ა-რაზაწვ "ეული კაკალი".

არაზატუღალ – ალაჰვარის შენაკადი (ზ. ცხირი).

არაზატუშ ალფუ- იხ. ალფუ.

არაზატუშ სუკი – იხ. არაზატუ.

არაზაწუ – იხ. არაზატუ. აზაწვ (აფხ.) "ერთადერთი, ეული".

არათქვაფრა – ტყე აძეძკვარის მარც. მხარეს (პატრახუწა, აგუბედიის თემი). ინფ.: "კაკლის ფუღუროდან გამოდიოდა წყალი და ამიტომ ერქვა".

არანა "გადახრილი კაკალი" (აფხ.) – ტყე ნარჯხეუს სერის კალთაზე (ნარჯხეუ).

არანააძიხ//არანაშ წყურგილი "არანას წყარო" (აფხ., მეგრ.) – წყარო, ქვაღეის ერთ-ერთი სათავე (ნარჯხეუ).

არანაშ წყურგილი – იხ. არანააძიხ.

არაჟუპარა "ხშირი კაკლნარი" (აფხ.) – ტყე ოხოჯის მარც. მხარეს (ნარჯხეუ).

არაფიხუ//ხეჯიხუ – ბორცვი ახუში, სადაც ესახლა ზანგი, სახელად ხეჟ (ფოქვეში). არაფი "ზანგი" (აფხ.). შდრ. ქართ., მეგრ.: არაბი; ახუ "ბორცვი" (აფხ.).

არაშკვარა – ოქუმწყარის ერთ-ერთი მდგენელი (მთა). არაშ, არეშ "თელა" (აფხ.).

არაშპარა – კაკლნარი (მიშველი).

არაშრა "თელნარი" (აფხ.) – ტყე-საძოვრები მაჰმეიდუს ხეობაში (მთა).

არაძატუ – იხ. არაზატუ.

არაჭარა – ტყე ოხურეის მარც. მხარეს (საჩინო).

არაჭარრა "ნორჩი კაკლნარი" (აფხ.) – ტყე ლაშქინდარის კალთაზე (მთა, აძხიდა ტყვარჩელის თემისა).

არაჰამიაშ ნაკარუ – იხ. ოკვინორეშ ტყა.

არგუნფაყ – ტყე-ფერდობი წუჰვილკგრის სათავესთან (ატიშადუ). არგუნ გვარია. ფაყე, ფარყი (მეგრ.) "ტყებუჩქიანი დაფერდება" (სიტყვა შესულია აფხაზურშიც).

არდაშელფონი "არდაშელის ფონი" – ფონი ოქუმწყარზე (პ. გუდავა).

არკვანი – 1. მორევი, მორინჯის ღრმა და ვიწრო კლდოვანი კალაპოტი (აგვაევერა); 2. საბანაო, ობარხალაიის კანირონი (ჩხორთოლი). არკვანი "აკვანი" მეგრულში მეტაფორულად აღნიშნავს მდინარის ვიწრობს.

არკვანია//არკვანიშ ილალ – ვიწრო ბილიკი კლდეზე, ოჭაკის გზაზე (ჟირღალიშქა). ილალ "ჩასასვლელი" (მეგრ.).

არკვანიშ ილალ – იხ. არკვანია.

არკვანიშ კარე "აკვნის კარავი" (მეგრ.) – ზღვისპირა შემაღლებული ვაკე (დიხაგუძუბა, გაგიდა). ინფ.: "წყალდიდობისას აკვანი ხეზე ჩამოუკიდიათ და გაქცეულან"; "ზღვას აკვანი გამოურიყავს და კარავიც აქვე გაუმართავთ".

არლა – იხ. ალრა.

არრგმუა – იხ. არგმ(ჲ)უა.

არსანაშ ნაბოსელ – იხ. ნაბოსელ.

არსენაშ ნოღო – ხევი სუკის ძირას (სამელაიო). შდრ.: ნოღო.

არტემიშ წყურგილი – იხ. უდულაფუ.

ა(რ)ღუნარქელა "არღუნას კარავი" – ხეობა მორინჯის ზემოთში (აგვავერა). შდრ.: აქელა, აღუქელა.

არხა "ვაკე" (აფხ.) – ვაკე ღალიძგასა და ამარდას შუა. იყოფა: არხადუ და არხახუჭ (ფოქვეში, საჩაჩხალია).

არხადუ – იხ. არხა.

არხავიწა//ავიწა – ამარდის ფერდობის ძირები არხაში (ფოქვეში). ინფ.: "ავიწა აფხაზურში ფერდობის ძირია, ხოლო არხა ვაკეს ნიშნავს".

არხახუჭ – იხ. არხა.

არგმუ – ტყე მაჰმეიდუსა და მაჰმეიხუჭს შუა (მთა, ქ. ტყვარჩელი).

არგმ(ჲ)უა//არრგმუა "ჯარის გზა" (აფხ.) – ნაგზაური ბედიიდან ფოქვეშში (ჯგერიანი).

ასაგვართა "საქონლის დასაბარგებელი ადგილი" (აფხ.) – მინდორი ხუმენის საზღვართან (რეფი-ეწერი).

ასაფთრა – ტყე, ბორცვი რეჩხის საზღვართან (ზ. ღუმურიში).

ასაფთრაღალ – სისკვარის შენაკადი. გამოედინება ასაფთრიდან (ზ. ღუმურიში).

ასაჰუირრა – ფერდობი ჯუხუაბსთაში (მთა).

ასვალტიშ გინართუ – იხ. შორშეგინართუ.

ასლანგერ(იშ) წყურგილი – ქირის მარჯ. შენაკადი (ზ. ბარღები, საშამუგიო).

ასუბკვარა – შანწაკვარის მარჯ. შენაკადი (აძხიდა, ტყვარჩელის თემი). ინფ.: "ასუბ აფხაზურში ერთგვარი უსარგებლო შავი მიწაა". შდრ. ასუპრა.

ასკპრა "სიპი კლდე" (აფხ.) – ორგან ეწოდება მორევს ღალიძგაზე. აკონკრეტებენ: აცჰაასკპრა "ხიდის ასკპრა" და აშკცრაასკპრა "ბზიანარის ასკპრა" (ფოქვეში). ასკპ, ასკბ "სიპი. მერგელის ქანი" (აფხ.) ← სიპი (ქართ., მეგრ.).

ატამაზატუ – ტყე ოქუმწყარის მარც. მხარეს (მ. გუდავა). შდრ.: ა-ტამაზაწვ (აფხ.) "ეული ატამი".

ატამონი "ატამნარი" (მეგრ.) – 1. ტყე წიფონის მარც. ნაპირას (თხინაშკარი); 2. მინდორი ცინწყარის ნაპირას (საბუთბაიო); 3. ფერდობები ჰამოუშქურის კალთაზე. ვარ.: ნალიმონ (საბულისკერიო, ოქუმის თემი). იხ. აგრეთვე: ოატამე.

ატამონიშდუდი – სერი ატამონის თავზე (საბულისკერიო, ოქუმის თემი).

ატჷშადუ – იხ. ატიშადუ.

აუდრა – 1. ფერდობი ქ. ტყვარჩელის საზღვართან (აყვარჩაფანი); 2. ტყე ალაშარის აღმოსავლეთით (მთა). აუდ (აფხ.) სიტყვას განმარტავენ როგორც დუდგულასნაირი მცენარის სახელს.

აუიწა – ტყე-ფერდობები, საიდანაც იწყება ლაშქინდარაოისკრის აღმართები (მ. კოპიტი, აძხიდა). ინფ.: "წვრილქვიანი ადგილებია ფერდობის ძირას და ესაა აფხაზურშიაუიწა".

აურუს იგლართა "რუსების სადგომი" (აფხ.) – ტყე კვალაშანსა და არანას შუა (ნარჯხეუ).

აურჷსრგმუა – იხ. ნარჷს.

აუფუ//ნოღო – ხევი, რომელიც ჩამოჰყვება ფერდობებს ნაწისქვილამდე (საბულისკერიო, ოქუმის თემი). ინფ.: "აფხ. აუფუ და მეგრ. ნოღო აღნიშნავს ხევს, ჩავარდნილ ადგილს". შდრ.: ავიფუ.

აუხვაძგ – წყარო ჩხორთოლ-ანარის გზაზე (მთა). ინფ.: "აუხვა აფხაზურში ხეა ერთგვარი, ხოლო აძგ წყალია"

აფერმახუ "ფერმის ბორცვი" (აფხ.) – ბორცვი ოხოჯის მარჯ. მხარეს (აძხიდა, აგუბედიის თემი).

აფთახარა//აფთახგრა – მინდორი სჯსკვარის სათავესთან (ზ. ღუმურიში).

აფთახგრა – იხ. აფთახარა.

აფთოზი//აფთუზი – ტყე, გორა სარაგვოსა და სოფელს შუა (ჟირღალიშქა).

აფთუზი – იხ. აფთოზი.

აფთჳრა – მინდორი ყვაშინჯარის კალთაზე (რეჩხი). აფხაზური ააფთრა "მწყემსების საზამთრო სადგომი ადგილი ბარში" შესულია მეგრულში აფთარა, აფთჳრა, აფთურა, ავთარა ფორმებით და ზოგადად აღნიშნავს მწყემსის სადგომს

აფსათჳრა – ტყე სჳსკვარის ხეობაში (რეჩხი).

აფს(ჰ)ა იძიხ//აკანტორაძიხ//ალასაძიხ – წყარო საკოზმაში (კაციჰაბლა). აფს(ჰ)ა იძიხ, რასაც აფხაზი მკვლევრები თარგმნიან როგორც აფხაზ მეფეთა წყაროს და ასახელებენ სამურზაყანოში აფხაზთა აბორიგენობის საბუთად, სინამდვილეში კოლხური მაფა-წყუ//მაფაწყარის კალკს წარმოადგენს და წარმოქმნილია აფხაზთა მიერ ამ ტერიტორიის ანექსიის (ე.ი. XVIII ს.) შემდეგ. ამ წყაროსთან მდებარეობდა კოლმეურნეობის "კანტორა". ამან გამოიწვია პარალელური სახელწოდება "კანტორის წყარო".

აფსეფიშ ღალ – ოხოჯის მარჯ. შენაკადი (აგუბედია). აფსავა გვარია.

აფსთაგვალა – ოტაფის მარჯ. შენაკადი და მისი ხეობა (ატიშადუ, აძხიდა ტყვარჩელის თემისა).

აფშირაშ გინალ – იხ. აფშირაშ დჳნადგჳმ.

აფშირაშ დჳნადგჳმ//აფჳშჳრიშ დჳნადგჳმ "სადაც აფშირა დადგეს" (მეგრ.) – ფართო მინდორი უღელტეხილზე, სადაც გადადის გზა ბერზოაფუდან აშთაში. ამ უღელტეხილს ეწოდება "აფშირაშ გინალ" (მთა). ინფ.: "ჯვარელი მწყემსი ჯაბუ კიბოდან მოერეკებოდა საქონელს. თოვლმა მოუსწრო და აქ დატოვა აფშირა – ყველის ჩასაწყობი ხის მაღალი ჭურჭელი". შდრ.: ა-ფშჳრჰა (აფხ.) "სარქვანი. მთლიანი ხისაგან გამოთლილი ცილინდრისებური ჭურჭელი". იხ. აგრეთვე: ჯაბუშ დჳნანჯირა.

აფშირაშ სუკი – მთა აფშირაშ გინალთან (იხ.).

აფშჳრა "წითელი მიწა" (აფხ.) – მინდორი აკვარის მარც. მხარეს (ქ. ტყვარჩელი).

აფშჳრიშ დჳნადგჳმ – იხ. აფშირაშ დჳნადგჳმ.

აქამბურა//აქამპურრა – ტყე მორინჯის ზემოთ (აგვავერა). მეგრული კამპარი, კამფარი, კაპარი "ჯონჯოლი (ხე)" შესულია აფხაზთა მეტყველებაში აქამპჳრ, აქამბჳრ ფორმით.

აქამპურრა – იხ. აქამბურა.

აქბარდიაშ ღალ – ღელე სააქბარდიოში (ქვ. ღუმურიში).

აქელა – ტყე და ხუმლაღალის მარჯ. შენაკადი (სიდა, თაგილონი). ა-ქჲალა (აფხ.) "კარავი, სადგომი".

აქვაბარხა - ვაკე-სახნავი აქვაბრასთან (იხ).

აქვაბრა – მორევი ღალიძგაზე (საჩაჩხალია). ა-ქუაბ (აფხ.) ← ქვაბი (მეგრ.-ქართ.) "ქვაბი" (მეტაფორულად აღნიშნავს ტაფობს, ქვაბივით ჩავარდნილ ადგილს).

აქვაბრახ "აქვაბისთავი" - სახნავი აქვაბრასთან (იხ). აფხ.: ა-ხგ "თავი"; ა-ხუ "გორაკი, ბორცვი, ბექობი".

აქვაბუსთუ – იხ. ქვაბისთოუ.

აქვავრააძ – ღელე ქოღეის ხეობაში (საჩაჩხალია).

აქვაწარა//ომამულონი – ტყე ჯუხუს მარჯ. მხარეს (მ. კოპიტი). აბჟუური დიალექტის ა-ქუაწა და მეგრ. მამული აღნიშნავს მაღლარს, ვაზაშვებულ ტყეს.

აქიანთაქვ- საძოვარი ფაჩულია რჰაბლაში (აყვარაში, ფოქვეშის თემი). შდრ.: ა-ქჲამთა (აფხ.) "პარტახი, ნასახლარი".

აქიდრა//აქგდრა//საქვაცბაიო – უბანი ჭამგვარის კალთაზე (რეჩხი). შდრ.: აქგდგრა.

აქიშიში– სერი, უბანი ოტაფის მარც. მხარეს (ურთა).

აქუფსა "საადრეო მსხალი" (აფხ.) – მინდორი ნარჯხეუს სერის კალთაზე (ნარჯხეუ).

აქშარონი - ბორცვი კაკიშ ღალსა და ლადიშ წყურგილს შუა (ნახინგუ).

აქგდრა – იხ. აქიდრა.

აქგდრადუ – იხ. (ა)ქგდგრა.

აქგდრახუჭ – იხ. (ა)ქგდგრა.

(ა)ქგდგრა "ჯირკნარი" (აფხ.) - 1. ტყე მორინჯის სათავესთან, სადაც უწინ ხის მორებისაგან აკეთებდნენ დათვის დასაჭერ მახეს (აგვავერა); 2. ტყე-ფერდობები წუჭალკგრის ხეობაში. იყოფა: (ა)ქგდრადუ, (ა)ქგდრახუჭ (ათიშადუ) და სხვ. ა-ქდგ (აფხ.) "ჯირკვი, მორი, დირე". შდრ. აქიდრა.

აღდარა "ეკლიანი (ადგილი)" (აფხ.) - ბორცვი პატრახუწის საზღვართან (საჩინო).

აღდარახუჭ - ბუჩქნარი აჭირკვატანკვარასა და თევეზ იკვარას შუა (ფოქვეში).

(ა)ღიჩიგვავაა "ქურდის სამალავი" (აფხ.) – ხევი ალრის კალთაზე (აძხიდა, აგუბედიის თემი).

აღლამიახაშიზ "სადაც ღლავი მოკლეს" (აფხ.) – მორევი ღალიძგაზე (კაციჰაბლა). ა-ღლამ (აფხ.) ← ღლამი (მეგრ.) "ღლავი" ← ქართ. ღლავი.

აღმარქელა//აღუნარქელა – ტყე-ფერდობი ნაჯიხის ქვემოთ (საბულისკერიო, ოქუმის თემი). შდრ.: არღუნარქელა, აქელა, აღუქელა.

აღრუპყრა//ფიცარიშ კიბე "ფიცრის კიბე" (აფხ., მეგრ.) – ფერდობი ჩხორთოლის შემოგარენში, მთის გზაზე. აღმართში ნაპობი ხეები კიბეებად იყო დალაგებული (მთა).

აღუნარქელა – იხ. აღმარქელა.

აღუქელა//აღუქაალა "ფიცრის კარავი" (აფხ.) – დავაკება ჩხორთოლის შემოგარენში (მთა).

აღუქაალა – იხ. აღუქელა.

აღუცა "ცხელი ფიცარი" (აფხ.) - ტყე წარჩე-ანარის გზაზე (მთა).

აყარმარა//აყგრმარა – მთა, ტყე მორინჯისა და წარჩის სათავეებთან (მთა). ა-ყარმა (აფხ.) "სვია. ფშალა". შდრ.: აკარმარა.

აყვარა//რეყე – სახნავები ღალიძგის ნაპირას (კაციჰაბლა). ა-ყუარა (აფხ.) "რიყე"; რეყე (მეგრ.) "რიყე".

აყვარაში//ჩექუალონი "თეთრქვიანი" (აფხ., მეგრ.) – მდინარე, ოხურეიწყარის მარჯ. შენაკადი (აყვარაში, ოხურეის თემი). ზემო წელია ჩე ღალ (ფოქვეში).

აყვაყვარა – 1. ტყე, ბორცვი აკვარათბის სათავესთან (ზ. გალი, სამელაიო); 2. სახნავი ქვაღაის ნაპირას (ურთა). ინფ.: "აფხაზური სიტყვააა და ტყენაკაფს უნდა ნიშნავდეს". შდრ.: ა-ყუაყუა (აფხ.) "ზურგი"; აყვაყვა (მეგრ.) "კისერი".

აყრა "გზა" (აფხ.) – ტყე ლაგვაგვიონსა და ჰიჰე ოფუჯეს შუა (მთა).

აყუჭა "ტოტი, განაყოფი" (აფხ.) – ჩხორთოლჰესის არხი, გამოყვანილი წარჩეწყარიდან 1949 წ. (ჩხორთოლი).

აშანა იბოხ "შანავას ბორცვი" (აფხ.) - ბორცვი ოტაფის მარც. მხარეს (საჩაჩხალია).

(ა)შანწაკვარა "კაჟის ღელე" (აფხ.) – ოხოჯის ერთ-ერთი მდგენელი (აძხიდა, ტყვარჩელის თემი).

აშაშარა – ტყე, ამუშკვარის ხეობა საჯიჯეიოში (ზ. გალი).

აშვერკვარა//აშვირკვარა "წიფლნარის ღელე" (აფხ.) – ოხურეიწყარის მარჯ. შენაკადი. იწყება საკოზმაში (პ. ოხურეი).

აშვირკვარა – იხ. აშვერკვარა.

აშვიჰაყვა//აშუჰაყვა "დაკოდილი წიფელი" (აფხ.) – ტყე ალრასა და აშვრას შუა (აძხიდა, ტყვარჩელის თემი).

აშვრა//აშუირა "წიფლნარი" (აფხ.) – სერი ქაცვაარკვარისა და ოხოჯის სათავეებთან (მთა, აძხიდა ტყვარჩელის თემისა). ა-შვ (აფხ.) "წიფელი". ა-შვრა "წიფლნარი".

აშვრახუ "წიფლის ბორცვი" - ბორცვები საჩინოსა (ოხურეის მარც. მხარეს) და ჩხორთოლში.

აშთა – მთა-საძოვარი ანარასა და ჭყოჭყონიას შუა (მთა). ა-შთა (აფხ.) "მინდორი, მოედანი; ფართო ეზო; კარმიდამო".

აშთაშ ღალ – ოკალმახის შენაკადი. იწყება აშთაში (მთა).

აშთახუჭ "პატარა ეზო" (აფხ.) – ტყე აკირახუში (ურთა).

აშთკრცა – იხ. ა(ვ)შთკრცა.

აშლაკვარა//აშლაკვარაშ ღალ – დიდღალის მდგენელი (კოხორა).

აშლაკვარაშ ღალ – იხ. აშლაკვარა.

აშუირა – იხ. აშვრა.

აშუმჰარა "წყავნარი" – აკვარათბის მარჯ. შენაკადი საროსტობაიოში (ზ. გალი). აშუმჰა (აფხ.) "წყავი".

აშუქჲალა "წიფლის კარავი" (აფხ.) – მინდორი ოხოჯესა და ახუწას შუა. მწყემსის სადგომი გამართული იყო წიფლის ძირას (აძხიდა, აგუბედიის თემი).

აშუჰაყვა – იხ. აშვიჰაყვა.

აშხვერა – იხ. (ა)ჟუბხერა.

აშგცკვარა "ბზის ღელე" (აფხ.) – ღელე (ატიშადუ).

აშგცრა "ბზანარი" (აფხ.) – 1. ტყე ჯუხუს მარც. მხარეს (მთა); 2. სახნავები ღალიძგის მარც. მხარეს (ფოქვეში).

აშგცრაასგპრა – იხ. ასგპრა.

აშგცქელა//აშგცქალა "ბზის კარავი" (აფხ.) – სახნავი ოხოჯის მარც. მხარეს (აგუბედია). მწყემსის კარავი ბზანარში იყო გამართული. ახლოსაა აშუქჲალაც (იხ.).

აშგცქჲალა – იხ. აშგცქელა.

აშჭაყვა "დაკოდილი წიფელი" (აფხ.) – სერი, ოისირის განშტოება (მ. კოპიტი).

აჩაბარა – საძოვარი ჟიპიშხის დასავლეთით (მთა).

აჩადარა "სავირე" - მთა-საძოვარი ოქუმაბსთასა და აშთა-წყარს შუა (მთა).

(ა)ჩად იშხვა "ვირის ქუსლი" (აფხ.) – ვაკე, უბანი კუზა იკვარის სათავესთან (აძხიდა, ტყვარჩელის თემი).

აჩადჰა "ვირის მსხალი" (აფხ.) – საკარმიდამოები აძიჭარასა და კეკვაჩკვარას შუა (აძხიდა, ტყვარჩელის თემი).

აჩალარა "სათიბი" (აფხ.) - ტყე-საძოვარი ჯუხუს მარც. მხარეს (ჩხორთოლი).

აჩალბა – საძოვრები მექაცარეშ ნადინეფის სამხრეთით (მთა).

აჩამჰარა//ოჩამჰონი – ტყე-საძოვარი ჩხორთოლ-ანარის გზაზე (მთა). აფხ. აჩამჰა ← მეგრ. ჩამჰა "მაღალმთის ბოკვი".

აჩაჩბა – საძოვარი ჰაიჰაფუსა და დადალჩკრთას შუა (მთა).

აჩახუმარრა "ცხენის სათამაშო (ადგილი)" (აფხ.) – მინდორი ჯიმანწვარის კალთაზე (აძხიდა, ტყვარჩელის თემი).

აჩგვავა – იხ. აჯგვავე.

აჩქეფსიაშ სუკი - ბორცვი ბაცუკვარასა და ალაჰვარას შუა (კოხორა). აჩქეფსია გვარია.

აჩგზგვა//აჩგზქვა "ცხენის ზურგი" (აფხ.) – ტყე, ბორცვი ახაფალარასა და დადალძიხს შუა, ჩხორთოლ-ანარის გზაზე (მთა). ა-ზქუა (აფხ.) "ზურგი".

აჩგზქვა – იხ. აჩგზგვა.

აჩკრხუმარა - მინდორი დიდხოჯელში (მთა). იხ. აჩახუმარრა.

აცაყე "სიპი ქვა" (აფხ.) – მორინჯის კლდოვანი კალაპოტი აძიქვასთან (აგვავერა).

აცაშბგლკრთა – იხ. (ა)ც(ვ)აშნგხა.

აცაშნგხაძ//(ა)ცვაღეშნგხა - წყარო (ა)ც(ვ)აშნგხასთან. აქ ასრულებნენ წვიმის მოყვანის რიტუალს (აძხიდა, აგუბედიის თემი).

აცბაშ მინდორი – მინდორი რეჩხიწყარის სათავესთან (რეჩხი).

აცვაშბგლკრთა "სანთლის დასანთები" (აფხ.) – ხატზე გადაცემის ადგილი მიქამგარიოსთან (მ. კოპიტი).

(ა)ც(ვ)აშნგხა//აცაშბგლკრთა//ხატიშ დახვენჯი – მინდორი, ნაეკლესიარი ალრაში. სახელწოდების პირველი და მეორე ვარი-

ანტი აფხაზურია ("სანთლის ხატი//სანთლის დასანთები ადგილი"), მესამე – მეგრული ("ხატის დასაჯდომი"). (აძხიდა, აგუბედიის თემი). აფხ.: ა-ცვა, აცვაშგ "თაფლის სანთელი; წმინდა სანთელი", ა-ნგ ხა "ხატი".

(ა)ცვაღეშნგხა – იხ. (ა)ცაშნგხაძ.

აცუგლარა – საძოვარი აცუგლარაშ წყარის სათავესთან (მთა).

აცუგლარაშ წყარი – ოკალმახის შენაკადი. მოედინება აცუგლარიდან (მთა).

აცუიღაბრა "ჩამონაქცევი, ნამეწყრი" (აფხ.) – ტყე ქაცვაარ-კვარის ხეობაში (აძხიდა, აგუბედიის თემი).

აცჰაასგპრა – იხ. ასგპრა.

აცგმღვა – იხ. აცგღმუა.

აცგღმა – იხ. აცგღმუა.

აცგღმუა "კვერნის გზა" (აფხ.) – 1. კლდე-ფერდობები ერის-წყლის მარც. მხარეს, ნამარკილუსა და ჯვეშ ცხირს შუა. ვარ.: აცგმღვა, აცგღმა (ზ. ცხირი); 2. ბილიკი ეიქვარაში, ოქუმ-ჭიჭე აკიბოს გზაზე (მთა); 3. ოხოჯეწყარის ერთ-ერთი მდგენელი. ჩამოედინება ნარჯხეუს სერიდან (ნარჯხეუ).

აძაგა "მუჯა; მქავე წყალი" (აფხ.) – 1. ვეძა ქვაღაის მარც. მხარეს (ურთა); 2. ჩაის ფართობი ქაფშქითში (ოქუში); 3. ოქუმწყარის შენაკადი. იწყება დიდ ოჭაკეში. ვარ.: დიდი აძაგა (მთა) და სხვ. სიტყვა შესულია მეგრულში ძაგა ფორმით.

აძაგაძ//აკვარახუჭ – ღელე. გადის ნარჯხეუს სერის აღმ. კალთებიდან (ნარჯხეუ, აძხიდა აგუბედიის თემისა)

აძამი//ხანგუ – ღრმა ტლაპო ენგურის მარჯ. მხარეს (ზენი, დიხაზურგის თემი). აძამ (აფხ.) "უძირო". ხანგუ (მეგრ.) "ყვითელი ფერის წყალგაუმტარი ქანობი".

აძაფშ//აძგყაფშ "წითელი წყალი" – ღალიძგის მარც. შენაკადი (ქ. ტყვარჩელი).

აძაფში – ჯოყობის მარც. შენაკადი (მ. გუდავა).

აძბაა "ჰეჰყობი" (აფხ.) – ტლაპო ნეძფარის მარჯ. მხარეს (მ. კოპიტი).

აძეიქუა "შავი წყალი" (აფხ.) – ტყე ალრასა და აჰუთაუას შუა (აძხიდა, ტყვარჩელის თემი).

აძიგვთა//აძუქთა "წყალთაშუა" (აფხ.) – ტყე-ფერდობი წარჩის სათავისა და ოქუმაბსთის წყალგამყოფზე (მთა).

აძინ რახუ "ზამთრის გორა" – ტყე ოტაფის მარჯ. მხარეს (ატიშადუ).

აძ იფშაჰრა "წყლისპირი" (აფხ.) – სახნავები ღალიძგის მარც. ნაპირას (ფოქვეში).

აძიქვა "შავი წყალი" – წყალვარდნილი მორინჯზე, აცაყესთან (აგვავერა).

აძიწვა//მენჯი "ვეძა წყალი" (აფხ., მეგრ.) – ვეძა ოხოჯის მარჯ. მხარეს (ნარჯხეუ). შდრ. ა-წაა (აფხ.) "მწუთხე, მარილიანი".

აძიჭარა – ღალიძგის მარც. შენაკადი (აძხიდა, ქ. ტყვარჩელი).

აძიხ "წყარო" (აფხ.) – 1. წყარო წარჩის ზემოთში (მთა); 2. შაშიკვარის მარც. შენაკადი (ხუმუშქური, აკარიქვა).

აძლაგარააჭიშთრა "წისქვილის ღელე" (აფხ.) – ღალიძგის ტოტი (ფოქვეში).

აძლაგარახ "საგუბი, წისქვილის წყლის სათავე" (აფხ.) – სახნავი ღალიძგისპირას (ფოქვეში).

აძმახ "ჭაობი, ჭანჭრობი" (აფხ.) – 1. გუბე სალაგვილოში (ხოლე); 2. ტლაპო კეიშისპირა სანაყოფიოში. ვარ.: ოჭყენჭყე (მეგრ.) "ჭექყობი" (ცხირი) და სხვ.

აძმახქვარყან//ყორადილი აძმახი – გუბე შუშელში (მთა). ინფ.: "ორივე ვარიანტი (პირველი – აფხაზური, მეორე – მეგრული) ნიშნავს დამპალ გუბეს". თ. გვანცელაძის ზეპირი განმარტებით, პირველი ვარიანტი სახელწოდებისა ნიშნავს "ჭაობებთან"..

აძმახცგრხვა – გუბე ოისგრის თავზე (მთა).

აძმიქ//ტომბა – მორევი ოხოჯეზე (აძხიდა, აგუბედიის თემი). აფხ. ა-ძმგქ და მეგრ. ტომბა აღნიშნავენ ღრმა წყალს მდინარეში, ნაგუბარს, პატარა ტბას.

აძურუ – ოქუმწყარის მარჯ. შენაკადი. მოედინება ღვინჯილიეფიშ ბებესირიდან (პ. გუდავა).

აძუქთა – იხ. აძიგვთა.

აძუხკვარა – იხ. (ა)ძგხკვარა.

აძღგნაა – დავაკება სოიკვარის ხეობაში (ქ. ტყვარჩელი).

აძცუკბარა "წვეთ-წვეთობით ნაგროვები წყალი" (აფხ.) – ოტაფის მარც. შენაკადი აკირახუში (ურთა).

აძხიდა//აძხგდა "უთავო წყალი" (აფხ.) – წყაროა ალრაში, ოხოჯის ერთ-ერთი მდგენელი (აძხიდა, ტყვარჩელის თემი). წყაროს სახელი ეწოდა სოფელს, რომელიც საბჭოთა პერიოდში ორად გაიყო და მიეკუთვნა სხვადასხვა სასოფლო საბჭოებს.

აძხგდა – იხ. აძხიდა.

აძხეთჩა "წყალვარდნილი" (აფხ.) – კლდე და ჩანჩქერი წარჩე-წყარის სათავესთან (მთა). შდრ.: აძ(გ)ხგდშა.

აძგგეჟი//აძგგეში "წყალტრიალა" (აფხ.) – მორევი მორინჯეზე (აგვავერა).

აძგგეში – იხ. აძგგეჟი.

აძგდაყვარა "უწყლო რიყე" (აფხ.) – ღალიძგის მარც. შენაკადი (მთა).

აძგლბააყირა – ჩანჩქერიანი ღელე. ჯიმანწვარიდან ჩაედინება კეკვა იჩკვარაში (აძხიდა, ტყვარჩელის თემი).

აძგლბაყერა – ჩანჩქერი ოტაფეზე (ატიშადუ).

აძგმჟ "მორევი" (აფხ.) – საბანაო წარჩეზე (ჩხორთოლი).

აძგჟთოუ//წყარგეხვილერი "წყალჩამწყვდეული" (აფხ., მეგრ.) – ტბა დიდხოჯელში (მთა).

აძგყაფშ – იხ. აძაფშ.


დიხაგუძუბა – 1. ბორცვი ბორსუში (ნაჭკადუ); 2. ბორცვი ნიშონის მარც. ნაპირას (ქვ. ღუმურიში); 3. ბორცვი სოფლის შემოგარენში, აჯგვავის გვერდით (აგვაერა) და სხვ. მრ. დიხაგუძ(უ)ბა (მეგრ.) არის მცირე ბორცვი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მიწაზვინულს ჰგავს. არქეოლოგები დიხაგუძუბას თვლიან არქეოლოგიური ძეგლების ერთ-ერთ კატეგორიად.

დიხაჭუბერი//მაციშ დიხაჭუბერი – ადგილი აკოტახილში (სამარქვალო). ინფ.: "უწინ აქ მოიპოვებოდა თეთრი წებოვანი მიწა, რომელსაც თავსაბანად და საწნახლის საგოზავად იყენებდნენ. სწორედ მას ეწოდება მეგრულში დიხა(შ)ჭუბერი".

დიხაჭუბურონი – ხევი ჩიჩიეღალის მარც. მხარეს. მოიპოვება თეთრი თავსაბანი მიწა (ილორგანი).

დობერა – ფერდობები, რომლებიც გასდევს ნამდინარევ ოლორისა და ენგურის მარჯ. მხარეს (ღვაშგვერდი, შქაშსუკი). დობერა (მეგრ.) "სავენახედ გამოსაყენებელი დაფერდებული ადგილი".

დოგოვცი//დოგუა რხუ – დოგუების უბანი ქ. ტყვარჩელის გადასახედთან (ატიშადუ).

დოგუა რხუ "დოგუების ბორცვი" (აფხ.) – იხ. დოგოვცი.

დოდონიშ ნათგფ "დოდონის ნაკარვალი" (მეგრ.) – დავაკება გვალაიასა და ოფუჯეს შუა. აქვეა აგრეთვე დავაკება ჯამაშ ნათგფ (მთა). თიფი (მეგრ.) "თივა; კარვის ირგვლივ საქონლის დასაყენებელი ადგილი".

დოხორე – იხ. ტყადოხორე.

დურ(უ)ამსუკი – ბორცვი რაგვიაღალის მარც. მხარეს (საჩინო).

დურუმი "ძალზე ღრმა წყალი" (მეგრ.) – მორევი ენგურზე (თაგილონი).

დუქანეფი – ერქვა პ. ოტობაიის ცენტრს, სადაც ოც-ოცდაათიან წლებში დუქნების ორი რიგი ყოფილა (პ. ოტობაია).

დუღუშ ღალ – იხ. ჭკადიშღალ.

დღობოღალ "ტლაპოღელე" (მეგრ.) – ნაოსჭალღალის შენაკადი (მ. ოტობაია, ნაჭკადუ).

დჯარაც – ზღვისპირა საძოვრები ღალიძგიდან ცორკამდე, სადაც კვირაში ერთხელ მიერეკებოდნენ საქონელს ზღვის წყლის დასალევად (ილორი, ნაგვალოუ). დჯორაცუა (მეგრ.) "საქონლის ჩარეკვა" → დჯარაც "ჩასარეკი".

დჯრმენტიშ ღალ – იხ. დჯრმე ცაშ ღალ.

დჯრმე ცაშ ღალ//დჯრმენტიშ ღალ – ერისწყლის მარჯ. შენაკადი (ლეკუხონა). დჯრმე ← დჯრმენტი პირსახელია (იგივე დიმიტრი), ცა//ცაავა გვარია.

ე

ეგურძგული – იხ. აგურძგული.

ეგძააშრა – იხ. ოქროწყარი.

ედგ იტვარა "ედგის დასაჯდომი" (აფხ.) – მინდორი აგუბედიის საზღვართან (ატიშადუ).

ედიშ წყურგილი – იხ. ედ იძიხ.

ედ იძიხ//ედიშ წყურგილი – წყარო წვიშიკვარის ნაპირას. ედის (პირსახელია) ამოუჭრია ქვაში (პ. ოხურეი).

ეზა მარღანხეშ დიხა – სახნავი ჭოლეის ნაპირას (აგუბედია).

ეთმეშ აკვარა – ოხოჯის მარჯ. შენაკადი (ოხოჯა). ა-კუარა (აფხ.) "ღელე" შესულია მეგრულში აკვარა, კვარა ფორმებით.

ეთმეშ წიფური – იხ. გგნოტახილი წიფური.

ეიმაკარა//ეიმაკგრა//ელმაკრა – 1. ჩანჩქერი, მორევი ღრმა კანიონის დასაწყისში (აგვავერა). ინფ.: "აფხაზურად ნიშნავს ადგილს, რომლის შემდეგ გზა აღარაა"; 2. იხ. ალმაკრა.

ეიმაკრა//ეიქვარა – ოქუმწყარის ღრმა კანიონი სოფლიდან ნასტოლბუმდე (ზ. ღუმურიში, მთა).

ეიმაკგრა – იხ. ეიმაკარა.

ეინჭა – კარსტ. ჭა აქვიფხერაში (მთა). მეგრული ინჭა "ჭა" შესულია აფხაზურში ეინჭა ფორმით.

ეისკრე – იხ. აისკრრა.

ეიუხაა – აღმართი, კიბეებიანი გზა. საკვირკველიოდან ადის ნარჯხეუს სერზე (ნარჯხეუ). ინფ.: "აფხაზურად ნიშნავს ხელით ნაკეთებ გზას". შდრ.: აიუხაა, აიხაა.

ეიქვარა – იხ. ეიმაკრა.

ეიჭყვა – ღალიძგის ერთ-ერთი მდგენელი (ტყვარჩელი).

ეკიანი ოხვამე//საგამსონიოშ ოხვამე – ეკლესია საგამსონიოში. ამავე სოფელში თუდოლენი ოხვამეცაა (ჩხორთოლი). ეკიანი "ზემოთა", თუდოლენი "ქვემოთა" (მეგრ.).

ეკიანი უბანი – იხ. სალხინო.

ეკიანი ჩხორთოლი – იხ. ჩხორთოლი.

ელაკვარა – იხ. ალაკვარა.

ელატომბა – 1. საბანაო სკდაწყარზე (საბუთბაიო); 2. მორევი ხუმუშქურზე. ვარ.: დიდტომბა (თხინაშკარი). ელატომბა "მცირე მორევი მდინარის მაღალი ნაპირის ძირას" (მეგრ.).

ელაღირი – იხ. ელაღკრი.

ელაღკრი//ელაღირი – მდინარე ფართო ხეობით. ერთვის ოხოჯეს მარცხნიდან ჯუხუს შესართავს ქვემოთ (ჩხორთოლი, პ. კოპიტი, აჯრა...).

ელაღკრიშ სუკი – სერი ელაღირსა და უჩაღალს შუა (ჩხორთოლი).

ელაღკრპიჯი – სახნავები ელაღირის ნაპირას (ჩხორთოლი).

ელიაკვარა//ალიაკვარა//ალეკვარა//ილიაშ კვარა – ოხურეი-წყარის მარც. შენაკადი (მ. ოხურეი, აჩიგვარა). სათავეები აქვს ახეცერასა, რეკასა და საჩინოში. შდრ. აკვარა.

ელიაკვარაშ აბააჭუ – იხ. რეაშ ჯიხა.

ელიეფიშ ნადიხ – იხ. ოთუნთე.

ელიზბარიშ ჩაი – ჩაის ფართობი, რომელიც 1926 წელს გააშენა ელიზბარ მესხიამ (ზ. ბარღები).

ელმაკრა – იხ. ეიმაკრა.

ე(ლ)მაკრა – იხ. ალმაკრა.

ემხვარეფიშ ნანთხორა – იხ. ჯარგუშ ნანთხორა..

ემხვარეფიშ პლანი – ერქვა ტყეს ოხურეის (აჩიგვარის თემი) საზღვართან (ანარია).

ემხვარეფიშ სუკი – სერი ელაღირსა და წარჩეშ ნოყელს შუა (ჩხორთოლი). იხ. ნადოხორ.

ენწერი "ეწერი" (მეგრ.) – 1. სოფლის კუთხე ოქუმწყარის მარჯ. მხარეს (აჩიგვარა); 2. სერი, სუკის გაგრძელება ოხოჯე-ელიაკვარის წყალგამყოფზე (სახახუბიო); 3. სერი საგარგულიოში (სამარქვალო); 4. გაბარის მომდევნო ვაკე-ტერასი ენგურის მარჯ. მხარეს (თაგილონი, სიდა, ზ. ბარღები) და სხვ. მრ.

ე(ნ)წერი – 1. ბუჩქნარი სოფლის ცენტრის სამხ-ით (ჰუბურხინჯი); 2. სოფლის კუთხე ოჯოღორის მარც. მხარეს (რეფი-ეწერი).

ენწერიშ ოხვამე – იხ. ენწერულ ოხვამე.

ენწერულოხვამე//ენწერიშ ოხვამე – ერქვა ეკლესიას ზემო ბარღებში.

ენწერღალ – ჭირის მარჯ. შენაკადი. იწყება ენწერში (სიდა, საბჭოთა ჩაი)

ერგეზა – იხ. აბჭიკვა.

ერემეფიშ ოლაცაფე "ირმების სათამაშო" (მეგრ.) – ჭიუხები ბეცეშის დასავლეთით (მთა).

ერთიში – ხეობა, ტყე-საძოვრები ერისწყლის სათავესთან, გალისა და წალენჯიხის რაიონების საზღვარზე (მთა). ერთი პირსახელია (← ერთიმე//ერთუმე ←ექვთიმე). იხ. ერისწყალი.

ერიაშ ნოხორი//აირიაშ ნოხორი – ტყე ელიაკვარის მარც. ნაპირას (რეკა).

ერისწყალი (ადგ. ვარ.: ერწყარი) – სამურზაყანოს ერთ-ერთი დიდი მდინარე. ერთვის ოქუმწყარს მარცხენა მხრიდან ზღვის სიახლოვეს. იწყება ერთიშში (ე.ი.. ერწყარი ← ერთიშწყარი). ზემო წელზე გალისა და წალენჯიხის რაიონების საზღვარია. შუა წელზე ფართო ხეობა კაშხლით გადაიკეტა (რასაც დასჭირდა ასეულობით ოჯახის აყრა) და შეიქმნა გალის წყალსაცავი, რომელშიც ჩაედინება ენგურის წყალსაცავის წყალიც. "სამეგრელოს რუკაზე", რომელიც ერთვის არქანჯელო ლამბერტის "სამეგრელოს აღწერას" (1654 წ.), აგრეთვე ამის მიხედვითვე (ასე ჩანს) შედგენილ ლათინურენოვან რუკაზეც (1654 წ.), ამ მდინარეს ეწოდება Heti-scari და იგი პირდაპირ მიერთვის შავ ზღვას. ამასთან დაკავშირებით მთარგმნელი ილია ჭყონია შენიშნავს: "ამ მდინარეს დღეს გაგიდა ჰქვია". სამწუხაროდ, გალის რ-ნის მცირე სქემატურ რუკაზეც (ქსე, 2, გვ. 241) ერისწყალი ოქუმს კი არ ერთვის, არამედ პირდაპირ შავ

ზღვაში ჩაედინება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვით "სამეგრელოს აღწერის" ტექსტში ერისწყალი აღნიშნულია შეკვეცილი ფორმით: "ენგურს იქით არის Heti, რომელსაც სიპატარავის გამო რუკებზე არ აღნიშნავენ, თუმცა ღირსშესანიშნავია თევზის სიუხვით; ზღვას შეერთვის გაგიდასთან".

ერმანეშ ხარახენი – იხ. ხარახენი.

ერმინეშ ცხიმურონი – იხ. ცხიმურონი.

ერწყარი – იხ. ერისწყალი.

ერწყარიშ ნაზავოდ – იხ. ნაზავოდ.

ერწყარპიჯეფი//ზენი – ერქვა ვაკე-სახნავებსა და სამოსახლოებს ერწყარის ნაპირებზე. დაფარა გალის წყალსაცავმა (ცხირი).

ესავა ინხართა "ესავას სამოსახლო" – მინდორი უჩან ირის კალთაზე. ესავა ხანაგუს ნასახლარია (პატრახუწა, აგუბედიის თემი).

ესაყიშ ნასხაპა "სადაც ესაყი გადახტა" (მეგრ.) – კლდე აჭაფარაში (სამელაიო). ინფ.: "ესაყს დასაჭერად მისდევდნენ. ამ 20 მ. სიმაღლის კლდიდან გადახტა, ტლაპოში ჩავარდა და გადარჩა".

ესმაშ ფარყი//ნაჰარბეიშ ფარყი – ფერდობი, თხმელნარი საჭანიოში, სადაც ესახლა ნაჰარბეი ემხვარის ქვრივი ესმა (ფართოღალი, ღუმურიშის თემი). ფარყი (მეგრ.) " ბუჩქნარ-ჯაგნარიანი დაფერდება".

ესქერდა – დაბალი სერი მორინჯესა და ოქუმწყარს შუა (ოქუმი). ინფ.: "თურქის ჯარის ნადგომია. ჯარს თურქულად ესქერი ჰქვია". სინამდვილეში ესქე(რ)და მთიან სამეგრელოში საქონლის სალოცავის სახელია და ტოპონიმიაშიც არაიშვიათად გვხვდება.

ექუფ იააბთრა – ტყე ალრის სათავესთან (მთა). მართალია, აფხ. ააფთრა არის "მწყემსის საზამთრო სადგომი ადგილი მთაში" (ბ. ჯანაშია), მაგრამ, როგორც ტოპონიმური მასალა გვიჩვენებს, მისი ზოგადი მნიშვნელობაა: "მწყემსის სადგომი, კარავი"

ეშაა რქჳთა – იხ. ეშქჳთი.

ეშბაიეფიშ ნადელი – საძოვრები ხუმუშქურის მარც. მხარეს. ეკუთვნოდათ ბედიელ ეშბაიებს (ხუმუშქური). იხ.: ნადელი.

ეშმაკიშ ღალ – ოხოჯის მარც. შენაკადი. ზემო წელზე ეწოდება ჩანთაშ ღალ (მიშველი). ინფ.: "მართლაც ეშმაკის ადგილია, ჭაობია, ყველაფერი იძირება. ზოგნი ეშმაკიშ ღალს უწოდებენ ხუნაშ ღალსაც, რომელიც აგრეთვე ოხოჯეს ერთვის მარცხნიდან".

ეშქუთი "ეშბების სოფელი" (აფხ.) – ერქვა უბანს კენტკრღალის ნაპირებზე (ჩხორთოლი). ძვ. ვარიანტი: ეშაა რქუთა. აქაურმა ეშბებმა მოშორებით შექმნეს ახალი უბანი საეშბაიო (მიშველი).

ეცი – იხ. აიცწყარი.

ეწერი – 1. მინდორი საჯუმუტიოში (აგვაევერა); 2. სერი ვასთარიშ ღალის მარჯ. ნაპირას (ფართოღალი, ღუმურიშის თემი),

ეწერია – იხ. ძემგვა.

ეწეროჩაიე – იხ. ეწერჩაი.

ეწერჩაი//ეწეროჩაიე – ჩაის ფართობი სათანჯოს კალთაზე (დიხაზურგა).

ეხაპიცრა – მინდორი ნახიდართან, ღალიძგის მარც. ნაპირას (ქ. ტყვარჩელი).

ვ

ვადაკაჭკა – ჩაის ფართობი დიდი ბებესირის ნაპირას, სადაც წყალსაქაჩი იდგა (ოხურეი, აჩიგვარის თემი). შდრ.: რუს.. водокачка "წყალსატუმბი".

ვანოშ (ო)ბულონი – იხ. ობულონა.

ვარადიშ მგკოხილი – იხ. მგკოხილი.

ვარადიშ ჯიხა – იხ. წიფურია.

ვარდისუბანი – იხ. ატიშადუ.

ვასასართა//შხურიშ ოლაჭუე "ცხვრის საკრეჭი (ადგილი)" (აფხ., მეგრ.) – დავაკება ნარჯხეუს სერის კალთაზე, აჰა იძიხის გვერდით (ნარჯხეუ).

ვას(თ)არი – კეიშის შენაკადი და მისი ხეობა საქვაჩახიოში (ფართოღალი, ღუმურიშის თემი).

ვასილიშ ხანგუ – იხ. აძმახ.

ვატაფ – იხ. ოტაფი.

ვატაშ ქამფარი – კარსტული ჭა-ძაბრი საგამსახურდიოში (ოცარცე). შდრ.: ქამფარონი.

ვე "ველი" (მეგრ.) – ფართო მინდორი წკელკარში (ხოლე).

ვერემხი ცხაცხუ "უზარმაზარი ცაცხვი" (მეგრ.) – ძველთაძველი ცაცხვი საქვაჩახიოში (აგვაევერა).

ვერჩე – 1. სახნავი, ნატყეევარი ერისწყლის მარჯ. ნაპირას (პ. შეშელეთი); 2. ვაკე-სახნავები ენგურის მარჯ. მხარეს. წყალმა წაიღო. დარჩა მორევი "ვერჩეშდუდი" (ზენი, დიხაზურგის თემი); 3. მცირე

მინდორი ტყეში, ჭიჭე აკიბოსა და დიდ ნუზუონს შუა (მთა). ვერჩე (←ვე რჩე "ველი თეთრი": ი. ყიფშიძე) არის გამინდვრება ტყეში, ტყეშემორტყმული მცირე ველი.

ვერჩეშდუდი – იხ. ვერჩე.

ვერჩეშ ფონი – ფონი ერწყარზე, ვერჩესთან (პ. შეშელეთი).

ვეშდუდი – ბორცვი წკელკარში, ვეს თავზე (ხოლე).

ვეშდუდიშ ნაჯიხ – ნაციხარი ვეშდუდის (იხ.) თხემზე.

ვითგეჭტარიანი//მარკელიეფიშ ნადიხ – სახნავი ერწყარის მარც. ნაპირას (მ. შეშელეთი, რეფი–ეწერი). ათჰექტრიანია. ეკუთვნოდა მარკელიებს.

ზ

ზავოდიშ მინდორი – მინდორი ოჯოლორის ნაპირას, სადაც იყო "ზავოდი" – აგურის ქარხანა (პატრახუწა, მზიურის თემი). შდრ. რუს.: завод "ქარხანა".

ზაკალონი "ბზანარი" (მეგრ.) – ბზანარი ოყორანის გვერდით (ხოლე).

ზარანდიაშ გინალეფი "ზარანდიას გადანავარდნი" (მეგრ) – კლდე ანარაში (მთა).

ზარწუფონა – ტყე წიფონის ნაპირებზე (თხინაშკარი). ზარწუფა, ძარწუფა (მეგრ.) "ძახველი". შდრ.: ძარწუფონა.

ზარწუფონაშ თორსა – ტლაპო ზარწუფონაში (იხ.). იხ. თორსა.

ზარწუფონი – ტყე ზღვისპირას (გინძე ეწერი).

ზაქარაიეფიშ სუკი – იხ. გიტიშ სუკი.

ზემო ბარღეფი – იხ. ზემო ბარღები.

ზემო თაგილონი – იხ. სალხინო.

ზემო უბანი – იხ. სალხინო.

ზენი – 1. სახნავი ჩეგემღალის ნაპირას (დიხაზურგა); 2. სახნავი ოქუმწყარის ნაპირას (ზ. ღუმურიში); 3. სახნავი წარჩის მარჯ. მხარეს (წარჩე); 4. სახნავები ოქუმწყარის მარჯ. ნაპირას. ვარ.: ოქუმზენი (ოქუმი) და სხვ.

ზენიშ ოხვამე – წმ. ნინოს სახელობის ეკლესია სოფ. ზენში (უუბურხინჯის თემი).

ზენიშ ცუნა – იხ. ცუნა.

ზენი ჰუბურხინჯი//ჯვეშ ნაინგგრ – სახნავი ნაენგურალთან (ზენი, ჰუბურხინჯის თემი).

ზესაშ მგკოხილი – იხ. მგკოხილი.

ზორმახანა//ზორმეხანა "ძმერხლნარი" (მეგრ.) – ღელე სამიქაოში (ოცარცე).

ზორმეხანა – იხ. ზორმახანა.

ზოსმეშ ნაჩიხა "ზოსიმეს ნაგუბი" (მეგრ.) – ხიდი-ჯებირი ოჩხომელალზე. "ზოსიმეს გაუხიდავს საურმე გზისათვის" (ნაგვალოუ).

ზოხვაა იყვარა "ზუხბაიების რიყე" (აფხ.) - წარჩის რიყე ზოხჭგთში (ჩხორთოლი).

ზოხჭგთი//საზუხბაიო – უბანი წარჩის ნაპირებზე (ჩხორთოლი). აფხაზური ზოხჭგთი "ზუხბების სოფელი" და მეგრული საზუხბაიო ფუნქციურად და სემანტიკურად იდენტური დანიშნულებისაა (აღნიშნავენ ზუხბაიების დასახლებას), მაგრამ განსხვავდებიან სიტყვაწარმოებითი მოდელებით.

ზუგბაიეფიშ ღალ – იხ. ქორომონი.

ზურაბიშ მგკნატახა//ზურაბიშ მგკოტახილი - კლდეზე გაჭრილი გზა ერისწყლის მარჯ. მხარეს. გზა გაუყვანია ზურაბს (დიხაზურგა). მგკოტახუა (მეგრ.) "მომტვრევა; გზის გაჭრა კლდეზე" → მგკოტახილი, მგკნატახა (წარსული დროის მიმღეობები).

ზურაბიშ მგკოტახილი – იხ. ზურაბიშ მგკნატახა.

ზურაბიშ ოხვამე – ეკლესია ნაჯიხის სამხრეთ გაგრძელებაზე. აუშენებია გენერალ ზურაბ ჩქოტუას (შქაშსუკი).

ზურაბიშ ცხენიშ ნასხაპა "ზურაბის ცხენის გადანახტომი" – კლდე ერწყარის ხეობისა და რთომის სათავის წყალგამყოფზე, სადაც ზურაბ ჩქოტუას ცხენი გადავარდნილა (ჟირღალიშქა).

ზუყვა იბხა – იხ. ზუყვაშ ტყა.

ზუყვაშ ტყა//ზუყვა იბნა "ზუყვას ტყე" (მეგრ.-აფხ.) – ტყე ბობოშიაკვარის მარც. მხარეს (რეკა).

ზუხბაიაშ ნოხორი – მინდორი საჯობაში (რეჩხი). ინფ.: "ღუმურიშელმა ზუხბაიამ ღამით მალულად ფაცხა დადგა, მაგრამ ჯობავებმა მეორე დღესვე განდევნეს. სახელი მაინც დარჩა".

ზუხბაიეფიშ მგკაჯინუ – იხ. ფარყი.

ზუხბაიეფიშ ფარყი – იხ. ფარყი.

ზუხბაიეფიშ ღალ – ქორომონის მდგენელი (კოხორა). ზუხბაია//ეზუხბაია გვარია. იხ. საეზუხბაიო.

თ

თაკოჩია//თაკოჩიაშ ღალ – ღელე დიხაგუძბისა და გაგიდის საზღვარზე. ერთვის ზღვას. თაკოჩია პირსახელია.

თაკოჩიაშ ღალ – იხ. თაკოჩია.

თამაზოღლიშ კგდელა – კლდე ნამარკილუში (ზ. ცხირი). კგდელა (მეგრ.) "კედელი".

თანთარ იღდარა – იხ. ტუგუ იღდარა.

თანია რჰაბლა – თანიების უბანი მგრაბის ჩრდილოეთით (ურთა).

თარასხანიშ ნაცუდუ "თარასხანის ნასახლი" (მეგრ.) – მინდორი. აქვეა ხუბუტიეფიშ ნაცუდუ (საბჭოთა ჩაი).

თარასხანიშ ტანიშ ობონუე – იხ. თარასხან იჩგკობართა.

თარასხან იჩგკობართა//თარასხანიშ ტანიშ ობონუე "თარასხანის საბანელი" (აფხ., მეგრ.) – მორევი აძლაგარააჭიშთრაზე (ფოქვეში). აფხაზური ა-ჩგკუაბართა "საბანაო, საბანებელი (ადგილი)" იგივეა, რაც მეგრული ტანიშ ობონუე "ტანსაბანი (ადგილი)".

თარაშ ბებეისგრი – იხ. ბებეისგრი.

თარაშ ნაღუქელ – მინდორი დიდ (ა)კიბოსა და შიფშხერას შუა (მთა). იხ. აღუქელა.

თარბაიაშ მამული – ტყე ნიშონის მარც. მხარეს (ქვ. ღუმურიში). იხ. მამული.

თარბოვცი//თარლაკაპ//თარლაკვაპ – ბორცვი, თარბების უბანი ქ. ტყვარჩელის გადასახედთან (ატიშადუ).

თარლაკვაპ – იხ. თარბოვცი.

თარლაკოპ – იხ. თარბოვცი.

თარხანიშ ნაწისქვილ//ალესიშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი რეჩხიწყარზე. თარხანი და ალექსი ძმები იყვნენ (ცხირი).

თარხვანტიაშ ბარჯგი "დუდგულას პალო" (მეგრ.) – ერქვა ნავმისაბმელს გაგიდაწყარის ნაპირას (გინძე ეწერი). ინფ.: "დუდგულა წყალში დიდხანს ძლებს და ნავის დასაბმელად იყენებდნენ".

თარხვანტიაშ ღალ "დუდგულას ღელე" (მეგრ.) – რთომის მარჯ. შენაკადი (ლეკუხონა).

თარხვანტიაშ წყარი – თარხვანტიაშ ღალის სათავე (ჟირღალიშქა).

თარხვანტიონი – იხ. ახვარრა.

თარხუნიშ აფთგრა//თარხუნიშ ნაკარ – დავაკება ოისგრეში (მთა). თარხუნი პირსახელია. შდრ.: აფთგრა, ნაკარ.

თარხუნიშ ნაკარ – იხ. თარხუნიშ აფთგრა.

თასმაფ ირა "თასმაფის კაკალი" (აფხ.) – სახნავი ლამკაცის მარჯ. ნაპირას (აყვარაში, ფოქვეში). ინფ.: "სამი ძმა ყოფილა, გვარად აკიბა: თასმაფ, ლამკაც და ყვაფ. მათი სახელები დარქმევია მდინარეს, კაკალსა და მუხას".

თაყი – მდინარე. ერთვის ზორღათს (ვეშკუდელი). გადმოცემით, ნაარხალია. ქვემო წელზე არის საზღვარი გალისა და ზუგდიდის რაიონებისა.

თედო ძაძუაშ ნადიხ – იხ. ძაძუეფიშ ნადიხ.

თევეზ იკვარა "თევეზის ღელე" (აფხ.) – წიშიკვარის შენაკადი (ფოქვეში).

თემა იკვარა "თემას ღელე" (აფხ.) – ღელე საკოზმაში (კაცი-ჰაბლა). გადის ოხურეიში.

თემურიშ ნანოყუნ – იხ. ნანოყუნ.

თოლორაიაშ მარჩხა – იხ. მარჩხა.

თომი – იხ. (რ)თომი.

თომწყარი – იხ. (რ)თომი.

თორთოია რძიხ – წყარო. თორთოია, თვართვაია გვარია, იგივე თვალთვაძე (ქვალონი).

თორსა//ოისგმეშ თორსა – ტლაპო უბილეფიშ ღალის ნაპირას (ზ. ბარღები). თორსა (მეგრ.) "ტლაპო, საფლობი. ჭაობი, სადაც ყველაფერი იძირება".

თორსა ფსორო – იხ. კვახილი.

თორსაღალ – აკვარიქვის მარც. შენაკადი (რეფი-ეწერი).

თორხული – ენგურის მარჯ. შენაკადი (ზენი, დიხაზურგის თემი).

თუდოლენი ოხვამე "ქვემო ეკლესია" (მეგრ.) – ეკლესია სასირგინა-სამალიშაოში (ჩხორთოლი). ინფ.: "ქელებათ გოჯოლანძეს ბედიის მონასტრიდან მოუპარავს და აქ დაუსვენებია ხატი ცუდნა//ჯგეგეცუდნა. მასზე გამოსახული იყო წმინდა გიორგი,

რომელიც კლავს გველეშაპს. იგი ძლიერი ხატი იყო. მისი წყრომის ყველას ეშინოდა, ხოლო მის წყალობას ყველა ითხოვდა. მასზე დაფიცება უდანაშაულობის საბუთი იყო. თანდათანობით ეკლესიასაც ცუდნა//ჯგეგეცუდნა ეწოდა. ხატი დაამსხვრიეს კომკავშირლებმა კოლექტივიზაციის წინ".

თუდოლენი რზენეფი "ქვემო ვაკეები" (მეგრ.) – სახნავები ოხურეიწყარის მარჯ. ნაპირას (პ. ოხურეი).

თუდოლენი ჩხორთოლი – სოფლის ნაწილი წარჩის საზღვართან (ჩხორთოლი).

თუნთიშ აყრა//თუნთიშ შარა – კლდე-ფერდობები ოქუმწყარის მარც. ნაპირას (მთა). ინფ.: "აფხაზური აყრა იგივეა, რაც მეგრული შარა, ე.ი. გზა. ამ ადგილებში დათვის ბილიკი გადიოდა და ხშირად ხაფანგს უგებდნენ". შდრ. დიდი აყრა.

თუნთიშ ინნაცვილა "სადაც დათვი ჩაკლეს" (მეგრ.) – ხევი საროდონაიოში (რეჩხი).

თურქიშ ნაკარუ//ახვლედიანიშ ნაკარუ – მინდორი აბსთაში (მთა). ინფ.: "თურქი მამედი ახვლედიანს იყო ჩასიძებული".

თურქიშ ნანოცუნ – მინდორი ნაბაცასა და მენჯღალს შუა (რეჩხი).

თურქიშ ნაშქვიდა "სადაც თურქი დაიხრჩო" (მეგრ.) – მორევი რეჩხწყარზე (რეჩხი). ინფ.: "თურქი ჩავარდნილა. ორი ჯობავა გადამხტარა, რათა გადაერჩინათ. სამივე დამხრჩვალა. სახელი მაინც თურქისა დაერქვა, რადგანაც უცხო იყო".

თურქიშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი ბაბაშიაზე (ჭყონხუმლა). თურქი ყოფილა მეტსახელი თურქეთიდან დაბრუნებული მოჰაჯირისა – ალექსანდრე დაუშაძისა.

თურქიშ ღალ – იხ. ათკრქეიკვარა.

თქვაფანა – 1. ვაკე-ფერდობები საროდონაიოში, სისკვარის ხეობაში (რეჩხი). ინფ.: "თქოფი იყო ყურძნის ჯიში. მაღლარი იყო, ხეზე ასაშვები, ოქროსფერი მარცვლები ჰქონდა"; 2. იხ. თქოფონა.

თქოფონა//თქვაფანა – სახნავი საჭედიოში, ბაბაშიის მარც. მხარეს (ჭყონხუმლა). ინფ.: "თქოფი ბუხრის ასაშენებელი წითელი მიწაა, რომელიც აქედან მიჰქონდათ". მეგრულში თქოფი თხელ ტალახსაც აღნიშნავს. ინი-თქვეფუ "წყალში ან თხელ ტალახში დგაფუნობს". შდრ. ქართ.: (ა)თქვეფა.

თხინა – 1. თხილნარი საროდონაიოში (შაშიკვარა); 2. ბუჩქნარი ჭუბურხინჯის საზღვართან (სალხინო); 3. ტყე ხუმუშქურის საზღვართან (მზიური). თხინა ← თხირონა (მეგრ.) "თხილნარი".

თხინაშკარე – იხ. თხინაშკარი.

თხირამღალ "თხილიანღელე" (მეგრ.) – 1. ღელე. იწყება მუხურში, გადაკვეთს აჩიგვარას, ტოგონს და პ. გუდავაში ჩაედინება ჭაობნარში; 2. მარაჭის მარც. შენაკადი (ქვ. ბარღები, ფიცარღალი...); 3. ჭითაუშქურიშ ღალის შენაკადი (კოხორა) და სხვ.

თხირონღალ "თხილნარის ღელე" (მეგრ.) – ნიშონის შენაკადი (ქვ. ღუმურიში, პ. გალი).

თხორილი "არხი. თხრილი" (მეგრ.) – არხი, რომელიც გერმანელმა მრეწველმა ფეტერმა გაათხრევინა ხე-ტყის დასაცურებლად დიდი ერწყარიდან აბდახარამდე (ხუმენი-ნათოფური).

თხუმლონი "თხმელნარი" (მეგრ.) – ტყე ლაჯიმონ-ოფუჯის გზაზე (რეჩხი, მთა). თხუმუ "თხმელა" (მეგრ.) → თხუმლონი, თხუმონა, თხუმულონი, თხუმუონა "თხმელნარი".

თხუმონა – 1. სახნავი მ. ოტობაიის საზღვართან. აქვეა მინდორი თხუმონაშ მინდორი, წყარო თხუმონაშ წყურგილი და ღელე თხუმონაღალ (პ. ოტობაია, რამი); 2. ტყე ხუმუშქურის ნაპირას (ბოკვეთი) და სხვ.

თხუმონაღალ – იხ. თხუმონა.

თხუმონაშ მინდორი – იხ. თხუმონა.

თხუმონაშ წყურგილი – იხ. თხუმონა.

თხუმულონი – ტყე ლაკადისძირში (ფართონოხორი, ღუმურიშის თემი).

თხუმუონა – ტყე ოისკრეში, მ. კოპიტის თავზე (მთა).

თჳთჳმთრა "სათუთუნე (ადგილი)" (აფხ.) – სახნავი საგამსონიოში (ჩხორთოლი).

თკლკბღანიშ ღალ – ქვიშონის მონაკვეთი (გალი). თკლკბღანი პირსახელია.

თკყვაშ წყარი – ოქუმწყარის მარც. შენაკადი (მთა). თკყვა პირსახელია.

იამა – ღელე, ნაარხალი, რომლითაც ზღვაში გაჰქონდათ ხეტყე (დიხაგუძბა). შდრ. რუს.: яма "ორმო, ტაფობი, ჩავარდნილი ადგილი".

იასონიშ ღალ – იხ. ხუმუშქური//ხუმუშქურწყარი.

იასონიშ ჩაი – იხ. კერძო ჩაი.

იაუკერიშ ცხიმურონი – იხ. ცხიმურონი.

იაქუფი იწაყა "იაქუფის ქვემოთ" (აფხ.) – სახნავი ღალიძგის ნაპირას (ფოქვეში).

იბლონი "იელნარი" (მეგრ.) – ჯაგნარი ჭითაფონის ნაპირას (ზ. ბარღები).

იბლოშ ცხიმურონი – იხ. ცხიმურონი.

იდოშ ნოხორიი "იდოს ნასახლარი" (მეგრ.) – მინდორი აზანიშის ბორცვზე (ლეკუხონა).

ივანბაშ წყურგილი – წყარო, ელიაკვარის ერთ-ერთი სათავე (რეკა). ივანბა აფხაზური გვარია.

ივანე იხუ//ივანეშ სუკი "ივანეს ბორცვი" (აფხ., მეგრ.) – ბორცვი ოხოჯის მარც. მხარეს (აძხიდა, ტყვარჩელის თემი).

ივანეშ ნაბამბაკი "ივანეს ნაბამბარი" (მეგრ.) – სახნავი ოქუმწყარის მარც. მხარეს, სადაც ივანეს ბამბაკი, ანუ ბამბა, მოჰყავდა (მუხური).

ივანეშ ნაწისქვილ – იხ. ჯიპონი.

ივანეშ ნაჭკრა "ივანეს განაჭერი" (მეგრ.) – 1. ისორათი-გალის საავტომობილო გზის მონაკვეთი, რომელიც გაუყვანიათ მამასახლის ივანე გელენავას თავკაცობით (ნაბაკევი); 2. სახნავი ახრაჯარაში. გვერდითაა ნაუშ ნაჭკრა. ივანე და ნაუ ის პირებია, რომელთაც აქ ტყე გაუკაფავთ (მ. კოპიტი).

ივანეშ ოხვამე – იხ. ჩე ოხვამე.

ივანეშ სუკი – იხ. ივანე იხუ.

ივანე ძაძუაშ ნადიხ – იხ. ძაძუეფიშ ნადიხ.

ივაშ ბებეისკრი – იხ. ბებე(ი)სკრი.

იზორიეფიშ დიხა – იხ. ოთუნთე.

იკოხონი "ალმართი" (მეგრ.) – ალმართი კეიშის ხეობაში. ვარ.: კეიშიშ იკოხონი (რეჩხი).

ილიატომბა – საბანაო სიდაწყარზე (საშამუგიო).

ილიაშ კვარა – იხ. ელიაკვარა.

ილორგანი – მდინარე, ოხურეიწყარის მარჯ. შენაკადი. გაივლის ოხაიეს (ილორგანი, ოხურეი ილორის თემისა). სოფლის სახელი გადასულა მდინარეზე.

ილორგანი – ჩაის ფართობი, რომელიც უწინ ეკუთვნოდა ილორგანს (პ. ოხურეი).

ილორგური – ილორის ცენტრი, ტერიტორია ილორის მონასტრის ირგვლივ (ილორი).). მეგრ. გური "გული" აქ აღნიშნავს ცენტრალურ ნაწილს, შუაგულს.

ილორკუნთხუ//სახოჯა – ხოჯავების უბანი ილორგურის სამხრეთით (ილორი).

ინალისქუაშ მართუ – იხ. მართუ.

ინგგრი – იხ. ენგური.

ინგგრპიჯეფი "ენგურისპირები" (მეგრ.) – სახნავები ენგურის ჭალაში (თაგილონი, ვეშკუდელი).

ინოსოფილი//ფაფალაშ ინოსოფილი – ტლაპო ერწყარის მარჯ. მხარეს (ტოგონი). ფაფალა ქალის სახელია. ინოსოფილი (მეგრ) "ჩარღვეული ადგილი".

ინოხონი – 1. ფართო არაღრმა ხეობა, სადაც გადის "ღალ" – ელიაკვარის მარც. შენაკადი (აჩიგვარა); 2. ტაფობი ობორიესუკის კალთაზე (ღვაშგვერდი, ფართონოხორი); 3. ტაფობი ოქუმწყარის მარც. მხარეს, სადაც გადის ჩონჩორიშ ღალ (ზ. ღუმურიში) და სხვ. ინოხონი (მეგრ.) "ჩავარდნილი ვაკე; ფართო ხეობისებური ჩაღრმავება".

ინჯილერიშ ნაჭკრა - ბორცვი ჭყონხუმლის საზღვართან, სადაც ინჟინერს ტყე გაუკაფავს და დაუსვამს სატრიანგულაციო სვეტი (პ. აკვაღა). შდრ. რუს.: инжинер.

ინჯილორიშ ნასტოლბ - იხ. ნასტოლბ. შდრ. რუს.: инжинер.

იოსეშ ღორე – წყარო საკიკონიოში. ქვის ქვეშიდან გამოდის და ღორე "ღარი" (მეგრ.) უდგას (ფშაური, ბედიის თემი).

იპოლიტეშ ოსხაპუე – იხ. ოსხაპუე.

ირნეშ მიკოხილი- იხ. მიკოხილი.

ისორათი//ისორათწყარი - ბოღაზი, ზღვის ყურე, საიდანაც გაჰქონდათ სიმინდი ხოფაში (ფიჩორი).

ისორათიშ მინდორი – ფართო მინდორი, ნადუქნევი ისორათში (ფიჩორი).

ისორათწყარი – იხ. ისორათი.

კაბეტი კანალი – არხი. ხუმუშქურიდან გადის ზღვაში (გინძე ეწერი). კანალი ← რუს. канал.

კაბეტი კონჩხი "დიდი კონცხი" (მეგრ.) – კონცხი, ტყე საჩაკაბერიოს თავზე. გვერდითაა ჭიჭე კონჩხიც (ჟირღალიშქა). ინფ.: "კონჩხი იმიტომაა, ეკალ-ჯაგნარია და ვერაფერი ავა". შდრ.: კონჩხეფი.

კაბეტი ოჯოღორე – იხ. ოჯოღორე.

კაბეტი ტომბა – საბანაო წარჩეზე (ჩხორთოლი).

კადარი – ერთ-ერთი გამქრალ-დავიწყებული სახელია. არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან "სამეგრელოს რუკაზე" (1654 წ.) ენგურის მარჯ. მხარეს, წიფურიას ქვემოთ (დასავლეთით) სოფელს და ეკლესიას აწერია Cadars. კადარი მეგრულში აღნიშნავს მთის მზიან (სამხრეთ) კალთას, მზისკენ მიქცეულ ფერდობს და ხშირად დასტურდება ტოპონიმიაშიც.

კადგრიშ წყურგილი – იხ. ანარია.

კაზაჭიშ ონტყოლაშე – ტლაპო ოხურეის მარჯ. მხარეს (ნაგვალოუ). კაზაჭი პირსახელია. იხ. ონტყოლაშე.

კაზენი//კაზიონი – ტყე კოლოშანასა და ნასოლაშ სუკს შუა (ფშაური, წარჩის თემი). კაზენი, კაზიონი XIX ს. დამლევსა და XX ს დამდეგს ეწოდებოდა საერთო ტყეს ან საძოვარს, რომელიც არავის ეკუთვნოდა და ამიტომ ყველა იყენებდა.

კაზიონი – 1. ტყე ალენის ნაპირას (ბოკვეთი); 2. ტყე ტოგონის საზღვართან (გუდავა, აჩიგვარის თემი); 3. ტყე ჯოყობის მარც. მზარეს (მ. გუდავა) და სხვ. შდრ.: რუს. казенный "სახაზინო, სახელმწიფოსი".

კაზიონტყა 1. ტყეს ერქვა ბაცკვარაში. ინფ.: "საერთო იყო და ყველა ჭრიდა" (კოხორა); 2. ჩაის ფართობი ქირის მარჯ. მხარეს (საბჭოთა ჩაი).

კაკაბური – მინდორი საძანძოში (ზენი, ჭუბურხინჯის თემი). ინფ.: "უწინ ტყე იყო. ხარობდა კაკაბური, ხეა ერთგვარი, იზრდება დაბალი, გული ღრუ აქვს და ჩიბუხის ტარად იყენებენ: ადვილად იხვრიტება".

კაკიაშ ნაკარუ – იხ. კაკიაშ ნანოყუნ.

კაკიაშ ნანოყუნ//კაკიაშ ნაკარუ – საძოვარი სათანჯოს კალთაზე (ჭყონხუმლა). შდრ. ნანოყუნ.

კაკიშონა – (?) ერქვა სოფელს 1886 წლის კომლობრივი აღწერის ცნობარის მიხედვით. შედიოდა საბერიოს თემში.

კაკლარამღალ "ეკლიანღელე" (მეგრ.) – მარაჭის მარჯ. შენაკადი (გინძე ეწერი).

კაკლარონი "ეკლნარი" (მეგრ.) – ფერდობი ერწყარის მარჯ. მხარეს. კაკლარი (მეგრ.) "ეკალი, ეკალ-ღიჭი".

კაკლარონიშ ილალ – საქონლის ბილიკი კაკლარონში (იხ). ილალ (მეგრ.) "დაღმართი. ფერდობზე ჩასასვლელი გზა".

კაკუბაშ კუნთხუ – იხ. ანჩბაიაშ კუნთხუ.

კაკუბაშ ოხვამე//ღუმურიშულოხვამე – ეკლესია, სადაც ესვენა წმინდა გიორგისა და მარიამ ღვთისმშობლის ხატები (ქვ. ღუმურიში).

კაკულიაშ ნასხაპა//კაკურია იფართა – კლდე ანარის სამხ. ნაწილში (მთა). ინფ.: "კაკულიას მისდევდნენ მოსაკლავად და აქ გადახტა".

კაკურია იფართა – იხ. კაკულიაშ ნასხაპა.

კაკუცი//კაკუციშ ღალ – გაგიდაწყარის მარჯ. შენაკადი (ქვ. ბარღები).

კაკუციშ ღალ – იხ. კაკუცი.

კაკუციშ ღალიშ ოჩხომე – იხ. ოჩხომე.

კალამონა – ბუჩქნარი სარდონაიოს სერზე (რეჩხი); 2. ბაბაშიის მარჯ. შენაკადი. ვარ.: კალამონაღალ (ჭყონხუმლა). კალამი (მეგრ.) "შალაფა")

კალამონაღალ – იხ. კალამონა.

კალონიაშ მინდორი//ჭითანეფიშ ნოხორი – სახნავი ხუმენში (ხუმენი-ნათოფური). ინფ.: "ჭითანავების ნასახლარია. პატიმრები ამუშავებდნენ".

კამბეშთა(ჰა)რთა – მორევი მორინჯეზე (აგვავერა). ინფ.: "კამეჩი ჩავარდნილა და ამას ნიშნავს აფხაზურად".

კამპურონი – ტყე რეჩხი-ოჭაკის გზაზე (მთა). კამპური (მეგრ.) "ჯონჯოლი (ხე)".

კაჟამღალ "კაჟიანი ღელე" (მეგრ.) – 1. სგდაწყარის ზემო წელი (ჭუბურხინჯი); 2. ოჯოღორის მარც. შენაკადი (რეფი-ეწერი).

კაჟნაშ ნანოყუნ – იხ. ნანოყუნ.

კარამხარიშ ფარონი – ტყე ერწყარის მარჯ. მხარეს. კარამხანი ქალის სახელია (ტოგონი). შდრ.: ფარონი.

კარამხანიშ ღალ – ღელე. ჩაუდის კარამხანიშ ფარონს (იხ.).

კარაკვარა – ობარხალაიის შენაკადი. კარა//კარბაია გვარია (ჩხორთოლი).

კარიერი – ქვის კარიერი ქვაბისთოუს გვერდით (ჩხორთოლი).

კატლავანი//ბიტონი – რკინიგზის ხიდი ხუმუშქურზე (სიდა). შდრ. რუს.: котлован "ქვაბული"; бетон "ბეტონი".

კაუთიშ ადგილი – ტყე ოისკრეში (მთა). კაუთი პირსახელია.

კაფრონსუკი – სერი ოხურეის მარც. მხარეს (მ. ოხურეი). ინფ.: "აქ დღესაც შეხვდებით კაფრაჯას. მცენარეა ასეთი". კაფრაჯა, როგორც ჩანს, არის იგივე კაფარი,ანუ კამპარი, ე.ი. ჯონჯოლი (ხე).

კაღუშ ეკალ//კაღუშ შარა – აღმართი ჭუბურონში (ფართოღალი, ღუმურიშის თემი). ინფ.: "ძნელი აღმართია. მხოლოდ კაღუს (კავი) გამოყენებით შეიძლება ასვლა". ეკალ (მეგრ.) "აღმართი. ასასვლელი".

კაღუშ მგკალ – იხ. წვაჰირკგრა.

კაღუშ შარა – იხ. კაღუშ ეკალ.

კაცია რჰაბლა – კაციების უბანი (კაციჰაბლა). კაცია მეგრული გვარია. აქ დამკვიდრების შემდეგ კაცბად ქცეულა.

კაციშ წყურგილი – წყარო ქორომონის მარჯ. მხარეს (პ. შეშელეთი). ინფ.: "კაცი ყოფილა სახელი ზვამბაიების წინაპრისა, რომელიც ჟვანდრიფშიდან (გუდაუთის რაიონშია) ჩამოსულა და გალელი აზნაურ ჭანტურიასაგან მიუღია სამოსახლო".

კაჭარონი – იხ. (ო)კაჭარონი. შდრ. აჭაჭარა.

კეგვაშ შხურიშ ოღაჭუე – იხ. შხურიშ ოღაჭუე.

კედეო – ჩაის ფართობი გუდავის საზღვართან (ოხურეი, აჩიგვარის თემი). "კედეო ხეა. ერთი ძირი აქაც მდგარა".

კეიში – რეჩხწყარის მარჯ. შენაკადი და მისი ხეობა. იწყება ჰარუაში. მდინარის მარჯვენა მხარესაა ცხირი და ფართოღალი, მარცხენა მხარეს კი – რეჩხი. ამჟამად ერთვის გალის წყალსაცავს (რეჩხი, ცხირი). არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ ლათინურენოვან "სამეგრელოს რუკაზე" ერისწყლის მარც. მხარეს, დაახლოებით ერისწყალთან კეიშის შესართავის პირდაპირ არის წარწერა Tcheis (ქართულად გადმოაქვთ როგორც თხეი). ხომ არ იგულისხმება მასში კეიში?.

კეიშიშ იკოხონი – იხ. იკოხონი.

კეიშიშ სანაყოფიო – იხ. სანაყოფიო.

კეკვაჩ(ი)კვარა "კეკვაჩის ღელე" (აფხ.) – აჰუთალის შენაკადი (აძხიდა, ტყვარჩელის თემი).

კემლარიაშ ოხაიე – იხ. ოხაიე.

კეპაჟგრა//კიპაჟარა//კეპაჯირა//კეპაჯიჭრა "კეპას სამჭედლო" (აფხ.) – ვაკე-სერი ნიშონსა და აკვარათბას შუა (ლეკუმხარა). აჟიირა (აფხ.) "სამჭედლო". ლეკუმხარაში მხოლოდ მეგრული მოსახლეობაა. მაშასადამე, კეპაჟგრა, ისევე როგორც გალის რაიონის მრავალი აფხაზურენოვანი მიკროტოპონიმი, წარმოადგენს სუპერსტრატს, ე.ი წარმოქმნილია ამ ტერიტორიაზე მოსული სხვა ხალხის მიერ, რომელიც შემდგომ შეერწყა ადგილობრივ მოსახლეობას ან დაუბრუნდა თავის მიწა-წყალს.

კეპაჭიჭრა – იხ. კეპაჟგრა.

კეპაჯირა – იხ. კეპაჟგრა.

კერიშ როკონა – სახნავი. კერი პირსახელია (მზიური). შდრ.: როკი, როკონა.

კერძო ჩაი//იასონიშ ჩაი – ჩაის ფართობი (საშამუგიო).

კვადაცონი "ქაცვნარი" (მეგრ.) ბუჩქნარი ოქუმწყარის რიყეში (ნახინგუ).

კვაკვაშ მართუ – იხ. მართუ.

კვალაშანი – იხ. (ა)კვალაშანი.

კვალაშანიშ სუკი – სერი (ა)კვალაშანთან (ნარჯხეუ).

კვარათ(ჳ)ბა – იხ. (ა)კვარათ(ჳ)ბა.

კვარაცხელიაღალ – ღელე. გადის გუმარაპიტაში (კოხორა, საბულისკერიო).

კვარაცხელიეფიშ მამული – იხ. ჯამპონა.

კვარკვალია გონთე – მინდორი საბუთბაიოს ტყეში (ბოკვეთი). კვარკვალია (მეგრ.) "მრგვალი"; გონთე (მეგრ.) "მცირე სინათლიანი მინდორი ტყეში".

კვარკვალია ნუზონი –"მრგვალი ნაძვნარი" (მეგრ.) – ნაძვნარი ბეცეშის დასავლეთით, წიფლნარში (მთა). ვარ.: კვარკვალიონი.

კვარკვალიონი – იხ. კვარკვალია ნუზონი.

კვარტაა რჰუსთა – ჩაის ფართობი საფაჩულიოში. კვარტაევების ნაყანევია (კაციჰაბლა).

კვარჭიაა – იხ. კვარჭოვცი.

კვარჭოვცი//კვარჭიაა – კვარჭიების უბანი სოფლის აღმ. ნაწილში (აყვარჩაფანი).

კვასკე(ვი) – წყლისპირა ბექობი და საბანაო ოქუმზე (ფუწყური, წარჩის თემი). ინფ.: "საბანაოზე ერთმანეთს ეჭიდავებიან და

წყალში აგდებენ. ვინც დარჩება, მასზე იტყვიან, კვასკე დაიტოვაო"; "სუფთა წყალი და ჩრდილიანი ადგილია. ამიტომ დარქმევია". შდრ.: ა-კუასკაა (აფხ.) "ოდა".

კვატანიაშ სუკი – ბორცვი სათანჯოს დასავლეთით. კვატანია გვარია (პ. აკვაღა).

კვატაშიშ ონტყოლაშე "კვატაშის საფლობი" (მეგრ.) – ტლაპო ოქუმწყარის მარც. მხარეს (მუხური). კვატაში პირსახელია.

კვატაშ ნასხაპა "სადაც კვატა გადახტა" (მეგრ.) – კლდე ხანგუსთან. კვატა პირსახელია (დიხაზურგა).

კვაფლა – სახნავი სალაცბაიოში (საბულისკერიო, ოქუმის თემი).

კვახილი//თორსა ფსორო – ღელე, ტყე ლეფონღალის მარც. მხარეს (ფიცარღალი). კვახილი (მეგრ.) თევზის მახეა ერთგვარი. იხ. თორსა, ფსორო.

კვაჯიშ ნაფაცხ "კვაჯის ნაფაცხარი" (მეგრ.) – ერქვა მინდორს ქ. გალის ცენტრში, სადაც კვაჯი მარღანიას ნასახლარი იყო (გალი).

კვეზანი//გრესი – ქ. ტყვარჩელის უბანი ღალიძგის მარც. ნაპირას, სადაც აშენდა თბოელექტროსადგური.

კვეკვესქირეფი – იხ. საკვეკვესქირო.

კვეტერე სხულონი – იხ. კვეტერონი.

კვეტერონი//კვეტერე სხულონი – ბუჩქნარი კიბოიაღალის მარც. მხარეს (ფართონოხორი). კვეტერე (მეგრ.) "წვრილი, პატარა"; კვეტერე სხული "პანტა".

კვიკვინაშ მართუ – მორევი ოქუმწყარზე (ფუწყური, აჩიგვარის თემი). ინფ.: "მორევში ვერავინ ბედავდა შესვლას, რადგან შიგ წყარიშ დიდა ("წყლის დედა, ალი") ცხოვრობდა. კვიკვინას კი მასთან საქმე ჰქონია". იხ მართუ.

კვიკვინაშ მენჯი – ტლაპო ტახტის კალთაზე (ფართონოხორი). იხ. მენჯი.

კიბო – იხ. აკიბო.

კიბოიაღალ//ოკიბოლიაღალ – რთომის მარჯ. შენაკადი და მისი ხეობა (ფართონოხორი). კიბო(ლია) "კიბორჩხალა" (მეგრ.)

კიბოშ ეკალ "კიბის აღმართი" (მეგრ.) – აღმართი ერისწყლის ნაპირიდან ნამარკილუში მიმავალ გზაზე (ცხირი). "ტოტებიანი ხე იყო კიბედ გამოყენებული აღმართზე ასასვლელად".

კიბოშ ღალ – იხ. (ა)კიბო.

კიკილიშ ნაჩიხა "კიკილის ნაგუბარი" (მეგრ.) – საბანაო ხუმუშქურზე (საშამუგიო). კიკილი პირსახელია.

კიკო იქვაწა "კიკოს ვენახი" (აფხ.) – ხევი პატრახუწის საზღვართან (ნარჯხეუ).

კიკო ნანაშ აყრა – იხ. თუნთიშ აყრა.

კიკორიეფიშ სუკი – სერი ელაღირის მარც. მხარეს. კიკორია გვარია (ჩხორთოლი).

კიკორიეფიშ ჯიხა – იხ. საკიკორიოშ ჯიხა.

კილანეფიშ კუნთხუ – იხ. საკილანო.

კინაწინაშ ღალ – ნაკარღალის შენაკადი (ნაკარღალი). კინაწინ(დ)ა (მეგრ.) "რკინის წიდა".

კიპაჟარა – იხ. კეპაჟგრა.

კირახუ – იხ. (ა)კირახუ.

კირ იგვავე – ტყე ქაცვაარკვარის ნაპირას (აძხიდა, აგუბედიის თემი). ინფ.: "აგვავა აფხაზურში ეწოდება ჩავარდნილ ადგილს. იქ წვავდნენ კირს".

კირილი – 1. სახნავები, ქვავნარი ჰარვასა და ხაფალარას შუა (ზ. ღუმურიში); 2. მინდორი სოფლის მთავარ გზაზე. ინფ.: "მიწაა კირივით, ე.წ. მელჰვილი" (ახეცარა). კირილი (მეგრ.) "შეხრუკული, ძალზე დამწვარი; მაგარი მიწა".

კირიშ ნაჰვი "სადაც კირი გამოწვეს" (მეგრ.) – მინდორი ოხოჯის მარც. მხარეს (ფშაური, ბედიის თემი); 2. იხ. კირნაჰვი.

კირნაჰვი//კირიშ ნაჰვი - დავაკება ჩეღალის ნაპირას (ფართონოხორი).

კირპიჩნი – ფერდობი ატიშადუს საზღვართან, სადაც აგურ-ქარხანა იდგა (აძხიდა, ტყვარჩელის თემი). ← **кирпичный завод.**

კიტაიაშ ჩაი – ჩაის ფართობები სიდასა და თაგილონში (საბენ-დელოს უბანში). ინფ.: "იაპონური ჯიშია, მაგრამ კიტაია ჰქვია და პასპორტიზაციის წიგნშიც ასე იყო აღნიშნული".

კიტაიაჩაი – ჩაის ფათობი აკოტახილსა და ერწყარს შორის (საბერიო).

კიტიბზა – იხ. კგტკბზა.

კააფადუ - ხეხილნარი ოტაფის მარჯ. მხარეს (აყვარჩაფანი).

კოზმეფიშ ნაწისქვილ "კოზმავების ნაწისქვილარი" (მეგრ.) – მინდორი ღალიძგის მარც. მხარეს (ზენი, ილორის თემი).

კოკი – 1. ტყე ხუმუშქურისა და ჯერღვამღალის შესართავთან (საბუთბაიო); 2. სახნავი ოქუმწყარისა და ოხოჯის შესართავთან

(აჩიგვარა); 3. ჩაის ფართობი აჟდარაშ ღალის ნაპირას (პ. ოხუ-რეი); 4. იხ. კურზულე და სხვ. ინფ.: "კოკი ეწოდება მიმწყვდეულ ადგილს. მრგვლად უნდა იყოს შეჭრილი მდინარის კალაპოტში". კოკი (მეგრ.) "კუნძული, ნახევარკუნძული; მცირე ბორცვი".

კოკია – 1. სახნავი ენგურის მარჯ. ნაპირას (მ. ოტობაია); 2. მინდორი ჰიჰე ერწყარის მარც. ნაპირას. ვარ.: ჰიჰე ჩალამი (ხუ-მენი-ნათოფური). ინფ.: "კოკია არის მცირედ ამაღლებული მრგვა-ლი ადგილი ჭაობნარში".

კოლოშანა – 1. ტყე სიკოშ ღალის სათავესთან (ქვალონი); 2. ფერდობი ოხოჯის მარც. მხარეს (ფშაური, ბედიის თემი); 3. სახნავი წარჩეწყარის მარჯ. მხარეს (წარჩე) და სხვ. კოლოში (მეგრ.) ვაზის სახეობაა. შავ ყურძენს ისხამს. ადესის შემოსვლამდე ფართოდ იყო გავრცელებული. შდრ. აკვალაშანი.

კოლოშანი – იხ. (ა)კვალაშანი.

კოლოშონა – სახნავი საყოლბაიოს სერზე (რეჩხი).

კოლოფეცხონა – ფერდობი სისკვარის მარჯ. მხარეს (რეჩხი). ინფ.: "კოლოფეცხი ყურძნის ჯიში უნდა იყოს".

კომსომოლსკი უჩასტოკი – სახნავი ნეძფარის ნაპირას. ამუშავებდნენ კომკავშირლები (მ. კოპიტი). комсомольский участок "კომკავშირული ნაკვეთი".

კონკი – ერქვა კუნძულს ენგურზე (ზენი, დიხაზურგის თემი). კონკი იგივეა, რაც კოკი.

კონკია – 1. კუნძული შაშკვარაწყარზე (შაშიკვარა); 2. კუნძული საბაძაღუოს ღელეზე. ვარ.: ფიდოშ კონკია (ღვაშგვერდი).

კონჩხეფი – ტყე-სერი, რომელიც ცხენის გორგალივით აჰყვება ფერდობს ორ შუროს შუა (ჟირღალიშქა). კონჩხი (მეგრ.) "კონცხი".

კონჩხი - ბორცვი, წყარო ქუაჩამურსა და სახასაიოშ ღალს შუა (ლეკუხონა).

კონჩხიშ ღალ – ღელე. გადის კონჩხიდან (იხ.).

კოპეშიონა – იხ. (ო)კოპეშიონა.

კოპიტი – პ. კოპიტისა და მ. კოპიტის გამაერთიანებელი სახელი.

კოპიტი – დავაკება ჯუხუს მარც. ნაპირას (ჩხორთოლი).

კოპიტიშ ღალ – ნეძფარის მარჯ. შენაკადი. გაედინება საშაკაიოდან (მ. კოპიტი).

კოტატი დო სვიმოშ სხული - ძველთაძველი მსხლის ხე ლევა-ნიშ ნადელთან (ოკვინორე, ოტობაიის თემი). ინფ.: "კოტატი და სვიმონ ბელქანიები ყოფილან ძმები ნაკიფუდან, რაც ენგურს

გალმაა. აქ ჰქონიათ აღებული მიწა დასამუშავებლად ამ საუკუნის დამდეგს“.

კოტო – მორევი ჯუხუზე, ჩანჩქერის ძირას (მ. კოპიტი). მეგრულში კოტო “ქოთანი“ აღნიშნავს ქოთნის მსგავს ჩაღრმავებასაც მიწაში ან მდინარის ფსკერზე.

კოწიაშ ნაბაბაც “კოწიას ნაბამბარი“ (მეგრ.) - ბუჩქნარი ჩელალის მარც. მხარეს (ჭყონხუმლა).

კოწიაშ ცხენიშ ნასხაპა “სადაც კოწიას ცხენი გადახტა“ (მეგრ.) – ფერდობი ერისწყლის მარც. მხარეს (ღვაშგვერდი).

კოჭკეიკვარა – იხ. კოჭკეკე.

კოჭკეკე//კოჭკეიკვარა – ოქუმწყარის შენაკადი. იწყება ანარაში (მთა).

კუბელიშ ნააფთკრ – მინდორი ოქუმწყარის მარჯ. მხარეს. კუბელი პირსახელია (მთა). იხ. აფთკრა.

კუზა იკვარა “კუზას ღელე“ (აფხ.) – ოხოჯის (იხ.) ერთ-ერთი მდგენელი.

კუზუშ ღალ – ღელე. იხ. ნალებუ (2).

კუმიზ(ი) – ქ. ტყვარჩელის უბანი ღალიძგის ნაპირას, აკვარის შესართავთან.

კუნთხუ “კუთხე“ (მეგრ.) – ფერდობები სოფლის განაპირას (მიშველი).

კუნთხუ ოტობაია – ერქვა ოტობაიის ნაწილს ენგურის ნაპირას. ამჟამად შედის მეორე ოტობაიაში. იხ. ოტობაია.

კუნიაშთა – სახნავი, დავაკება საახვლედიანოში, მორინჯის ნაპირას (აგვავერა).

კუნტა ღალ “მოკლე ღელე“ (მეგრ.) – ქვიშონის მარჯ. შენაკადი (გალი).

კუნტექაამთა “კუნტას ნასახლარი“ (აფხ.) – ჩაის ფართობი საჯინჯოლიოსთან (აძხიდა, აგუბედიის თემი).

კუპრეფიშ ფსორო – ტობის მარც. შენაკადი (სიდა). კუპრავა გვარია. იხ. ფსორო.

კურზულე//კოკი – სახნავი, დაბალი მრგვალი ბორცვი ფართოღალის ნაპირას (ქვ. ღუმურიში). ინფ.: “კურზულე იმიტომაა, შემაღლებაა და მრგვლადაა შეჩრილი მდინარე ფართოღალში“. კურზუ, კურზულე, კურზოკია მეგრულში აღნიშნავს შემაღლებულ ადგილს, ბორცვაკს. შდრ. კოკი.

კურკუცა – 1. ბორცვი ნაერწყარის ნაპირას (მ. შეშელეთი); 2. მრგვალი, მაღალი ბორცვი ნიშონ-ოქუმწყარის წყალგამყოფზე (სამელაიო) და სხვ. კურკუცა (მეგრ.) "მრგვალთავა ბორცვი".

კურკუცა სუკი – ბორცვი ილორგანის მარც. მხარეს (ილორგანი).

კურსა(შ)ჭყონა „კურსას მუხნარი" (მეგრ.) – ტყე თაგილონის საზღვართან. კურსა პირსახელია (ნაბაკევი). შდრ.: ჭყონა.

კუჩხიობონუ "ფეხსაბანი" (მეგრ.) – წყალმარჩხი ოჯოღორეზე (მზიური). ინფ.: "ქალაქ გალში შესვლამდე ფეხშიშველა მგზავრები აქ ფეხებს დაიბანდნენ და ქალამნებს ჩაიცვამდნენ".

კუჭა ძაძუაშ ნადიხ – იხ. ძაძუეფიშ ნადიხ.

კუჭუჰაფ(ი) – იხ. აჰაფუ.

კუხალეიშვილიშ გინაბორა "სადაც კუხალეიშვილი ესახლა" (მეგრ.) – სახნავი გვადიაშ ღალის მარჯ. მხარეს (დიხაგუძბა, განახლების თემი).

კგკუბზა – ოქუმწყარის შენაკადი (მთა).

კგლი – მდინარე. ერისწყლის შენაკადი. მოედინება წალენჯიხის რ-ნის სოფ. წყოუშიდან (ღვაშგვერდი).

კგლგოხვილირი – კგლის დაგუბებული მონაკვეთი საწისქვილე არხის სათავე-ჯებირთან (ღვაშგვერდი). გოხვილუა (მეგრ.) "დაგუბება" → გოხვილირი "დაგუბებული".

კგნტგრღალ – წარჩის მარჯ. შენაკადი (ჩხორთოლი, წარჩე). კგნტრი (მეგრ.) "კიტრი" პირსახელიცაა.

კგრბე იძიხ "კგრბეს წყარო" (აფხ.) – წყარო აღდარასა და ოხურეის შუა. კგრბე პირსახელია (საჩინო).

კგრგბიაშ აჰაფუ – მღვიმე ელიაკვარის მარც. მხარეს. კგრგბია პირსახელია (პ. ოხურეი).

კგრგბიშ ნააფთგრ – საძოვარი აქგდგრაში, სადაც კრავის აფთგრა ჰქონიათ (რეჩხი). კირიბი პირსახელიცაა.

კგსერი "კისერი; ყელი" (მეგრ.) – ვიწრო, ჩადაბლება სერზე თომიშ დუდსა და ნაოსქს შუა (ჟგრღალიშქა).

კგსერიშ გინალ – გადასასვლელი კგსერზე (იხ.). გინალ (მეგრ.) "გადასასვლელი, უღელტეხილი".

კგტგბზა//კიტიბძა – ტყე ფშალიონის სათავესთან (მთა).

კგციშ ღალ "კეცის ღელე" (მეგრ.) – შაშიკვარის მარჯ. შენაკადი (შაშიკვარა). ღელისპირებზე წითელი საკერამიკე მიწაა. გამოსაწვავი ქურის ნაშთები და თიხის კუბოც ("კგციშ კუბო") არის ახლომახლო ნაპოვნი.

კგჭიშ ალნაცვილა "სადაც კგჭი მოკლეს" (მეგრ.) – მცირე ადგილი ტყოპოღალის ნაპირას. კგჭი პირსახელია (ჭყონხუმლა).

ლ

ლაბახუაა რხუ "ლაბახუების ბორცვი" (აფხ.) – სერი თომა იკვარის მარჯ. ნაპირას (ჯგერიანი).

ლაბახუაშ ნოხორი – იხ. ლაბახუეფი.

ლაბახუაშ წყურგილი – იხ. ბახვა იძიხ.

ლაბახუეფი/ლაბახუაშ ნოხორი – სახნავები მენჯეფიშ სუკის კალთაზე (ნარჯხეუ). პირველი ვარიანტი "ლაბახუეფი" იმდროინდელია, როცა ლაბახუები იქ ესახლნენ. ლაბახუას ნასახლარი, რა თქმა უნდა, შემდეგ დაერქვა. იხ. აგრეთვე: სალაბახუო.

ლაბჟანიაშ ღალ – ოჩარხალიოს ზემო წელი (ახეცარა)..

ლაგვაგვიონა – 1. საძოვარი ჟირღალიშქის ხეობაში (ჟირღალიშქა); 2. ტყე რეჩხი–ოფუჯის გზაზე (მთა). ლაგვაგვია მეგრულში გვიმრისნაირი მცენარეა.

ლაგვაგვიონი – ბუჩქნარი ჭამგვარის კალთაზე (რეჩხი).

ლაგულაა რხუ – 1. უბანი ღალიძგის მარც. ნაპირას. ლაგულა//ლაგვილა გვარია (აყვარჩაფანი); 2. ბორცვი აყვარაშის მარც. მხარეს. ცხოვრობენ ლაგვილავები (აყვარაში, ფოქვეშის თემი).

ლაგუსთანიშ ნოხორი – ჩაის ფართობი ჭითა ღალის გვერდით. ლაგუსთანი პირსახელია (აყვარაში, ოხურეის თემი).

ლაგჯნძაშ ნოხორი//ლაპუხუშ ნოხორი – ფერდობი საკობახიოსა და ჟგრიწყარშქას შუა. ლაპუხუ ლაგინძავას ნასახლარია (ნახინგუ).

ლაგჯრვანძეფიშ ნოხორი – იხ. ნაჭყა დიხა.

ლაზარეთი – ბორცვი სათანჯოს დას. კალთაზე, ჭყონხუმლის საზღვართან (ჰ. აკვაღა).

ლაზიშ ფონი – ფონი ოხურეიზე. ლაზი პირსახელია (ჯგერიანი).

ლაკადა – 1. სათანჯოს დაბალი კალთები ერისწყლიდან ენგურამდე. აქაა უბნები: საგამსახურდიო, საგვაგვალიო, საზაქარაიო და სხვ. (დიხაზურგა, ოცარცე); 2. მთისძირები (ჟირღალიშქა, ზ. ღუმურიში); 3. იხ. ახუა; 4. იხ. აჭაუა და სხვ. ლაკადა მთისძირა გორაკ-ფერდობების ზოგადი სახელია სამეგრელოში.

ლაკადა საჯიჯეიო – იხ. საჯეჯეიო//საჯიჯეიო.

ლაკაშიეფი – ერქვა ლაკაშიების უბანს ოხოჯის მარჯ. ნაპირას (ნარჯხეუ).

ლაკაციონი – 1. ტყე ხუმუშქურის ნაპირას (საშამუგიო); 2. ჩაის ფართობი საქცებაიოში (სამქვარი). ლაკაცია (მეგრ.) "აკაცია".

ლაკვაკვაშ ჩაი – ჩაის ფართობი, გაშენებული ლაკვაკვა ქვარანძიას მიწაზე (წარჩე).

ლაკვაშია რკვარა – ლაბახუეფიშ ღალის ქვემო წელი. ლაკვაშია გვარია (ნარჯხეუ).

ლამკაცაგვავერა – ლამკაცის (იხ.) ხეობა.

ლამკაც(ი) – ღელე, ღალიძგის შენაკადი არხახუჭში (აყვარაში, ფოქვეშის თემი).

ლანჯეფი "კოპიტები" (მეგრ.) – სახნავი ოჯოღორის მარც. მხარეს (რეფი-ეწერი).

ლანჯონა "კოპიტნარი" – 1. სერი, უბანი სახასაიოშ ღალის სათავესთან (ლეკუხონა); 2. ტყე ესქერდაში (ოქუმი); 3. სოფლის კუთხე ელიაკვარის მარჯ. მხარეს (რეკა) და სხვ.

ლანჯონი – 1. მინდორი ცინწყარის მარჯ. მხარეს (საბუთბაიო); 2. ტყე ორკეშის ნაპირას (გინძე ეწერი).

ლაპუხუშ ნოხორი – იხ. ლაგგნძაშ ნოხორი.

ლასარქუა – იხ. დიდი ლასარი.

ლაფა "ჩაფერდებული ადგილი" (მეგრ.) – ტყე-ფერდობი სათანჯოს კალთაზე (ოცარცე); 2. დაფერდება, ჩაის ფართობი ბადრაშ ღალის ნაპირას (თაგილონი); 3. ფერდობისძირა სახნავები ოხოჯის მარც. ნაპირას (ფუწყური, აჩიგვარის თემი) და სხვ.

ლაშკგნდარი – იხ. ლაშქინდარი.

ლაშქინდარი//ლაშკგნდარი – მთა ღალიძგის ხეობასა და ჯუხუს სათავეს შუა (მთა, ტყვარჩელი, აძხიდა ტყვარჩელის თემისა). ინფ.: "ლაშქგნდარნჯხა და ილორნჯხა ყველაზე ძლიერი ხატებია აფხაზეთში. ლაშქინდარის ხატიც ერქვა და ყულიშკარის ხატიც. ღამით ყულიშკარიდან გამოფრინდებოდა რაღაც ნათელი, სხივების

ფრქვევით გადაუფრენდა ლაშქინდარს და მიემართებოდა ფსხუს ხეობისაკენ"; "ლაშქინდარი ხატია, მოსული ფანავიდან, რაც ჯგერდის იქითაა. ხშირად უნახავთ, თუ როგორ წამოვიდოდა სინათლე ფანავიდან დიდი ხმაურით, გადმოუფრენდა ღალიძგის გაღმა მდებარე მთა აისკრრას და ლაშქინდარის ჯიხასთან გავარდებოდა".

ტოპონიმს აკავშირებენ სვანურ ლაშკინდარ "სამჭედლო" სიტყვასთან (თ. მიბჩუანი).

ლაშქინდარიშ კუდელი – ქედი, ლაშქინდარის გაგრძელება ჯუხუს სათავემდე (მთა).

ლაჩხუმა – უბანი კეკვაჩკვარის ნაპირას (აძხიდა, ტყვარჩელის თემი).

ლაჯიმონი//ნაჯიმოლი – ტაფობი ყვანჯარასა და სარაგვოს შუა. აქვეა ბორცვი ნაჯიმსუკი (რეჩხი). "მწყემსები ჭვის გეჯაში უყრიდნენ საქონელს მარილს". თავდაპირველი ფორმაა ნაჯიმოლი.

ლაჯიმონიშ ჩეღალ – იხ. ჩეღალ.

ლაჰაგვანჯონა – იხ. ლაჰაგვაჯანა.

ლაჰაგვაჯანა//ლაჰაგვანჯონა//ლაჰაგვაჯონი – ფერდობები რეჩხწყარის მარჯ. მხარეს (რეჩხი). ლაჰაგვაჯა მცენარეა ერთგვარი (უცუნა?).

ლაჰაგვაჯონი – იხ. ლაჰაგვაჯანა.

ლები//ოლებე – ტლაპო კეიშის მარც. ნაპირას (რეჩხი). ინფ.: "ლები შავი მიწაა ერთგვარი. იყენებდნენ საღებავად".

ლებიაუხაშ – ღელე, ტყე ჭითა წყარის მარც. მხარეს (გინძე ეწერი). ინფ.: "რაღაცნაირი წყალია. ლობიოს ვერ ხარშავს". ლებია (მეგრ.) "ლობიო"; უხაშგ (მეგრ.) "უხარშავი".

ლეკუმხონა – ერქვა ტყეს. ამჟამად ჩაის ფართობია შაშიკვარის კუნძულზე (შაშიკვარა).

ლეკუმხონი – ტყე უჩა სუკიშ კუდელის კალთაზე (მთა).

ლეკუმჰარა – იხ. ლეკუმხარა.

ლეკუხონაშ სუკი – სერი ერწყალსა და (რ)თომს შუა (ლეკუხონა).

ლეკუხ(ონ)აღალ – იამის (იხ.) შენაკადი (ქვიშონა, გაგიდა).

ლეკუხონი – მინდორი ალენის ნაპირას (ბოკვეთი).

ლემკაციშ მამული – სახნავი რეყეში. ეკუთვნოდა ლემკაც ემხვარს (საბულისკერიო, ოქუმის თემი).

ლემკაციშ ღალ – იხ. გგნძე ნოყუნიი.

ლემონჯეფიშ ხინჯი "ლემონჯავების ხიდი" (მეგრ.) – ხიდბოგირი ოხურეიზე (პ. ოხურეი).

ლესხოზიშ ტყა – ტყე სოფლის აღმ. ნაწილში (ნაჭკადუ). "ეკუთვნოდა ლესხოზს". რუს. лесхоз ← лесное хозяйство "სატყეო მეურნეობა".

ლეტონი "ლაფიანი" (მეგრ.) – ხევი, ჭეჭყობი საჩაკაბერიოში (ჟირთომშქა).

ლეფონტობა "ლაფნის მორევი" (მეგრ.) – მორევი ერწყარზე, ცხიმურტობის სიახლოვეს (ფართონოხორი). ლეფონი, ლიფონი (მეგრ.) "ლაფანი".

ლეფონღალ "ლაფნისღელე" - გაგიდაწყარის მარც. შენაკადი (გინძე ეწერი).

ლეფონღალიშ ოჩხომე – იხ. ოჩხომე.

ლეფონწყურგილი "ლაფნის წყარო" (მეგრ.) – წყარო სოფლის ცენტრში, სგდაწყარის სათავესთან (ჭუბურხინჯი).

ლეცეტე – სერი ნაწისქვილის მარჯ. მხარეს, საბერიოს საზღვართან (ლეჭარაიე). ცხოვრობენ ჯახაიები, შამათავები, ბახტაძეები, ცაავები. ცატავები კი არ ჩანან, ალბათ შეეწირნენ აფხაზთა დამპყრობლურ ომებს მე-17 ს. დამლევს. 1886 წელს ლეცეტე, როგორც სოფელი (ლეცეტი ფორმით), შედის საბერიოს თემში, ხოლო 1930 წელს ლეკუხონის სას. საბჭოში (ლეცეთი ფორმით).

ლეცეტეშ ღალ//ნაწისქვილ – ერისწყლის მარჯ. შენაკადი (ლეჭარაია).

ლეჭყონა "ჭეჭყიანი" (მეგრ.) – ჭეჭყობი რთომის მარჯ. ნაპირას (ფართონოხორი).

ლიო – ღელე. იწყება ტურაშ სუკთან. გაივლის ტლაპოიან ადგილებს (სუკი) და ერთვის ონახვაშს (ილორი). შდრ. ქართ.: ლია → მეგრ. ლია "ტლაპო, ტალახი". იხ. ოლიე.

ლიფონიშ ტომბა "ლაფნის მორევი" (მეგრ.) – მორევი ერწყარზე, ნამარკილუში (ცხირი).

ლოგუაა რგვავერა "ლოგუების ხევი" (აფხ.) – ტყე, ხევი ლოგუაარხუს (იხ.) კალთაზე.

ლოგუაა რხუ//ლოგუეფიშ სუკი "ლოგუების ბორცვი" (აფხ., მეგრ.) - ბორცვი თომაიკვარასა და ბარზალკვარას შუა (ჯგერიანი).

ლოგუეფიშ სუკი – იხ. ლოგუაა რხუ.

ლოგუა რჰაბლა//სალოგუო "ლოგუების უბანი" (აფხ., მეგრ.) – უბანი თომა იკვარის მარჯ. მხარეს (ჯგერიანი).

ლუგელაწყარი – წყარო ოქუმაბსთაში, ჰითა წყარსა და ნასტოლბს შუა (მთა). ინფ.: "ომის დროს სოხუმში მიჰქონდათ კალცის დასამზადებლად. ამიტომ დაერქვა".

ლუთიაშ კგნოხილი – მორევი ნიშონზე. ლუთია პირსახელია (ზგალი). კგნოხილი "ჩამორღვეული კლდე მდინარის ნაპირას ან მთის ძირში".

ლუღი "ლელვი" (მეგრ.) – სახნავი მთის კალთაზე (საბულისკერიო, ოქუმის თემი).

ლუღონღალ "ლელვნარის ღელე" (მეგრ.) – ალაჰვარის შენაკადი (კოხორა).

მ

მაბირი – ტყე ქირის მარც. ნაპირას (საბჭოთა ჩაი).

მაგლონიაშ ჩაი – ჩაის ფართობი. მაგლონია იმ ქალის სახელია, ვისზეც ეს ნაკვეთი იყო გაპიროვნებული მოსაელელად და მოსაკრეფად (ოხოჯა).

მათეიაშ ნაშქვიდერი//ნათეშ ნოშქვიდერი "სადაც მათეია დაიხრჩო" (მეგრ.) – მორევი ერისწყალზე (ლეჩარაიე). "როგორც ამბობენ, მათეია თუ ნათე ჩავარდნილა, მაგრამ ცოცხალ-მკვდარი ამოუყვანიათ და გადაურჩენიათ. სახელი მაინც ასეთი შერჩა".

მაისაშ ნაყვან – სახნავი გვადიაშ ღალის ნაპირას. მაისა პირსახელია (ფიჩორი).

მაკარაშ ნაჭვარა "მაკარას ნაკაფი" (მეგრ.) – სახნავი ქვიშამღალის მარც. მხარეს (მ. ოტობაია).

მაკიფია//მაკიფიაშ ფსორო – ტობის მარც. შენაკადი (სიდა). ინფ.: "ღელისპირებზე ხაროზდა მაკიფია, გარეული კანაფი. თოკს მისგანაც წნავდნენ". იხ. ფსორო.

მაკიფიაშ ფსორო – იხ. მაკიფია.

მალე – ენგურის ტოტი (თაგილონი, ნაბაკევი). შესაძლოა, მალგ (მეგრ.) "მავალი, მიმდინარე" დაერქვა სწრაფი დინების გამო. შდრ.: მალიწყარი – მდინარე, მიმდინარე წყალი (ო. ქაჯაია).

მალურშარა – ბილიკი, რომელიც გადადიოდა კუპრაშ სუკზე და ჩადიოდა ენგურისპირას, სახუბუტიოს წისქვილში (შქაშსუკი).

მეგრ. მალურშარა "მიმავალი გზა, სავალი გზა" უნდა ნიშნავდეს მოკლე გზას, მოსაჭრელ გზას.

მამული – 1. მინდორი სააბაშიოში (სამქვარი); 2. ფერდობები კაკიშ ღალის სათავესთან (ნახინგუ); 3. სერი წარჩესა და მორინჯეს შუა (ჩხორთოლი). მამული (მეგრ.) "ბაღ-ვენახი, მაღლარი".

მამულიშ რზენი – სახნავი მამულში (ჩხორთოლი).

მამულიშ ღალ – ღელე, რომელიც გაედინება მამულიდან (ჩხორთოლი).

მამულკვათილი – სახნავი საროდონაიოში (რეჩხი). ინფ.: "ამ მამულის გამო ორი ძმა წაეკიდა ერთმანეთს. მავანმა გაკაფა და დავაც შეწყდა". კვათილი (მეგრ.) "გაკაფული, მოჭრილი".

მამულონი//ბაკოშ მამულონი – ტყე ნაფერმთან, სადაც ხეებზე ადესა იყო აშვებული (ფშაური, ბედიის თემი).

მანგარი – შქერნალი ჰამგვარის კალთაზე (რეჩხი). მანგარი "მაგარი" მეგრულში აღნიშნავს გაუვალ შქერნალსაც.

მანიაშ ფსორო – იხ. მანიაშ ღალ.

მანიაშ ღალ//მანიაშ ფსორო – ელიაკვარის მარჯ. შენაკადი (რეკა). მანია ქალს ერქვა. იხ. ფსორო.

მანჩაშ ნადელი – ტყე ქვემო ბარღებისა და ფიცარღალის საზღვარზე. მანჩა (← მანუჩარ) პირსახელია. იხ. ნადელი.

მანჩაშ ფონი – წარჩეწყარისა და ოხოჯის შესართავი (ფუწყური, აჩიგვარის თემი).

მაჟია ფერდი – იხ. მელენფერდი.

მარაჭა – გაგიდაწყარის მარც. შენაკადი დიდბულაზთან. ქვემო წელზე მიედინება ოკვინორეწყარის პარალელურად (ფიცარღალი, გაგიდა).

მარგალიშ ნაცვილა "სადაც მეგრელი მოკლეს" (მეგრ.) – ბორცვი სამელაიოს საზღვართან (მუხური). ინფ.: ენგურსგაღმელი მეგრელი მოსულა და აქ მოუკლავთ".

მარდიანიშ ოხვამე – ნაეკლესიარი, სასაფლაო ყოფილი ჩაის ფაბრიკის შენობის წინ (ნაბაკეევი). ინფ.: "იყო ნაბაკეევისა და კოკის სალოცავი, როცა კოკი ენგურს გამოღმა მდებარეობდა. ითვლებოდა სამურზაყანოში ყველაზე ძლიერ სალოცავად ილორის შემდეგ. დაანგრიეს 30-იან წლებში".

მართოუ – მორევი ერისწყალზე (სამქვარი). იხ. მართუ.

მართუ – 1. სამია ერწყარზე. განარჩევენ: ინალისქუაშ მართუ, კვაკვაშ მართუ, პატარაიაშ მართუ (პ. შეშელეთი); 2. მორევი

ერისწყალზე (ცხირი) და სხვ. მართოუ, მართუ, მართუუ "მბრუნავი, ტრიალა" მეგრულში აღნიშნავს წყალტრიალა მორევს.

მართუუ – მორევი ნიშონზე (სამქვარი).

მარია კარაკაჩიშ დიხა – ტყე საზაქარაიოს განაპირას (პ. გუდავა). ინფ.: "ზანგი მარია კარაკაჩი სცრყვა მარღანიას უყიდია სათურქოში და აქ დაუსახლებია".

მარკელიეფიშ ნადიხ – იხ. ვითგექტარიანი.

მარნეშ მგკოხილი – იხ. მგკოხილი.

მარულე – იხ. ღალძგაპიჯი.

მარქვალიშგური – ქირის მარჯ. შენაკადი (ზენი ნაბაკევის თემისა, საბჭოთა ჩაი). მარქვალიშგური "კვერცხის გული" (მეგრ.) სოკოა ერთგვარი, ყვითელი, იჭმევა.

მარღანიაშ კუნთხუ – ტყე ოქუმწყარის მარც. მხარეს (გუდავა, აჩიგვარის თემი).

მარღანიეფიშ ნადელი – ტყე, სახნავები სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში (შაშიკვარა). ინფ.: "ეკუთვნოდა მარღანიებს. გლეხები ამუშავებდნენ და მოსავლის ერთ მესამედს პატრონს აძლევდნენ". იხ. ნადელი.

მარღანიეფიშ ნაჯიხ – ნაციხარი ერწყარის მარც. მხარეს (გალი).

მარღიაშ ნეძი "მარღიას კაკალი" (მეგრ.) – ბორცვი ნიშონის მარჯ. მხარეს (სამელაიო).

მარშანკვარა "მარშანიას ღელე" (მეგრ.) – ოქუმწყარის შენაკადი. მოედინება დიდი ოფუჯედან (მთა).

მარშანღალ//დიდმარშანიაშ ღალ – მახუნჯიის შენაკადი (მახუნჯია).

მარჩხა//თოლორაიაშ მარჩხა – ფონი მორინჯეზე (ნახინგუ). მარჩხა (მეგრ.) "წყალთხელი".

მარჩხაფონი "წყალთხელის ფონი" (მეგრ.) – სოფლის ნაწილი ქვ. ბარღებისა და ოკვინორის საზღვარზე (ზენი, ნაბაკევის თემი). ინფ.: "თავდაპირველად ერქვა ფონს ქირწყარზე".

მაფარფალე ჯა//ფარფალია ჯა "ფრიალა (ფარფატა) ხე" (მეგრ.) – ჰადარი კაჟამღალსა და თემურიშ ღალს შუა (მ. შეშელეთი).

მაფაშ ოხვამე – იხ. ნოჯიხი.

მაფაშ წყურგელი "მეფისწყარო" (მეგრ.) – წყარო უჩა ღალის ნაპირას (საბჭოთა ჩაი). ინფ.: "არასოდეს შრება, მაგრამ არ ისმევა,

შაბიამნისფერია. ოდესღაც აქ მეფეს პირი დაუბანია. ამიტომ დარქმევია“.

მაფაშ წყურგილი – 1. წყარო მარქვალიშგურის მარჯ. მხარეს (საბჭოთა ჩაი); 2. წყარო ნათოფურუში, ფართოღალის სათავე. ინფ.: “წყალუხვია, ცივია, ხურვებისას აქ სამჯერ დაიბანდნენ და არჩენდა. ძველად კაზაკებს გვიმები ჩაუდგამთ და ირგვლივ მოუკირწყლავთ. ახლა მიტოვებულია“ (ხუმენი-ნათოფური); 3. წყარო საუბილაში, სადაც ტარდებოდა ე.წ. ცეკვა შვამა ხვამა (ფუწყური, წარჩის თემი) და სხვ. (ზ. ბარღებში, მ. შეშელეთში, საბუთბაიოში, ტოგონში, წარჩეში). იხ. აგრეთვე: მაფაწყუ.

მაფაწყუ//მაფაშ წყურგილი – წყარო, ალასაძიხის სათავე (ოხურეი, აჩიგვარის თემი). ინფ.: “წყალუხვი ყოფილა. ხელი რომ ჩაგებანა, მოწვიმდა. ტყეში იყო და მის ნაპირას ჰქონდა თურმე ბინა ტყაშ მაფას, ანუ წყარიშ დიდას“. მაფაწყუ, მაფაშწყურგილი იგივეა, რაც მეფისწყარო და აღნიშნავს უხვდებიტიან და სასმელად გამორჩეულ წყალს.

მაქეზქუ “სადაც სალესი ქვა მოიპოვება“ (აფხ.) – ბორცვი ქაცვაარკვარასა და ქაჩუკვარას შუა (აძხიდა, აგუბედიის თემი). მაქე მეგრულშიც და აფხაზურშიც აღნიშნავს სალეს ქვას, რაც ამ ადგილას უხვადაა. ა-მაქაა (აფხ.) “მაქური; პატარა სალესი ქვა“.

მაქერე სხული – იხ. ჰამაქერა.

მაქესტოუშ ღალ – კაკიშ ღალის ზემო წელი (ნახინგუ). ინფ.: “მაქესტოუ აფხაზურად ისეთ ადგილს ეწოდება, სადაც მაქეს (სალესი ქვაა) ლესავდნენ“.

მაქსმეშ ნაკარუ – იხ. ოკვინორეშ ტყა.

მაღალსუკი “მაღალი ბორცვი“ (მეგრ.) – 1. ბორცვი გოგოხიაშ ღალის მარც. მხარეს (კოხორა); 2. ბორცვი განაცუდუში (საბერიო); 3. ბორცვი წარჩის საზღვართან (ფშაური, ბედიის თემი) და სხვ.

მაღანჯ(გ)ალა//ჯვეშ ნაოხვამ – მრგვალი ბორცვი მოხკვარასა და მორინჯეს შუა. გადმოცემით, ძველი სასაფლაოა (ოქუმი).

მაღლოკირი – იხ. მაღ(გ)ლოკი.

მაღ(გ)ლოკი//მაღლოკირი “დაღრეკილი“ (მეგრ.) – წყარო ოფუჯეში, დიდინოხონთან (მთა). ინფ.: “რკალს აკეთებს და კარსტულ ჭაში ჩაედინება. ღამით აქ კარდალა დარჩენოდათ, წვიმა მოსულიყო და რეჩხში გამოეტანა წყალს“.

მაჩახვაშ გუთაღალ//მაჩახვაშ კულაღალ "მაჩახვის გამოსატანი" (მეგრ.) – ტყე-ფერდობები ოჭაკე-შუშელის გზაზე (მთა). ინფ.: "აქ მოიპოვებენ მაჩახვას. ქვაა ერთგვარი, მოწითალო, თოფის საწმენდად გამოიყენება".

მაჩახვაშ ეკალ – აღმართი მაჩახვაშ გუთაღალთან (იხ.).

მაჩახვაშ კულაღალ – იხ. მაჩახვაშ გუთაღალ.

მაციაბოხუ//მაციშ კირდა "მაცის კლდე" (აფხ., მეგრ.) – ბორცვი ბობოშიაკვარის სათავესთან (საჩინო).

მაციშ დიხაჭუბერი – იხ. დიხაჭუბერი.

მაციშ კირდა – იხ. მაციაბოხუ.

მაჭირხოლიშ ღალ//ფეფიაღალ – სოფელღალის ზემო წელი (ზ. ცხირი). მაჭირხოლი (მეგრ.) "მერცხალი" გვხვდება პირსახელადაც. ფეფია პირსახელია.

მახაზიშ ჩოყო – იხ. ჩოყო.

მახაზ იხუავთურთა – იხ. დათა იხუავთურთა.

მახუნჯია//მახუნჯიაშ ღალ – ქვიშონის ზემო წელი. მდგენლებია ზემო ცხირში: ალაჰვარა, არაზატუღალ, აბაზუ (ცხირი, მახუნჯია).

მახუნჯია//მოხუნჯია – ქოროშონის მარც. შენაკადი (ლეკუმხარა, შეშელეთი).

მახუნჯიაშ ღალ – იხ. მახუნჯია.

მაჯიშ გოჭოფილი "მაჯის შემოკავებული" (მეგრ.) – ტყე საშამათოში, რომანოზიშ გოჭოფილთან (ფართონოხორი).

მაჯიშ ღალ – ხუმუშქურის ზემო წელი (ჭუბურხინჯი).

მაჯიშ წყურგილი – მაჯიშ ღალის (იხ.) სათავე.

მაჰმეი – ღალიძგის მარც. შენაკადი აკარმარაში. აქვს ორი მდგენელი: მაჰმეიდუ//დიდი მაჰმეი და მაჰმეიხუჭ//ჭიჭე მაჰმეი.

მაჰმეიდუ – იხ. მაჰმეი.

მაჰმეიხუჭ – იხ. მაჰმეი.

მეკოტულეშ დიხა "მექოთნის მიწა" (მეგრ.) – სახნავი. ეკუთვნოდა მექოთნე კირილე აფშილავას (ზ. ბარღები).

მელე – იხ. სამარგალო.

მელენკოკი "გაღმა (მდებარე) კუნძული" (მეგრ.) – სახნავი ოჯოღორის მარც. მხარეს (რეფი-ეწერი).

მელენფერდი//მაქია ფერდი – ფერდობი აძმახსა და კვსერს შუა (ჟირღალიშქა). ინფ.: "მთის გზაზე სოფლის შემდეგ მეორე (მეგრ. "მაქია") აღმართია".

მელენჭიანა – იხ. სამარგალო.

მელიკიშ ონტყოლაშე – იხ. ონტყოლაშე.

მელიორაცია – სამელიორაციო არხი მ. აკვაღაში. შდრ.: დიდი მელიორაცია.

მელიშ სუკი – სერი ხაიასა და კაჟამღალს შუა (ჭუბურხინჯი). "აქ მოიპოვებოდა მელი – ცარცის ქვა. აქვე იდგა "მელიშ ზავოდი". რუს. სიტყვა мел "ცარცი" შესულია მეგრულ მეტყველებაშიც.

მელტონიშ ინოხონი//მელტონიშ ნოღო – ტაფობი ოხოჯის მარჯ. ნაპირას (აგუბედია). ინოხონი და ნოღო მეგრულში აღნიშნავს ჩავარდნილ ადგილს.

მელტონიშ ნოღო – იხ. მელტონიშ ინოხონი.

მელტოშ ცხიმურონი – იხ. ცხიმურონი.

მელციეფიშ რზენი – იხ. მელციეფიშ ცვანა.

მელციეფიშ ცვანა//მელციეფიშ რზენი – სახნავი ნიშონის მარჯ. ნაპირას (ლეკუმხარა). რუს. милиция მეგრულში შესულია მელიცია ფორმით.

მენჯეფიშ სუკი "ვეძების სერი" (მეგრ.) – ბორცვი სალაბახუოში (ნარჯხეუ).

მენჯი "ვეძა" (მეგრ.) – 1. ჰეჭყობი თორხულის სათავესთან (ოცარცე); 2. მლაშე წყალი სანანოში (რეჩხი); 3. ტლაპო ანჭაგვართასთან. ინფ.: "აქედან აღებულ წყალს აადუღებდნენ, დადგამდნენ და მარილი დაილექებოდა" (აგვავერა) და სხვ.

მენჯ(იშ)ღალ – 1. ერქვა ერისწყლის მარც. შენაკადს. ამჟამად გალის წყალსაცავში ჩაედინება. იწყება სათანჯოს დას. კალთებზე (დიხაზურგა, ცხირი); 2. რეჩხიწყარის მარც. შენაკადი (რეჩხი).

მენჯიშ შარა – გზა. დიდწიფურიდან გადადიოდა სათანჯოს ბოლოში და ჩადიოდა მენჯ(იშ)ღალის ხეობაში (დიხაზურგა).

მენჯიშ წყარი – ტლაპო აკოტახილში (სამარქვალო).

მერაშ ბახჩა – სახნავი ჯუხუს მარც. მხარეს (პ. კოპიტი). მერა პირსახელია. ბაღჩა, ბახჩა (მეგრ.) "ბაღი, ბაღჩა; ბოსტანი".

მერჭულეფიშ ნაწისქვილ – სახნავი ღალიძგის მარც. მხარეს (ზენი, ილორის თემი). მერჭულე გვარია და ამოჭრილია ილორის მონასტრის საფლავის ქვებზეც. მერჭულენი საუკუნეების განმავლობაში ემსახურებოდნენ ილორის ეკლესიას. გვარის წარმომავლობას ეტიმოლოგიურად უკავშირებენ სიტყვას შჯული, რჩული "კანონი, სარწმუნოება".

მეტი(შ)აბძა //მეტიშ აძბა//მეტიშ ნოღო – ტბორი, ჯაგნარი ელაღირის მარჯ. მხარეს (პ. კოპიტი). შდრ.: მეტიშ წყურგელი.

მეტიშ აძბა – იხ. მეტი(შ)აბძა.

მეტიშ ნოღო – იხ. მეტი(შ)აბძა.

მეტიშ ღალ – ელაღირის შენაკადი, საზღვარი ჩხორთოლთან (პ. კოპიტი).

მეტიშ წყურგელი//გედლახეშ წყურგელი – მეტიშ ღალის (იხ.) სათავე. მოხუცი ქალი მეტი გედლაია აქვე ახლოს სახლებულა (პ. კოპიტი).

მეტროსტროი – ტყე, რომელსაც ჭრიდნენ და სოხუმში მიჰქონდათ (ნაჭკადუ). შდრ.: метрострой "მეტრომშენი".

მეფორიეფიშ კუნთხუ – იხ. სამეფორიო.

მექაცარეშ გინალეფი//მექაცარეშ ნადინეფი – კლდე (ა)კიბოსა და ბერზოჰაფუშ სუკს შუა (მთა). ინფ.: "აქ შემთხვევით გადავარდნილა მექაცარე (თიკნების მწყემსი) ბიჭი და დაღუპულა".

მექაცარეშ ნადინეფი – იხ. მექაცარეშ გინალეფი.

მიდონიაშ ნოხორი – ტყე ერწყარის ნაპირას (ხოლე). ინფ.: "მოხუცი ქალი მიდონია შონია აქ მარტოდმარტო ცხოვრობდა".

მითოხონი "შეღრმავებული (ადგილი)" (მეგრ.) – ტყე, ფერდობი ბედიის საზღვართან (ქვალონი).

მიკატახაფუ "მოსახვევი" (მეგრ.) – გზის მონაკვეთი ღუმურიშის ფერდობთან (მთა).

მიკოთოლირი ახრა – პიტალო კლდე ახრაჯარაში, ჯუხუს ნაპირას (მ. კოპიტი). მიკოთოლუა (მეგრ.) "ჩამოთლა" → მიკოთოლირი "ჩამოთლილი". აფხ. ა-ხრა "ციცაბო კლდე" შესულია მეგრულში იმავე მნიშვნელობით.

მიკონტკილი – იხ. მგკონტკილი.

მიკონწყვილი – იხ. მგკონწყვილი.

მიკოხილი//ირნეშ მიკოხილი – ენგურის მაღალი ნაპირი (თაგილონი). მიკოხილი (მეგრ.) "ჩამორღვეული" .

მიკგნანთხორა "ნათხარი კლდეზე, ფერდობზე" (მეგრ.) – ფერდობი, გზა რეჩხიწყარის მარც. მხარეს (რეჩხი).

მინდორეფი//ფაცურიეფიშ მინდორეფი – მინდვრები საფაცურიოს დასავლეთით (ზარწუფა).

მინცაშ ბგგძგრი "მინცას შინდი" (მეგრ.) – შინდის ხე საკილანოში (მ. შეშელეთი). მინცა ქალის სახელია. აფხაზური ა-ბგგძარ "შინდი" შესულია მეგრულში ბგგძგრი ფორმით..

მიქამგარია//მიქამგარიო//ჯიხა – მაღალი კლდე-სვეტი, ნამონასტრალი ჯუხუს მარჯ. ნაპირას, ეისგრის ძირას (მ. კოპიტი). ინფ.: "მიქამგარია ხატია. ღამით ჩამოფრინდებოდა ცეცხლივით აგუზგუზებული და აქ დაეშვებოდა". მიქამგარია, მიქამგარიო ქართული მიქელ-გაბრიელის ეკვივალენტია მეგრულში და გარკვეული სახეცვლილებით შესულია აფხაზურშიც.

მიქამგარიაშ წყურგილი//ხატიშ წყარი – წყარო მიქამგარიაში (იხ.).

მიქამგარიო – იხ. მიქამგარია.

მიშველიშ სუკი//ჯიხაშ სუკი – სერი, კიკორიეფიშ სუკის (იხ.) გაგრძელება მიშველში. ჯიხა ეწოდება ნაეკლესიარს ამავე სერზე. გადმოცემით, აქ ისეთივე ეკლესია ყოფილა, როგორიც ბედიაშია.

მიხა იძმგქ "მიხას მორევი" (აფხ.) - მორევი ღალიძგაზე (კაცი-ჰაბლა).

მიხაშ ოტოფუე – იხ. ოტოფუე.

მიხაშ ოჭაკე – იხ. ოჭაკე.

მიხელიშ ფონი – იხ. ჯგობოშ ფონი.

მოიდანი "მოედანი" – მინდორი ესქერდაში (ოქუმი). შდრ. ქართული მოედანი.

მორინჯე//მორინჯეწყარი – ოქუმწყარის მარჯ. შენაკადი (აგვავერა, ნახინგუ). ქსე-სა და "საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში" შეტანილია არასწორი ფორმა მარიჯი.

მორინჯეშ ნოქელი – იხ. წისქვილიშ ღალ.

მორინჯეწყარი – იხ. მორინჯე.

მორცხულეფიშ კუნთხუ – იხ. სამორცხულო.

მოღლაკირი//მოღლოკირი//მგკოღულაკირი წყურგილი – ნაკადული ჯვეშ ნაშართან, ბეცეშსა და უჩანაშ ნაცოთემს შუა. 200 მ. მანძილზე მიიკლაკნება და მერე იკარგება (მთა). ღღლაკუა//ღღლოკუა "მოღრეკა" (მეგრ.) → მოღლაკირი, მოღლოკირი "მოღრეკილი, დაღრეკილი". შდრ.: მაღლოკი.

მოღლოკირი – იხ. მოღლაკირი.

მოხკვარა//მუხკვარა – ოქუმწყარიშ ნოყელის შენაკადი. იწყება საჭარაიოში, ჰამოუშქურის ძირას (აგვაერა, საბულისკერიო ოქუმის თემისა). შდრ.: ამუხკვარა, მგხკვარა.

მოხუნჯია – იხ. მახუნჯია.

(მ)უ(ნ)წკვარა//მუ(ნ)წკვარაღალ – რეჩხიწყარის მარც. შენაკადი (რეჩხი).

მურაბაა//მგრაბაა - ბორცვი ჰეფ-იკვარისა და აყვარაშის სათავის წყალგამყოფ სერზე (ურთა). მგრ//მურ პირსახელია. აბაა (აფხ.) "ციხესიმაგრე".

მურამბა – ფერდობები ერისწყლის მარც. ნაპირას, ნამარკილუსა და საქარდოში (მახუნჯია, ზ. ცხირი).

მურაშ წყურგილი//მურ იძიხ "მურას წყარო" (მეგრ., აფხ.) - წყარო, ღელე (აძხიდა, აგუბედიის თემი).

მურ იძიხ - იხ. მურაშ წყურგილი.

მუშუშ ნაღურა "სადაც მუშუ გარდაიცვალა" (მეგრ.) - მინდორი ერისწყლის მარც. მხარეს (მ. გუდავა).

მუშჰა ლგფართა "სადაც მუშჰა გადახტა" (აფხ.) – კლდე ნარჯხეუს სერის აღმ. კალთაზე (ნარჯხეუ). მუშჰა ქალის სახელია.

მუხკვარა – იხ. მოხკვარა.

მწვანე ოხვამე – სასაფლაო ქვემო თაგილონში, სადაც უწინ მწვანედ შეღებილი ხის ეკლესია მდგარა (თაგილონი). შდრ.: ჩე ოხვამე "თეთრი ეკლესია" ამავე სოფელში.

მგზიკვარა – ღალიძგის მდგენელი და მისი ხეობა. იყოფა: დიდი მგზიკვარა, ჰიჰე მგზიკვარა (მთა).

მგკატახუშ ოსხაპუე – იხ. ოსხაპუე.

მგკონტკილი//მიკონტკილი//დიდი მორინჯე – მორევი მორინჯე-ოქუმწყარის შესართავთან (ნახინგუ). მიკონტკილი (მეგრ.) "მერგელის ქანის მაღალი ნაპირი მდინარის გაყოლებით".

მგკონწყვილი//მიკონწყვილი "ჩამონამეწყრი, ჩამონარღვევი" (მეგრ.) – სამგან ეწოდება ჩამონამეწყრს, წულისპირსა და მორევს წარჩეწყარზე: ბარდღუშ მგკონწყვილი, ხანგუშ მგკონწყვილი, ძაგვაშ მგკონწყვილი (წარჩე).

მგკოტახილი – 1. მოსახვევი კლდეზე, ჟირთომშქაშ ფერდსა და არაზატს შუა (ჟირღალიშქა); 2. გზა კლდეზე, ერწყარის მარჯ.

ნაპირას (დიხაზურგა, ზ. ცხირი). მკოტახუა (მეგრ.) "მომტვრევა, მოტეხა (ტოტისა, კლდისა...); მოხვევა (გზაზე)" → მკოტახილი "მომტვრეული; მოსახვევი გზაზე".

მკოღულაკირი წყურგილი – იხ. მოღულაკირი.

მკოხილი – რამდენიმე ადგილას ეწოდება მაღალ წყლისპირებსა და საბანაოებს ენგურზე: მარნეშ მკოხილი, ზესაშ მკოხილი, ადამიეფიშ მკოხილი, ვარადიშ მკოხილი, ჩე ოხვამეშ მკოხილი (თაგილონი). მკოხუალა (მეგრ.) "ჩამორღვევა, ჩამოშლა" → მკოხილი "ჩამორღვეული. ჩამონარღვევი".

მკყვათ იშხა "მკყვათის მთა" (აფხ.) – სერი აჰუთალის მარც. ნაპირას (აძხიდა, ტყვარჩელის თემი). ა-შხა (აფხ.) "მთა; ფუტკარი".

მკჰკჰკ ლქიაფთა "მკჰკჰკს ნასახლარი" (აფხ.) – სახნავი წუჰარკკრის სათავესთან (ატიშადუ). შდრ.: ა-ქჲამთა (აფხ.) "პარტახი, ნასახლარი".

მკხკვარა "ყანის ღელე" (აფხ.) – ჯუხუს მარც. შენაკადი (ჩხოროთოლი). აფხ. ა-მხკ "ყანა" არაა გავრცელებული სამურზაყანოს მეგრელთა მეტყველებაში, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ობიექტისათვის სახელი დარქმეულია აფხაზთა მიერ და მეგრული ვარიანტი მეორეულია.

ნ

ნა(ა)გვარ(თ)//ხუტუშ ნა(ა)გვართ – სახნავი ერწყარის მარჯ. ნაპირას (პ. შეშელეთი). ინფ.: "ხუტუს აქ ჰყავდა საქონელი და ჰქონდა აგვარა". აგვართა (მეგრ.) "ჯოგი; მწყემსის სადგომი; უთვალავი". ეს სიტყვა გურულშიც გვხვდება.

ნააკარდამუ – ბორცვი, ტყე სალაგვილოში, ელიაკვარის მარჯ. მხარეს (მ. ოხურეი). აკარდამა (მეგრ.) "აკლდამა; ქვით ამოშენებული ან კლდეში ამოკვეთილი სამარხი".

ნააკობ – ბორცვი ოქუმწყარის მარც. მხარეს, სადაც ომის დროს "აკობი" (რუს. окоп "სანგარი") ამოუთხრიათ (მუხური).

ნაანგურ "ნააგურალი" (მეგრ.) – 1. სააგურე მიწის კარიერი ოთუნთეში (ქვიშონა); 2. ტყე ფართო ღალის მარჯ. მხარეს (ფართოღალი, ცხირის თემი) და სხვ.

ნაანკირ "ნასაკირალი" (მეგრ.) – დავაკება ერისწყლის მარჯ. ნაპირას (ლეჭარაიე). ნაანკირ ← ნაონკირ ← ონკირე "საკირე".

ნაარგუს "ნააგვისტოვარი" (მეგრ.) – 1. ტყე სათანჯოს კალთაზე, სადაც აგვისტოში ჭრიდნენ შეშას ზამთრისათვის (დიხაზურგა); 2. ტყე სიდის საზღვართან (ნაბაკევი). საერთოდ, შეშისათვის და საფიცრედ ხეს აგვისტოში ჭრიან.

ნააფთკრ – 1. მინდორი ლაჯიმონში (რეჩხი); 2. ტყე წყურგილის სათავესთან (ჩხორთოლი); 3. ერქვა საძოვარს კოხორის საზღვართან (მუხური). იხ. აფთკრა.

ნააფხაზურუ – სერი კალამონის ნაპირას (მზიური).

ნააჭკადკრ//ნაოჭკადკრ "ნასამჭედლოვარი" (მეგრ.) – ბორცვი საკიკორიოში (ჩხორთოლი). ოჭკადრე (მეგრ.) "სამჭედლო" → ნაოჭკადკრ → ნააჭკადკრ.

ნაახკარ – 1. მინდორი ზღვის ნაპირზე, სადაც ჰქონიათ ახკარა – საქონლისათვის შემოღობილი ადგილი (ნაგვალოუ); 2. ჩაის ფართობი ოქუმწყარის მარც. მხარეს (მუხური). იხ. ახკარა.

ნაბაბაც "ნაბამბარი" (მეგრ.) – 1. საძოვარი სათანჯოს კალთაზე (ჭუბურხინჯი); 2. ფერდობი კეიშის მარჯ. მხარეს. ვარ.: ნაბამბაც (ცხირი).

ნაბამბაც "ნაბამბარი" (მეგრ.) – სახნავი საშონიოში (ფშაური, წარჩის თემი); 2. იხ. ნაბაბაც.

ნაბატი – ერქვა მინდორს ტობასა და საგითოლენდიოს შუა (სიდა). ინფ.: "ბატი კამეჩის შვილია. აქ მცირე სატოპელა ყოფილა და იქ დაბადებულა".

ნაბატიშ ჩაი – ჩაის ფართობი ნაბატისთან (იხ.).

ნაბაღც – სახნავი ნაცმერში (ღვაშგვერდი) აქ მდგარა ბაღც, ე.ი. ბეღელი, მორებისაგან შეკრული მცირე შენობა, რომელშიც ინახავდნენ სიმინდს.

ნაბაღლონი – სახნავები წიფონასა და ოჯოღორეს შუა (რეფიეწერი). წარმოქმნილია ბაღილე, იგივე ბაღც "ბეღელი" ფუძისაგან ო-ონ პრეფიქს-სუფიქსით.

ნაბაცა "ნატბორი" (მეგრ.) – 1. ტყე-სახნავები ოხურეის მარჯ. ნაპირას, რომელიც წყალდიდობისას იტბორებოდა (ნაგვალოუ, ოხურეი ილორის თემისა); 2. რეჩხიწყარის შენაკადი საროდო-

ნაიოში (რეჩხი); 3. იხ. ჩხომიშ ოინძირე. ბაცუა (მეგრ.) ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელობაა წყლის დატბორვა, დაგუბება და ნაპირებიდან გადასვლა წყალდიდობისას.

ნაბერაღ – 1. წკელკარის მაღლობის მწვერვალი, სადაც უწინ სატრიანგულაციო ქვა-სვეტი ყოფილა აღმართული (ხოლე); 2. იხ. ნახაჯი. ბერაღი, ბერაყი (შდრ. ქართ.: ბაირაღი) მეგრულში აღნიშნავდა ბაირაღსაც და სატრიანგულაციო სვეტის კენწეროზე შემოხვეულ ქსოვილსაც. იხ. ნაბერაყსუკი, ბერაყსუკი.

ნაბერაღსუკი – ჭამგვარის მწვერვალი (რეჩხი).

ნაბერაყ – 1. ბორცვი ოისურეში (მთა); 2. ჩაის ფართობი სააბაშიოში (სამქვარი); 3. ბორცვი წარჩესა და მენჯიშ ღალს შუა (ჩხორთოლი); 4. მაღალი ბორცვი მურამბასა და მახუნჯიაღალს შუა (მახუნჯია) და სხვ. იხ.: ნაბერაღ, ბერაყსუკი.

ნაბერაყსუკი – მთა ჭორთუშ ღალის სათავესთან (რეჩხი).

ნაბინეხ "ნავენახარი" (მეგრ.) – 1. სახნავი ენგურის მარც. ნაპირას (შქაშსუკი); 2. ბორცვი ობორიესუკის ჩრდ.-აღმოსავლეთით (ფართონოხორი).

ნაბინოხ – იხ. ობინეხე.

ნაბოგ "ნაბოგირალი" (მეგრ.) – ღელე საროდონაიოში (რეჩხი); 2. ბორცვი საგარგულიოსა და კილის ხეობას შუა (შქაშსუკი); 3. მორევი ოკვინორეღალზე (ოკვინორე, განახლების თემი).

ნაბოგ(ა) "სადაც ბოგირი გადეს" (მეგრ.) – სახნავი ქაფშქითში, სადაც მცირე ხევზე ერთ დროს ბოგირი გაუმართავთ (ოქუში, ჩხორთოლი).

ნაბომბა "ნაბომბარი" (მეგრ.) – სახნავი ენგურის მარჯ. მხარეს (თაგილონი). ინფ.: "1943 წელს გერმანიის მზვერავმა თვითმფრინავმა ენგურის ხიდის თავზე კვამლით წრე შემოხაზა, მაგრამ სანამ ბომბდამშენები მოფრინდნენ, ქარმა კვამლი ქვევით წამოიღო და ბომბი აქ სახლს დაეცა".

ნაბოსელ "ნაბოსლარი" (მეგრ.) – 1. სახნავი გაბარში (აჩიგვარა), 2. მინდორი სგდაწყარის ნაპირას. ვარ.: არსანაშ ნაბოსელ (საბუთბაიო).

ნაბუქსირ – ჩაის ფართობი ტობის მარჯ. მხარეს (სიდა). ინფ.: "აქ 1947 წელს ჩაის გასაშენებლად კაფავდნენ ჯაგნარს და ტრაქტორი ტლაპოში ჩარჩა. ბუქსირით ამოათრიეს".

ნაბულაზ – მცირე ყურე და საძოვარი ზღვის პირას (გინძე ეწერი). შდრ.: ბოლაზი.

ნაგაბჩუ – მინდორი, გაბეჩავას ნასახლარი ზღვის პირას (ნაგვალოუ). ტოპონიმი განსაკუთრებით საინტერესოა რედუქციის თვალსაზრისით: წინავითარების გამომხატველი ნა- პრეფიქსი იწვევს ფუძისეული ე ხმოვნის ამოვარდნას.

ნაგალავან – ბორცვი ოისგრის კალთაზე, სადაც გალავნის ნაშთებია (ზ. ღუმურიში).

ნაგეს – სახნავი განარჯიის მუხურის საზღვართან (ვეშკუდელი). ინფ.: "ჰესი აქ არ ყოფილა, მაგრამ ომის დროს სოხუმჰესი ამუშავებდა".

ნაგიძუ//ნაგეძუ – სახნავები ოკვინორის საზღვართან (ზარწუფა).

ნაგურუ – სახნავ-საკარმიდამოები ნაგურუშ ჩგრეს სათავესთან (ილორი).

ნაგურუშ ჩგრე – ონახვაშის შენაკადი (ილორი). იხ. ჩირე.

ნაგეძუ – იხ. ნაგიძუ.

ნადამბ – 1. მცირე წყლისპირა ადგილი ენგურზე, სადაც უწინ დამბა ყოფილა (თაგილონი); 2. მორევი ოქუმწყარზე, რკინიგზის ხიდს ქვემოთ. ვარ.: დამბაშ მართუ (აჩიგვარა).

ნადარჩ – 1. აძურუს მონაკვეთი, სადაც ჰქონიათ დადგმული დარჩი – თევზის საჭერი ძარა (მ. გუდავა); 2. ბიბუშ ღალის მონაკვეთი. ვარ.: ბუჯგაშ ნადარჩ (პ. გუდავა).

ნადაფ//ოდაფე – სახნავი კვატანიაშ სუკზე (პ. აკვაღა). ინფ.: "დაფნა ომის წინ გააშენეს და ოდაფეც მაშინ ეწოდებოდა. მერე გადახმა და ნადაფნარი დაერქვა".

ნადელი – 1. ერქვა ტყეებს ქორომონისა და ნიშონის ნაპირებზე. აკონკრეტებდნენ: ინალისქუაშ ნადელი, პატარაიაშ ნადელი, პეტროშ ნადელი//ჩქოტუაშ ნადელი, სანდუხუშ ნადელი, ქეცბაიაშ ნადელი, ჯვაბაშ ნადელი (კოხორა, ლეკუმხარა, პ. შეშელეთი); 2. ჩაის ფართობი მარაჭის მარჯ. მხარეს (ფიცარღალი); 3. ბუჩქნარი ფშაურის საზღვართან (მიშველი) და სხვ. მრ. ნადელი (რუს. надел) რუსეთის იმპერიაში ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ (1861 წ.) სახელმწიფოს ან მემამულეთა მიერ საოჯახო სარგებლობისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთი იყო.

ნადელიშ ჩაი – ჩაის ფართობი სკდაწყარსა და ხუმუშქურს შუა (სიდა). ინფ.: "იყო ტყე და ერქვა დავითიშ ნადელი. გაჩეხეს და ჩაი გააშენეს".

ნადიხაგუძუბ – ერქვა შემაღლებულ მინდორს, რომელიც ზღვამ დაშალა XIX ს. მეორე ნახევარში (დიხაგუძბა). იხ. დიხაგუძუბა.

ნადოხორ – 1. ტყე თხირამღალის ნაპირას (პ. გუდავა); 2. ერქვა სახნავს ერწყარის ნაპირას. დაფარა წყალსაცავმა (ფართოღალი, ცხირის თემი); 3. სახნავები ემხვარების ნასახლარზე (ჩხორთოლი); 4. ჩაის ფართობი ტაგუშ სუკთან (სამქვარი) და სხვ. ინფ.: "დოხორე სასახლეა. მაგრამ თავადს რომ ფაცხა ჰქონოდა, მაინც დოხორე ერქვა".

ნადუქან "ნადუქნარი" (მეგრ.) – 1. მინდორი ჭირის ნაპირას (ქვ. ბარღები); 2. მინდორი ენგურის პირას, ჯვეშ ნაშართან. ვარ.: პავლეშ ნადუქან (ზენი, ჭუბურხინჯი); 3. ნადუქნარი სოფლის ცენტრში (აჩიგვარა) და სხვ.

ნაერქ – სახნავი ლეცეტეში (ლეჭარაიე). ირქი სამეგრელოში ხორბლის ერთ-ერთ ჯიშს ეწოდება, კერძოდ, იფქლს.

ნაერწყარ – იხ. ჭიჭე ერწყარი.

ნავეშ წყურგილი//ფაშუშ წყურგილი – წყარო ბერითხინაში (ზენი, დიხაზურგის თემი). ინფ.: "ფაშუ მამას ერქვა, ნავე – შვილს. ამ წყაროსთან ესახლნენ".

ნავრუზიშ წყურგილი//ნავრუზ იძიხ "ნავრუზის წყარო" (მეგრ.-აფხ.) – წყარო ნეძფარის მარჯ. მხარეს (მ. კოპიტი).

ნავრუზ იძიხ – იხ. ნავრუზიშ წყურგილი.

ნაზავოდ – 1. სახნავი ოქუმწყარის მარც. ნაპირას, სადაც კრამიტის ქარხანა მდგარა (აჩიგვარა); 2. მინდორი მარაჭის ნაპირას, სადაც იდგა სახერხი ქარხანა (ფიცარღალი); 3. სახნავები ნათოფურის უბანში. აკონკრეტებენ: ოჩხომურიშ ნაზავოდ, ერწყარიშ ნაზავოდ (ხუმენი-ნათოფური) და სხვ. ზავოდი (მეგრ.) ← რუს. **завод** "ქარხანა".

ნაზასტავ – მინდორი ზღვის ნაპირზე, სადაც სასაზღვრო საგუშაგი (რუს. **застава**) ყოფილა გამართული (დიხაგუძბა).

ნაზიაშ ბებეისგრი – იხ. ბებეის(გ)რი.

ნაზღალი//ნა(ო)სქალი – ღელე. ერთვის ზღვას (ნაკარღალი, ფიჩორი).

ნათანაფუ//ნაოხვამ – ტყე-კუნძული ოხაიეში (ოხურეი, ილორის თემი). ინფ.: "თავდასხმა ყოფილა და გატაცების შიშით ილორის ხატები აქ ჩაუფლავთ მიწაში".

ნათეშ ნოშქვიდერი – იხ. მათეიაშ ნაშქვიდერი.

ნათიფუ – მინდორი რეჩხიწყარის მარჯ. მხარეს (რეჩხი). თიფუ (მეგრ.) "თივა, სათიბი; სადგომი".

ნათოფური – სოფლის კუთხე ჭიქე ერწყარის ნაპირებზე, თხინაშკარისა და გუდავის საზღვრებთან (ხუმენი-ნათოფური). ამოსავალი ჩანს გვარი თოფურია. ინფ.: "ხეების ფუღუროებში სკები ყოფილა თურმე და თავლი მოწვეთავდა".

ნათუთუმ – 1. მინდორი ოხურეის მარჯ. მხარეს (ნაგვალოუ); 2. მინდორი სათანჯოს ძირას. ვარ.: ნაკაზარმ (ჭუბურხინჯი). თუთუმი (მეგრ.) "თამბაქო".

ნათუნთ "ნადათვარი" (მეგრ.) – ტყე ელიაკვარის მარც. მხარეს (რეკა).

ნათურქუ – 1. ტყე ჯოცობის მარჯ. მხარეს, სადაც კარავში თურქი მდგარა (ანარია); 2. ბორცვი ბაბაშიაღალის მარჯ. მხარეს (ჭყონხუმლა). მეგრულში თურქი აღნიშნავს მაჰმადიანსაც, თურქსაც და ლაზსაც, ზოგადად კი – ურჯულოს.

ნათხირ – ჩაის ფართობი ხუმუშქურის საზღვართან (თხინაშკარი). თხირი (მეგრ.) "თხილი".

ნათჯფ//ნაფთჯრ – სახნავი საგამსახურდიოში (ოცარცე). თჯფუ, თიფუ (მეგრ.) "თივა, სათიბი; სადგომი". ააფთრა (აფხ.) "მწყემსთა საზამთრო სადგომი ბარში" → აფთჯრა, აფთურა (მეგრ.) "საქონლის სადგომი". იხ. აფთჯრა.

ნაინგჯრ "ნაენგურალი" (მეგრ.) – 1. რიყე ენგურის ნაპირას. მდინარემ სამხრეთით გადაიწია (თაგილონი); 2. სახნავი სოფლის ჩრდ. ნაწილში, სადაც გადის ღელე "ნაინგჯრიშ ნაწიორა" (ფიჩორი); 3. ღელე, უწინდელი ტოტი ენგურისა სასაფლაოსთან (რამი).

ნაინგჯრიშ ნაწიორა – იხ. ნაინგჯრ. შდრ.: ნაწიორა.

ნაინჭ – 1. ერქვა ტყეს ბებესჯრის ნაპირას (ოხურეი, აჩიგვარის თემი); 2. მინდორი ბზაკალონთან (მ. გუდავა). ინჭა (მეგრ.) "ჭა".

ნაინჭი – მიტოვებული ჭა სათანჯოს კალთაზე (დიხაზურგა).

ნაისჯრ "ნაისლარი" (მეგრ.) – 1. ტყე საგვაგვალიოში (დიხაზურგა); 2. მინდორი ლაჯიმონში (რეჩხი); 3. ჩაის ფართობი ეწერში. ვარ.: ჯვებერეშ ნაისჯრ (სალხინო) და სხვ. მრ.

ნაკაზარმ – 1. მინდორი აჭაფარაში, სადაც უწინ აგურის ქარხანა მდგარა (სამელაიო); 2. სახნავი ნაჯიხურის საზღვართან, სადაც უწინ თამბაქოს საშრობი ყოფილა (ფართონოხორი); 3. ჩაის

ფართობი ეწერში (დიხაზურგა); 4. იხ. ნათუთუმ და სხვ. კაზარმა "ყაზარმა" (← რუს. казарма) მეგრულში აღნიშნავს ფარდულს, გადახურულ რამეს.

ნაკაზარმუ//ხუხუნიშ ნაკაზარმუ – სახნავი სკრსოლასა და ჭიჭე ერწყარს შუა. ხუხუნი მიწის პატრონის გვარია (ხუმენი-ნათოფური).

ნაკალექტივ – სახნავი თხირამღალის ნაპირას. აქ 1928 წელს შეუქმნიათ პირველი კოლექტიური ამხანაგობა (ფიცარღალი). რუს. коллектив სასაუბრო ენაში იგივეა, რაც კოლმეურნეობა.

ნაკანტორ – მინდორი ოქუმწყარის ნაპირას (მთა). ინფ.: "რევოლუციამდე ოქუმაბსთაში ხე-ტყეს ამზადებდნენ და აქ ჰქონიათ კანტორა" (რუს. контора).

ნაკაპუსტ – საძოვარი ჯოყობის ნაპირას, სადაც ერთ დროს კომბოსტო მოჰყავდათ (ოხურეი, გუდავის თემი). შდრ. რუს.: капуста.

ნაკარ "ნაკარვალი; ნაბინავარი" (მეგრ.) – 1. საძოვარი სათანჯოს კალთაზე (დიხაზურგა); 2. საძოვარი ფშაურიშ ღალის სათავესთან (ფშაური, ბედიის თემი).

ნაკარკუნტ(უ) – ტყე ჯვეშ ოხურეის მარჯ. ნაპირას, სადაც უწინ იჭრებოდა კარკუნტი (ნაგვალოუ). კარკუნტი, კაკუტი (მეგრ.) "ხისგან გამოთლილი თავკომბალა საცეხველი"; "თავხე, რომელსაც ეყრდნობა სახურავი".

ნაკარტოფილ – 1. სახნავი თხირამღალის ნაპირას (ტოგონი); 2. სახნავი ჭუბურხინჯის საზღვართან (სალხინო); 3. სახნავი ოქუმწყარის რიყეში (საბულისკერიო, ოქუმის თემი).

ნაკარუ – 1. სახნავი ფიცარღალის მარჯ. მხარეს (ფიცარღალი); 2. ტყე ხუმლაღალის მარც. მხარეს. ვარ.: ცაცუაშ ნაკარუ (ჭუბურხინჯი). იხ. აგრეთვე ოკვინორეშ ტყა. შდრ. : ნაკარ.

ნაკარღალიშ ღალ – ღელე ნაკარღალში.

ნაკარჩოვკ – 1. მინდორი ბებეშიაღალის მარც. მხარეს, სადაც ტრაქტორით ამოძირკვეს ჯაგნარი (რეკა); 2. სახნავი ქვიშამღალის მარც. მხარეს. ვარ.: სოფრო(ვანი)შ ნოხორი (მ. ოტობაია). კარჩოვკა (მეგრ.) ← რუს. корчевка "ამოძირკვა".

ნაკენჭა – ფონი ოხჩონზე (მ. გუდავა). კენჭუა (მეგრ.) "მოკენჭვა" → ნაკეჭა "(მო)ნაკენჭი".

ნაკვათა – იხ. ნაწყარი.

ნაკიკუშ ღალ – ღელე, საზღვარი წალენჯიხის რ-ნის სოფ. წყოუშთან, სადაც უბანს ეწოდება ნაკიკუ (ღვაშგვერდი).

ნაკირი "ნაკირალი" (მეგრ.) – მინდორი დიდწიფურში, სადაც უწინ კირს წვავდნენ (დიხაზურგა).

ნაკლას – მინდორი ფიცარღალის ნაპირას, სადაც უწინ სკოლის შენობა მდგარა (ფიცარღალი).

ნაკოლხოზ – სახნავები ჩეგემღალის მარც. მხარეს, სადაც უწინ კოლმეურნეობის კანტორა მდგარა (დიხაზურგა). ← колхоз კოლმეურნეობა.

ნაკურთხა წყარი//წყაკურთხიაშ წყარი//ბერეფიშ წყურგილი – წყაროა სატყეებუჩოში, ბედიის მონასტერთან (აგუბედია). ინფ.: "წყალკურთხევის დღეს აქ მღვდელი წყალს აკურთხებდა, ჯვარს ჩააგდებდა და ამოღებაზე აუქციონი იმართებოდა. ნაკურთხი წყალი ოჯახებში მიჰქონდათ მოსასხურებლად".

ნაკურ იფუსთა//ნაკურიშ ნაცვან – სახნავი ოხურეის სათავესთან. ნაკურ(ი) პირსახელია (პატრახუწა, აგუბედიის თემი).

ნაკურიშ ნაცვან – იხ. ნაკურ იფუსთა.

ნალაგვან "ნაქვევრალი" (მეგრ.) – ღელე-ტბორი აკვარიქვის მარჯ. მხარეს (რეფი-ეწერი).

ნალამუ – სოფლის კუთხე ენგურსა და სათანჯოს შუა (ოცარცე). ინფ.: "ლამე, ანუ ნოტიო, ადგილია"; " ნალგმა, ანუ ნაომარი, ადგილია".

ნალაღუმუ//პერევალი – აღმართი მორინჯის მარჯ. მხარეს, სადაც გზის გასაყვანად ლაღუმს აფეთქებდნენ (ნახინგუ). პერევალი ← რუს. перевал "გადასავალი. უღელტეხილი".

ნალებუ – 1. ხევი, სადაც გადის კუზუშ ღალ (სახახუბიო, ბედია); 2. ნაჭაობარი საროდონაიოში. აქ უწინ ამოჰქონდათ ლები – საღებავი მიწა (რეჩხი) და სხვ. იხ. ლები//ოლებე.

ნალეკა – სახნავი ღვაღულასთან (ფიცარღალი). ინფ.: "მელიორაციიდან (იხ.) წყალი გადავიდა და ლამი დატოვა". ლეკუა (მეგრ.) "ლამის დაყრა; რაიმეს უხვად მოსვლა".

ნალეფონა//ცხიმურჯინჯი – მორევი ხუმუშქურზე, რცხილის ძირას (სიდა). აქ დროდადრო ჩანაყავდნენ იფანს (მეგრ. ლიფონი, ლეფონი) თევზის დასაწამლავად.

ნალიმონ – იხ. ატამონი.

ნალისგრიშ ონტყოლაშე – იხ. ონტყოლაშე.

ნალმა კონკი – კუნძული ენგურზე (ზენი, დიხაზურგის თემი). იხ.: ნალგმა კონკი.

ნალგმა კონკი "ნაომარი კუნძული" (მეგრ.) – კუნძული ენგურზე, სადაც დადიანი და ჩქოტუა წაჰკიდებიან ერთმანეთს წყოუში-სამარქვალოს საზღვრის გამო (ღვაშგვერდი)..

ნამანდარინ "ნამანდარინალი" – 1. სახნავი ხაიასა და ენგურს შუა (თაგილონი); 2. ტყე აკვარათბის მარც. მხარეს (ზ. გალი).

ნამარაკ – ბორცვი კგლის მარც. მხარეს (ღვაშგვერდი). მარაკა (მეგრ.) "თხის სამწყვდევი ნაგებობა".

ნამარან – ორგან ეწოდება მინდორს ნიშნის ხეობაში. განარჩნევენ: ჯაგაშ ნამარან, პახვალაშ ნამარან (ქვ. ღუმურიში). მარანს ხშირად აგებდნენ ვენახშიც, ტყეშიც.

ნამარკილუ – 1. უბანი გალის წყალსაცავის ნაპირას, კაშხალსა და ჯვეშ ცხირს შუა. სავარაუდოა, სახელწოდება დაკავშირებული იყოს გვარ მარკელიასთან (ცხირი); 2. ვაკე-სახნავები მორინჯის მარჯ. მხარეს (წარჩე).

ნამარულ(უ) – 1. ტყე გოფართესთან (გაგიდა); 2. მინდორი ნაგიძეში, სადაც უწინ მარულა იმართებოდა (ზარწუფა); 3. მინდვრები ენგურის რიყესა და ეწერში (თაგილონი).

ნამასარ – ტყე საქირიოსა და საქაჯაიოს შუა (ზენი, ჭუბურხინჯის თემი). ინფ.: "აზნაურ ქესქინჯია აქირთავას აქ მესერი ჰქონია დაწყობილი". მასარი (მეგრ.) "მესერი".

ნამატავოზ – იხ. ნარელს.

ნამაღაზ – 1. ჩაის ფართობი სადგებიოსა და სასოსელიოში (თხინაშკარი); 2. მინდორი საროდონაიოში, სადაც უტუშას სასიმინდე ჰქონია. ვარ.: უტშაშ ნამაღაზ (რეჩხი). მაღაზა (მეგრ.) "სასიმინდე, ნალია".

ნამაჩალიგ – იხ. ომაჩალკე.

ნამენჯ "ნავეძარი" (მეგრ.) – 1. ტლაპო საბასარიოში (ზ. გალი); 2. ფერდობი ერწყარის მარც. მხარეს. ვარ.: ნამინჯ (შქაშსუკი).

ნამეშხურ – მინდორი ხუმუშქურის მარც. მხარეს (საბუთბაიო). მეშხურე (მეგრ.) "მეცხვარე".

ნამეხჯა "ნამეხარი ხე" (მეგრ.) –. ჩაის ფართობი საწულეის-კირიოში. ერქვა მინდორს, სადაც უწინ იდგა ნამეხარი მუხა (ხუმუშქური).

ნამინჯ – იხ. ნამენჯ.

ნამუხუდ – სახნავი ღალიძგის მარც. მხარეს (სუკი). მუხუდო მეგრულშიც მუხუდოა.

ნანერგი – სახნავი ოხოჯე-კოლოშანის შესართავთან, სადაც უწინ თუთის სანერგე ყოფილა (ფშაური, ბედიის თემი).

ნანთხორა//თორდია დო ოცუჯაშ ნანთხორა – არხი, რომლითაც თორდიამ და ოცუჯავამ ორკეში დაუკავშირეს ჭიშე ერწყარს (გინძე ეწერი).

ნანია – დავაკება ყვანჯარასა და ჭამგვარას შუა (რეჩხი). ნანია (მეგრ.) "ღობის, სიმინდის, თივის შესანახი ნალია".

ნანიაშ ათაცუნაფუ – რეჩხი-ოჭაკის გზის მონაკვეთი ნანიასთან (რეჩხი). ათაცუნაფუ (მეგრ.) "გზა, რომელიც მთისძირებს მიუყვებაა".

ნანკირ "ნაკირალი" (მეგრ.) – მორევი ერისწყალზე და მიმდებარე მინდორი აზანიშში (ლეკუხონა).

ნანკირაშ წყურგილი – იხ. ხუნაშ ღალ.

ნანკოლჩკრე – ოკვინორეღალის მარჯ. შენაკადი (გინძე ეწერი). კოლი (მეგრ.) "კალია" → ნანკოლ; ჩირე, ჩკრე (მეგრ.) "ღრმა ტლაპო".

ნანოშქერ "ნანახშირალი" (მეგრ.) – 1. მინდორი ოქუმწყარის მარჯ. მხარეს, სადაც სამჭედლოსათვის ნახშირს ამზადებდნენ (მ. გუდავა); 2. მინდორი ქაფშქითში, სადაც უწინ სამი სოფლის – წარჩის, ოქუმისა და ჩხორთოლის – საზღვარზე სასამანო ნახშირი ყოფილა მიწაში ჩაფლული; 3. სახნავი ოხურეის ნაპირას, სადაც იყრებოდა ტყეში გამზადებული ნახშირი (ნაგვალოუ) და სხვ.

ნანოცუნ – 1. ნაყანევები სათანჯოს კალთებზე. აკონკრეტებენ: კაჟნაშ ნანოცუნ, ნაუშ ნანოცუნ, ნიკოშ ნანოცუნ, ხახუშ ნანოცუნ (დიხაზურგა); 2. ბორცვი ოქუმწყარის მარც. მხარეს. ვარ.: ბაბუშ ნანოცუნ (მუხური); 3. მინდორი რთომის მარჯ. ნაპირას. ვარ.: თემურიშ ნანოცუნ (ფართონოხორი). ცვანა (მეგრ.) "ყანა" → ნოცუნი (//ნაცვან) "ნაყანევი" → ნანოცუნ "ყანა დიდიხნით მიტოვებულ ნაყანევზე".

ნანწყვი "ნამეწყრი, ჩანაქცევი" (მეგრ.) – 1. ნამეწყრი ფერდობები ჯვეშ ცხირში (ზ. ცხირი); 2. ტყე-ფერდობი ოხოჯის მარც. მხარეს (ფშაური, ბედიის თემი); 3. ფერდობი წარჩეწყარის მარც. მხარეს (ჩხორთოლი).

ნანგშ – ენგურისპირი სახუბუტიოში, სადაც მეთევზეებს ნავმისაბმელი ჰქონიათ (ღვაშგვერდი). ← ნგშგ (მეგრ.) "ნავი".

ნაოთხირ – სახნავი სასირგინაში (ფუწყური, წარჩის თემი). იხ. ოთხირე.

ნაოისგრ//ოისგრე – ბუჩქნარი კილის მარც. მხარეს (შქაშსუკი). იხ. ოისგრე.

ნაოსქუ(ეფი) – ტყე-მინდვრები რეჩხი-ოქაკის გზაზე (მთა). ოსქგ (მეგრ.) "საღორე".

ნა(ო)სქლალ – იხ. ნაზღალ.

ნა(ო)ჩამჩირ – ბოცვი სამელაიოსა და ზ. გალის საზღვარზე. ინფ.: "თურქები ბზას ამზადებდნენ. ჩამჩირ თურქულად ბზაა"

ნაოჩხომურ//გერაშ ნაოჩხომურ – ქირის მარჯ. შენაკადი (გინძე ეწერი). ინფ.: "გერას ჰქონდა შემოკავებული თევზის მოსაშენებლად". ოჩხომური (მეგრ.) "სათევზაო ადგილი მდინარეზე; ხელოვნური სათევზე ტბორი".

ნაოჭკადგრ – 1. მოტიტვლებული ადგილი საქეცბაიოში (სამქვარი); 2. სახნავი ზღვის ნაპირზე (მ. გუდავა); 3. იხ. ნააჭკადგრ. ოჭკადგრე (მეგრ.) "სამჭედლო".

ნაოხვამ "ნასაყდრალი, ნაეკლესიარი" (მეგრ.) – 1. სახნავი ენგურის ნაპირას (ზენი, ნაბაკევის თემი). ინფ.: "აქ ყოფილა ეკლესია "შარდენიშ ოხვამე", რომელიც გადაუტანიათ ეწერში (იხ. ენწერულოხვამე) მდინარის დინების გადმონაცვლების გამო"; 2. ნაეკლესიარები ოქუმწყარის მარც. მხარეს. აკონკრეტებენ: ნაჯიხიშ ნაოხვამ (კოხორის საზღვართან. აქ ნაპოვნი წარწერებიანი თლილი ქვები მუზეუმში წაუღიათ), საშარანგიოშ ნაოხვამ, რზენიშ ნაოხვამ (მუხური); 3. ბორცვი, ნაეკლესიარი, სასაფლაო ჭიქე ერწყარის ნაპირას (რეფი-ეწერი) და სხვ. მრ.

ნა(ო)ხვამ – მინდორი ლაბჟანიაშ ღალის მარჯ. სერზე (ახეცარა).

ნაოხვამფერდი – ბორცვი, ძველი სასაფლაო გვადიაშ ღალის მარც. ნაპირას (ჭყონხუმლა).

ნაოხური – იხ. ჯვეშ ნაოხური.

ნაპარონ "ნაბორნალი" (მეგრ.) – 1. ნაბორნალი ენგურის ნაპირას, რუხის ციხის პირდაპირ. უწინ აქ გადიოდა სოხუმ-

ზუგდიდის გზა (რზენი, ჭუბურხინჯის თემი); 2. იხ. ონიშონი. პარომი, პარონი (მეგრ.) "ბორანი" ← რუს. пором.

ნაპიტოვნიკ//პიტოვნიკი – ჩაის ფართობი .ბებეისგრსა და რკინიგზას შუა (ოხურეი, აჩიგვარის თემი). აქ ყოფილა ჩაის საცდელი ნაკვეთი. შდრ. რუს. питомник "სანერგე".

ნაჟანევი//ნაჟანეული – ერქვა სოფელს გვიან ფეოდალურ ხანაში დღევანდელი ოტობაიის თემის ტერიტორიაზე. ამ სოფლის რამდენიმე ათეული გლეხი ბიჭვინთის საკათალიკოსოს მებეგრე ყოფილა. XVI ს. დამლევს ნაჟანეულში მცხოვრებ საეკლესიო გლეხთა გვარებია: გაბელია (1 კომლი), გოგილავა (2 კ.), გურუა (1 კ.), დავითია (1 კ.), დიდია (1 კ.), ელიშია (2 კ.), კოდია (3 კ.), კოდუა (1 კ.), კონჯარია (1 კ.), ლოგუა (1 კ.), მატუფია (1 კ.), მჭიშია (1 კ.), სამელია (1 კ.), სუბუქია (1 კ.), უჩაია (5 კ.), ფიოლია (1 კ.), ქაჯაია (2 კ.), ღრუბელაია (1 კ.), შუშანია (2 კ.), ცისტარია (1 კ.), ძაძუა (1 კ.), ჯაკობია (1 კ.), ჯგვიბურია (1 კ.), ჯგუბურია (1 კ.) და სხვ. (იხ.: ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 382–386; აქ შეხვდებით ისეთ გვარ-სახელებს, როგორიცაა რუსაყია მარცვალია, გუტია ხუხუშია... იმის დასადგენად, ამ შემთხვევაში რომელია სახელი და რომელი გვარი, საჭიროა დამატებითი ძიება). დაახლოებით მეოთხედი საუკუნის შემდეგ, როგორც ვარაუდობენ, 1621 წელს, ისევ ჩაუტარებიათ ნაჟანეულის საეკლესიო გლეხთა აღწერა (იხ. იქვე, გვ. 419–423). ახალ ნუსხაში შესულია თითქმის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გვარი (არ ჩანს: გაბელია, კოდუა, მჭიშია, ხოლო მატუფია წარმოდგენილია მატოფია ფორმით). და დამატებით შეტანილია: თოთიბია, კონტარია, კოტარია, კუატარია, კუაჭალია, მარკოზია, მჭითანაა, საკუტია, ციკუტია, ჭვიტიშია, ჯომნია და სხვ. შენიშვნა: პირველ ნუსხაში დასახელებული თომიხილი ელიშია და მეორე ნუსხაში დასახელებული თოლმიხილია ელიშია შესაძლებელია ერთი და იგივე პიროვნება იყოს, ასევე ერთი და იგივე უნდა იყოს პირველი ნუსხის რუსაყია მარცვალია და მეორე ნუსხის რუსაყია მარსალია). ნაჟანევს მცხოვრები რამდენიმე ყმის გვარი დასახელებულია კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის შეწირულების ორ წიგნშიც (1706 წ., 1712 წ.). ესენია: ღრუბელაია (ღურბელაია), ელიშია, ჯგუბურია, სუბუქია, ბიგვავა, უჩაია (რომლებიც აფხაზებს აეყარათ, ყვაპუ შარვაშიძეს დაეყიდა, კათალიკოსს კი გამოეხსნა და დაებრუნებინა თავის სოფელში. იხ. ქსძ, III, გვ. 647–652, 670).

ნარამუ//სანერგე – სახნავები იმ ადგილას, სადაც 30-იან წლებში რამის საბჭოთა მეურნეობა იყო, ხოლო შემდეგ ციტრუსების სანერგე მოაწყვეს (რამი).

ნარანჩახ - მთა, მწვერვალი აკიბოს დას. კალთაზე (მთა).

ნარასად – 1. სახნავი საჯინჯოლიოსა და საკვარაცხელიოს შუა. ინფ.: "კოლმეურნეობას აქ ჰქონდა სათბური, სადაც გამოჰყავდათ თამბაქოს ნერგი" (ფართონოხორი); 2. სახნავი ჯუხუს მარჯ. მხარეს, სადაც სანერგე თამბაქოს თესდნენ (მ. კოპიტი). შდრ. რუს.: рассада "ნერგი; ჩითილა".

ნარეიც – ნაგზაური ცორკასთან. ინფ.: "ფოქვეშიდან იყო გამოყვანილი რელსი. ვაგონებს ცხენები ეწეოდნენ" (გუდავა). რეიცა ← რუს. рельс "რელსი".

ნარელს//ნამატავოზ – ნაგზაური, ყოფილი "მატავოზიშ შარა". ინფ.: "ლიანდაგი იწყებოდა აჩიგვარაში, ჩაუვლიდა მაფაშ წყურგილს და გადიოდა ზღვაში. თურქებს ვაგონებით გაჰქონდათ ბზა. ამ მატარებელს ეწოდებოდა მატავოზი" (ტოგონი, გინძე ეწერი). შდრ. რუს.: мотовоз "ძრავამავალი". რელსი ← რუს. рельс

ნარზენი//დიდკვაჯიშ ნადოხორ – სახნავი ენგურის მარჯ. მხარეს, ხაიის ნაპირას (ზენი, ნაბაკევის თემი). ინფ.: "დიდკვაჯი ერთ-ერთი კვაჯი მარღანიას მეტსახელია. ხაიას სათანჯოდან ჩამოაქვს ლამი და აქ ყრის. ამიტომ ნარზენიცაა". რზენი "ვაკე" → რზენუა "მოვაკება" → ნარზენი "მონავაკები".

ნარიქიშ აბარლა – ერქვა ჭაობს ერწყარის ნაპირას. დაფარა წყალსაცავმა (ფართოღალი, ცხირის თემი).

ნარმანიეფიშ კუნთხუ – ნარმანიების უბანი ელიაკვარის მარც. ნაპირას (ოხურეი, აჩიგვარის თემი).

ნარჯს "ნარუსალი" (მეგრ.) – 1. ბორცვი, სადაც რუს ცოლქმარს უცხოვრია წაბლის ხის ძირას გამართულ ჭოხში (ნაჯიხური); 2. შემაღლებული მინდორი ენგურსა და ხაიას შუა. ვარ.: ჯვეშ ნაჯიხ. ინფ.: "ქვის გალავნით ყოფილა შემოზღუდული და რუსის ჯარი მდგარა" (თაგილონი); 3. ნაგზაური ელაღირის ხეობაში. ვარ.: აურჯსრგმუა. ინფ.: "ამ გზაზე გაუვლია სამეგრელოსაკენ მიმავალ რუსის ჯარს" (აჯრა). ← რჯსი (მეგრ.) "რუსი".

ნასადგურ – ჩაის ფართობი ყოფილ რკინიგზის პლატფორმასთან (სალხინო).

ნასასამართ – შენობა სოფლის ცენტრში, სადაც უწინ საბჭო და სასამართლო (მეგრ.: სასამართო) ყოფილა (სამქვარი).

ნასილოს "ნასილოსარი" (მეგრ.) – ტყე თხირამღალის ნაპირას (ტოგონი).

ნასმერი – იხ. ნაც(ჳ)მერი.

ნასოლაშ სუკი – იხ. ნაცალაშ სუკი.

ნასტალავოი – მინდორი, სადაც უწინ პრიმორსკის მუშათა სასადილო (რუს. столовой) იყო (გინძე ეწერი).

ნასტოლბ//ინჯილორიშ სტოლბა – ბორცვი, ტყე ოქუმწყარის მარც. ნაპირას (მთა). ინფ.: "აქ, ეიქვარასა და ოქუმაბსთას შუა, სადაც იწყებოდა სატყეო მეურნეობის ზონა, აღმართული ყოფილა სასაზღვრო ბოძი". ინჯილორი (მეგრ.) "ინჟინერი"; სტოლბა ← რუს. столб.

ნატალიაშ სუკი//ჩონჩორიშ სუკი – ბორცვი (ღვაშგვერდი). ინფ.: "ჩონჩორი ქმარს ერქვა. ცოლმა ნატალიამ მის შემდეგაც დიდხანს იცოცხლა".

ნატაშ ღალ – იხ. ბარცხელღალ.

ნატომბ//ტაიაშ ნატომბ – წყლისპირი ოლორზე. ტაია პირსახელია (ღვაშგვერდი).

ნატრაქტორ – ჩაის ფართობი ხვითის მარჯ. მხარეს (სიდა). ინფ.: "ტრაქტორმა პირველად აქ მოხნა მიწა 1932 წელს".

ნაუ შაკაიაშ ტომბა – მორევი ოხოჯეზე (აგუბედია).

ნაუშ ნაჭკრა – იხ. ივანეშ ნაჭკრა.

ნაფატი "ნაფეტვარი" (მეგრ) – 1. ჩაის ფართობი ნაბაკევის საზღვართან (თაგილონი); 2. ბორცვი ფშაურიშ ღალის მარც. მხარეს (ფშაური, ბედიის თემი).

ნაფაცხ "ნაფაცხევი" (მეგრ.) – 1. ნიშნის მარც. შენაკადი (ქვ. ღუმურიში); 2. სახნავი ლაჯიმონში (რეჩხი); 3. ერქვა მინდორს ტობასა და ჭუბურონას შუა. ვარ.: დათაშ ნაფაცხ (სიდა) და სხვ.

ნაფაცხჯში ჩაი – ჩაის ფართობი დათაშ ნაფაცხთან (სიდა).

ნაფერმ "ნაფერმალი" (მეგრ.) – 1. დავაკება წარჩის საზღვართან (ფშაური, ბედიის თემი); 2. ტუნგის პლანტაცია ჭოღეის მარჯ. მხარეს (პატრახუწა, აგუბედიის თემი); 3. იხ. ნაჩაი.

ნაფერმუ "ნაფერმალი" (მეგრ.) – მინდორი თხუმონაში (პ. ოტობაია).

ნაფეტერ//ფეტერიშ ნაზავოდ – მინდორი ზღვის ნაპირას (გინძე ეწერი). ინფ.: "აქ იდგა გერმანელი მრეწველის – ფეტერის – "ზავოდი", ანუ სახერხი ქარხანა. აქამდე მოდიოდა "ნარელს" (იხ.).

ნაფთგრ – იხ. ნათგფ.

ნაფირმ(უ) "ნაფერმალი" – 1. სახნავი თხირამღალის ნაპირას (ტოგონი); 2. ტყე ორკეშის ნაპირას (ხუმენი–ნათოფური).

ნაფიცარ – სახნავი ოჩხომეღალის ნაპირას, სადაც ფიცარი იხერხებოდა (ნაგვალოუ).

ნაფოშტ "ნაფოსტარი" (მეგრ.) – 1. სახნავი სოფლის ცენტრის ჩრდილოეთით (ოქუმი); 2. გზისპირი გარადოკთან (აჩიგვარა). почта → მეგრ. ფოშტა.

ნაფსკალ – ბორცვი თომღალის მარც. სერზე (ლეკუხონა). ფსკა, ფსქა, სქა (მეგრ.) "სკა, ფუტკარი".

ნაფსქალ – ბორცვი რეჩხიწყარის მარც. მხარეს (რეჩხი). იხ. ნაფსკალ.

ნაფურნგ "ნაფურნალი" (მეგრ.) – მინდორი ქირის მარც. მხარეს (გინძე ეწერი).

ნაქაბლი(შ)კონკი – მინდორი ტყეში (მუხური). ინფ.: "კონკი, ანუ ამაღლებული მინდორი, იყო ტყეში და ზედ მოზვრების აგვარა ჰქონდათ". ქაბ(უ)ლა (მეგრ.) "მოზვერი".

ნაქაბულ "ნამოზვრალი" (მეგრ.) – ჩაის ფართობი დიდწიფურში (დიხაზურგა).

ნაქაბულღალ – ღელე. გადის ნაქაბულიდან. ერთოდა ჩეგემს. ამჟამად ჩაედინება გალის წყალსაცავში (დიხაზურგა).

ნაქობალ – 1. ტყე საგამსახურდიოში (ოცარცე); 2. მინდორი ნიშონსა და ოქუმწყარს შუა (სამელაიო); 3. სახნავი საროდონაიოში, სადაც უწინ ხორბალი ითესებოდა (რეჩხი) და სხვ. ქობალი (მეგრ.) "ხორბალი, პური" (ამ შემთხვევაში მცენარე).

ნაქორთუ – ტყე ჯოყობის გვერდით (პ. გუდავა). ქორთუ (მეგრ.) "ქართველი" ინფ.: "რაჭველები თლიდნენ ფიცარს"; "მენშევიკობის დროს ქართველთა ჯარი იდგა".

ნაქურ – მინდორი, სადაც აგურის გამოსაწვავი ქურახანა მდგარა (ნაჭკადუ).

ნაქურუ – ბორცვი ნაკარღალის ნაპირას (ნაკარღალი). ქურა (მეგრ.) "ქურახანა".

ნაქუფი//ქუფეფი – სახნავი ნაენგურალზე (ზენი, ნაბაკევის თემი). იხ. ქუფე.

ნაღალ – ტლაპო, სადაც უწინ გადიოდა ოჩხომურის ტოტი (ხუმენი-ნათოფური).

ნაღეჯი "ნაღორალი" (მეგრ.) - ბორცვი კაკიშ ღალსა და წისქვილიშ ღალს შუა (ნახინგუ).

ნაღო//დიდნაღო – ვაკე-ხევი კეიშის მარც. ნაპირას (რეჩხი). ნაღო (მეგრ.) "ხევი. ჩავარდნილი ადგილი".

ნაღულათუ – სახნავი, ღულათავას (გვარია) ნასახლარი საჯეჯელაში (სამქვარი).

ნაღუმ "ნაღომარი" – 1. სახნავი საქეცბაიოში (სამქვარი); 2. ბორცვი წკელკარში (ხოლე); 3. სახნავი მაღანჯგალასთან (ოქუმი) და სხვ. ღუმუ (მეგრ.) "ღომისღომი".

ნაცუდუ "ნასახლი" (მეგრ.) - საკარმიდამოები ჰარვაში (რეჩხი).

ნაცუდუშ ღალ – კეიშის შენაკადი ნაცუდუში (რეჩხი).

ნაშანქარღალ – თხუმონაღალის შენაკადი (მ. ოტობაია, პ. ოტობაია). ინფ.: "ამ ღელეზე შაქრით დატვირთული ურემი გადაბრუნებულა. ამიტომ დარქმევია".

ნაშინ – 1. ხეხილნარი საროდონაიოში (რეჩხი); 2. სახნავი საგამსახურდიოში. ვარ.: ბათუშ ნაშინ (ოცარცე). ნაშენი, ნაშინი (მეგრ.) "განაშენებული ადგილი, ჩვეულებრივ, ბაღ-ვეახი".

ნაშინი – ერქვა მინდორს წკვიბღალის ნაპირას (თაგილონი).

ნაშინიშ ჩაი – ჩაის ფართობი ნაშინში (თაგილონი).

ნაშხურ "ნაცხვარალი" (მეგრ.) – მინდორი ღალხუმლის მარჯ. მხარეს (ჭუბურხინჯი).

ნაჩაი - 1. სახნავი საძაძუოში (მ. ოტობაია); 2. სახნავი კეიშსა და ქორთუშ ღალს შუა (რეჩხი); 3. საძოვარი ფართო ღალთან. ინფ.: "ერქვა ნაფერმ. ჩაი დარგეს და არ გაიხარა" (ქვიშონა).

ნაჩამჩირ – იხ. ნა(ო)ჩამჩირ.

ნაჩეხა – მორევი ნიშონზე (ზ. გალი). (გო)ჩიხუა (მეგრ.) "მდინარის გადაკეცლვა და დატბორვა, დაგუბება" → ნაჩიხა, ნაჩეხა, ნაჩხა.

ნაჩიხა "ნატბორი, ნაგუბი" (მეგრ.) – 1. საბანაო სიდაწყარზე (საბუთბაიო); 2. მორევი აკვარიქვაზე (აკვარიქვა).

ნაჩიხაშდუდი – 1. მორევი მორინჯეზე (ნახინგუ); 2. მინდორი თომის ნაპირას, წისქვილის არხის სათავესთან (ლეკუხონა); 3. მორევი რეჩხიწყარზე. ვარ.: ტკილიშ ტომბა (რეჩხი).

ნაჩიხაშ ობონუე – საბანაო ქირზე (საბჭოთა ჩაი).

ნაჩხა – 1. მორევი ოჭოლორეზე. ვარ.: ჩანთაშ ნაჩხა. ინფ.: "ჩანთა ემხვარს გადაუხიდავს მდინარე" (ხუმენი-ნათოფური); 2. მორევი ოჭოლორეზე. ვარ.: პეპუშ ნაჩხა (რეფი-ეწერი); 3. მორევი ერისწყალზე, სადაც წისქვილის არხის სათავეა. ვარ.: მარღანიეფიშ ნაჩიხა (მახუნჯია). ნაჩხა ← ნაჩიხა (იხ.).

ნაცალა – მინდორი ხუმლაღალის მარჯ. მხარეს. ინფ.: "რუსის ჯარს გაუთიბავს ცხენებისთვის. მერე დარჭმევია" (სიდა). ნაცალა (მეგრ.) "ნათიბი (ადგილი); თივა".

ნაცალაშ ონტყოლაშე – ტლაპო ნაცალაში (სიდა).

ნაცალაშ სუკი// ნასოლაშ სუკი – სერი კოლოშანის მარც. მხარეს (ფშაური, წარჩის თემი)

ნაცამეტ – საბანაო ხუმუშქურზე, რკინა-ბეტონის ხიდთან (საშამუგიო). ცამეტი (მეგრ.) ← цемент "ცემენტი"

ნაციტრუს – სახნავი ღვაღულის ნაპირას (ოკვინორე, განახლების თემი). აქ ყოფილა ციტრუსის (ტრიფოლიატის) სანერგე. შდრ. რუს.: цитрус "ციტრუსი".

ნაციც(უ) – უბანი ლიოს მარჯ. მხარეს (სუკი).

ნაც(ც)მერი//ნასმერი – ფერდობები კვლის მარც. მხარეს, ნაჯიხის კალთაზე (ღვაშგვერდი). 1886 წელს იყო სოფელი, ერქვა ნაციმერი და შედიოდა საბერიოს თემში. საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის პირველ გამოცემაში (1930 წ.) საბერიოს სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელთა შორის დასახელებული ნაძმარი ალბათ ამ ნაციმერს გულისხმობს. ხალხ. ეტიმოლოგიით, აქ მოსახლენი დაღუპულან და ამიტომ დარქმევია ნაციმერი (ციმა "დაღუპვა" → ნა-ციმ-ერ-ი "დაღუპული"). სინამდვილეში ნაცმერი ქართული "ნათლისმცემლის" მეგრული ვარიანტია (ხშირად გვხვდება სამეგრელოს ტოპონიმიაში).

ნაწიარი – 1. ერქვა ენგურის ტოტსა და სახნავს (თაგილონი); 2. გოხორგილის შენაკადი. ვარ.: ნაინგგრ (რამი). ნაწიარი, ნაწიორა (მეგრ.) "ნაწვიმარი წყლის ვიწრო სადინარი ველზე"; "მდინარის ვიწრო ტოტი, არხი".

ნაწიორა//ნაინგგრიშ ნაწიორა – ღელე. უწინ ენგურის არხი უნდა ყოფილიყო (ფიჩორი).

ნაწისქვილ "ნაწისქვილარი" (მეგრ.) – 1. ოქუმწყარის მარჯ შენაკადი (ბულიშხინჯი, აჩიგვარა); 2. სახნავები ოქუმიშ ნოყელის

ნაპირებზე (საბულისკერიო, ოქუმის თემი); 3. დავაკება კეიშის ნაპირას. ვარ.: წისქვილიშ რზენი (რეჩხი) და სხვ. მრ.

ნაწყარ – 1. ენგურის რიყის ნაწილი, რომელიც უწინ წყლით ყოფილა დაფარული (ზენი, ნაბაკევის თემი); 2. მინდორი კეიშის ნაპირას (ფართოღალი, ღუმურიშის თემი) და სხვ.

ნაწყარი//ნაკვათა – საძოვარი ნაარხალთან, ოქუმის მარჯ. მხარეს (პ. გუდავა). ნაწყარი (მეგრ.) "სადაც უწინ წყალი იდგა, ან წყალმა გადაიარა"; კვათუა (მეგრ.) "ჭრა (ტყისა), კაფვა (ჯაგნარისა); გაჭრა (არხისა)" → ნაკვათა (ამ შემთხვევაში: რაც გათხარეს, ე.ი არხი, თხრილი).

ნაწყურგელ//ნაწყურგილ "ნაწყაროვალი" (მეგრ.) – ერქვა მინდორს ტობასა და საგითოლენდიოს შუა (სიდა).

ნაწყურგილ – 1. წყარო ნაკარღალის ნაპირას. ამჟამად სასმელად არ ვარგა, ალბათ ამიტომ დარქმევია "ნაწყაროვალი" (ნაკარღალი); 2. იხ. ნაწყურგელ.

ნაწყურგილიშ ჩაი – ჩაის ფართობი ნაწყურგილში (სიდა).

ნაჭადი – სახნავი პ. აკვაღის საზღვართან (ჭყონხუმლა). ნაჭადი (მეგრ.) სიმინდის აღების შემდეგ საძოვრად გაშვებული ადგილი. ფრაზეოლოგიზმი: ნაჭადის გიაწაკინდესია დო კოჩი დოყვილესია ("ნაჭადის გამო წაიკიდნენ და კაცი მოკლესო". იტყვიან, როცა დავა უმნიშვნელო რამის გამო მიმდინარეობს).

ნაჭაკ – მინდორი მარქვალიშგურის ნაპირას (საბჭოთა ჩაი); 2. მინდორი ოქუმის რიყეში (სამელაიო). ჭაკი მეგრულშიც ჭაკია.

ნაჭანდარი "ნაჭადრალი" (მეგრ.) – მინდორი საბენდელიანოში (თაგილონი).

ნაჭარხალღალ "ნაჭარხლევის ღელე" (მეგრ.) – წკვიბღალის ზემო წელი (თაგილონი).

ნაჭვი – 1. ტყე ალენის მარჯ. მხარეს (ბოკვეთი); 2. მინდორი, ნაჭვავარი საშონიოში (რეჩხი); 3. მინდორი ილორგანის მარჯ. მხარეს. ვარ.: ნაჭუ (ოხურეი, ილორის თემი). მეგრულში ნაჭვი, ნაჭუ აღნიშნავს ნაჭვავარსაც და ნარუჯალ-ნატუსალსაც.

ნაჭ(ვი)უ "ნაჭვავარი" (მეგრ.) – ბუჩქნარი სათანჯოს კალთაზე (დიხაზურგა).

ნაჭიშკარ – 1. მინდორი ნააფხაზურუს კალთაზე. ვარ.: ალესიშ ნაჭიშკარ. ინფ.: "ტყე იყო შემოღობილი და ჭიშკარი ჰქონდა" (მზიური); 2. გზისპირი ოქუმწყარის მარჯ. მხარეს (მ. გუდავა).

ნაჭიშ ოჩაიე – ჩაის ფართობი სადარსანიოში. ნაჭი ჩაის მკრეფავ ქალს ერქვა (შაშიკვარა).

ნაჭკადგრ (← ნაოჭკადგრ ← ოჭკადგრე "სამჭედლო") – მინდორი საკიკორიოში (ჩხორთოლი).

ნაჭკგრა – 1. ტყე საშონიოში. სახნავად გაუკაფავთ (თხინაშკარი); 2. სოხუმ-ზუგდიდის საავტომობილო გზის მონაკვეთი. ვარ.: შორშე (კოხორა, გალი, ჭუბურხინჯი...). ჭკირუა მეგრულში ზოგადად ჭრას აღნიშნავს: ტყაშ ჭკირუა "ტყის ჭრა, კაფვა"; შარაშ ჭკირუა "გზის გაყვანა" → ნაჭკგრა..

ნაჭუ – იხ. ნაჭვი, ნაჭ(ვი)უ.

ნაჭუკუ – სახნავი ნიშონისა და ამუშკვარის შესართავთან (ზ. გალი). ინფ.: "ჭუკი (თაგვი) იცოდა და იცის ახლაც"

ნაჭყა დიხა "ნაწყევლი მიწა" (მეგრ.) – სახნავი. ვარ.: ლაგურვანძეშ ნოხორი (ჩხორთოლი). ინფ.: "ვიღაცას დაუწყევლია, ვინც აქ დასახლდეს, არ გაიხაროსო".

ნაჭყებია რჰაბლა//სანაჭყებიო – ნაჭყებიების უბანი წიფ იკვარასა და საფაჩულიოს შუა (კაციჰაბლა).

ნახალოვკა//რუსეფიშ ხუტორი– უბანი ზღვის ნაპირას, სადაც ომის დამთავრების შემდეგ რუსებს თვითნებურად გაუკაფავთ ჯაგნარი და დასახლებულან (ნაგვალოუ) შდრ.: нахаловка "ნაძალადევი" (უნებართვოდ, თვითნებურად გაშენებული).

ნახარდან – მინდორი საჯობის სერზე (რეჩხი). ინფ.: "ახარდამა ლასტი (კარგი სიმინდი) იცოდა აქ". საერთოდ, მეგრულში ხარდანი ყურძნის ჯიშსაც ეწოდება და ტალავერსაც.

ნახატდიხა – სახნავი სათანჯოს კალთაზე (დიხაზურგა). ინფ.: "ამ მიწის გამო ძმები ერთმანეთს წაეკიდნენ და მიწა ხატს გადასცეს".

ნახახუ – ხევი, ფერდობები საჯონჯუოსა და წიმდა ბარბალეს შუა (ოცარცე).

ნახაჯი "ნაცერცვალი" (მეგრ.) – სერი ოქუმის მარჯ. მხარეს (ნახინგუ).

ნახაჯიშ ონტყოლაშე – ტლაპო ნახაჯის კალთაზე (ნახინგუ). იხ. ონტყოლაშე.

ნახვამ (← ნაოხვამ) – 1. ბორცვი გოგოხიაშ ღალის სათავესთან (კოხორა); 2. იხ. ნა(ო)ხვამ.

ნახვამუ – ბორცვი, სასაფლაო სამიქიოში (ოცარცე).

ნახვამსუკი – ბორცვი ზ. ცხირის საზღვართან. აქ ნაეკლესიარი არაა, მაგრამ დგას ურთხელი, რომელზეც ჩასობილია რკინის ბოძალი. ესაა ხატზე გადაცემის ადგილი (დიხაზურგა, ჭყონხუმლა).

ნახვამწყურგილი//ცუმჰაშ ოხვამური – წყარო ნა(ო)ხვამთან (ახეცარა). ინფ.: "გვალვისას ამ წყაროსთან სრულდებოდა წვიმის მოსაყვანი რიტუალი, ანუ ცუმჰაშ ხვამა".

ნახვარცამ – სახნავები სუკის საზღვართან (ილორი). გადმოცემა: "ხვარცამი (ე.ი. მუნიანი) ხალხი შესულა ტყეში, იქ გაშიშვლებულან და წამალი წაუსვამთ, ბოლოს წყაროზე დაბანილან, ჩაუცვამთ და გამოსულან. სწორედ იმ ტყისა და წყაროსათვის დაურქმევიათ ნახვარცამ". ხვარცამია გვარი იყო.

ნახინჯ//ცაქაშ ნახინჯ – ნახიდარი ერწყარზე, ცაქაშ წისქვილთან (ტოგონი).

ნახიტოუ – სოფელი. 1886 წ. შედიოდა მუხურის თემში.

ნახონა "ნახნავი" (მეგრ.) – ფერდობები საროდონაიოში (რეჩხი).

ნაჯამპუ "ნათუთარი" (მეგრ.) – იხ. ოჯამპე.

ნაჯარგვალ – 1. ტყე-ჭაობნარი ოხურეის მარჯ. მხარეს (ნაგვალოუ). ინფ.: "ჯა რგვალი, ანუ მრგვალი ხეები, იყო დაწყობილი რკინიგზის ლიანდაგისათვის, რომლითაც ზღვისპირას გაჰქონდათ ხე-ტყე"; 2. ჩაის ფართობი თაყსა და ნაკარღალს შუა, სადაც პატარაიას ედგა ჯარგვალი (მეგრ.) "ძელური ქოხი". ვარ.: პატარაიაშ ნაჯარგვალ (ნაკარღალი).

ნაჯგუ ინხართა "ნაჯგუს სამოსახლო" (აფხ.) – ხეხილნარი აყვარაშის მარც. მხარეს (აყვარაში, ფოქვეშის თემი).

ნაჯვარუ – სახნავი სამიქიოში, ზორმახანის ნაპირას (ოცარცე).

ნაჯიმონი – იხ. ლაჯიმონი.

ნაჯიმსუკი – იხ. ლაჯიმონი.

ნაჯიხ "ნაციხარი" (მეგრ.) – 1. ბორცვი, ნაციხარი აბაზის სათავესთან. გადასაცქერის ერისწყლის ხეობას. გაჰყურებს სათანჯოსა და ბედიის ნაციხრებს (ზ. ცხირი); 2. ტყე ნაგიძუში, სადაც უწინ ციხე-კოშკი მდგარა (ზარწუფა); 3. ბორცვი, ნაციხარი ენგურ-კილის წყალგამყოფ სერზე. ვარ.: ხაზალიაშ ჯიხა (ღვაშგვერდი) და სხვ. მრ.

ნაჯ(ი)ხეუ – 1. ნაციხარი, სახნავი წყურგელის მარჯ. მხარეს (ჩხორთოლი); 2. იხ. ნარჯხეუ.

ნაჯიხი//ხაიაშ ნაჯიხი – ძველი სასაფლაო საქირიოში, ხაიის ნაპირას (ზენი, ჭუბურხინჯის თემი).

ნაჯიხიშ ნაოხვამ – იხ. ნაოხვამ.

ნაჯიხურ – მთა, ტყე ღუმურიშ-ოჭაკის გზაზე (მთა).

ნაჯიხური//ნაჯუხური "ნაციხარი" (მეგრ.) – ბორცვი აქცდგრაში (რეჩხი).

ნაჯიხურუ//ძვიბალიშ ნაჯიხურუ – ტყე ცქვირაშ ნაკარუსა და ნუზუშ ნაკვათას შუა (მთა). ინფ.: "აქ მდგარა ჯიხური – მწყემსის ჯარგვალი". ძვიბალი პირსახელია.

ნაჯუხური – იხ. ნაჯიხური.

ნაჰარბეიშ ფარყი – იხ. ესმაშ ფარყი.

ნერა "მდოვრი" (მეგრ.) – 1. ღრმა, ნელი დინება მალეში (ნაბაკევი); 2. ხურჩის მონაკვეთი, სადაც წყალი ღრმაა და მდოვრი (ნაბაკევი).

ნეძ(ი)ფარა "ღრუ კაკლის ხე" (მეგრ.) – 1. ღელე და მისი ხეობა. იწყება ეისურის ძირას (მ. კოპიტი); 2. ბუჩქნარი საჯინჯოლიოში (ფართონოხორი).

ნეძონა "კაკლიანი" (მეგრ.) – სახნავი საკეკუოში (ქვ. ღუმურიში); 2. ტყე კეიშის მარც. მხარეს (რეჩხი); 3. ბორცვი წკელკარში (ხოლე) და სხვ. მრ.

ნეძონი – 1. სახნავი ოხოჯის მარჯ. მხარეს (ბედია); 2. სახნავი მორინჯის ნაპირას (ნახინგუ) და სხვ.

ნეძონღალ – წიფრონღალის მარც. შენაკადი (კოხორა).

ნეჯხეუ – იხ. ნარჯხეუ.

ნიკოშ ნადოხორ – სახნავი ენგურის ნაპირას (ზენი, ჰუბურხინჯის თემი).

ნიკოშ ნარჯს – მინდორი ენგურის მარც. მხარეს (ზენი, დიხაზურგის თემი). "ნიკოს ეკუთვნოდა და რუსი სამხედროები იდგნენ".

ნიკოშ რთხინა – იხ. რთხინა.

ნიკოშ ჰველონი – იხ. ჰველონი.

ნიშიშ წისქვილი//პეტრეშ წისქვილი – ერქვა წისქვილს ენგურზე (მ. ოტობაია). ნიში (მეგრ.) "ნავი". პეტრე ანჩბაიას აქ წისქვილი ჰქონია გამართული მოტივტივე ნავებზე. იხ.: პეტრეშ საგანო.

ნიშონი – მდინარე, ერისწყლის მარჯ. შენაკადი (პ. შეშელეთი). იწყება ღუმურიშში (სადაც აქვს ორი მდგენელი: დიდი ნიშონი, ჭიჭე ნიშონი), შემდეგ იერთებს საწისქვილე არხს, რომლითაც სამელაიოდან არის გამოყვანილი ოქუმწყარის წყალი. მდინარე გაივლის სამქვარს, პ. გალს, ლეკუმხარას... ხანდაზმულ სამურზაყანოელთა

განმარტებით, ნიშონი არის სანავე, ე.ი. ნავის სადგომი, ნავის დასაყენებელი ადგილი.

ნიჩვაშ ნაკარ – იხ. ნიჩვაშ ნაღუქელ.

ნიჩვაშ ნაღუქელ//ნიჩვაშ ნაკარ – მინდორი კოქკეკეს სათავესთან (მთა). ნიჩვა პირსახელია. იხ. აღუქელა, ნაკარ.

ნობაკი – იხ. ნაბაკევი.

ნოისგრი "ნაისლევი" (მეგრ.) – მინდორი ფშაურიშ ღალის ხეობაში (ფშაური, ბედიის თემი).

ნოღო – 1. ხევი საქარდოში (მახუნჯია); 2. უბანი ერისწყლის მარჯ. მხარეს (სამქვარი). ნოღო მეგრულში აღნიშნავს ჩავარდნილ ადგილს, ხევს. შდრ. ი. ყიფშიძე: "ნოღო – მდინარის ტოტი".

ნოღოშ ღალ – ერისწყლის შენაკადი. გაივლის ნოღოს (მახუნჯია).

ნოყელინგგრი//ნოყელწყარი – ენგურის ტოტი (ზარწუფა). ნოყელი (მეგრ.) "ტოტი (ხისა, მდინარისა, შარვლისა)".

ნოყელოჯოღორე//ჭიჭე ოჯოღორე – დიდი ოჯოღორის მარჯ. ტოტი (რეფი-ეწერი, გინძე ეწერი).

ნოყელწყარი – იხ. ნოყელინგგრი.

ნოყუნეი (ნაყანევი" (მეგრ.) – სახნავი სიდაწყარის ნაპირას (საშამუგიო).

ნოჩოშ ნაისგრ "ნოჩოს ნაისლარი" (მეგრ.) – მინდორი ერისწყლის ნაპირას (ხოლე). ნოჩო პირსახელია.

ნოხორი "ნასახლარი" (მეგრ.) – მინდორი კეიშიშ სანაყოფიოში (ცხირი). ინფ.: "აქ ესახლა ნაყოფიების წინაპარი ლამწვიში – გუდაუთიდან ჩამოსული აფხაზი" (ცხირი).

ნოხორიეფი "ნასახლარები" (მეგრ.) – საძოვარი ლიოს სათავეებთან (სუკი).

ნოჯიხი "ნაციხარი" (მეგრ.) – 1. ნაეკლესიარი გვანჭაში. შემორჩენილია კედლები (წარჩე). ინფ.: "აქაა დაკრძალული მეფის შვილი, რომელიც გამზრდელს – ანჩიბაიას, არ დაუტირია. ამიტომ დედოფალს დაუწყევლია ანჩბაიები: არც აშენდეთ და არც გაწყდეთ, შემოსული კაცი კი გამრავლდესო". ფაქტობრივად, აქ იყო ე.წ. მაფაშ ოხვამე ("მეფის ეკლესია") – XII-XIV სს. საეკლესიო კომპლექსი (იხ. ქსე, ტ. 11, გვ. 300, წარჩე); 2. ბორცვი ნაციხარით ნიშონის მარჯ. მხარეს (ქვ. ღუმურიში).

ნოჯიხი//ჩქოტუაშ ჯიხა – ნაციხარი პ. ოტობაიის საზღვართან (ოკვინორე, განახლების თემი). ინფ.: "თურქების გაშენებული იყო და დაარღვიეს, ქვა გამოიყენეს. ჩქოტუა კი აქვე ესახლა".

ნოჯხეუ – იხ. ნარჯხეუ.

ნოჯხეუშ აკუდელი – გორა, ნოჯხეუს დაბალი განშტოება ქოღეის სათავესა და ოტაფის ზემო წელს შუა (ნარჯხეუ). აკუდელი (აფხ.) ← კუდელი (მეგრ.) "კუდი".

ნუზუშ ნაკვათა "სადაც ნაძვი მოჭრეს" (მეგრ.) – ტყე ნაჯიხურუსა და გვალაიას შუა, სადაც უწინ დიდი ძველთაძველი ნაძვი მდგარა და მერე მოუჭრიათ (მთა).

ნკაკლს – ფართო მინდორი სალაცბაიოსა და საახვლედიანოს შუა (აგვავერა).

ნხბწახბწ//საბულისკერიო – ბულისკერიების უბანი მთისძირებში. შედგება ორი სიტყვისაგან: ნხბწ "გადაღმა" (აფხ.), სადაც ცხოვრობენ ნხბწარეფი, და ახბწ "გადმოღმა" (აფხ.), სადაც ცხოვრობენ ახბწარეფი. შუაშია სერი ოფსქალე (საბულისკერიო, ოქუმის თემი).

ო

ოატამე//ატამონი – სახნავი ენგურის მარჯ. მხარეს (ზენი, დიხაზურგის თემი). ← ატამა (მეგრ.) "ატამი".

ობამბაყე – 1. ბორცვი საგვაძაბიოში (მიშველი); 2. საბალახო მორინჯის რიყეში. ვარ.: ჯოგონიშ ობამბაყე (ნახინგუ); 3. სახნავი გაბარზე (მუხური). ბამბე, ბამბაყი (მეგრ.) "ბამბა".

ობამბაყეშ ტომბა – მორევი მორინჯეზე, ობამბაყესთან (ნახინგუ).

ობარჩხალაია//გონდეხეშ წყურგილი – წყაროა საქეცბაიოში (ზ. გალი) ინფ.: "აქ ესახლა გონდახე, ქეცბაიას ქვრივი". ობარჩხალაია (მეგრ.) "ჩანჩქერად ჩამომავალი წყალი". შდრ.: ობარჩხალაია – ჩახჩახა, კაშკაშა, ქათქათა (ო. ქაჯაია).

ობარცხელონი – იხ. ბარცხენი.

ობარხალაია – 1. წყალვარდნილი მენჯღალზე (ზ. ცხირი); 2. ერისწყლის მარჯ. შენაკადი. ერთგან აქვს 5 მ. სიმაღლის წყალვარდნილი. მის ძირასაა მორევი ობარხალაიატომბა (ლეკუხო-

ნა); 3. წყარო ყვანჯარაში. გადმოედინება 2 მ. სიმაღლიდან (რეჩხი); 4. წარჩის სათავე (ჩხორთოლი) და სხვ. მრ. ობარხალაია (მეგრ.) "სწრაფად და ჩხრიალით მიმდინარე წყალი". შდრ.: ბარხალი - ბრახუნი, ბრაგუნი (ო. ქაჯაია).

ობარხალიატომბა – იხ. ობარხალაია.

ობარხალაიაღალ – ოკვინორეღალის მარჯ. შენაკადი (ზარწუფა, ოკვინორე ოტობაიის თემისა).

ობარხალაიაშ ღალ – ერწყარის მარჯ. შენაკადი სატაბაღუოში (საბერიო).

ობაჯარონი – მინდორი შაშიკვარის მარც. მხარეს (ხუმუშქური). ← ბაჯარი (მეგრ.) "შალაფა".

ობერწულე "ბროწეულნარი" (მეგრ.) – ფერდობი გენოხში (მიშველი).

ობზაკალონი "ბზანარი" (მეგრ.) – 1. ბზანარი ოქუმწყარის მარჯ. მხარეს (მ. გუდავა); 2. ტყე აბაბჟარასთან (მთა).

ობინეხე//ნაბინოხ - ხეხილნარი საკილანოში (მ. შეშელეთი). ბინეხი, ბინოხი (მეგრ.) "ვაზი; ვენახი". ობინახე "სავენახე, ვენახის ადგილი".

ობორიესუკი "საქარე სერი" (მეგრ.) - ბორცვი, უბანი. გადასცქერის ჩეღალის ხეობას (ფართონოხორი).

ობრიშ ოგვაჯე "ორბის ბუდე" (მეგრ.) – ტყე ოხურეის მარჯ. მხარეს, სადაც დიდი თელის კენწეროზე ორბს ჰქონია ბუდე (ნაგვალოუ).

ობულონა//ვანიაშ (ო)ბულონა – სახნავი სააქბარდიოში (ქვ. ღუმურიში). ბული (მეგრ.) "ბალი" (მცენარე და მისი ნაყოფი).

ობურღონი – სახნავი სამანიოს ქვემოთ (ლეჭარაიე). ბურღი (მეგრ.) "ბუერა".

ობშინა – ტყე-საძოვრები ისორათსა და დიხაგუძუბას შუა (ნაჭკადუ). ინფ.: "იყო ობში, ანუ საერთო სარგებლობისა". შდრ. რუს.: общий, община, общинный.

ობგგგძგრე "შინდნარი" (მეგრ.) – ტყე სათანჯოს კალთაზე (ოცარცე). ა-ბგგძარ (აფხ..) → ბგგგძგრ (მეგრ.) "შინდი" (ხე).

ოგვაჯეღალ – ყოჭელის მარჯ. შენაკადი საუბილოში (მზიური). ოგვაჯე მეგრულში საბუდარია, გვაჯატყა კი ერთგვარი ბალახია.

ოგვიმარონი "გვიმრნარი" (მეგრ.) – ერქვა ჯაგნარს ხუმუშქურის საზღვართან. ამჟამად ჩაის ფართობია (სიდა).

ოგუ(გუ)ლე//გუგულიშ სუკი – სერი ოხოჯესა და ობარხალაიას შუა (ბედია, ახეცერა). ინფ.: "იქ ყოველ გაზაფხულს გუგულის ხმა ისმოდა".

ოგგრგნე "სავირე" (მეგრ.) – 1. ჭიჭე ყოჯელის მონაკვეთი საკვეკვესქიროში, სადაც ღელისპირებზე ვირების საძოვარი იყო (შაშიკვარა); 2. ტყე ხუმენში (ხუმენი-ნათოფური).

ოგგრგნელალ – 1. აბდაჰარის შენაკადი. გადის ოგგრგნედან (ხუმენი-ნათოფური); 2. ქირწყარის მარც. შენაკადი გაბარში (ნაბაკევი).

ოგგრგნე შარა "სავირე გზა" (მეგრ.) – ნაგზაური საჯიგანიოში (ფშაური, წარჩის თემი).

ოდაფე – 1. ფერდობი თომის სათავესთან (ჟირღალიშქა). ინფ.: "აქ ერთ დროს თავადიშვილ ნიკო ჩქოტუას გაუშენებია დაფნა"; 2. იხ. ნადაფ.

ოდესა – იხ. ადესა.

ოდიღალი – ოხოჯის შენაკადი (წარჩე).

ოდიხაჭუბერე – 1. ტყე წარჩის ხეობაში (წარჩე); 2. ტყე ხუმენში (ხუმენი-ნათოფური); 3. ტყე გინძე ეწრის საზღვართან (ტოგონი) და სხვ. დიხაჭუბერი (მეგრ.) "თეთრი მიწა; თავსაბანი ან საგოზავი მიწა, მწვანე ან მონაცისფრო".

ოზამათიშ აკვარა – ოხოჯის მარჯ. შენაკადი (ოხოჯა). ოზამათი პირსახელია. იხ. აკვარა.

ოზანიში – 1886 წელს სოფელი ოზანიში შედიოდა საბერიოს თემში. შესაძლოა, იგულისხმებოდა აზანიში (იხ.)

ოზორმეხენა//ოზორმეხონა "ძმერხლნარი" (მეგრ.) – ენგურის მარჯ. შენაკადი. იწყება საგამსახურდიოში (ოცარცე).

ოზორმეხონა – იხ. ოზორმეხენა.

ოთიფურე "სათიბარი" (მეგრ.) – მინდორი ბეკეშსა და ოხაჩქუეს შუა, ღლოკირწყარის სათავესთან (მთა).

ოთუნთე "სადათვე" (მეგრ.) – ტყე საგამახარიოში. იყოფა ნაწილებად: ბერანძეფიშ დიხა, იზორიეფიშ დიხა, ჩხაპელიეფიშ დიხა, ელიეფიშ ნადიხ, როგეფიშ ნადიხ და სხვ. (ქვიშონა).

ოთუნთეღალ – ღელე. გადის ოთუნთედან (ქვიშონა).

ოთუთუმე – 1. სახნავები ოქუმწყარის მარჯ. მხარეს (ფუწყური, აჩიგვარის თემი); 2. სახნავი ოჯოღორის ნაპირას (რეფი-ეწერი). თუთუმი (მეგრ.) "თუთუნი, თამბაქო".

ოთულე "საგოჭე" (მეგრ.) – ტყე ჭიჭე ერწყარის მარც. მხარეს (გინძე ეწერი).

ოთხირე "თხილნარი" (მეგრ.) – 1. თხილნარი ჭიჭე დიხაგუძბის გვერდით (ტოგონი); 2. ბუჩქნარი საჯობაში (რეჩხი); 3. მინდორი აჭაფარის კალთაზე (სამელაიო).

ოთხირონი "თხილნარი" (მეგრ.) – ტყე ოისკრეში, მ. კოპიტის თავზე (მთა).

ოთხი შარა ეიორთუ "ოთხი გზის გასაყარი" (მეგრ.) – გზათგასაყარი ყვანჯარაზე (რეჩხი).

ოთხოზორიეფიშ მხარე "ოთხოზორიების მხარე" (მეგრ.) – ერქვა უბანს ჭითაფონის ნაპირას (საბჭოთა ჩაი).

ოისგმეშ თორსა – იხ. თორსა.

ოისკრე "საისლე" (მეგრ.) – 1. ერქვა ბუჩქნარს ღალხუმლის ნაპირას. შემდეგ ანდრომ ციტრუსოვანი გააშენა და ეწოდა ანდროშ ომანდარინე (მახუნჯია); 2. დაბალი მთა, რომელიც მოსდევს ჰარუას (მთა, ზ. ღუმურიში); 3. იხ. ნაისკრ; 4. იხ. აისკრრა და სხვ.

ოისკრეშ გორგალი – იხ. გორგალი.

ოკამბეშე "საკამეჩე" (მეგრ.) – ტყე, ორკეშის ტოტი ხუმენში (ხუმენი-ნათოფური).

(ო)კაჭარონი//აკაჭარა – ერქვა ტყეს ზღვისპირას. ამჟამად საკარმიდამოებია (ნაგვალოუ). კაჭარი (მეგრ.) ჭაცვიანი ხეა, ზღმარტლს ჰგავს. იხ. აკაჭარა.

ოკვანწილაია ხინჯი – იხ. ბონდილი ხინჯი.

ოკვინორეღალი – იხ. ოკვინორეწყარი.

ოკვინორეშ ტყა – ტყე ოკვინორეწყარისა და გაგიდაწყარის ნაპირებზე. იყოფოდა: არაჰამიეფიშ ნაკარუ, გჳთოლენდიაშ ნაკარუ, მათეიაშ ნაკარუ, მაქსმეშ ნაკარუ, როზდანიშ ნაკარუ... (ოკვინორე, გაგიდა, გინძე ეწერი).

ოკვინორეწყარი//ოკვინორეღალი – გაგიდაწყარის მარც. შენაკადი საშონიოში (ერთვის დიდ ბულაზთან, მარაჭის შესართავის ქვემოთ). იწყება ნაგიძუში (ზარწუფა, ოკვინორე, გაგიდა).

ოკიბოიანაწისქვილ – მინდორი ოკიბოიაღალის ნაპირას (ფართონოხორი).

ოკიბოიაღალ – ღალხუმლის შენაკადი (ფართოღალი). ოკიბოია, ოკიბოლ (მეგრ.) "საკიბოვე (ადგილი)". შდრ. კიბოიაღალ.

ოკიბოლიაღალ – იხ. კიბოიაღალ.

ოკიბოლღალ – თორხულის შენაკადი (ზენი, ნაბაკევის თემი)

ოკირეში "საკირისი" (მეგრ.) - ნასაკირალი რზენიშ ოხვამეს-თან (ზენი, ჭუბურხინჯის თემი).

(ო)კოპეშიონა - ბუჩქნარი საბერიოს საზღვართან (სამარჭვა-ლო). საქართველოს სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობა-რის მიხედვით (1930 წ.) საბერიოს სას. საბჭოში შედის სოფელი კაპეშიონა. ალბათ წინამდებარე კოპეშიონა იგულისხმება. კოპეშია მეგრულში აღნიშნავს კვახს, გოგრას და სამურზაყანოში კვახის მსგავს ველურ მცენარესაც, რომელიც აქ უხვად ხარობს.

ოკორწოხულე "საკოწახურე" (მეგრ.) – ტყე ცორკის ნაპირას (ნაგვალოუ).

ოკოტახილი – იხ. აკოტახილი.

ოკუეწყარი – ოჯოლორის ტოტი ნაბაღლონ'ში, სადაც კუ სცოდნია (რეფი-ეწერი).

ოკურდღელე – იხ. ჭველონი.

ოკ(გ)ნორე – იხ. ოკვინორე.

ოკნტკრე "საკიტრე" (მეგრ.) – სახნავი თომპიჯ'ში (ჟირღა-ლიშქა).

ოლაკაცია – აკაციის ტყე საკვიწინიოში (პატრახუწა, აგუბე-დიის თემი). ლაკაცია (მეგრ.) "აკაცია".

ოლაკაციე – მინდორი ოქუმის რიყეში (სამელაიო).

ოლაკაციონი - ბორცვი, ტყე ოხოჯის მარჯ. მხარეს (ოხოჯა).

ოლებე – 1. ტლაპო ნიშონის მარც. მხარეს (ქვ. ღუმურიში); 2. ჭეჭყობი ხუმუშქურის ნაპირას (პ. აკვაღა); 3. ტლაპო ცხიმურძაგაში (ჟირღალიშქა) და სხვ. იხ. აგრეთვე: ჭყოჭყონი, ლები. ოლებე ის ადგილია, სადაც მოიპოვება ლები (მეგრ.) – ერთგვარი საღებავი მიწა, რბილი, შავი ან მოლურჯო ფერისა.

ოლებიე//ოლებიეშ სუკი – სერი კეიშსა და ხუშაშ ღალს შუა (ფართოღალი). ინფ.: "მშრალი ადგილია და ლობიოს თესდნენ". ლებია (მეგრ.) "ლობიო".

ოლეკეტი – ღელე-ტბორი ერისწყლის მარც. ნაპირას (პატრახუწა, მზიურის თემი). ინფ.: "ოლეკეტი (მეგრ.) ველროების საზიდი მოღუნული ჯოხია, ქედზე შემოსადები. აქ კამეჩები ჰყავ-დათ, წველიდნენ და რძეს ოლეკეტებით ეზიდებოდნენ სახლებში"; "ოლეკეტი ღელე იყო, ვიწრო კალაპოტში მოედინებოდა და ამიტომ დარჭმევია. შემდეგში შიგ ერისწყალი ჩაუშვეს და სახნავები გამოათავისუფლეს"; "ოლეკეტი გრძელი ჯოხია, რომელზეც

ტვირთს გააკრავენ ან ჩამოჰკიდებენ და ორი კაცი მხრეზე გაიდებს. აქ, ერისწყლის ტბორში, დიდ-დიდ ღლავებს იჭერდნენ, ლაყუჩებში ოლეკეტს გაუყრიდნენ და მიათრევდნენ“.

ოლეფონე – ტყე-ჭაობნარი ჭიჭე ოჯოლორის მარჯ. მხარეს (რეფი-ეწერი). ლეფონი, ლიფონი (მეგრ.) “ლაფანი“.

ოლიე – ჭაობნარ-ისლნარი ჭითაწყარის მარჯ. მხარეს (გინძე ეწერი). ლია (ქართ., მეგრ.) “ტლაპო, ტალახი“.

ოლიფონე – წარჩის მარჯ. შენაკადი და მისი ხეობა (ნახინგუ).

ოლორი – ნამდინარქვი. მდინარე ოლორი ერთოდა ენგურს სოფ. ღვაშგვერდში. ამჟამად ერთვის ფახულანის (წალენჯიხის რ.) ტერიტორიაზე. ლორი (მეგრ.) თხმელის ნაპობია, რომელსაც სახურავად იყენებდნენ. ამზადებდნენ თხმელისაგან. ოლორის ხეობაში კი დღემდეა შემორჩენილი მისი კორომები. ოდანიშნულების სახელების მაწარმოებელი პრეფიქსია.

ომადენე “სამადნე“ (მეგრ.) – კლდე-ფერდობი აქჳდრაში (აგვავერა). ინფ.: “კლდე ბრწყინავს და ამიტომ უწოდებენ ომადენეს“.

ომამულონი – იხ. აქვაწარა.

ომარგულე – სახნავი საკვარაცხელიოში (ფართონოხორი). მარგული (მეგრ.) “შავი ქლიავი“.

ომაღაზე – ტყე აკარმარაში (აგვავერა). მაღაზა (მეგრ.) “სიმინდის ნალია“.

ომაჩალკე//ნამაჩალიგ – სახნავი ჯოკობის მარც. მხარეს (მ. გუდავა). მაჩალკა, მაჩალიგა (მეგრ.) “ლუფა“ ← რუს. **мочалка. мочальная тыква.**

ომბოლაკვარა – აძურუს მარჯ. შენაკადი საჩხვირკიოში (მ. გუდავა).

ომუნჩქვე “სამაჩვე“ (მეგრ.) – 1. ტყე ალენის ნაპირას (ბოგვეთი); 2. სახნავები ზღვის ნაპირზე (მ. გუდავა); 3. ტყე, ბორცვი ხუმუშქურის მარჯ. მხარეს (თხინაშკარი) და სხვ.

ომ(უნ)ჩქვეფონი – 1. ფონი ენგურზე (ვეშკუდელი); 2. ფონი ერისწყალზე (ტოგონი, რეფი-ეწერი). ომუნჩქვეფონი (მეგრ.) “სამაჩვე ფონი“ ან “სამაჩვის ფონი“ (← ომუნჩქვეშ ფონი).

ომუნჩქვეფონიშ შარი – იხ. ჯვეშ შარა.

ომუნჩქვეღალ – ელიაკვარის მარც. შენაკადი. იწყება ჭყონკაკირში (აჩიგვარა, მ. ოხურეი).

ომუნჩქონი – 1. ფერდობი აჭაფარაში (სამელაიო); 2. იხ. ანშერთრა. მუნჩქვი (მეგრ.) "მაჩვი". კრებითობის -ონ სუფიქსი იშვიათად ცხოველის სახელსაც დაერთვის.

ონახვაშე "სარეცხისი" (მეგრ.) – ტბა. ერთვის ლიო და გაედინება სქვრტგბგ (ზენი, ილორი). ინფ.: "ტბისპირას ფიცარნაგი იყო და ქალები იქ რეცხდნენ სარეცხს".

ონგვერეღალ "საგველე ღელე" – დიდკოკიშ ღალის შენაკადი (ბოკვეთი).

ონდემეღალ – ხევი, ხუმუშქურის მარც. მდგენელი (პ. აკვაღა). ნდემი (მეგრ.) "დევი".

ონეძე – კაკლნარი სარაგვოში, თომის სათავესთან (მთა). ნეძი (მეგრ.) "ნიგოზი, კაკალი".

ონიშონი "სანავე" (მეგრ.) – მინდორი ენგურის ნაპირას, საბენდელიოში. ვარ.: ნაპარონ "ნაბორნალი". აქ ბორანი აერთებდა გალიდან ზუგდიდის რ-ნის ქვემო ზონის სოფლებში გამავალ გზას, რომელსაც ერქვა "ონიშონიშ შარა//რზენიშ შარა" (თაგილონი).

ონიშონიშ შარა – იხ. ონიშონი.

ონტკაშ ოფუნაფალი "არყის სახდელი" (მეგრ.) – წყარო განაცუდუში. ამ წყაროსთან ხდიდნენ არაყს (საბერიო). მეგრ. ონტკა ← რუს.: водка.

ონტყოლაშე "ტლაპო, საფლობი" (მეგრ.) – ტლაპოს სახელები სოფ. ეწერში (ნაბაკევის თემი. აკონკრეტებენ: დიდონტყოლაშე, ჰიჰე ონტყოლაშე, ფართო ონტყოლაშე, მელიკიშ ონტყოლაშე), სოფ. სიდაში (ჰარაიაშ ონტყოლაშე, სიგუაშ ონტყოლაშე, ნალისგრიშ ონტყოლაშე) და სხვ.

ორკეში – ტყე, მდინარის შუა წელი (ხუმენი-ნათოფური). ზემო წელზე ეწოდება უზარასქუალეფიშ ღალ (რეფი-ეწერი), ხოლო ქვემო წელზე – ოკამბეშე, რაც ერთვის ოჭოლორეს სეფანეშ ნაკარუსთან (გინძე ეწერი). რიკუა (მეგრ.) "რიკ-ტაფელას თამაში" → ორიკეში "სარიკტაფელო (ადგილი)" → ორკეში.

ოროშე//ორუშე "ჩრდილიანი, დაბნელებული ადგილი" (მეგრ.) – ღრმა ხევი, ტყით დაბურული, სადაც გადის ოროშეშ ღალ, ერისწყლის მარც. შენაკადი (ხოლე, დიხაზურგა).

ოროშეშ ღალ – იხ. ოროშე.

ორსყანაძმახ "ორსყანის გუბურა" (აფხ.) – გუბე აგვავერა-ანარის გზაზე (მთა).

ორუშე – იხ. ოროშე.

ოსკვერებუდე – იხ. სქვერებ(უ)დე.

ოსქვერებუდე – იხ. სქვერებ(უ)დე.

ოსურეფიშ ნაბარა "ქალების ნაბარი" (მეგრ.) – სახნავი ნამარკილუში. ქალებს დაუბარავთ 30-იან წლებში (ცხირი).

ოსურეფიშ ობონუე "ქალების საბანაო" (მეგრ.) – საბანაო წარჩეწყარზე (წარჩე).

ოსხაპუე – 1. მორევი დიდ ერისწყალზე. ვარ.: იპოლიტეშ ოსხაპუე (მ. შეშელეთი); 2. საბანაო ერისწყალზე, ომუნჩქვეფონთან, სადაც ხტებოდნენ 8 მ. სიმაღლის კლდიდან. ვარ.: მკატახაფუშ ოსხაპუე (ტოგონი). სხაპუა (მეგრ.) "ხტომა. ცეკვა"→ ოსხაპუე 1. "სახტომი" (ადგილი, საიდანაც ხტებიან დაბლა); 2. "საცეკვაო" (ადგილი, სადაც იკრიბებიან საღამოობით ცეკვა-თამაშისათვის, საერთოდ, გასართობად).

ოსხაპური//ჯახაიეფიშ ოსხაპური – საბანაო ოქუმწყარზე (ფუწუური, წარჩის თემი). იხ. ოსხაპუე.

ოსხულონა "მსხალნარი" (მეგრ.) – ჩაის ფართობი წკვიბლალის ნაპირას (თაგილონი).

ოტაფი//ვატაფ – ღალიძგის მარც. შენაკადი და მისი ხეობა. იწყება ნარჯხეუს სერის სამხ. კალთაზე (ატიშადუ, საჩაჩხალია). თავდაპირველი ფორმა უნდა იყოს ოტოფე, რაც მეგრულში ნიშნავს სატოფე (ტობობის) ადგილს (ამ მდინარის შუა წელამდე ამოდის თევზი ქვირითის დასაყრელად). ვატაფ აფხაზურ ენაზე ადაპტირებული ვარიანტია.

ოტიაწვა – იხ. ოტიაწუ.

ოტიაწუ//ოტიაწვა – ოტაფის მარჯ. შენაკადი (ატიშადუ). ინფ.: "მდინარის სათავესთან, ნარჯხეუს გორაზე, ოქროს აკვანია დამარხული. ოტიას, თხის მწყემსს, უცდია მიკვლევა და დაღუპულა. ამიტომ დარქმევია". შდრ.: ა-წვა (აფხ.) "ვაშლი".

ოტინტილე "სახვლიკე" (მეგრ.) - ბუჩქნარი ხუმუშქურის ნაპირას (მზიური).

ოტობაია – თემის სახელი. აერთიანებს ამჟამად ენგურის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფლებს: პ. ოტობაია (თემის ცენტრი), ვეშკუდელი, ზარწუფა, მ. ოტობაია, ოკვინორე, რამი, ქვიშონა. 1886 წლის აღწერისას დაფიქსირებულია ორი ოტობაია: ერთი ზუგდიდის მაზრის კოკის თემში, მეორე – სამურზაყანოს უბნის ნაბაკევის თემში. 1930 წელს კი გალის მაზრის ოტობაიის სას. საბჭოში შედიოდა: პ. ოტობაია, მ. ოტობაია,ოქვინორე, ფიჩორი,

ქვიშონა. გადმოცემით, ენგურს ქვემო წელზე მთავარი დინება არ ჰქონია, წყალი მრავალ ტოტად დიოდა კუნძულებს შორის ტყეჭაობებში და ქმნიდა დელტას. ოტობაია სწორედ ამ ვრცელ დაუსახლებელ ტერიტორიას ერქვა ნაინგირიდან სოფ. კოკიმდე, რაც ამჟამად ენგურის მარცხენა ნაპირასაა (ზუგდიდის რ.). თანდათანობით ენგურს გადაუწევია აღმოსავლეთისაკენ და გაუჩენია კალაპოტი, სადაც დღეს მისი მთავარი დინებაა. დაუწყიათ გამოთავისუფლებული ადგილის დამუშავება, მერე გაჩენილა დასახლებანიც (იტყვიან, ოტობაიელები თოხსა და ძროხას მოჰყოლიანო). თავდაპირველად წარმოქმნილა სოფლები ჭიჭე ოტობაია//კუნთხუ ოტობაია (დღეს უბანია ენგურის მარც. ნაპირას, ზუგდიდის რ-ნის კოკის თემში) და დიდი ოტობაია (ჭიჭე ოტობაიასა და ოკვინორეს შუა). კუნთხუ ოტობაიასა და ნაბაკევს შორის ადგილს ერქვა ქვიშონა, სადაც პეტრე ანჩაბაიას აუშენებია შვიდწლიანი სკოლის შენობა. მისთვის ოტობაიის სკოლა უწოდებიათ. მოგვიანებით, ოტობაიის თემის გამოყოფის შემდეგ, ქვიშონის იმ ნაწილს, სადაც სკოლა იდგა და ერთგვარი ცენტრი იყო, უწოდეს პირველი ოტობაია, ხოლო საკუთრივ ქვიშონამ ტერიტორიულად დასავლეთით გადაინაცვლა. ამასთანავე, კუნთხუ ოტობაია მეორე ოტობაიად იქცა. მკვლევარ ვ. კვარჭიას აზრით, 1723 წელს პარიზში გამოცემულ რუკაზე ანაკლიის მახლობლად მითითებული დასახლებული პუნქტი კოტობოი სწორედ ოტობაია უნდა იყოს.

ოტობაია ამოსავალი ფუძითა და საწარმოქმნო მოდელით კოლხური (მეგრული) ტოპონიმია. ამოსავალი ფუძეა ტობა "ღრმა წყალი; ტბა". მაშასადამე, ოტობაია ტბორებიანი ადგილია (შდრ. ზ. ჭუმბურიძის ეტიმოლოგია: "ოტობაია ნიშნავს სატბეს"). სამეგრელოში რამდენიმე ჰიდრონიმიექტი ატარებს ამ სახელს. ხალხური ეტიმოლოგია: დედას სოფლის გზაზე მიჰყავდა შვილი, სახელად ოტო. ის რატომღაც გაჭირვეულებულა და ტირილი დაუწყია. დედას დაუკრეფია ბაია და უთქვამს: "ა, ოტო, ბაია".

ოტობაიაშ ოხვამე – ერქვა ეკლესიას ამჟამინდელ ზარწუფაში.

ოტობარეფიშ ნახაჩა "ოტობაიელების ნათოხნი" (მეგრ.) – ჩაის ფართობი წკვიბღალის ნაპირას (თაგილონი).

ოტორონჯელალ "სამტრედელელე" (მეგრ.) – ოკვინორელალის მარჯ. შენაკადი (ფიცარღალი, ოკვინორე).

ოტოფუ – იხ. ჩხომტოფუ.

ოტოფუე "ტობობის ადგილი" (მეგრ.) – 1. წყალმარჩხი მორინჯეზე. ვარ: პეტროშ ოტოფუე (ნახინგუ); 2. ერქვა ტამაკვარის შესართავს ერისწყალთან (ვარ.: ტამაკვარაშ ოტოფუე) და ფართოღალის შესართავს ერისწყალთან (ვარ.: ფართოღალიშ ოტოფუე//მიხაშ ოტოფუე) სოფ. ფართოღალში (ცხირის თემი); 3. ბულიშხინჯის შესართავი ოხოჯესთან (ბულიშხინჯი) და სხვ.

ოტუნგოლი – 1. ბუჩქნარი ნიშონის მარც. მხარეს (სამქვარი); 2. ბორცვი ილორგანის მარც. მხარეს, სადაც ტუნგი ყოფილა გაშენებული (ილორგანი) და სხვ. ო-ოლ ამ შემთხვევაში ტოპოწარმომქმნელი აფიქსებია.

ოტუნგონი – 1. სახნავები ხუმლაღალის მარჯ. მხარეს, უწინდელი ტუნგის ნარგავების ადგილას (თაგილონი); 2. საძოვარი საქირიოში (ნახინგუ); 3. ბუჩქნარი ობარხალაიის მარჯ. მხარეს. ვარ.: ტუნგონი (ჩხორთოლი). ტუნგი (მეგრ.) "ტუნგი" (ჩინურ-იაპონური ზეთოვანი მცენარე, რომელიც გასული საუკუნის პირველ ნახევარში მრავალგან გააშენეს დას. საქართველოში).

ოტუნგონიშდუდი – ფერდობი ოტუნგონის თავზე (ჩხორთოლი).

ოტურე ბარცხენი//ტურაშ ბარცხენი – ტყე ენწერლალის მარჯ. მხარეს, სადაც ჯაგნარში ყოველთვის ბინადრობდა ტურა (საბჭოთა ჩაი). შდრ. : ბარცხელ(ონ)ი.

ოუშქურე "სავაშლე" (მეგრ.) – სახნავი ოხურეის მარჯ. მხარეს (ნაგვალოუ).

ოფსკალე "საფუტკრე" (მეგრ.) – დაბალი სერი მუხკვარის მარჯ. მხარეს (აგვავერა).

ოფსქალე – სერი ნგხგწსა და ახგწს შუა (საბულისკერიო, ოქუმის თემი).

ოფუჯე "საფურე" (მეგრ.) – ქვაბული, საძოვარი წყარამგვალაიასა და ოჭაკეს შუა, რეჩხი-ოჭაკის გზაზე. ორია: დიდი ოფუჯე და ჭიჭე ოფუჯე (მთა).

ოფუჯეშდუდი – მთის მწვერვალი ოფუჯესთან (მთა).

ოფში – ტუნგის ნარგავები ელაღირში (მ. კოპიტი). ინფ.: "სახნავები იყო და ყველას ჰქონდა მცირე-მცირე ნაკვეთი. ამიტომ იყო ოფში, ანუ საერთო". შდრ. რუს.: общий.

ოფშინა – ტყე ზ. ცხირის საზღვართან (მახუნჯია). ინფ.: "უპატრონო იყო და მთელი სოფელი ჭრიდა".

ოფშქერონი "შქერნალი" (მეგრ.) - ბუჩქნარი წარჩის მარც. მხარეს (წარჩე).

ოქაჯე "საქაჯე" (მეგრ.) – დაბურული ხევი საარონიოში (ხოლე).

ოქაჯეღალ – ღრმა ხევი, კკლის მარჯ. შენაკადი (ღვაშგვერდი).

ოქვაქვალაია – ლიოს მარჯ. შენაკადი ნაციცუში (სუკი). ქვაქვალი (მეგრ.) "კუნტრუში, მსუბუქად და კოხტად სიარული" გადატანილია წყლის დინებაზე.

ოქობალე – ჩაის ფართობი ერისწყლის მარჯ. მხარეს (ტოგონი). ქობალი (მეგრ.) "ხორბალი" ეწოდება ხორბლისნაირ ტყის მცენარესაც, რაც აქ ხარობდა.

ოქობალონი – სახნავები ბერეფიშ სუკზე, სადაც ხორბალი ითესებოდა (ფშაური, წარჩის თემი).

ოქოთომე "საქათმე" (მეგრ.) – ტყე ერწყარის მარჯ. მხარეს, სადაც ტყის ქათამი იცოდა (აჩიგვარა).

ოქროწყარი//ტობავარჩხილი – ასე უწოდებენ სამურზაყანოელები სვანეთში (ბაშკაფსარასა და ჩამხარს შუა) მდებარე ტბა ეგძაშრას (აფხაზური სახელწოდებაა). გადმოცემა: შემოდგომაზე ტბიდან ამოდიან თეთრი თიღები და ცხვრებს ამაკებენ. თუ მწყემსმა ხმა ამოიღო, ან რაიმე მოიმოქმედა, ცხვრები თიღებს თან ჩაჰყვებიან წყალში და დაიხრჩობიან". ამ ტობავარჩხილს ეძღვნება ომში დაღუპული ახალგაზრდა პოეტის – ვლადიმერ უბილავას - პოემა "ტობავარჩხილი". ტობავარჩხილი "ტბაცერცხლი" ვერცხლისფერი ტბის ზოგადი სახელია და სამეგრელოს მთაშიც ეწოდება რამდენიმე ტბას.

ოქროჰკადუშ ნოხორი "ოქრომჭედლის ნასახლარი" (მეგრ.) – ტყე თორხულის ნაპირას (ზენი, დიხაზურგის თემი).

ოქუალონი – იხ. აბაბჟარა.

ოქუმაბსთა – იხ. აბსთა.

ოქუმზენი – იხ. ზენი.

ოქუმი//ოქუმწყარი – სამურზაყანოს ერთ-ერთი უდიდესი მდინარე. სათავე აქვს კოდორის ქედის სამხრ. კალთაზე. მდგენლები ოქუმაბსთაში: აპაპკვარა, არაშკვარა, აბზაკვარა და სხვ. (მთა). სიგრძე 56 კმ. ერთვის შავ ზღვას ისტორიულ გუდაყვასთან (ამჟამინდელი მ. გუდავა). იხ. ოქუმი.

ოქუმური ოხვამე – ასე უწოდებენ ოქუმის ეკლესიას მეზობელ სოფლებში.

ოქუმწყარი – იხ. ოქუმი.

ოქუმწყარიშ ნოცელი – ოქუმის ტოტი – საწისქვილე არხი. ერთვის ერისწყალს ვერჩეშ ფონთან (პ. შეშელეთი). ზემო წელზე ეწოდება წისქვილწყარი (მუხური). ნოცელი (მეგრ.) "ტოტი" (ხისა, მდინარისა)".

ოღაჭუე – 1. საძოვარი ცხუკე ფერდსა და სარაგვოს შუა (ნაჯიხური); 2. ტყე საროსტობაიოში, სადაც ცხვრის საკრეჭად ადგილი ჰქონიათ გამოყოფილი (ზ. გალი); 3. ტყე ახაფალარასა და აღუცას შუა (მთა) და სხვ. ოღაჭუე (მეგრ.) "საკრეჭი" გულისხმობს ადგილს, სადაც ცხვარს კრეჭენ.

ოღეჯე "საღორე" (მეგრ.) – სახნავი თხირამღალის ნაპირას (ტოგონი).

ოღურელე – 1. ბორცვი კეიშის მარც. მხარეს (რეჩხი); 2. სასაფლაო ოქუმწყარის მარჯ. მხარეს (აჩიგვარა) და სხვ. ღურა (მეგრ.) "გარდაცვალება" → ღურელი "გარდაცვლილი"→ ოღურელე "სასაფლაო".

ოღჳლამე "საღლავე" (მეგრ.) – მორევი ერისწყალზე (მ. შეშელეთი).

ოყანჩონი "საყანჩე" (მეგრ.) – ტყე წარჩის საზღვართან (ფშაური, ბედიის თემი).

ოყაყალაია – 1. გუბე საროდონაიოში (რეჩხი); 2. იხ. ოყაყალუ. ყაყალი (მეგრ.) "ბაყაყის ყიყინი" → ოყაყალე, ოყაყალუ, ოყაყალაია "საყიყინო (ადგილი)".

ოყაყალე – ოხურეის მარჯ. შენაკადი (ოხურეი, ილორის თემი).

ოყაყალუ//ოყაყალაია – ერქვა ჰეჭყობს საპალვაშოში (ვეშკუდელი).

ოყვარანე "საყორნე" (მეგრ.) – კლდე საქარდოში (მახუნჯია).

ოყორანე "საყორნე" (მეგრ.) – 1. კლდე საჭედიოში, სათანჯოს კალთაზე (ჭყონხუმლა); 2. მაღალი კლდე ლაკადის ძირას, საიდანაც ჩამოედინება (რ)თოშის მარჯ. მდგენელი ოყორანეწყარი//ჭიჭე თოში (ჟირღალიშქა); 3. გორა აქვდგრასა და ჩეღალს შუა, სადაც მაღალ ხეზე ხშირად სხდებოდნენ ყორნები (რეჩხი, მთა) და სხვ.

ოყორანეწყარი – იხ. ოყორანე.

ოყურდგელე "საკურდღლე" (მეგრ.) – სახნავები წარჩის მარც. მხარეს (ფუწყური, წარჩის თეჩი)

ოცინაშე – ჰეჰყობი საყოლბაიოში (ჰყონხუმლა). ინფ.: "მზე ვერ აღწევს და ზამთარში აქ უფრო ყინავს, ვინემ სხვაგან". ცინი (მეგრ.) "ყინვა, ყინული; ცივი" → ოცინაშე "საყინულე; ცივი ადგილი".

ოცუმურონი "ტყემლნარი" (მეგრ.) – მინდორი ცორკასთან (მ. გუდავა).

ოცუნე "საყანე" (მეგრ.) – სახნავი ფიჩორის საზღვართან (ქვიშონა).

ოცურზენე "საყურძნე" (მეგრ.) – სახნავი ოხოჯის მარჯ. მხარეს (ფუწყური).

ოშაყარუ//გოგოხიაშ მინდორი – სახნავი ოჯოღორის მარჯ. მხარეს, სადაც მთელი სოფლის თავშეყრისა და თამაშობა-დღესასწაულების გასამართავი ადგილი იყო (რეფი-ეწერი). შაყარუა (მეგრ.) "თავშეყრა" → ოშაყარუ "თავშესაყარი ადგილი".

ოშინკოლი "სანესვე" (მეგრ.) – ჩაის ფართობი ჰიჰე ბებესირთან (ოხურეი, გუდავის თემი).

ოჩამჰონი – იხ. აჩამ(ჰ)არა.

ოჩარხალიო//ოჩხარჩხალიო – ოხოჯის მარჯ. შენაკადი (ბედია). ჩარხალი (მეგრ.) "ჩლახუნით სვლა და მისი ხმა" → ოჩარხალიო; ჩხარჩხალი "წყლის ჩხრიალი" (მეგრ.) → ოჩხარჩხალიო "ადგილი, სადაც წყალი ჩხრიალით მიედინება".

ოჩოგაშ ღალ – იხ. ოხოხუშ ღალ.

ოჩოკოჩიშ დღნახვენჯი "ოჩოკოჩის ნამყოფი" (მეგრ.) – მღვიმე დიდწიფურში (დიხაზურგა).

ოჩოკოჩიშ ცუდე "ოჩოკოჩის სახლი" (მეგრ.) – გამოქვაბული კლდეში, ჩეგემღალის სათავესთან. აქედან ოჩოკოჩიშ დღნახვენჯამდე არის 1,5 კმ. (დიხაზურგა).

ოჩხარჩხალაია "საჩხრიალო" - 1. წყარო სააბაშიოში. წყალი ღარზე ჩამოჩხრიალებს (სამქვარი); 2. წყარო, მატაშ ღალის სათავე (ბედია). 3. იხ. თორხული.

ოჩხარჩხალიო – იხ. ოჩარხალიო.

ოჩხომე "სათევზე" (მეგრ.) – ეწოდება ღელის მონაკვეთებს სოფ. ქვ. ბარღებში: ჰითა წყარიშ ოჩხომე, კაკუციშ ღალიშ ოჩხომე, ლეფონღალიშ ოჩხომე. ოჩხომე ხელოვნური თევზსაჭერი ადგილია ღელეზე: ღელეს ჯებირით გადაკეტლავენ (გადატიხრავენ). დაუ-

ტოვებენ "კარს". წყალდიდობის შემდეგ წყალი რომ კლებას იწყებს, კარს ჩაკეტავენ და დალმა მიმავალი თევზი ჯებირთან რჩება.

ოჩხომე ღალ – 1. ცორკის მარჯ. შენაკადი (ილორი); 2. ტბორი ოხურეის ტოტზე (ნაგვალოუ).

ოჩხომური//ოჩხომურწყარი – ჭიჭე ერწყარის ტოტი (ხუმენინათოფური).

ოჩხომურიშ ნაზავოდ – იხ. ნაზავოდ.

ოჩხომურწყარი – იხ. ოჩხომური.

ოცალუე "სათიბარი" (მეგრ.) – 1. ოცალუეშ ღალის ხეობა ცხიმურძაგაში (ჟირღალიშქა); 2. საძოვარი ოხურეის მარჯ. მხარეს, ნაკარკუნტის გვერდით. ვარ.: ტაჰერიშ ნაკარ (ნაგვალოუ) და სხვ.

ოცალუეშ ღალ – ერწყარის მარჯ. შენაკადი (ჟირღალიშქა).

ოცხენე "საცხენე" (მეგრ.) – ტყე ჟგრწყარიშქაში (მ. გუდავა).

ოცხიმურე "სარცხილე" (მეგრ.) – 1. ტყე ხვითის ნაპირას (საშამუგიო); 2. იხ. ცხიმურონი.

ოცხიმურონი "რცხილნარი" (მეგრ.) - ტყე საბიბლაიოში (სამქვარი).

ოძანძალაია//საერცქემო – კლდე-ჭიუხები აბსრაკვარისა და მარშანკვარის სათავეებთან (მთა). ძანძალი (მეგრ.) "რყევა, ნძრევა"→ ოძანძალაია "მენძრევი, რყევია". ოძანძალაია ქვაცვენია კლდეა, ოდნავ განძრევაზეც კი ქვა ძირს ვარდება. საერცქემო საარჩევს ნიშნავს.

ოძილე "ჯილე" (მეგრ.) – 1. კლდისძირა დარანი ენგურზე (ოცარცე); 2. მორევი ერწყარზე (ხოლე).

ოწვინარე "საწავე" (მეგრ) – 1. ზორლათის შენაკადი. იწყება ბორსვში (ნაჭკადუ); 2. ერწყარის მარჯ. შენაკადი (ტოგონი).

ოწურბელე "საწურბლე" (მეგრ.) – 1. გუბე საშამათოში (ფიჩორი); 2. ერქვა ჭაობს ერისწყლის პირას (ცხირი); 3. ფშანი მალესთან (თაგილონი) და სხვ. იხ. აგრეთვე: ჩალამი.

ოწყურგელე – 1. საძოვარი ოქუმწყარის მარჯ. მხარეს. ერთგან წყაროა. ვარ.: წყურგელი (ფუწყური, აჩიგვარის თემი); 2. სახნავი წარჩის მარც. მხარეს. ვარ.: უბილეფიშ ოწყურგელე (წარჩე). ოწყურგელე, ოწყურგილე მეგრულში აღნიშნავს წყაროსაც და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიასაც.

ოწყურგილე – 1. მინდორი სარაგვოში (ზენი, დიხაზურგის თემი); 2. წყარო, მინდორი სკრსოლის მარჯ. მხარეს (ხუმენინათოფური).

ოჰაკე "საჰაკე" (მეგრ.) – 1. მთა, საძოვარი ოქუმის ხეობასა და ოხაჩქუეს (მთა წალენჯიხის რ-ნში) შუა (მთა). 2. მინდორი გვანჭკაში, სადაც ჰაკი ცხენების საძოვარი იყო (წარჩე); 3. მორევი ერწყარზე, სადაც ცხენებს აბანავებდნენ. ვარ.: მიხაშ ოჰაკე (ფართოღალი, ცხირის თემი).

ოჰაკეშ სათჳფუო – იხ. სათჳფუო.

ოჰაკეშ წყურგილი – იხ. ღორეშ წყურგილი.

ოჰველონი – 1. იხ. ჰველონი; 2. იხ. ჰველეფონი.

ოჰკადჳრე//ოჰკადჳრეშ ოხვამური – სამჭედლო ოქუმის მარჯ. მხარეს, გუდავაში მიმავალ გზაზე (აჩიგვარა). იყენებდნენ ხატზე გადაცემისათვის, დამნაშავის დასაწყევლად. პატრონი (მჭედელი) ყოველ ახალ წელს ქულამურზე დაარტყამს კვერს და იტყვის, ღმერთმა ამისი ძალა მომცესო. ოჰკადჳრეშ ოხვამური "სამჭედლოს სალოცავი" ცნობილია სამურზაყანოში.

ოჰყონე – იხ. ჰყონა.

ოხაიე – 1. ჭაობი ოხურეის მარჯ. ნაპირას (ოხურეი, ილორის თემი); 2. ტყე-ჭეჭყობი პაგურაში. ვარ.: კემლარიაშ ოხაიე (მ. გუდავა). ხაია (მეგრ.) ისლისნაირი მცენარეა, ჭაობნარებში ხარობს.

ოხაიეშდუდი – ტყე ოხაიესთან (ოხურეი, ილორის თემი).

ოხაიონა//ცორკაშ ოხაიონა – ჭაობი ცორკასთან (მ. გუდავა).

ოხანგონი - ბეჭი ობარხალაიის ნაპირას (ჩხორთოლი). ხანგუ (მეგრ.) თიხაა ერთგვარი, წითელი ან ნაცრისფერი, წყალგაუმტარი.

ოხარკალაია//გოღარღილი – 1. აღმართი რეყედან დობერაში (შქაშსუკი); 2. იხ. ოხარკალუ. ხარკალი (მეგრ.) "ხრიგინი"→ ოხარკალე (ოხარკალუ, ოხარკალაია) "ადგილი, სადაც რაიმე (ჩამოცვენილი ლოდები, ურემი ქვიან გზაზე...) ხრიგინებს"; გოღარღილი "გაღარული" მეგრულში ოროგრაფიული ტერმინია და აღნიშნავს შუროს.

ოხარკალუ//ოხარკალაია – სათანჯოს კალთა (ოცარცე, ჭუბურხინჯი).

ოხარჩალაია "ჩხრიალა, საჩხრიალო" – 1. თორხულის ერთ-ერთი მდგენელი (ოცარცე); 2. წყაროები ნალამუსა და სათანჯოში (ჭუბურხინჯი).

ოხელარაძგუა "ოხელარის ზურგი" (აფხ.) – ტყე ღალიძგის ზემოთში (ქ. ტყვარჩელი).

ოხვამე "სალოცავი, ეკლესია, სასაფლაო" (მეგრ.) - ბორცვი, სასაფლაო შაშიკვარის მარჯ. მხარეს (ხუმუშქური).

ოხვამერი ჰყონი "სალოცავი მუხა" (მეგრ.) – ერქვა ძველთაძველ მუხას, რომელიც იდგა ოქუმისპირას და ბოლოს წყალმა წაიღო (სამელაიო).

ოხვამეშ დიხა – სახნავი ფუწყურულოხვამესთან (იხ.).

ოხვირმონა – ფერდობი სათანჯოს კალთაზე (დიხაზურგა). ხვირმა, ხვიმა (მეგრ.) "ხურმა".

ოხილე "ხეხილნარი" (მეგრ.) – სახნავი ქვემო ჩხორთოლში (ჩხორთოლი).

ოხინჩონი//ოხჩონი – ქვიშამღალის მდგენელი (მ. გუდავა). "წყალი ქვებს შორის მოჩხრიალებს. ამიტომაა ოხინჩონი". შდრ. ი. ყიფშიძე: "ხჳრჩი – პატარა მინდორი; რუ, შენაკადი".

ოხირონა – იხ. ოხჳრნა.

ოხოხუ "სახოხავი" (მეგრ.) – ფერდობები ჩეგემღალის მარც. ნაპირას (დიხაზურგა). ინფ.: "დიდი აღმართი იყო. მხოლოდ ხოხვით შეიძლებოდა ასვლა". ოხოხუ იყო სოფელი და 1886 წელს შედიოდა საბერიოს თემში, ხოლო 1930 წელს დიხაზურგის სას. საბჭოში (არასწორი ოხახუ ფორმით).

ოხოხუშ ღალ//ოჩოგაშ ღალ – ჩეგემღალის მარც. შენაკადი (დიხაზურგა).

ოხოჯე – მდინარე. იწყება ლაშქინდარ-ოისჳრის ძირას (აძხიდა, ტყვარჩელის თემი). მდგენლებია აშანწაკვარა, აცჳღმუა, კუზა იკვარა, აძხიდა, რომლებიც ერთდებიან არშაარხუში. ერთვის ოქუმწყარს მარჯვნიდან სოფ. ბულიშხინჯში. მეგრული ოხოჯე ნიშნავს სახარეს (ტყეში ხარების დასამწყვდევი ადგილი ყოფილა).

ოხოჯური – ვაკე-სახნავი ერისწყლის მარჯ. ნაპირას (ლეკუხონა). ოხოჯური (მეგრ.) "ხარით სახნავი" ე.ი. ვაკე, რადგანაც ფერდობს თოხით ამუშავებდნენ და ოხაჩჳური ერქვა შდრ.: ოხოჯე.

ოხულე "სამხლე" (მეგრ.) – ტყე ელიაკვარის მარც. მხარეს (ბედია).

ოხურეი – თემი ოჩამჩირის რაიონში, მდ. ოხურეის ნაპირებზე. შედის სოფლები: პირველი ოხურეი (თემის ცენტრი), აკვარაში, ილორგანი, მეორე ოხურეი. შეიქმნა 1939 წელს. ოხურეი, როგორც ჩანს, ერქვა ვრცელ ტერიტორიას მდ. ოხურეის (ოხურეიწყარის) ორსავე მხარეს, რომელიც საბჭოთა პერიოდში გაიყო გალისა და ოჩამჩირის რაიონებს შორის. ვარაუდობენ, რომ ოხურეი არის იგივე ხოირი, რომელიც გვიანდელი შუა საუკუნეების საისტორიო

ძეგლებში მოიხსენიება როგორც სოფელი (იხ. მაგალითად: ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 386, 423, 481, 501). "აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთრის" მიხედვით, 1621 წელს ხოირში მოსახლე საეკლესიო გლეხთა გვარებია: ჩაგუა (6 კომლი), ამბალია (4 კ.), კაკუა (4 კ.), ჯომნია (4კ.), დიდია (3 კ.), გრიგოლია (2 კ.), ლასურია (2 კ.), ჯიტავა (2 კ.), ბიჭვა(ვა), გამკერვალია, კოსტაია, მუზურგნია, ქუნია, ქურია, ხერგუა, ჯაკობია, ჯიქია (თითო კომლი) და სხვ. (იქვე, გვ. 423-425). 1886 წელს ოხურეი ერქვა ორ პატარა სოფელს (კომლთა რაოდენობით: ერთში 18 კომლი, მეორეში – 14) ერთმანეთის გაგრძელებაზე ბედიისა და გუდავის თემებში. 1930 წლისათვის უკვე იყო რამდენიმე ოხურეი: 1. ილორის სას. საბჭოში; 2. ოხურეის სას. საბჭოში; 3. რეკის სას. საბჭოში; 4. აჩიგვარის სას. საბჭოში; 5. გუდავის სას. საბჭოში. ოხურეი ამჟამადაც რამდენიმეა: ორი გალის რ-ნშია (აჩიგვარისა და მეორე გუდავის თემებში), ხოლო ოჩამჩირის რ-ნში ოხურეი (ილორის თემში) და ოხურეის თემი. ადგ. ვარიანტი: ოხური. ხალხური ეტიმოლოგია: "ჭაობიანი ადგილებია, ხურება იცოდა და ამიტომ დარქმევია ოხური. ლექსიცაა ასეთი: გუდა გეჭვილს მუ ლეტა რე, ოხურის ხურება რე..."

ოხურეი//ოხურ(ეი)წყარი – ერთ-ერთი დიდი მდინარე სამურზაყანოში. იწყება პატრახუწასა და რეკაში. სიგრძე 24 კმ-მდე. ერთვის ანარიას მარჯვენა მხრიდან, რის შემდეგაც ორივე სახელითაა ცნობილი. ჩაედინება ცორკაში, შავი ზღვის ყურეში, გალისა და ოჩამჩირის რაიონების საზღვარზე. არხით ჩაუშვეს ღალიძგაში და ნამდინარევს ეწოდა ნაოხური//ჯვეშ ნაოხური. მდინარის ნაპირებზე მდებარეობს რამდენიმე სოფელი "ოხურეი"-ს სახელწოდებით. ადგ. ვარიანტი: ოხური. ქსე: "ოხურეი, მდინარე კოდორის ქედის სამხრ. მთისწინეთში, ანარიის მარჯვ. შენაკადი. სათავე აქვს ზ.დ. 215 მ-ზე. სიგრძე 23,7 კმ. აუზის ფართ. 67,4 კვ.კმ. საზრდოობს წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით..."

ოხურეიშ რზენი – იხ. ოხურზენი.

ოხურ(ეი)წყარი – იხ. ოხურეი.

ოხურზენი//ოხურეიშ რზენი – ვაკე-სახნავები ოხურეიწყარის ნაპირებზე (ოხურეი, აჩიგვარის თემი).

ოხური – იხ. ოხურეი.

ოხურმანა – იხ. ახურმანა.

ოხურმე "სახურმე" (მეგრ.) – ტყე წყურგილღალის მარც. მხარეს (ნარჯხეუ).

ოხჳრნა//ოხირონა – ტყე ნეძფარის მარც. მხარეს (მ. კოპიტი).

ოხჳონი – იხ. ოხინჩონი.

ოჯამპე "სათუთე" (მეგრ.) – 1. სახნავი ჯვეშ ნაოხურის მარჯ. მხარეს (ილორი); 2. მინდორი სამეფორიოში (ნაჭკადუ); 3. სახნავი ერისწყლის ნაპირას. ვარ.: ნაჯამპუ (ტოგონი) და სხვ.

ოჯამპონა – იხ. ჯამპონა.

ოჯოღორე//ოჯოღორეწყარი – მდინარე. იწყება ქ. გალის ჩრდ.-აღმოსავლეთით, ჩაუვლის ქ. გალს, მზიურს, შაშიკვარას, რეფი-ეწერს და თხინაშკარში ერთვის ხუმუშქურს მარჯვენა მხრიდან. ამის შემდეგ ატარებს ორივე სახელს. ზღვის პირას უხვევს სამხრეთით და ერთვის დიდგაგიდას. რეფი-ეწერსა და გინძე ეწერში იყოფა ორ ტოტად: დიდი ოჯოღორე//კაბეტი ოჯოღორე და ჭიქე ოჯოღორე//ნოცელი ოჯოღორე.

ოჯოღორეწყარი – იხ. ოჯოღორე.

პ

პაგურა – ტყე, უბანი ოქუმწყარის მარც. მხარეს (მ. გუდავა).

პავლეშ ნადუქან – იხ. ნადუქან.

პავლეშ ნაწისქვილ – იხ. ჯობეფიშ ნაწისქვილ.

პალიასონი – იხ. პაპანწყვილი.

პალოტღალ – ალენის მარჯ. შენაკადი (ბოგვეთი). პალოტი (მეგრ.) "ჭაობი" ← რუს. болото.

პაპანწყვილი//პალიასონი – ღრმა ტლაპო შაშიკვარის ნაპირას (ოხურეი, აჩიგვარის თემი). პაპანწყვილი და პალიასონი (პალიასტომის ფონეტიკური ვარიანტი) აღნიშნავს ღრმა ტლაპოს, მცირე ჭაობს. ხალხური ეტიმოლოგია: "მღვდელს ძაღლები გამოჰკიდებიან. შეშინებული აქ ჩავარდნილა და კინაღამ დამხრჩვალა. ამიტომ დაურქმევიათ პაპანწყვილი "ჩაძირული მღვდელი".

პაპაშ ნაურემ "მღვდლის ნაურმალი" (მეგრ.) – გზა. ბაუცკვარიდან გადის საგოგოხიოში. მღვდლებს გაუყვანიათ (კობორა).

პაპაშ ნოხორი – სახნავი პაპაშ ღალთან (საბერიო).

პაპაშ პლანი – ტყე ოხურეის მარჯ. მხარეს (ნაგვალოუ). ინფ.: "მღვდელს ეკუთვნოდა. პლანი, ანუ ნადელი, ერქვა მთავრობისაგან სარგებლობისათვის გადმოცემულ მიწის ნაკვეთს".

პაპაშ ღალ "მღვდლის ღელე" (მეგრ.) – 1. უდუდეს შენაკადი ოკვინორე-ქვიშონის საზღვართან და უბანი მის ნაპირებზე. "მღვდელი ურმით მიდიოდა თურმე და აქ დამხრჩვალა" (გაგიდა). 2. ერისწყლის მარჯ. შენაკადი (საბერიო).

პაპაშ წყარი – იხ. აპაპ(ი)კვარა.

პაპაშ წყურგილი – წყარო პაპანწყვილთან (ოხურეი, აჩიგვარის თემი).

პაპჭონი – მინდორი ყვანჯარის პირას, ერწყარის მარჯ. მხარეს (რეჩხი). ინფ.: "აქ მდგარა უზარმაზარი მუხა, რომლის ძირას იყო წირვა და გარდაცვლილის სულის მოხსენიება. ამ ადგილს ერქვა პაპაშ ჭყონი, რაც მერე გადაქცეულა პაპჭონად".

პაჟარნია – სახნავი ელიაკვარის მარჯ. მხარეს (პ. ოხურეი). ინფ.: "ომის დროს ოჩამჩირის სახანძრო რაზმი ამუშავებდა". შდრ. რუს.: пожарная "სახანძრო".

პართენიაშ სუკი – იხ. დიხაგუძბა.

პატარაიაშ მართუ – იხ. მართუ.

პატარაიაშ ნაჯარგვალ – იხ. ნაჯარგვალ.

პახვალაშ ნამარან – იხ. ნამარან.

პეპი(შ)აჰაფუ "პეპის გამოქვაბული" (აფხ.-მეგრ.) – მღვიმე ოქუმაბსთასა და დიდ აცგლმუას შუა, სადაც პეპის საქონელი ჰყოლია (მთა).

პეპუიაშ ონტყოლაშე "პეპუიას ტლაპო" (მეგრ.) – ტლაპო სიდის საზღვართან (სალხინო).

პეპუშ ნაჩხა – იხ. ნაჩხა.

პერევალი – იხ. ნალაღუმუ.

პეტიაშ სუკი//პეტიახუ "პეტიას ბორცვი" (მეგრ., აფხ.) – ბორცვი ნეძფარის მარც. მხარეს (მ. კოპიტი).

პეტიახუ – იხ. პეტიაშ სუკი.

პეტრე იძიხ – იხ. პეტრეშ წყარი.

პეტრეშ ნაპაროშ – ნაბორნალი ენგურის ნაპირას, პეტრეშ საგანოში (მ. ოტობაია). პეტრე ანჩიბაიას აქ ჰქონია გამართული ბორანი (რუს. пором).

პეტრეშ საგანო – მიკროუბანი ენგურის ნაპირას, პეტრეშ ნაპაროშთან (მ. ოტობაია). საგანო (მეგრ.) "მხარე, კუთხე".

პეტრეშ წისქვილი – იხ. ნიშიშ წისქვილი.

პეტრეშ წყარი//პეტრე იძიხ - წყარო აღდარის ძირას (საჩინო).

პეტროშ ფსორა – ხევი, სადაც გადის პეტროშ წყურგილი (აგუბედია). ფსორა, ფსორო (მეგრ.) "წყლის მცირე სადინარი ტყეში".

პეტროშ წყურგილი – ოხოჯის მარჯ. შენაკადი (აგუბედია).

პეხუშ ნადიხ - იხ. განაცუდ.

პირველი გალი – თემი გალის რაიონში. შედის ერისწყლის მარჯ. მხარეს მდებარე სოფლები: სამქვარი (თემის ცენტრი), ზემო გალი, კოხორა, ლეკუმხარა. პირველ გალს უწინ ერქვა გალხუჭი (აფხ. "პატარა გალი"), ხოლო დღევანდელ ქ. გალს – გალდოუ (აფხ. "დიდი გალი"). შემდგომში სოფ. პირველ გალს სახელი შეეცვალა და დაერქვა სამქვარი. იხ. სამქვარი. 1992 წელს პირველი გალის თემში (ოთხივე სოფელში) ცხოვრობდა 432 გვარის მატარებელი 1739 კომლი. კომლთა მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდა: ჯეჯეია – 82 კომლი, ეზუგბაია – 81 კ., ნაყოფია – 56 კ., კვეკვესქირი – 49 კ., ზაქარაია – 48 კ., კაკავა – 46 კ., ქეცბაია – 41 კ., ბიბლაია – 34 კ., ჯობავა – 34 კ., ციკოლია – 29 კ., როდონაია – 28 კ., გოგოხია – 27 კ., აგრეთვე: აბაშია, ვარდანია, მიქაია, მინჯია, როსთობაია, სარუა, ქობალია, ყოლბაია, შონია, ჩეხერია, ცატავა, ჭანტურია, ხიკლანძე და სხვ.

პიტოვნიკი – იხ. ნაპიტოვნიკ.

პიტომნიკი//ტყეებჩეფიშ დიხა – ციტრუსოვანთა სანერგე ეშმაშ ღალის მარჯ. მხარეს (მიშველი). შდრ. რუს.: питомник "სანერგე".

პოხუსაქიალა "პოხუსას კარავი" (აფხ.) – ტყე ლაშქინდარსა და აქვიფშხერას შუა (მთა).

პრიმორსკი – ერქვა მუშათა დასახლებას ზღვის ნაპირზე XX ს. 70-80-იან წლებში (გინძე ეწერი).

ჟ

ჟეფშონა – სერი წარჩის საზღვართან (მიშველი).

ჟიბშხერა – იხ. (ა)ჟუბხერა.

ჟიგუა იმუა "ჟიგუას გზა" (აფხ.) – გზა აშცრასა და აგურძგულში (ფოქვეში). ჟიგუა პირსახელია.

ჟინბარღეფი – იხ. ზემო ბარღები.

ჟინი თაგილონი – იხ. სალხინო.

ჟინიშ გუთახვამური "ზენას გამოსალოცავი" (მეგრ.) - ძველთაძველი მუხა საფარფალიოში. მის ძირას ტარდებოდა ე.წ "ჟინიშ გითოხვამა". ვარ.: ქუთაშ ჭყონი (ნახინგუ).

ჟინიშ ოხვამური – ცაცხვი საჯონჯუოს სერზე. მის ძირას ასრულებდნენ ჯონჯუები რიტუალს "ჟინიშ ხვამა" (სამელაიო). ჟინი (მეგრ.) "ზენაარი, უზენაესი ღვთაება".

ჟინ(ი)ცხირი – იხ. ზემო ცხირი.

ჟინი წიფურონი "ზემო წიფლნარი" (მეგრ.) – ტყე ბულონ(ა)სუკში (მთა).

ჟინცხირიშ ღალ – იხ. სოფელ(იშ)ღალ.

ჟიპ იშხა//ჟიპიშ გოლა "ჟიპის მთა" (აფხ., მეგრ.) – მთა, საძოვარი ალაშარასა და ანარას შუა. ორია: დიდი ჟიპიშხა, ჭიქე ჟიპიშხა (მთა).

ჟირპიჯი – არქანჯელო ლამბერტის "კოლხეთის, ანუ სამეგრელოს რუკაზე" ერისწყლის სათავესთან აღნიშნულია **Girpigi**, რაც ზოგ მკვლევარს ქართულად გადმოაქვს როგორც გირპიგი. სინამდვილეში კი ესაა მეგრული ჟირპიჯი, იგივე ქართული ორპირი, რაც მდინარეთა შესართავის აღმნიშვნელი ჰიდროგრაფიული ნომენია. ამჟამად ამ ადგილას მდებარეობს სოფელი ჯირღალიშჭა, რაც ნიშნავს "ორღელეშუა". სახელდებული ობიექტი მართლაც რთომის ორ სათავე-მდგენელს შუა მდებარეობს. როგორც ჩანს, სახელი ჟირპიჯი დაიკარგა XVII-XVIII სს. აფხაზთა შემოსევების პერიოდში მთისწინეთის დაცარიელების შედეგად, ხოლო შემდეგ მოსულმა ახალმოსახლეებმა აქ წარმოქმნილ დასახლებას სახელი იმავე გაოგრაფიულ-ლანდშაფტური ნიშნით შეურჩიეს, მაგრამ უწოდეს არა ჯირპიჯი, არამედ ჟირღალიშჭა.

ჟგრთომი – იხ. (რ)თომი.

ჟგრთომ(ი)შჭა – იხ. ჟირღალიშჭა.

ჟგრთომშჭაშდუდი – მინდ. ჟგრთომშჭასთან (ჟირღალიშჭა).

ჟგრთომშჭაშ ფერდი – ფერდობები ჟგრთომის სათავესთან (ჟირღალიშჭა).

ჟგრთუმი – იხ. (რ)თომი.

ჟგრი ჯიმა ჭყონი "ორი ძმა მუხა" (მეგრ.) – ტყე ჭყონაში, სადაც ერთი ძირიდან ამოსული ორი მუხა მდგარა (მახუნჯია).

ჟგრნეძი "ორი კაკალი" (მეგრ.) – ტყე რეჩხწყარის მარჯ. მხარეს (რეჩხი).

ჟგროფუჯეშჭა "ორ ოფუჯეს შუა" (მეგრ.) – ტყე ოფუჯესა და ჰიჰე ოფუჯეს შუა (მთა).

ჟგრრადიანი – ჩაის ფართობი სათანჯოშ კუნთხუში (სიდა). "აქ თითოეულ მწკრივში ორ რიგადაა ჩათესილი ჩაი". მეგრ. რადი ← რუს.: ряд "მწკრივი".

ჟგრფშქერიშჭა – ტყე ჭამგვარის კალთაზე, ორ შქერნალ ხევს შუა (რეჩხი).

ჟგრღალიშჭა – იხ. ჟირღალიშჭა.

ჟგრწიფური "ორი წიფელი" (მეგრ.) – ტყე ჭირის მარჯ. მხარეს (გინძე ეწერი).

ჟგრწყარაკართუ "ორწყალშესართავი" (მეგრ.) – აბჟადარაშ ღალის შესართავი ელიაკვარასთან (პ. ოხურეი).

ჟგრწყარიშჭა "ორ მდინარეს შუა" (მეგრ.) – 1. სახნავები ოხოჯესა და წარჩეს შუა (ფშაური, წარჩის თემი); 2. სახნავები ოქუმისა და მორინჯის შესართავთან (ნახინგუ); 3. სახნავი ჭორომონისა და ერისწყლის შესართავთან (პ. შეშელეთი).

ჟგრწყარშჭა – 1. უბანი, ტყე ოქუმწყარსა და ერისწყალს შუა (ნაგვალოუ); 2. ტყე, უბანი (მ. გუდავა).

ჟგრჯობაშჭა – სახნავი ჯოყობის ორ ტოტს შუა (ნაგვალოუ).

რ

რაგვიაღალ//ბზაკალ(ონა)ღალ – ღელე. იწყება ჭამგვარაში. ერთოდა რეჩხს მარც. მხრიდან. ამჟამად ჩაედინება გალის წყალსაცავში (რეჩხი). რაგვია მსხლის ჯიშია. ბზაკალონა "ბზანარი" მდინარის ზემოთშია.

რაზან იდგილ "რაზანის მიწა" (აფხ.) – საძოვარი ოხოჯის მარც. მხარეს (აძხიდა, ტყვარჩელის თემი).

რაშიშ მიკნასხაპა "რაშის ნატორი" (მეგრ.) – ფართო ქვა ქიპიშხასა და ალაშარას შუა (მთა). ინფ.: "ნალი ატყვია. რაშს რომ აქ ერთი ფეხი დაურტყამს, ყარაჩში გადამხტარა".

რაცვაზთოუ "სადაც ნახშირია ჩაფლული" (აფხ.) – გორა, ტყე ლაშქინდარში (მთა).

რეაშ ჯიხა//ელიაკვარაშ აბააჟუ – ნაციხარი ელიაკვარის მარჯ. სერზე. გადმოცემით, რეა ერქვა მონასტერს ამ სერზე (რეკა). რეკის თემის ტერიტორიაზე კიდევ ორი ნაციხარია. იხ. რეკა.

რეიცა//რეიცაშ ოჩაიე – ჩაის ფართობი ილორგანის მარც. ნაპირას (ილორი). ინფ.: "რკინიგზის რელსი იყო დაგებული და ვაგონებით ეზიდებოდნენ ნახშირს". მეგრ. რეიცა ← რუს. рельс.

რეფი – სოფლის კუთხე ე(ნ)წერსა და ნათოფურუს შუა (რეფი-ეწერი). ხალხური ეტიმოლოგია: "ორინალო რე ეფი (იაფი საცხოვრებელია) და ამიტომ დარქმევია". სინამდვილეში რეფი მეგრული სიტყვაა და აღნიშნავს ქვიან ჭალას, ვაკეს.

რეფი-შეშელეთი – საბჭოთა პერიოდში ერქვა სას. საბჭოს გალის რაიონში. 1930 წელს მასში შედიოდა სოფლები: რეფი, რეფი-ეწერი, ეწერი, კარომანი, ნათოფურე, შეშელეთი, ხუმეფი.

რეყე "რიყე" (მეგრ.) – 1. სახნავები ენგურის რიყეში (ზენი, ნაბაკევის თემი); 2. ქვავნარი ოქუმწყარსა და ოქუმზენს შუა (ოქუმი, საბულისკერიო); 3. ბუჩქნარი წარჩის მარც. ნაპირას (ჩხორთოლი) და სხვ. მრ.

რეყე//აყვარა "რიყე" (აფხ., მეგრ.) – სახნავები ღალიძგის ნაპირას (კაციჰაბლა).

რეყეპიჯი//რეყეშ ცვანა "რიყისპირი//რიყის ყანა" (მეგრ.) – სახნავი ღალიძგის ნაპირას (ილორგანი).

რეყეშ ცვანა – იხ. რეყეპიჯი.

რეჩხიშდუდი – რეჩხიწყარის ზემო წელი (რეჩხი).

რეჩხი-ცხირის თემი – არსებობდა გალის რ-ნში 1928 წლიდან 1979 წლის 4 დეკემბრამდე. გალის წყალსაცავის შექმნასთან დაკავშირებით დაიშალა რამდენიმე სასოფლო საბჭოდ და სოფლად. იხ. რეჩხი, ცხირი, ზემო ცხირი.

რეჩხიწყარი – ერისწყლის მარჯ. შენაკადი. ამჟამად უერთდება გალის წყალსაცავს. გამოედინება ყვაშინჯარის კალთებიდან (რეჩხი).

რეჩხო-ცხირის თემი – ერქვა რეჩხი-ცხირის თემს. ფორმა არასწორია: ტოლად შერწყმულ სახელებს შუა ო ჩართულია რუსულ ვარიანტში და პირდაპირაა გადმოღებული ქართულში. ასევე არასწორია ფორმები: რეფო-შეშელეთი, რეფო-ეწერი.

რეჭაბაა//რეჭიშ ჯიხა "რეჭის ციხე" (აფხ., მეგრ.) – იხ რეჭი.

რეჭი – ვაკე-მაღლობი წარჩესა და ახაფალარას შუა აქაა ნაციხარი რეჭაბაა//რეჭიშ ჯიხა (ჩხორთოლი).

რეჭ იშხა "რეჭის მთა" (აფხ.) – მთა, ტყე სოიკვარის სათავესთან (ტყვარჩელი). რეჭი პირსახელია.

რეჭიშ ჯიხა – იხ. რეჭაბაა.

რზენი "ვაკე" (მეგრ.) – 1. სახნავები მორინჯის მარჯ. ნაპირას (ნახინგუ); 2. ვაკე ოხოჯის ნაპირას (ბედია); 3. ვაკე ერისწყლის ორსავე ნაპირას. იყოფა: საშარაშიო რზენი, საბაძაღუო რზენი, ღვინჯილიაშ რზენი, ბუჭუეშ რზენი, ტუიაშ ნანაცუნ... (საბერიო, ფართონოხორი) და სხვ. მრ.

რზენი საჯოჯუო – იხ. საჯოჯუო.

რზენი ღუმურიში – ქვ. ღუმურიშის (იხ.) ვაკე ნაწილი.

რზენიშ ნაოხვამ – იხ. ნაოხვამ.

რზენი ჭუბურხინჯი – ვაკე ენგურის მარჯ. ნაპირას (ზენი, ჭუბურხინჯის თემი).

რზენსაჟიჟეიო – იხ. საჯეჯეიო//საჯიჯეიო.

(რ)თომი//(რ)თომწყარი – ერისწყლის მარჯ. შენაკადი რზენთან. ქვემო წელზე ფართოღალისა და საბერიოს საზღვარია (ჟირღალიშქა, საბერიო, ფართონოხორი). ქმნის ორი მდგენელი (ერთი მოედინება ოყორანედან, მეორე – ცხიმურძაგადან). ამიტომ ჟგრთომსა და ჟირღალსაც უწოდებენ. იხ. აგრეთვე ჟირღალიშქა. 1886 წელს რთომი ეწოდებოდა სოფელსაც ამ ღელის ხეობაში. შედიოდა საბერიოს თემში.

(რ)თომწყარი – იხ. (რ)თომი.

რთხინა "თხილნარი" (მეგრ.) – 1. თხილნარი ნადელში (სიდა); 2. ძაკაშ სუკის ფერდობი. ვარ.: ნიკოშ რთხინა (რეჩხი). შდრ. თხინა.

რობი – ხეობა მორინჯის ზემოთში (აგვავერა). რობი, რობუ (მეგრ.) "ხევი, მცირე ხეობა".

როგეფიშ ნადიხ – იხ. ოთუნთე.

როზან ირხა – იხ. როზანიშ რზენი.

როზანიშ რზენი//როზან ირხა "როზანის ვაკე" (მეგრ., აფხ.) – ვაკე ქაცვაარკვარის მარც. ნაპირას (აძხიდა, აგუბედიის თემი).

როზდანიშ ნაკარუ – იხ. ოკვინორეშ ტყა.

როკი "გამხმარი ხე, კუნძი" (მეგრ.) – მინდორი საშონიოში (რეჩხი).

როკიშ ნოცუნი – სახნავი ბაბაშიის მარც. ნაპირას. როკი პირსახელია (ჭყონხუმლა).

როკიშ ღალ – იხ. გოჭიროკი.

როკონა – 1. ტყე ცინწყარის ნაპირას (ბოგვეთი); 2. სახნავი ალეინის ნაპირას (საბუთბაიო); 3. ტყე ბოშნეგლართაში, სადაც მუხის ტყისგან მხოლოდ ჯირკვები იყო დარჩენილი (ლეკუმხარა) და სხვ.

რომანიშ ინჭა "რომანის ჭა" (მეგრ.) – დაუმშრალი ჭა სამიქაოში (წარჩე).

რომანოზიშ გოჭოფილი – ტყე საშამათოში, მაჯიშ გოჭოფილთან (ფართონოხორი). შდრ. გოჭოფილი.

როსტო(მი)შ ნასხაპა – კლდე, მორევი ღალიძგის მარც. ნაპირას (სუკი). ინფ.: "როსტომი აბრაგი ყოფილა. დასაჭერად გამოჰკიდებიან. ჯორისთვის თვალი აუხვევია, შემჯდარა და აქ გადამხტარა".

როსტოფონი "როსტოს ფონი" (მეგრ.) – ფონი ოქუმწყარზე (პ. გუდავა).

როსტოშ ნადინეფი "სადაც როსტო დაიღუპა" (მეგრ.) – ლოდი დიდი ოკალმახის მარც. მხარეს. ვარ.: დიდი ქუა (მთა). ინფ.: "როსტომს თოვლმა მოუსწრო და ამ ლოდის ქვეშ, მცირე მღვიმეში მოკვდა".

როხონია – ფერდობი მურამბაში (მახუნჯია). როხი (მეგრ.) "მაგარი ქვა. ლოდი" → როხონი "ქვაღორღიანი ადგილი. ლოდნარი". -ა კნინობითობის სუფიქსია.

რუსეფიშ ნოხორი "რუსების ნასახლარი" (მეგრ.) – მინდორი ბულიშხინჯის საზღვართან (ბედია).

რუსეფიშ ხუტორი – იხ. ნახალოვკა.

რუსთაველიშ ჩაი – ჩაის ფართობი, რომელიც უწინ რუსთაველის სახ. კოლმეურნეობას ეკუთვნოდა (ტოგონი).

რუსიშ ნარგი "რუსის დარგული" (მეგრ.) – კაკლის ხეივანი სოფლის ცენტრში (ოქუმი). ინფ.: "ასი წლის წინათ აქ ყოფილან დაბანაკებული ნიგუნიას პოლკის რუს-კაზაკები. ისინი კარვებში ცხოვრობდნენ და თავ-თავიანთი კარვების წინ ეს კაკლები დაურგავთ".

რუსიშ ნაშქვიდა "სადაც რუსი დაიხრჩო" (მეგრ.) – მორევი ალენ-ხუმუშქურის შესართავთან (ბოკვეთი).

რუსიშ შარა//ცალა ნაჩალნიკიშ გენაჭკრა – ერქვა გზას ოქუმიდან პ. გალამდე. გზა გაუყვანია რუსს. ცალა ნაჩალნიკი (მეგრ.) "გიჟი უფროსი" მისთვის ადგილობრივ მოსახლეობას შეურქმევია.

რკსიშ ფონი – ფონი ოქუმწყარზე, სადაც დაჭრილ რუსს გაუფონავს და გასულა (მუხური).

ს

სააბაშიო – უბანი ნიშონის მარც. ნაპირას. აქაური აბაშიების წინაპრები მოსულან ძირულიდან (სამქვარი).

სააბლოთიო – აბლოთიების უბანი ენგურის მარჯ. მხარეს (თაგილონი).

სააბრუმიო – აბრუმიების უბანი ყოჯელის ნაპირას (მზიური).

სააკჷშბაიო – აკიშბაიების უბანი ოქუმწყარის მარც. მხარეს (მ. გუდავა).

სააალანიო – ალანიების უბანი წარჩე-უდუდელალს შუა (ფშაური, წარჩის თემი).

სააალესანდრიო – ალესანდრიების უბანი ენწერში (ფართოღალი, ცხირის თემი).

სააალფენძო – ალფენიძეების უბანი ენგურის მარჯ. მხარეს (რამი, მ. ოტობაია).

სააგურო "სააგურე" (მეგრ.) – 1. ფერდობები სათანჯოს კალთაზე, სადაც თლიდნენ ანგურას – ჭადის გამოსაცხობ კეცს (ჭუბურხინჯი); 2. მინდორი ბორსვში (ნაჭკადუ).

სააანთიო – ანთიების უბანი ხუმუშჭურის მარჯ. მხარეს (თხინაშკარი).

სააანჯაფარიო – ანჯაფარიების უბანი ენგურის ნაპირას (თაგილონი).

სააარბელო//სააარბელოშ კუნთხუ – არბელავების უბანი კენტკრღალსა და გიგოშ ღალს შუა (წარჩე). შდრ.: კუნთხუ.

სააარბელოშ კუნთხუ – იხ. სააარბელო.

სააარდიო – არდიების უბანი საროდონაიოსა და საციკოლიოს შუა (რეჩხი).

საარონიო – არონიების უბანი საბერიოს საზღვართან (ხოლე).

საარქანიო – ერქვა უბანს ფეფეშ ღალის ნაპირას. არქანიები გალში ჩასახლდნენ (მახუნჯია).

სააფშილა//სააფშილო – უბანი ელიაკვარის მარც. მხარეს, სადაც ცხოვრობენ ე.წ. "დიდი აფშილები" (სახახუბიო).

სააფშილო – იხ. სააფშილა.

სააფშილო სუკი – იხ. სუკი.

სააქბარდიო – აქბარდიების უბანი აქბარდიაშ ღალის სათავესთან (ქვ. ღუმურიში).

სააქ(უ)ბარდიო – აქუბარდიების უბანი ღალხუმლის ნაპირას (ზენი, ჭუბურხინჯის თემი).

საახალაიო – 1. ახალაიების უბანი საბაძაღუოსა და სატორუოს შუა (ღვაშგვერდი); 2. ყოფილი დასახ. უბანი აბაყჩაში (შაშიკვარა).

საახვლედიანო – ახვლედიანების უბანი მორინჯის ნაპირებზე (აგვავერა).

საბაბილო – უბანი სალაგვილოსა და საცაცუოს შუა. ბაბილუები არ ჩანან. ცხოვრობენ გვილავები, ცაცუები... (ჭუბურხინჯი).

საბაგათელიო – ბაგათელიების უბანი ქოღეის მარჯ. ნაპირას (პატრახუწა, აგუბედიის თემი).

საბარგო – ტყე, ნახევარკუნძული დიდ ბებესირთან (ოხურეი, აჩიგვარის თემი). რუსეთ-თურქეთის ომის დროს აქ რუსის ჯარი ყოფილა დაბანაკებული. დობარგუა (მეგრ.) "დაბარგება, დაბანაკება" → საბარგო "დასაბანაკებელი ადგილი".

საბარდაიო – ბარდაიების უბანი აჩიგვარის საზღვართან (ბედია).

საბართიო – ბართიების უბანი სოფლის მთავარ გზაზე (ილორგანი).

საბარღებო შარა – ბარღებისაკენ მიმავალი გზა (მ. შეშელეთი, ხუმუშქური).

საბასარიო – ბასარიებით დასახლებული უბნები სამქვარში (ნიშონის მარც. ნაპირას), ზ. გალში (ნიშონის მარჯ. ნაპირზე), რეჩხში (ერწყარის მარჯ. მხარეს); 2. ყოფილი დასახ. უბანი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში (თხინაშკარი).

საბაღათურიო – ბაღათურიების უბანი ქოღეის მარჯ. ნაპირას (პატრახუწა, აგუბედია).

საბაღსკუო//საბაღსქუო – ბაღიშვილების უბანი ოქუმწყარის მარჯ. მხარეს (საბულისკერიო, ოქუმის თემი). ბაღისკუა იგივე ბაღიშვილია.

საბაღსქუო – იხ. საბაღსკუო.

საბაღუო ჭყონი – დავაკება ღალხუმლის მარც. მხარეს, სადაც ძველისძველი მუხის (მეგრ. ჭყონი) ძირას ბაღი (მეგრ.: "ხულა, ბეღელი") იყო გამართული (ფართონოხორი).

საბაძაღუო – 1. ბაძაღუების უბანი წყოუშის საზღვართან (ღვაშგვერდი); 2. ყოფილი დასახ. უბანი განაცუდუში (საბერიო).

საბაძაღუო//ბაძაღუეფიშ კუნთხუ – ბაძაღუების უბანი პ. შეშელეთის საზღვართან (ტოგონი).

საბაძაღუო რზენი – იხ. რზენი.

საბახტაძო – ბახტაძების უბანი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში (ქვიშონა).

საბეკვერიო – ბეკვერიების უბანი კაკიშ ღალის მარჯ. მხარეს (ნახინგუ).

საბეკი//საბექი – დაბალი სერი ბაბაშიის მარც. ნაპირას (ჭყონხუმლა). საბეკი (მეგრ.) ის ადგილია, სადაც უამინდობისას (წვიმაჭარში) ცხენები წრეში დგებიან ერთმანეთისაკენ თავშექცეულად და მიწა დატკეპნილ-მოტიტვლებულია. იხ. ნასაბეკ.

საბეკიშ ენწერი – იხ. სუკენწერი.

საბელქანიო – ბელქანიების უბნები თხინაშკარსა (ხუმუშქურის საზღვართან) და ოტობაიის ოკვინორეში (პ. ოტობაიის საზღვართან).

საბენდელო – ბენდელავების უბანი სიდის საზღვართან (თაგილონი).

საბენიო – ბენიების უბანი ოქუმწყარის მარჯ. ნაპირას (ფუწყური).

საბერაიო – ბერაიების უბანი ქირის ნაპირებზე ზენისა (ნაბაკევის თემი) და საბჭოთა ჩაის საზღვარზე.

საბერაყო სუკი "საბაირაღო გორა" (მეგრ.) – ბორცვი ელიაკვარის მარც. მხარეს (მ. ოხურეი). შდრ.: ბერაყსუკი, ნაბერაყ.

საბექი – იხ. საბეკი.

საბეჭვაიო – ბეჭვაიების უბანი მდ. ფართოღალსა და კეიშს შუა (ცხირი, ფართოღალი ღუმურიშის თემისა).

საბიბლაიო – ბიბლაიების უბანი სამქვარის ცენტრში და ყოფილი დასახ. უბანი შაშიკვარაში.

საბიგვა – ბიგვავების უბანი ოხოჯის მარჯ. მხარეს (ახეცარა).

საბიგვაშ რზენი – ვაკე ოხოჯის მარც. ნაპირას (აჯრა).

საბიგვაშ ღალ//სიკოშ ღალ – ღელე. გაედინება საბიგვადან (იხ.).

საბიგვო – ბიგვავების უბანი ოკვინორეღალის მარჯ. მხარეს (ოკვინორე, ოტობაიის თემი).

საბჟანიო – ბჟანიების უბანი, რომლის მიხედვითაც სერს ეწოდა ბჟანიეფიშ სუკი (რეკა).

საბუა - ბუავების უბანი ელაღირის სათავესთან (აჯრა).

საბულისკერიო - ბულისკერიების უბანი ხვითის სათავესთან (მ. აკვაღა).

საბუო – ერქვა ბუავების უბანს ფართოღალის ხეობაში. დაფარა გალის წყალსაცავმა (ფართოღალი, ცხირის თემი).

საგაბლაიო – გაბლაიების უბანი ერისწყლის მარჯ. მხარეს (ლეკუმხარა).

საგაბლაიოშ რზენი – ვაკე საგაბლაიოში (იხ.).

საგადელიო – ერქვა გადელიების დასახლებას მზიურისა და ხუმუშქურის საზღვართან. ინფ.: "აქ ცხოვრობდნენ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში კიწიიდან გადმოსული გადელიები. შემდეგ ნიკოლოზ ხელმწიფემ ეს ტერიტორია დავით ანჩაბაძეს მისცა და დაერქვა დავითიშ ნადელი". გადელიების ნაწილი გაასახლეს 1963 წელს ჩაის საბჭოთა მეურნეობის გაშენებასთან დაკავშირებით, ნაწილი კი დარჩა აკვარიქვაში. იხ. აკვარიქვა.

საგამახარიო – 1. გამახარიების უბანი ფიჩორის საზღვართან (ქვიშონა); 2. ერქვა უბანს ერისწყლის მარც. ნაპირას. დაფარა გალის წყალსაცავმა (დიხაზურგა).

საგამ(ი)სონიო – გამისონიების უბანი ზემო ჩხორთოლში, წარჩენწყარის ნაპირას (ჩხორთოლი).

საგამსახურდიო – გამსახურდიების უბანი სათანჯოს ლაკადის ძირას (ოცარცე) და ნალამუში (ჰუბურხინჯი).

საგამსონიო – გამ(ი)სონიების უბნები ნიშონის ნაპირას (ქვ. ღუმურიში), ენგურის ნაპირას (შქაშსუკი) და სიდაში.

საგამსონიოშ ოხვამე – იხ. ეკიანი ოხვამე.

საგარგულიო – გარგულიების უბანი დიხაზურგის საზღვართან (სამარქვალო).

საგარგულიოშ სუკი – სერი საგარგულიოში (იხ.).

საგასაშვილო – გასაშვილების უბანი აკვარათბის ხეობაში (ზ. გალი).

საგელენა - გელენავების უბანი ტობის მარც. ნაპირას. ვარ.: ახალი ჭუჩა (სიდა).

საგერგაიო – გერგაიების უბანი ნიშონის სათავესთან (სამელაიო).

საგერგედა – გერგედავების უბანი ჰუბურხინჯის საზღვართან (სიდა).

საგერგედო – გერგედავების უბანი ბაბაშიაღალის სათავესთან (პ. აკვაღა).

საგერზმოშ კუნთხუ – გერზმავების უბანი კენტკრღალსა და გიგოშ ღალს შუა (წარჩე).

საგერსამიო – გერსამიების უბანი სოფლის ცენტრში (ბედია).

საგვაგვალიო – უბანი ჩეგემღალის ზემოთში (დიხაზურგა). აქ ცხოვრობს გვაგვალიების ორივე შტო: დოხვამლაფირეფიშ გამნარყი ("დამხვდურების შთამომავლობა") და მგნაულაშ გამნარყი ("მოსულის შთამომავლობა").

საგვაზბაიო//საგვაძბაიო – გვაზბაიების უბანი წარჩის საზღვართან (მიშველი).

საგვალიო – გვალიების უბნები წარჩეწყარის მარჯ. მხარეს (წარჩე) და ქორომონის მარჯ. მხარეს (საბულისკერიო, მუხურის თემი).

საგვარამიო – გვარამიების უბნები ქაცვაარკვარის ხეობაში (აძხიდა, აგუბედიის თემი), წარჩის მარჯ. მხარეს (ჩხორთოლი), აგრეთვე ბედიასა და თაგილონში. იხ. გვარამიაა რქ̌ვთ.

საგვაძბაიო – იხ. საგვაზბაიო.

საგიგო – უბანი პაგურაში. აქ მოსახლე გიგავები თვლიან, რომ ისინი წარმოშობით გაგნიძეები არიან (მ. გუდავა).

საგითოლენდიო – გითოლენდიების უბნები სიდასა და ოკვინორეში (ოტობაიის თემი).

საგოგლანძო – გოგლანძეების უბანი ენწერში (ფართოღალი, ცხირის თემი).

საგოგოხიო – გოგოხიების უბნები გოგოხიაშ ღალის სათავესთან (კოხორა), ელიაკვარასა და ოხოჯეს შუა (ოხურეი, აჩიგვარის თემი), ოხურეის მარც. მხარეს (პ. ოხურეი), ოხოჯის მარც. მხარეს (ფშაური, ბედიის თემი), ფიცარღალის მარჯ. მხარეს (ფიცარღალი), ხაიის ნაპირებზე (ჰუბურხინჯი).

საგოგუო – გოგუების უბანი მორინჯის მარც. მხარეს (აგვაერა).

საგორგონძო – გორგონძეების უბანი ოხოჯესა და ჯოგლოშ აკვარას შუა (ოხოჯა).

საგოჩო – გოჩაევების უბანი ნიშონის მარც. მხარეს (ლეკუმხარა).

საგულიო – უბანი სოფ. ხოლეში. გულიები ამჟამად აქ არ ცხოვრობენ.

საგულუო – გულუების უბანი აზანიშში (ლეკუხონა).

საგურგულიო - ბორცვი ჯოგლოშ ღალის მარჯ. მხარეს. დასახლებული იყო გურგულიებით (ოხოჯა).

სადანელიო – დანელიების უბანი სოფლის ცენტრალურ გზაზე (ქვ. ღუმურიში).

სადარსანიო – 1. დარსანიების უბნები სამქვარში, პ. ოხურეიში, მ. ოხურეიში; 2. ერქვა უბანს სიდის საზღვართან (შაშიკვარა).

სადგებიო - უბნები ჭკადიშ ღალსა და საბასარიოს შუა (თხინაშკარი), ერისწყლის მარჯ. ნაპირას (ლეკუხონა), ერისწყლის მარჯ. მხარეს (საბერიო) და სოფ. ქვიშონაში; 2. ყოფილი დასახ. უბანი ერწყარის მარც. მხარეს (ღვაშგვერდი). ტოპონიმისათვის ამოსავალია გვარი დგებუაძე. დგებია მისი ადგ. ვარიანტია. იხ. აგრეთვე: სარდგებიო.

სადგებიორზენი – ვაკე სადგებიოში (ლეკუხონა).

სადემურიო//სადიმურიო – დემურიების უბანი სათანჯოს ძირას (ოცარცე, ჭუბურხინჯი).

სადემურიოშ სუკი – სერი სადემურიოში (იხ.).

სადიმურიო – იხ. სადემურიო.

სადლათიშ ნადიხ - სახნავი საშარანგიოში. ეკუთვნოდა სადლათ შარანგიას (მუხური).

სადოლბაიო – დოლბაიების უბანი ოტაფის მარჯ. მხარეს (აყვარჩაფანი).

სადოჩიო – 1. დოჩიების უბანი მთის ძირას (საბულისკერიო, ოქუმის თ.); 2. ერქვა უბანს ოქუმწყარის მარც. მხარეს (პ. გუდავა).

საეზუგბაიო – ეზუგბაიების უბანი ნიშონის მარჯ. მხარეს (კოხორა, ზ. გალი).

საეზუხბაიო – ეზუხბაიების უბანი ზუხბაიეფიშ ღალის ნაპირებზე (კოხორა).

საეკლესიო – მინდორი მზიურის საზღვართან (მ. აკვაღა).

საელერჯიო – ელერჯიების უბნები ქორთუშ ღალის ხეობასა (რეჩხი) და ელაღირის ხეობაში (პ. კოპიტი).

საელია//საელიო – ელიავების უბანი ნახინგუს საზღვართან (წარჩე).

საელიო – 1. ელიავების უბანი ალენის ნაპირას (ბოგვეთი). 2. იხ. საელია.

საემხვარო – ვაკე-საკარმიდამოები ოქუმწყარის მარჯ. მხარეს, სადაც უწინ ემხვარების სამოსახლო ყოფილა (ოქუმი).

საერცქემო "საარჩვე" (მეგრ.) – 1. მაღალი კლდე სოფლის დას. ნაწილში (ნაჯიხური); 2. სანადირო ჭიუხები ოკალმახის სათავესთან, სადაც მონადირეები ყრიდნენ მარილს და მერე უსაფრდებოდნენ შველსა და არჩვს (მთა); 3. იხ. ოძანძალაია.

საეშბაიო – იხ. ეშქეთი.

საავარდაიო – ვარდაიების უბანი საბუასა და საჩერქეზიოს შუა (აჯრა).

საავარდანიო – ვარდანიების უბანი ფართოღალის საზღვართან (სამქვარი).

საავარზგანიო//საავარზგენიო – ვარზგანიების უბანი ნახაჯის სერზე (ნახინგუ).

საავარზგენიო – იხ. საავარზგანიო.

საავაჰანიო – ვაჰანიების უბანი ფიჩორის გზაზე (პ. ოტობაია).

საავხოჯიო – მდინარე, ენგურის მარც. შენაკადი (თაგილონი, ნაბაკევი). შუა წელზე ეწოდება წკვიბღალ, ხოლო ზემო წელზე – ნაჭარხალღალ და გოჭიროკი.

საზანთარაიო – ზანთარაიების უბანი გაგიდის საზღვართან (ქვიშონა).

საზარანდიო – ზარანდიების უბანი ერისწყლის მარც. მხარეს (მ. შეშელეთი).

საზარაქუო – ზარაქუების უბანი ქვარცხიეფიშ ღალის ხეობაში (ნახინგუ).

საზარ(ა)ქუო – ზარაქუების უბანი ოხურეის ნაპირას (პ. ოხურეი).

საზარიო – ზარიების უბანი ბოკვეთის საზღვართან (საბუთბაიო).

საზარჭუო – ზარჭუების უბანი ფიცარღალის მარჯ. მხარეს (ფიცარღალი).

საზაქარაიო – 1. ზაქარაიების უბნები ერისწყლის მარჯ. მხარეს (სამქვარი), ჩეგემღალისა და თორხულის სათავეებს შუა (დიხაზურგა) და ჯოცობაწყარის ნაპირას (პ. გუდავა); 2. ყოფილი დასახ. უბნები სიდის საზღვართან (შაშიკვარა) და ზაქარაიაშ ღალის სათავესთან (ჭყონხუმღა).

საზაქარაიოშ სუკი – იხ. შქაშსუკი.

საზენი – მინდორი შაშიკვარის მარც. მხარეს (ხუმუშქური).

საზუხბაიო – ზუხბაიების უბნები წარჩის ნაპირას (ჩხორთოლი), კეიშის მარჯ. ნაპირას (ცხირი), აჭაფარაში (სამელაიო), მუხურის

საზღვართან (კოხორა) და ჰარუაში (ზ. ღუმურიში). იხ. აგრეთვე: ზოხქითი. ზოგ შემთხვევაში ვარიანტები ზუხბაია და ეზუხბაია ცვლიან ერთმანეთს.

სათაკალანძო – თაკალანძეების უბანი ენგურის მარჯ. მხარეს (ზარწუფა).

სათანჯო – მთა ენგურის მარჯ. მხარეს, სოფ. რუხის პირდაპირ. მთის ირგვლივ განლაგებულია სოფლები: ოცარცე, დიხაზურგა, ჭყონხუმლა, პ. აკვაღა, ჭუბურხინჯი. შუა საუკუნეების (XV–XVI სს.) საისტორიო წყაროების ჩვენების თანახმად, ენგურის მარჯვენა ნაპირას მდებარე მისიონერთა სავაჭრო ფაქტორია სანტ-ანჟელო დღევანდელი სათანჯო უნდა იყოს (ი. ბართოლომეი, ვლ. ალფენიძე). XVIII ს. თურქულ წყაროებში იგი გვხვდება საბანჯო ფორმით (ა. ტუღუში). არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან რუკებზე (ორივე 1954 წ.) აღნიშნულია Satangi სათანჯი. გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება ამ ორონიმის წარმომავლობასთან დაკავშირებით: ა) "თანჯი სამანია. ეს მთა რამდენიმე სოფლის სასაზღვრო იყო. ამიტომ დარქმევია სათანჯო" (ზ. ჭუმბურიძე). სათანჯო ნიშნავს "სასაზღვროს" (ვ. ზუხბაია); ბ. სათანჯო ნიშნავს "სანიშნეს": აქ ანთებდნენ კოცონს აფხაზთა მოთარეშე რაზმების გამოჩენისას (ა. ტუღუში). მაგრამ ეს სახელწოდება დოკუმენტურადაა დადასტურებული ამ მხარეში აფხაზთა გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე. როგორც თ. ბერაძე აღნიშნავს, "სათანჯოს ციხე ზღვიდან კარგად მოჩანდა, ამიტომ ორიენტირადაც იყენებდნენ". მაშასადამე, ეს მთა იყო ერთგვარი სანიშნე, ორიენტირი ზღვისპირეთიდან აღმოსავლეთით, მთის მიმართულებით მიმავალთათვის როგორც პირველი მაღალი ადგილი კოლხეთის დაბლობისა და მთიანეთის საზღვარზე და ამიტომაც ეწოდა სათანჯო "მისანიშნი, საორიენტაციო" მეგრულში თანჯუა აღნიშნავს ხის დაჭდევებასაც, რაც იყო საჭირო საკუთარი ტყის, მიწა-წყლის შემოსასაზღვრავად, ან უღრანში გზის გასაგნებად. როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგი მკვლევარი სათანჯოს აიგივებს მისიონერთა ფაქტორია სანტ-ანჟელო-სთან. ამ შემთხვევაში სატანჯო იქნება სახელწოდების თავდაპირველი ფორმა, ხოლო სათანჯო – მისი მეგრულად გადააზრების შედეგი. იხ. სალხინო.

სათანჯოშ ბორკი – დაბალი სერი, სათანჯოს განშტოება ჩრდ.-აღ-ით (ჭყონხუმლა) და სამხ.-დას-ით (ოცარცე, ჭუბურხინჯი). ბორკი (მეგრ.) "ფეხი" გამოიყენება ოროგრაფიული მნიშვნელობით.

სათანჯოშ კუდელი "სათანჯოს კუდი" (მეგრ.) – სათანჯოშ ბორკის დაბოლოება ერისწყლის მარჯ. მხარეს (დიხაზურგა).

სათანჯოშ კუნთხუ – სოფლის კუთხე ჭუბურხინჯის საზღვართან, სადაც 30-იან წლებში რკინიგზის ბაქანს დაერქვა სათანჯო (სიდა). იხ. აგრეთვე: სალხინო.

სათანჯოშქვინჯი "სათანჯოსძირი" (მეგრ.) – სათანჯოს მთისძირები (დიხაზურგა).

სათანჯოშ ჯიხა "სათანჯოს ციხე" – შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე გალის რ-ნის სოფ. ჭუბურხინჯთან, სათანჯოს მთის თხემზე (მოღწეულია მხოლოდ ნანგრევები). აგებულია VIII-X სს-ში. ზღვიდან კარგად მოჩანდა, ამიტომ ორიენტირადაც იყენებდნენ. ზოგი მკვლევარი აქ XIII-XV სს-ში გენუელთა სავაჭრო კოლონიის არსებობას ვარაუდობს (თ. ბერაძე, ქსე, ტ. 8, გვ. 658).

სათარბაიო – თარბაიების უბანი კვნტკრღალის ნაპირას (ჩხორთოლი).

სათემო შარა "სათემო გზა" (მეგრ.) – გზა, რომლითაც ოქუმისა და ჩხორთოლის მწყემსები მიერეკებოდნენ საქონელს მთის საზაფხულო საძოვრებისაკენ (ოქუმი, ჩხორთოლი, მთა).

სათოლორაიო – თოლორაიების უბანი ოკვინორეღალის მარჯ. მხარეს (ოკვინორე, განახლების თემი).

სათორდუო – თორდუების უბანი სოფლის ჩრდ. ნაწილში (რამი).

სათორიო -ერქვა თორიების უბანს სიდის საზღვართან (ნაბაკევი).

სათუნგიო – თუნგიების უბანი ერისწყალსა და სოფლის ცენტრს შუა (მ. შეშელეთი).

სათუფუო//ოჭაკეშ სათუფუო – საძოვარი ოჭაკის აღმ. ნაწილში (მთა). სათუფუო "სათიბარი. საძოვარი. მწყემსის ბინა და საქონლის სადგომი მთაში".

საიზორიო – იზორიების ყოფილი დასახლება ერისწყლის მარჯ. მხარეს (ცხირი).

საინალისქუო – ინალიშვილების უბანი რეჩხიწყარსა და ქორთუშ ღალს შუა (რეჩხი).

საკაკო – კაკავების უბანი აკვარათბის ხეობაში (ლეკუმხარა).

საკაკუბაო – კაკუბავების უბანი ოქუმწყარის მარჯ. სერზე (ნახინგუ).

საკაჭარაო – ერქვა კაჭარავების უბანს ერისწყლის მარც. მხარეს. დაფარა გალის წყალსაცავმა (დიხაზურგა).

საკახიანო – კახიანების უბანი თხირამღალის ნაპირებზე (ოკვინორე, განახლების თემი).

საკეკუო – კეკუების უბნები ფართოღალის მარც. ნაპირას (ქვ. ღუმურიში) და საძიგუო-ბერითხინას შუა (ზენი, დიხაზურგის თ.).

საკენჯიო – იხ. საკინჯიო.

საკვარაცხელიო – კვარაცხელიების უბნები ენგურის მარჯ. ნაპირას (მ. ოტობაია), ქვ. ბარღების საზღვართან (ნაბაკევი), ოქუმწყარის მარც. მხარეს (აჩიგვარა) და რთომის მარჯ. ნაპირზე (ფართონოხორი).

საკვატანიო – კვატანიების (იგივე კვანტალიანების) უბანი მენჯღალის ხეობაში (ზ. ცხირი).

საკვაშილო – კვაშილავების უბანი პაპაშ ღალის შუა წელზე (გაგიდა).

საკვეკვესქირო – 1. უბანი, ბორცვი ჩიჩიეშ ღალის მარჯ. მხარეს (პ. ოხურეი); 2. უბანი ყოჯელის ნაპირას. ვარ.: ყოჯელარეფი (შაშიკვარა); 3. უბანი ნარჯხეუს სერის კალთაზე. ვარ.: კვეკვესქირეფი (ნარჯხეუ). ყველგან ცხოვრობენ კვეკვესქირები. 4. ყოფილი დასახ. უბანი სიდის საზღვართან. კვეკვესქირები აქედან გაასახლეს 1963 წელს ჩაის საბჭოთა მეურნეობის შექმნასთან დაკავშირებით (ხუმუშქური).

საკვე(კვე)სქირო – კვეკვესქირების უბანი ერისწყლის მარჯ. ნაპირას (სამქვარი).

საკვირკველიო – კვირკველიების უბანი საბერიოს საზღვართან (დიხაზურგა).

საკვირკო – იხ. შუშელი.

საკვიწინიო – კვიწინიების უბანი ოხურეიწყარის სათავესთან (პატრახუწა, აგუბედიის თემი).

საკიკალიო – კიკალიების უბანი ქირის ნაპირას (საბჭოთა ჩაი).

საკიკორიო – კიკორიების უბნები ქვემო ჩხორთოლსა (ჩხორთოლი) და ოხოჯის მარც. ნაპირას (ფშაური, ბედიის თემი).

საკიკორიოშ ჯიხა//კიკორიეფიშ ჯიხა – ნაციხარი საკიკორიოში (ფშაური, ბედიის თემი).

საკილანო//კილანეფიშ კუნთხუ – კილანავების უბანი ერისწყლის მარც. მხარეს (მ. შეშელეთი, პატრახუწა მზიურის თემისა).

საკილანოშ შარა – იხ. სუმშარაიკართუ.

საკინჯიო//საკენჯიო – კინჯიების უბანი მორინჯის მარჯ. მხარეს (ნახინგუ). საკენჯიო, როგორც სოფელი, 1886 წელს შედიოდა მუხურის თემში. იხ. მუხური.

საკინჯიოშ რზენი – ვაკე-სახნავები საკინჯიოში (ნახინგუ).

საკირტიო – კირტიების უბანი ერწყარის მარჯ. მხარეს, სერზე (ლეჭარაიე).

საკობახიო – კობახიების უბანი ოქუმწყარის მარჯ. ნაპირას (ნახინგუ, საბულისკერიო ოქუმის თემისა).

საკოზმა – კოზმავების უბნები ოხურეის ნაპირას (პ. ოხურეი) და ოქუმწყარის მარჯ. მხარეს (სამელაიო).

საკოზმა(ა) – ტყე, ბორცვი ოხურეისა და წიფიკვარას შუა. ინფ.: "აქ მცხოვრები კოზმავები აუყრიათ არჩებს. განდევნილებს ეს ადგილი დაუწყევლიათ და ამიტომ აქ არავინ სახლდება" (კაციხაბლა).

საკოზმაშ სუკი – სერი საკოზმაში (პ. ოხურეი).

საკოზმაშ ღალ – ღელე საკოზმაში (პ. ოხურეი).

საკოკაიო – კოკაიების უბანი სათანჯოს ლაკადის ძირას (ოცარცე).

საკორსანტიო – კორსანტიების უბანი რაგვიაღალის სათავესთან (რეჩხი).

საკოტუო – კოტუების უბანი ოქუმ-ერისწყალს შუა (მ. გუდავა).

საკოტუოღალ – (რ)თომის მარჯ. შენაკადი (ნახინგუ).

საკუკაო – კუკავების უბანი ოქუმწყარის მარც. მხარეს (სამელაიო).

საკუპარო – კუპრავების უბანი თაგილონის საზღვართან (სიდა).

სალაბახუო - ლაბახუების ყოფილი დასახლება წყურგილეშ ღალის მარც. მხარეს (ნარჯხეუ).

სალაბახუო//ლაბახუა რჰაბლა – ერქვა უბანს თომ იკვარის მარჯ. მხარეს (რეკა).

სალაბჟანიო – 1. ლაბჟანიების უბანი ლაბჟანიაშ ღალის ნაპირზე (ახეცარა); 2. იხ. სახახუბიო.

სალაგვილო – 1. ლაგვილავების უბნები ოხურეის მარც. ნაპირზე (მ. ოხურეი), ერისწყლის მარც. მხარეს (ხოლე) და სათანჯოს კალთაზე (ჭუბურხინჯი); 2. ყოფილი დასახ. უბანი ლაკადის ძირას (ნაჯიხური).

სალაკაშიო – ლაკაშიების უბანი ლაბახუეფიშ ღალის ნაპირზე (ნარჯხეუ).

სალამანძიო- ერქვა ლამანძიების უბანს ერისწყლის მარც. ნაპირას. დაფარა გალის წყალსაცავმა (დიხაზურგა).

სალაცბაიო - ლაც(უზ)ბაიების უბანი უჩაღალის ნაპირებზე (საბულისკერიო, ოქუმის თემი).

სალეკგრბაიო – ლაკირბაიების (ლეკგრბაიების) უბანი სოფ. მზიურში.

სალემონჯო - ლემონჯავების უბანი ოხურეის მარც. მხარეს (პ. ოხურეი).

სალეჟო – 1. ლეჟავების უბნები ერისწყარისა და რთომწყარის გამყოფ სერზე (ლეკუხონა) და ჭუბურხინჯის საზღვართან (სიდა); 2. ყოფილი დასახ. უბანი სათანჯოს კალთაზე (პ. აკვაღა).

სალეჟოშ სუკი – სერი სალეჟოში (ლეკუხონა).

სალოგუო - იხ. ლოგუაა რჰაბლა.

სამალაზონიო – მალაზონიების უბანი რთომწყარის მარც. მხარეს (საბერიო).

სამალანიო – მალანიების უბანი ოხოჯის ნაპირას (ფუწყური, აჩიგვარის თემი).

სამალიშა(ო) – მალიშავების უბანი ქვემო ჩხორთოლში (ჩხორთოლი).

სამანიო – მანიების უბანი საჯახაიოსა და რთომს შუა (ლეჭარაიე).

სამანჩოღალ//საჯახაიოშ ღალ – რთომის შენაკადი. იყო მანჩა თოდუასა და კოროია ჩქოტუას სათავადოების საზღვარი (ლეკუხონა).

სამარგალო – 1. ასე უწოდებენ სამურზაყანოელნი სამეგრელოს. ვარ.: მელე "გაღმა", მელენქიანა "გაღმაქვეყანა"; 2. უბანი ფშაურიშ ღალის მარჯ. მხარეს, სადაც ცხოვრობენ სამეგრელოდან ჩამოსულები – მალანიები, ჭაავები და სხვ. (ფშაური, ბედიის თემი).

სამარგალოშ ცინწყურგილი – იხ. სამარგალოშ წყარი.

სამარგალოშ წყარი//სამარგალოშ ცინწყურგილი – წყარო ოჭაკეში, გალისა და წალენჯიხის რ-ნების საზღვარზე (მთა). ცინწყურგილი (მეგრ.) "ცივწყარო".

სამარკელიო – მარკელიების უბანი ერისწყლის მარც. ნაპირას (მ. შეშელეთი).

სამარულო – იხ. ახერა.

სამარქვალოშ რზენი//სარაგვო – ვაკე ენგურის ნაპირას (სამარქვალო, ზენი).

სამარღანიო – მარღანიების უბნები სოფლის ცენტრალურ გზაზე (ილორგანი) და ჩეგემღალის მარც. ნაპირას (დიხაზურგა).

სამარღანიო კონკი "სამარღანიო კუნძული" – კუნძული ენგურზე, რაც დიხაზურგელ მარღანიებს ეკუთვნოდათ (სამარქვალო, ზენი დიხაზურგის თემისა). ამ შემთხვევაში სა-ო პრეფიქს-სუფიქსი გამოხატავს ვისობა-განკუთვნებას.

სამასხულიო – მასხულიების უბანი სოფლის დას. ნაწილში (ფართონოხორი).

სამატკა – მატკავების უბანი ოხოჯის მარჯ. მხარეს (ახეცერა).

სამატუო – ერქვა მატუების უბანს რეჩხიწყარის მარც. ნაპირას. დაფარა გალის წყალსაცავმა (რეჩხი).

სამახარიო – მახარიების უბანი თედორეშ ღალის სათავესთან (აგუბედია). მახარია სახელიცაა და გვარსახელიც.

სამაჯინო - იხ. აბსრაკვარა. სამაჯინო ის ადგილია, სადაც მაჯინე ("მომლოდინე",ჩასაფრებული მონადირე) ელოდება ნადირს.

სამებონიო – მებონიების უბნები ქვ. ბარღების საზღვართან (ნაბაკევი) და დიხაგუძბა-პაპაშ ღალს შუა (გაგიდა).

სამელაიოშ კუნთხუ – იხ. სამელაიო.

სამესხიო – მესხიების უბანი სოფელში გამავალ საავტომობილო გზაზე (ზარწუფა).

სამესხიოკუნთხუ – მესხიების უბანი ეშაშ ღალის ნაპირას (ზ. ბარღები).

სამესხიოჭუჩა – მესხიების უბანი რეჩხიწყარის მარჯ. მხარეს (რეჩხი).

სამეფორიო – 1. მეფორიების უბანი ნაკარღალის საზღვართან (ნაჭკადუ); 2. ერქვა უბანს განაცუდუში. დაფარა გალის წყალსაცავმა (საბერიო).

სამეფორიო//მეფორიეფიშ კუნთხუ – მეფორიების უბანი ჯოყობაწყარის მარც. ნაპირას (მ. გუდავა).

სამ(ი)კანდრო – ტყე საშონიოს დასავლეთით (რეჩხი). შდრ.: სამკანდრო.

სამილიონო – გორა ჩეღალსა და ოყორანეღალს შუა (საბერიო, ჟირღალიშჭა).

სამინჯორაიო – მინჯორაიების უბანი ოკვინორეღალის მარჯ. ნაპირას (ოკვინორე, ოტობაიის თემი).

სამიქაო – 1. მიქაიების უბნები ჭირის მარც. ნაპირას (ქვ. ბარღები), აკვარათბის მარც. სერზე (ზ. გალი), ნიშონის მარც. მხარეს (სამქვარი), კაკიშ ღალის მარჯ. მხარეს (წარჩე) და ერწყარის მარჯ. მხარეს (რეჩხი); 2. ერქვა უბანს აბაყჩაში (შაშიკვარა).

სამიქიო – 1. მიქიების უბანი ენგურის მარჯ. ნაპირას (ოცარცე); 2. ყოფილი დასახ. უბანი სოფლის სამხრეთ ნაწილში. უწინ სოფელი ყოფილა: 1886 წელს შედიოდა საბერიოს თემში (ნაჯიხური).

სამიქიოსუკი – ბორცვი სამიქიოში (ნაჯიხური).

სამკანდრო//სამკვანდრო – სახნავი საგამსახურდიოში (ოცარცე). ინფ.: "სამკ(ვ)ანდროს უწოდებენ მცირე შემოღობილ ადგილს". სამკ(ვ)ანდრო ქართული "სამკვიდროს" ვარიანტი ჩანს.

სამკვანდრო – 1. ტყე, ფერდობი ხუნაშ ღალის მარჯ. მხარეს. ინფ.: "ხაბმესაც უწოდებენ იმის გამო, რომ წვრილქვიანი ადგილია" (მიშველი); 2. იხ. სამკანდრო. შდრ. სამ(ი)კანდრო.

სამონაწიო – სახნავები კონჯარიეფიშ ღალის ნაპირას (ტოგონი). ტოპონიმის ფუძე მონაწიი, მუნაწიი მეგრულში აღნიშნავს ჭირნახულს, მოსავალს. მეორე მხრივ, შესაძლოა ამოსავალი იყოს სიტყვა "მონაწილე". სახელდების მოტივი დასაზუსტებელია.

სამოროხიო – მოროხიების უბანი ელაღირის მარც. მხარეს (ჩხორთოლი).

სამორცხულო//მორცხულეფიშ კუნთხუ – მორცხულავების უბანი უბილეფიშ ღალსა და ჭითა ფონს შუა (ზ. ბარღები).

სამსონიაში//სამსონიაშ ნოხორი – ტყე ერწყარის მარჯ. მხარეს (მ. გუდავა). სამსონია გვარია. შდრ.: ადამიაში//ადამიაშ ნოხორი.

სამსონიაშ ნოხორი – იხ. სამსონიაში.

სამსონიეფიშ ნოხორი – იხ. ჯვეშ ნოხორი.

სამსონიეფიშ წყურგილი – იხ. ალრაშ ღალ.

სამსონიშ ქამფარი//ბადაშ ტუნელი – მღვიმე ქვაღეისა და გიგოშ ღალის წყალგამყოფზე (ფშაური, წარჩის თემი). ქამფარი (მეგრ.) "ციცაბო კლდე; უფსკრული, ჯურღმული". ტუნელი ← რუს.: тоннель, туннель "გვირაბი".

სამურზაყანო – ისტორიული მხარე დას. საქართველოში, ენგურსა და ღალიძგას შუა. სახელწოდება წარმოიქმნა მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ამ კუთხის მფლობელ მურზაყან შერვაშიძის სახელის მიხედვით. ადგ. ვარიანტი: სამგრზაყანო. აფხაზთა

მიერ ოდიშის სამთავროს ჩრდილოეთი ნაწილის ანექსიის შემდეგ ენგურ-ღალიძგის შუა მდებარე ტერიტორია სამართავად მიიღო სამთავრო კარის ერთ-ერთმა მემკვიდრემ – ყვაპუ შარვაშიძემ. მან ბზიფიდან, რომელიც მის ძმა როსტომს ერგო, თავის დაცარიელებულ სამფლობელოში გადმოიყვანა 25 გვარი (უმეტესობა ქართული წარმოშობისა), მათ შორის თავადები – შარვაშიძე, ანჩაბაძე, ინალიშვილი, ემუხვარი, ჩქოტუა. მათ ადგილზე დახვედრიან აზნაურები – მარღანია, ლაკირბაია, ზვანბაია, აქირთაა. ყვაპუ შარვაშიძე ბოროტი და ყმათა გამყიდველი მმართველი ყოფილა, მაგრამ მის შვილს - მურზაყანს, რომელსაც ერგო ეს სამფლობელო მამის გარდაცვალების შემდეგ, "აღუყვავილებია" ეს მხარე. ამან განაპირობა მისი სახელისაგან მხარის სახელის წარმოქმნა. 1840 წლამდე სამურზაყანოს ცენტრი იყო სოფელი პირველი ბედია. 1840 წელს რუსეთის ხელისუფლებამ შექმნა სამურზაყანოს საბოქაულო (участок "უბანი") და მისი ცენტრი პ. ბედიიდან ოქუმში გადაიტანა, ხოლო 1906 წელს – ოქუმიდან სოფ. მეორე გალში. სამურზაყანოს საბოქაულოში შედიოდა ბარღების, ბედიის, გალის, გუდავის, მუხურის, ნაბაკევის, ოქუმის, საბერიოს, ჭუბურხინჯის სასოფლო თემები. 1886 წელს ამ თემების მოსახლეობა შეადგენდა 5933 კომლს (30529 სული). მოსახლეობა დაყოფილი იყო შემდეგ ეთნიკურ ერთეულებად: რუსები, მეგრელები, სამურზაყანოელები, აფხაზები, სხვანი. სათანადო ცნობარში ნაჩვენებია, რომ ამ წელს სამურზაყანოს საბოქაულოში (საპოლიციო უბანში) რუსი ეროვნებისა მხოლოდ ერთი ოჯახი (4 სული) იყო, ხოლო აფხაზი ეროვნებისა – არც ერთი. 1917-1925 წლებში ამ რეგიონს ეწოდებოდა სამურზაყანოს მაზრა, 1925-1929 წლებში – გალის მაზრა, შემდეგ კი დაერქვა გალის რაიონი.

სამურზაყანოელთა აზრი ახლომდებარე ტერიტორიულ, დიალექტურ თუ ენობრივ-ეთნიკურ ერთეულებზე ასეთია: ენგური მოედინება შონედან (შონე "სვანეთი"), ენგურს იქით არის სამარგალო, ხოლო იმის იქით – საქორთუო. ენგურიდან ღალიძგამდე სამურზაყანოა, ღალიძგის იქით არის აბჟუა და იმის იქით კი – აძვიბჟა. ენგურ-ღალიძგის შუამდინარეთი, ანუ ამჟამინდელი სამურზაყანო რომ სამეგრელოს (ოდიშის) ნაწილი იყო და მეგრელებით იყო დასახლებული, ამას XVII-XIX საუკუნეთა მრავალი უცხოელი მისიონერი თუ მოგზაური აღნიშნავს. არქანჯელო ლამბერტის, ჯოვანი ლუკას, მაკარი ანტიოქელის, ჟან შარდენის,

ჟაკ ფრანსუა გამბას და სხვათა ნაწერებსა და კარტოგრაფიულ შრომებში ეს მხარე სამეგრელოს ნაწილადაა წარმოდგენილი. XVIII ს. შემდეგ ღალიძგა დაკანონდა სამურზაყანო-აბჟუის საზღვრად. 1843 წელს ბარონი როზენი აფხაზეთის მთავარ მიხეილ შარვაშიძეს სწერდა: "ხელისუფლებისათვის ცნობილია, რომ ცოცხალი საზღვარი სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის არის მდინარე ღალიძგა". ალ. დიუმა 1858 წელს სამურზაყანოს უწოდებდა "სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის მდებარე პატარა თავისუფალ მხარეს", ხოლო ამავე საუკუნის არქეოლოგი და ნუმიზმატი ივანე ბართოლომეი – "უბატონო თავისუფალ მხარეს". ა. ცაგარლისა და ი. ყიფშიძის წარმოდგენითაც, სამურზაყანო მდებარეობს ენგურსა და ღალიძგას შუა.

სამურღულიო – მურღულიების უბანი სახუბუტიოსა და საგამსონიოს შუა, ენგურის მარჯ. ნაპირზე (შქაშსუკი).

სანანო – ნანავების უბანი კეიშის მარჯ. მხარეს (ზ. ღუმურიში).

სანარდო – აღნიშნულია დასახ. პუნქტის სახელად არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან "სამეგრელოს რუკაზე" (1654 წ.). 1886 წელს სოფლის სტატუსით შედიოდა ბედიის თემში, ხოლო 1928 წლიდან სანავარდო ფორმით შევიდა მეორე ბედიის სას. საბჭოში. იხ. ბედია.

სანარმანიო – 1. ნარმანიების უბნები ელიაკვარის მარჯ. ნაპირას (რეკა), ოხურეის მარც. ნაპირას (პ. ოხურეი), აჩიგვარის საზღვართან (ბედია), ბოხონასა და სალაბჟანიოს შუა (ახეცარა), ოხურეიში (აჩიგვარის თემი); 2. ყოფილი დასახ. უბანი წყურგილიშ ღალის მარჯ. მხარეს (ნარჯხეუ).

სანაყოფიო – 1. ნაყოფიების ორი უბანი სოფ. ფართოლალში. განარჩევენ: კეიშიშ სანაყოფიო (კეიშის მარჯ. მხარესაა) და ფართოლალიშ სანაყოფიო//ღალურნაყოფიეფი (ფართოლალის ხეობაში); 2. ერქვა უბანს მზიურისა და შაშიკვარის საზღვართან.

სანაჭყებიო – იხ. ნაჭყებია რჰაბლა.

სანდროშ ცხიმურონი – იხ. ცხიმურონი.

სანერგე – იხ. ნარამუ, რამი.

საორჭონიო – ორჭონიების უბნები რეფი-ეწერში (ოჯოლორის მარც. ნაპირას) და ფიჩორში.

საოცუჯო – ოცუჯავების უბანი ნათოფურეში (ხუმენი-ნათოფური).

საპაპასქუო – პაპასქუათა უბანი ნაბაკევის საზღვართან (საბჭოთა ჩაი).

საქვანიო – ქვანიების უბანი მორინჯის ნაპირას (აგვავერა).

სარაგვო – 1. სერი, უბანი ოხოჯის მარც. მხარეს, ფშაურიშ ღალსა და სარაგვოშ ღალს შუა, სადაც უწინ ჩიტიშ რაგვი ("კაკანათი") ჰქონიათ გამართული (ფშაური, ბედიის თემი); 2. ტყე-საძოვრები საბერიო-ოფუჯის გზაზე, ჩეღალის სათავესთან, სადაც ოდესღაც ნადირის დასაჭერ რაგვს ("მახე") დგამდნენ (მთა); 3. იხ. სამარქვალოშ რზენი.

სარაგვოშ გოხორხილი – იხ. გოხორხილი.

სარაგვოშ ღალ//ქვაბლუხუშ ღალ – ოხოჯის მარც. შენაკადი. გაედინება სარაგვოდან (ფშაური, ბედიის თემი).

სარაგვოშ ჩეღალ – იხ. ჩეღალ.

სარატიო – რატიების უბანი სოფლის სამხ. ნაწილში (რამი).

სა(რ)დგებიო – დგებიების უბანი ნაჯიხურის საზღვართან (ფართონოხორი).

სარდიონიშ ჭყონი "სარდიონის მუხა" (მეგრ.) – მინდორი სავარდანიოშში, სადაც დგას დიდი მუხა (სამქვარი).

სარიგვა – 1. რიგვავების უბანი მუხკვარის მარც. მხარეს (ოქუმი); 2. ჩაის ფართობები საქვაჩახიოს დასავლეთით. უწინ ესახლნენ რიგვავები (ფართოღალი, ღუმურიშის თემი).

საროგო – როგავების უბანი სოფლის სამხ. ნაწილში (პ. ოტობაია).

საროდონაიო – როდონაიების უბანი მუ(ნ)წკვარაღალის მარჯ. მხარეს (რეჩხი).

საროსტობაიო – როსტობაიების უბანი აკვარათბის ხეობაში (ზ. გალი).

სარუხაიო – რუხაიების უბანი ენგურის მარჯ. მხარეს (თაგილონი).

სასაბეკიო – საბეკიების უბანი ჯოცობის მარჯ. მხარეს (ოხურეი, გუდავის თემი).

სასარუო – სარუების უბანი ნიშონის მარც. ნაპირას (ლეკუმხარა).

სასაჯაიო – საჯაიების უბანი სოფლის დას. ნაწილში (რამი).

სასირგინა – სირგინავების უბნები ქვემო ჩხორთოლსა (ჩხორთოლი) და ოქუმწყარის მარჯ. მხარეს (ფუწყური, წარჩის თ.).

სასიჭინო – სიჭინავების უბანი სოფლის ცენტრსა და ბორსვს შუა (ფიჩორი).

სასონგულიო – სონგულიების უბნები ოხურეის ნაპირას (მ. ოხურეი) და ნეძფარასა და ჯუხუს შუა (მ. კოპიტი).

სასოსელიო – სოსელიების უბნები ლაკადის ძირას (ნაჯიხური), საჭანიოს გვერდით (გაგიდა) და თხინაშკარში.

სასოტკილო – სოტკილავების უბანი ენგურის მარჯ. მხარეს (ვეშკუდელი).

სატაბაღუო – ტაბაღუების უბნები ერისწყლის მარჯ. მხარეს (საბერიო, შჭაშსუკი) და ოქუმწყარის მარც. ნაპირას (პ. გუდავა).

სატაბაღუოსუკი – სერი ცხიმურძაგაში (ჟირღალიშქა).

სატორუო – 1. ტორუების უბნები ოქუმის მარც. მხარეს (აჩიგვარა), ერისწყლის მარჯ. მხარეს (ღვაშგვერდი) და ფართონოხორში; 2. ერქვა უბანს განაცუდუში. დაცარიელდა გალის წყალსაცავის აგებასთან დაკავშირებით (საბერიო).

სატურაო//ტურეფიშ მხარე – ტურავების უბანი ჭითა ფონის მარც. მხარეს (საბჭოთა ჩაი).

სატყებჩო – ტყებუჩავების უბანი ქოღეი-ოხოჯის მარჯ. ნაპირას, ბედიის მონასტერთან (აგუბედია).

საუბილა//საუბილო კუნთხუ – უბილავების უბანი უბილეფიშ ღალის ნაპირებზე (ზ. ბარღები).

საუბილო – 1. უბილავების უბანი წარჩის მარც. მხარეს (ფუწყური, წარჩის თ.); 2. ერქვა უბანს რკინიგზის ხაზთან (მზიური).

საუბილო კუნთხუ – იხ. საუბილა.

საფა(რ)სანძო – ფარსანძეების უბანი კეიშის მარც. მხარეს (რეჩხი).

საფარულუო – ფარულუების უბნები ენგურის ნაპირას (ზარწუფა) და ნიშონსა და საკეკუოს შუა (ქვ. ღუმურიში).

საფარფალიო – ფარფალიების უბნები აკვარიქვის საზღვართან (რეფი-ეწერი), მორინჯის მარჯ. ნაპირზე (ნახინგუ) და სამელაიოში.

საფაჩულიო – ფაჩულიების უბნები წარჩეწყარის ნაპირას (ჩხორთოლი) და ფუწყურში (აჩიგვარის თემი). 2. იხ. ფაჩულია რჰაბლა.

საფაცაციო – ფაცაციების უბანი ოკვინორელალის მარჯ. მხარეს (ოკვინორე, განახლების თემი).

საფაცურიო – ფაცურიების უბნები თაყის სათავესთან (ვეშკუდელი) და სოფლის მთავარ საავტომობილო გზაზე. ვარ.: ფაცურიეფიშ კუნთხუ (ზარწუფა).

საფილკო – ნავმისადგომი დიდგაგიდაზე (გინძე ეწერი). ინფ.: "აქამდე მოცურდებოდა ხოფელი ლაზების ფილკა ნავები და იტვირთებოდა მუხის კუნძებით".

საფიფიო – ფიფიების უბანი სამარქვალოს საზღვართან (ზენი, დიხაზურგის თემი).

საქარდო – 1. ქარდავების უბნები ოგგრგნელალის ნაპირებზე (ნაბაკევი), ერისწყლის მარც. ნაპირას (მახუნჯია), ხუმუშქურის საზღვართან (სიდა) და ოჯოლორის მარჯ. ნაპირას (მ. შეშელეთი); 2. ყოფილი დასახ. უბანი ჟინცხირში (ზემო ცხირი).

საქარჩო – ერქვა ქარჩავების უბანს აბაყჩაში (შაშიკვარა).

საქაშბაიო – ქაშბაიების უბნები ერისწყლის მარც. ნაპირას (მ. შეშელეთი) და ჭიქე ერისწყლის ნაპირებზე (რეფი-ეწერი).

საქაჯაიო – ქაჯაიების უბანი თაგილონის საზღვართან (ზენი, ჭუბურხინჯის თემი).

საქეცბაიო – ქეცბაიების უბანი ნიშონის ნაპირებზე (ზ. გალი).

საქვარანძიო – ქვარანძიების უბანი ზემო ჩხორთოლში (ჩხორთოლი).

საქვარანძიოშ ჯიხა – ნაციხარი საქვარანძიოში (ჩხორთოლი).

საქვაჩახიო – ქვაჩახიების უბნები ოქუმსა (მუხკვარასა და მორინჯეს შუა) და ფართოლალში (ღუმურიშის თემი).

საქვაცბაიო – იხ. აქიდრა.

საქირთბაიო//ქირთბაიეფიშ კუნთხუ – ქირთბაიების უბანი ნაგიძუსა და საავტომობილო გზას შუა (ზარწუფა).

საქირიო//ქირიეფიშ კუნთხუ – ქირიების უბნები წარჩის საზღვართან (ნახინგუ) და ხაიის ნაპირას, საბარღებო შარასთან. ვარ.: საქგრიო (ზენი, ჭუბურხინჯის თემი).

საქიშმარიო – ქიშმარიების უბანი ელიაკვარის მარჯ. მხარეს (რეკა).

საქობალიო – 1. ქობალიების უბნები ერისწყლის მარც. მხარეს (შქაშსუკი), თაკოჩიის მარჯ. მხარეს (გაგიდა), ტობასა და ჭუბურონას შუა (სიდა), ერისწყლის მარც. მხარეს (ლეკუხონა), ოკვინორესა (განახლების თემი) და ფუწყურში (აჩიგვარის თემი); 2. ერქვა უბანს განაცუდში. დაცარიელდა გალის წყალსაცავის მიზეზით (საბერიო).

საქონელიშ ნადინეფი "სადაც საქონელი დაიღუპა" (მეგრ.) - იხ. გონკირილი ფშქერი.

საქუთელიო – 1. ქუთელიების უბანი აჩიგვარის საზღვართან (ოხურეი, გუდავის თ.); 2. ერქვა უბანს სოფლის მთავარ გზაზე (ბედია).

საქუთელიოშ გიმაულარი "საქუთელიოს ჩამოსასვლელი" (მეგრ.) - დაღმართი საქუთელიოში (ბედია).

საქულა – ქულავების უბანი ოხოჯისა და ეშმაკიშ ღალის შესართავთან (მიშველი).

საქურსუო – ქურსუების უბანი საქჩრიოსა და მ. აკვაღას შუა (ჭუბურხინჯი).

საქჭლორიო – ქილორიების უბანი წკვიბღალის ნაპირას (თაგილონი).

საქჭრიო – იხ. საქირიო.

საღამბაიო – უბანი, სადაც ცხოვრობენ ქანთარიები, ჭილაიები, ტყებუჩავები და სხვ., ხოლო ღამბაიები არ ჩანან (მიშველი).

საღარწკიო – ერქვა სოფ. ქვალონს გასული საუკუნის 30-იან წლებამდე. იხ. ქვალონი.

საღარწკიოშ სუკი//ჯიხაშ სუკი – სერი ოხოჯის მარჯ. მხარეს. ამ სერის ბოლოშია ბედიის მონასტერი. სწორედ მას უწოდებენ ჯიხას. აქედან მომდინარეობს სახელწოდება "ჯიხაშ სუკი" (აგუბედია, ქვალონი).

საღვინჯილიო – 1. ღვინჯილიების უბანი ოკვინორელალის მარც. მხარეს (ოკვინორე, ოტობაიის თემი); 2. ღვინჯილიების უბანი ერწყარსა და ტახტს შუა. უწინ ეკუთვნოდა შარაშიებს და ერქვა საშარაშიო რზენი (ფართონოხორი).

საღურწკაიო – ღურწკაიების უბნები მზიურში (ოგგრჩნელალის ნაპირებზე), სამარქვალოში (ზენის საზღვართან), რეფი-ეწერში (ოჯოღორის ნაპირებზე) და ქვიშონაში.

საყარაჩო//ყარაჩი – ასე უწოდებენ სამურზაყანოელნი ყარაჩაეთს. ინფ.: "საყარაჩო ქვეყანაა, კოდორის სათავესთან მთას რომ გადახვალ. ყარაჩსაც ვიტყვით".

საყარულო "საყარაულო" (მეგრ.) – დავაკება მთისკენ მიმავალ გზაზე (რეჩხი).

საყოლბაიო – 1. ყოლბაიების უბნები პ. აკვაღაში (ჭყონხუმლის საზღვართან), მ. აკვაღასა (კრინიგზის მაგისტრალთან) და რეჩხში

(კეიშის მარჯ. მხარეს); 2. ერქვა უბანს მზიურში (ჰუბურხინჯის საზღვართან).

საშადანიო//საშედანიო – შადანიების (შედანიების) უბანი მორინჯის ნაპირებზე (აგვავერა).

საშაკაიო – შაკაიების უბნები ოქუმწყარის მარჯ. მხარეს (აჩიგვარა) და ჯუხუს მარც. მხარეს. ვარ.: ახუწა (მ. კოპიტი).

საშამათო – 1. შამათავების უბნები ზ. გალში (ნიშონის მარჯ. მხარეს), მ. შეშელეთში (ჭითა წყარის სათავესთან), ლეჭარაიეში (ლეცეტესთან), სამელაიოში (ზ. ღუმურიშის საზღვართან), ოხურეისა (გუდავის თემი) და ფიჩორში, დიხაგუძბის საზღვართან (ვარ.: შამათეფიშ კუნთხუ).

საშამგიო – შამ(უ)გიების უბნები ფიცარღალში (ოკვინორეღალსა და ფიცარღალს შუა), ილორგანსა (ღალიძგის მარც. მხარეს) და ქვ. ბარღებში (ქირის მარც. მხარეს).

საშარანგიო – ერქვა სოფ. მუხურს 1952 წლამდე. ამჟამად ეწოდება შარანგიების უბანს კოხორა-სამელაიოს საზღვართან (მუხური).

საშარანგიოშ ნაოხვამ – იხ. ნაოხვამ.

საშარაშიო – შარაშიების უბანი ერისწყლის მარჯ. მხარეს (ფართონოხორი).

საშარაშიოოხვამე – ეკლესია სოფ. საბერიოს ცენტრში.

საშარაშიორზენი – იხ. საღვინჯილიო.

საშარიო – შარიების უბნები თაგილონში (სოფლის მთავარ გზაზე), სიდასა და საბუთბაიოში (ბოკვეთის საზღვართან).

საშედანიო – იხ. საშადანიო.

საშენგელიო – 1. შენგელიების უბნები თხინაშკარშსა (წიფონის მარც. მხარეს) და ზარწუფაში, ენგურის მარჯ. მხარეს (ვარ.: შენგელიეფიშ საგანო); 2. ერქვა უბანს პატრახუწაში (მზიურის თემი), მ. შეშელეთის საზღვართან (ვარ.: შენგელიეფიშ კუნთხუ).

საშნა ლკვარა//საშნაშ ღალ – ელიაკვარის მდგენელი (რეკა). საშნა ქალის სახელია.

საშნაშ ღალ – იხ. საშნა ლკვარა.

საშონიო – 1. შონიების უბნები გაგიდაში (ზღვის ნაპირას), თხინაშკარში (ჰკადიშ ღაღის მარც. მხარეს), საბულისკერიოში (მოხკვარის ნაპირებზე), ფშაურში (ფშქერონღალის სათავესთან), პ. ოხურეიში (ოხურეის მარჯ. მხარეს), რეჩხსა (ცგცკვარის ხეობაში) და შჭაშსუკში; 2. ერქვა უბანს აბაყჩაში (შაშიკვარა).

საჩაკაბერიო – ჩაკაბერიების უბანი რთომის ხეობაში (ქირღალიშქა).

საჩარგაზიო – ჩარგაზიების უბანი ქვ. ბარღების საზღვართან (ნაბაკევი).

საჩაჩხალიო – იხ. საჩაჩხალია.

საჩერგეზიო – იხ. საჩერქეზიო.

საჩერქეზიო – ჩერქეზიების უბნები აჯრაში, ელალირის ნაპირებზე (ვარ.: საჩერგეზიო) და წარჩეში, ჩხორთოლის საზღვართან (ვარ.: საჩერქეზიოშ კუნთხუ).

საჩერქეზიოშ კუნთხუ – იხ. საჩერქეზიო.

საჩეხერიო – ჩეხერიების უბნები ნიშონის მარც. მხარეს (სამქვარი) და ენგურის მარჯ. მხარეს (ზენი, ნაბაკევის თემი).

საჩიკვატიო – ერქვა ჩიკვატიების უბანს ხუმუშქურის მარჯ. მხარეს (თხინაშკარი).

საჩინოხუ "საჩინოს ბორცვი" (აფხ.) – სერი ოხურეის მარც. მხარეს (საჩინო).

საჩქოტუო – ერქვა უბნებს სამარქვალოსა (ენგურის ნაპირას) და ჟირღალიშქაში (თომღალის ხეობაში). ჩქოტუები თავადები იყვნენ და ფლობდნენ ტერიტორიას ერწყარ-რთომიდან ენგურამდე.

საჩქოტუო კონკი – კუნძული ენგურზე, საჩქოტუოს პირდაპირ (სამარქვალო).

საჩქოტუო ოხვამე//შქაშსუკური ოხვამე – ეკლესია ღვაშგვერდის საზღვართან (შქაშსუკი).

საჩხეტიო – ჩხეტიების უბნები სიდაში (სიდაწყარის ნაპირებზე), ჭყონხუმლასა (ბაბაშია-კალამონაშ ღალს შუა) და ზენში (ჭუბურხინჯის თემი).

საჩხვირკიო – ჩხვირკიების უბანი აძურუს ნაპირებზე (მ. გაგიდა).

საჩხვირკიოშ სუკი//ჩხვირკიეფიშ სუკი – ბორცვი აძურუსა და ჯოყობას შუა, სადაც ცხოვრობენ სუკური ჩხვირკიები (მ. გუდავა).

საჩხორთოლიო – ჩხორთოლიების უბანი წარჩის ნაპირას (წარჩე).

საცანო – ცანავების უბანი ზენის (დიხაზურგის თემი) ცენტრალურ გზაზე.

საცაცუო – ცაცუების უბნები სამელაიოსა (ნიშონის მარჯ. ნაპირას) და ჭუბურხინჯში (ხუმლაღალის ნაპირას).

საციკოლიო – ერქვა ციკოლიების უბანს ერისწყლის მარჯ. ნაპირას. დაფარა გალის წყალსაცავმა (ცხირი).

საციკოლიო//სახასაიოკუნთხუ – უბანი რთომწყარსა და პაპაშ ღალს შუა (საბერიო). ინფ.: "უწინ ციკოლიები ესახლნენ. მათგან მხოლოდ ერთი კომლი შემორჩა. ამჟამად ხასაიები მკვიდრობენ".

საცობეხიო – უბანი სოფლის ცენტრში. ინფ.: "ცხოვრობენ ცობეხიები, რომლებიც წარმოშობით გუდაუთელი ცვეიბები არიან" (ქვ. ბარღები).

საცქვიტარიო – ცქვიტარიების უბანი ოკვინორელიალის მარჯ. მხარეს (ოკვინორე, განახლების თემი).

საცხადაიო – ცხადაიების უბანი ქოღეის მარჯ. ნაპირას (პატრახუწა, აგუბედიის თემი).

საცხირო სუკი – სერი ზ. ცხირის საზღვართან (ჰყონხუმლა). ეკუთვნოდა სოფ. ცხირს.

საცხუ(ცხუ)ბაიო – ცხუცხუბაიების ყოფილი დასახლება ღალხუმლის ხეობაში (ფართონოხორი).

საძანძო – ძანძავების უბნები წყოუშის (წალენჯიხის რ.) საზღვართან (ღვაშგვერდი) და ენგურის ნაპირას (ზენი, ჰუბურხინჯის თემი).

საძაძუო – ძაძუების უბანი პ. ოტობაიისა და მ. ოტობაიის საზღვარზე.

საძიგუო – ძიგუების უბანი საბერიოს საზღვართან (ზენი, დიხაზურგის თემი).

საძიგუოშ სუკი – სერი საძიგუოში (იხ.).

საწკიო – ხევი სათანჯოს დას. კალთაზე, სადაც უწინ ხაროობდა წკიი (მეგრ.) "წყავი" (ჰყონხუმლა).

საწკიოშ ღალ – ჩელალის მდგენელი. იწყება საწკიოში (იხ.).

საწულაიო – წულაიების უბნები საქაჯაიოსა და საქირიოს შუა (ზენი, ჰუბურხინჯის თემი) და თაგილონის საზღვართან (სიდა).

საწულეისკირიო – წულეისკირიების უბანი აკვარიქვის მარც. ნაპირას (ხუმუშქური).

საწურწუმიო – წურწუმიების უბანი ხვითსა და სკდაწყარს შუა (საშამუგიო).

საჭანიო – 1. ჭანიების უბანი საქობალიოსა და სახეციოს შუა (გაგიდა); 2. ერქვა ჭანიების უბანს საქვაჩახიოშ ღალის დასავლეთით (ფართოღალი, ღუმურიშის თემი).

საჰარაიო – 1. ჰარაიების უბანი ოქუმწყარის მარჯ. მხარეს (საბულისკერიო, ოქუმის თ.); 2. ერქვა უბანს აბაყჩაში (შაშიკვარა).

საჰარკინტო – იხ. ღანჩო.

საჰატურიო – ჰანტურიების უბანი სოფ. ახეცარაში.

საჰედიო – ჰედიების უბანი ჩელალის ნაპირებზე (ჰყონხუმლა).

საჰითანო - ჰითანავების უბანი ერისწყლის მარჯ. მხარეს (რეჩხი).

საჰკადუო – ჰკადუების უბნები ჰყონხუმლაში (ბაბაშიის მარც. მხარეს), სახახუბიოში (ოხოჯე-ელიაკვარის გამყოფ სერზე), რეკაში (ელიაკვარის სათავესთან), ჰუბურხინჯსა და ფუწყურში (აჩიგვარის თემი).

საჰოლარიო – 1. ჰოლარიების უბნები პ. კოპიტსა და მ. კოპიტში (ჯუხუს ნაპირზე), მიშველში (ეშმაკიშ ღალის ნაპირას); 2. ყოფილი დასახ. უბანი ქოღეის მარჯ. მხარეს (პატრახუწა, აგუბედიის თემი).

საჰურღულიო – ტყე-ფერდობები ჰუბურხინჯის საზღვართან, სადაც უწინ სახლებულან ჰურღულიები (ოცარცე).

სახაბურზანიო – ხაბურზანიების უბანი ჯოცობის მარც. ნაპირას (ოხურეი, გუდავის თემი).

სახანაგუო – ხანაგუათა უბანი უჩან ირის კალთაზე (პატრახუწა, აგუბედიის თემი).

სახარგელიო – ხარგელიების უბანი ოჯოღორესა და შაშიკვარას შუა (რეფი-ეწერი).

სახარჩილაო – ხარჩილავების უბანი ნიშონის მარც. მხარეს (სამქვარი).

სახარჩილო – 1. ხარჩილავების უბანი ფიცარღალის მარც. მხარეს (ფიცარღალი); 2. ერქვა უბანს სამანიოსა და საჯახაიოს შუა (ლეჭარაიე).

სახასაიო – 1. ტყე-ფერდობები კონჩხის გვერდით, სადაც უწინ ხასაიებს უცხოვრიათ (ლეკუხონა); 2. ყოფილი დასახ. უბანი სამარქვალოს საზღვართან (შქაშსუკი).

სახასაიო კუნთხუ – იხ. საციკოლიო.

სახასაიოშ სუკი – სერი სახასაიოში (შქაშსუკი).

სახახუბიო//სალაბჟანიო – უბანი ელიაკვარასა და ოჩხარჩხალიოს შუა (ახეცარა).

სახვარო – უბანი ერწყარის მარჯ. მხარეს. ინფ.: "ცხოვრობდნენ ხვარავები. დარჩა 1 კომლი. ამჟამად ძირითადად საბულუებს უკავიათ ეს უბანი. არიან სხვა გვარისანიც" (ჟირღალიშქა).

სახვაროსუკი – სერი სახვაროში (იხ.).

სახოჭა – იხ. ილორკუნთხუ.

სახოჯა(ო) – იხ. ოხოჯა.

სახუბუო – ხუბუების ორი უბანი მ. გუდავაში. განარჩევენ: ჭიჭე სახუბუო - ჯოყობის მარც. ნაპირას და დიდი სახუბუო – სოფლის ცენტრში.

სახუბუტიო – ხუბუტიების უბანი წყოუშის (წალენჯიხის რ.) საზღვართან (ღვაშგვერდი).

სახურციო – ხურციების უბანი საჭანიოს დას-ით (გაგიდა).

სახურციო – ხურციების უბანი საჭანიოს დას-ით (გაგიდა).

სახურციულაო – ხურციულავების უბანი თაგილონში.

სახურციულო – ხურციულავების უბანი სიდაში.

სახუფენიო – ხუფენიების უბანი სოფლის დას. ნაწილში (რამი).

საჯაიაა რხუ "საჯაიების ბორცვი" (აფხ.) - ბორცვი აყვარაშის მარც. მხარეს, სადაც უწინ სახლებულან საჯაიები (აყვარაში, ფოქვეშის თემი).

საჯანჯულიო - ჯანჯულიების უბანი ქაფშქითში (ოქუმი).

საჯახაიო - ჯახაიების უბნები ლეჭარაიესა (რთომწყარის მარც. ნაპირას) და ნახინგუში (მორინჯის მარჯ. ნაპირას).

საჯახაიოშ ღალ – იხ. სამანჩოღალ.

საჯგერნაიო - ჯგერ(ე)ნაიების უბანი პატრახუწის საზღვართან (შაშიკვარა).

საჯგუბურიო - ჯგუბურიების უბანი ოქუმწყარის მარჯ. მხარეს (საბულისკერიო, ოქუმის თემი)

საჯეჯეიო//საჯიჯეიო – უბანი ნიშონის ნაპირებზე. იყოფა: რზენსაჯიჯეიო და ლაკადასაჯიჯეიო (სამქვარი, ზ. გალი). ჯიჯეია, ჯეჯეია გვარია.

საჯვედელო – უბანი საცაცუოს გვერდით (სამელაიო). ჯვედელავა, იგივე ზვედელავა, გვარია.

საჯიგანიო - ჯიგანიების უბანი წარჩეწყარისა და ოხოჯეს შესართავთან (წარჩე).

საჯინჯოლიო – ჯინჯოლიების უბნები დიხაგუძბაში (ქვიშონის საზღვართან), ფართონოხორსა (რთომის მარჯ. მხარეს) და მ. კოპიტში (ნეძფარასა და ქაცვაარკვარას შუა).

საჯიქიო – ჯიქიების უბანი კაციჰაბლის საზღვართან (ილორგანი).

საჯიჯეიო – იხ. საჯეჯეიო.

საჯობა – 1. ჯობავების უბანი ზღვისპირას (ნაგვალოუ); 2. დიდი უბანი კეიშისა და რეჩხიწყარის ნაპირებზე (რეჩხი). მრავალრიცხოვნობისა და ვრცელ ტერიტორიაზე განსახლებულობის გამო აქაური ჯობავები (ჯვაბავები) იყოფიან შტოგვარებად, რომლებიც ხშირად უბნის ნაწილის აღნიშვნის ფუნქციასაც ითავსებენ: ჰოჰური ჯობეფი (ხოლეს საზღვართან. ჰოჰუ მათი წინაპარი ყოფილა), სუკური ჯობეფი (ცხოვრობენ სერზე), ლაკადური ჯობეფი//ხვირმონული ჯობეფი (ცხოვრობენ ხვირმონაში, რაც ლაკადაშია), რეჩხიშდუდიშ ჯობეფი, ქორთუშ ღალიშ ჯობეფი, დიდქუაშ ჯობეფი.

საჯოლოგუო – ჯოლოგუების უბნები სალხინოსა (თაგილონის საზღვართან) და საბჭოთა ჩაიში.

საჯონჯუო – ჯონჯუების უბნები დიხაზურგასა (ჩეგემის ხეობაში) და სამელაიოში (ოქუმწყარის ნაპირას).

საჯონჯუოშ სუკი – სერი საჯონჯუოში (სამელაიო). იხ. ჟინიშ ოხვამური.

საჯოჯუო – ჯოჯუების უბანი პ. ოტობაიისა და ოკვინორის (ოტობაიის თემი) საზღვარზე.

საჯუმ(უ)ტიო – ჯუმ(უ)ტიების უბანი საბულისკერიოს საზღვართან (აგვავერა).

საჯუმუტიო – ერქვა. უბანს ზ. გალის საზღვართან (სამელაიო).

საჯუმუტიოშ ღალ – აკვარათბის შენაკადი (სამელაიო).

საჯღარკო – ჯღარკავების უბანი ჰიჰე ერწყარის ნაპირებზე (რეფი–ეწერი).

საჰავო – აგარაკი, სათანჯოს თხემი (დიხაზურგა). საჰავო (მეგრ.) საერთოდ ეწოდება საზაფხულო დასასვენებელ ადგილს მთაში.

საჰავო გვალაია – სააგარაკო ადგილი ქოცხოცხამგვალაიის ჩრდილოეთით (მთა).

საჰავო ოფუჯე – აგარაკი ოფუჯეში (მთა).

საჰავო წყურგილი – ერთადერთი წყაროო ოფუჯეში (მთა).

საჰალვაშო – ჰალვაშების უბანი ენგურის მარჯ. ნაპირას (ვეშკუდელი).

საჰალვაშოშ კუნო//ბოძოშ კუნო – მორევი ენგურზე, სადაც ჰალვაშები დგამდნენ კუნოს – თევზის დასაჭერად მოწნულ გიდლისნაირ მახეს (ვეშკუდელი). ბოძო ერთ-ერთ ჰალვაშს ერქვა.

სევერიშ ცხიმურონი – იხ. ცხიმურონი.

სეიდიყ იფართა "სადაც სეიდიყი გადახტა" (აფხ.) – მაღალი კლდე ჯუხუს მარც. ნაპირას (ჩხორთოლი).

სვიმოშ მკონტკილი – იხ. სვიმოშ ხკნდა.

სვიმოშ ხკნდა//სვიმოშ მკონტკილი – ოქუმის მარცხენა მაღალი ნაპირი (მუხური). მკონტკილი (მეგრ.) "ჩამორღვეული მაღალი ნაპირი მდინარისა". იხ. ხკნდა.

სვირაშ აფთკრა – საძოვარი, სადაც სვირავას (გვარია) ჰქონია აფთკრა – საქონლის სადგომი (ქვ. ბარღები) იხ. აფთკრა.

სიგუაშ ონტყოლაშე – იხ. ონტყოლაშე.

სიკოშ ღალ – ოხოჯის შენაკადი (ქვალონი, ახეცარა).

სისკვარა//სიცკვარა//ცკცკვარა//სკსკვარა – რეჩხის მარჯ. შენაკადი (რეჩხი, ზ. ღუმურიში).

სიფშხირა – იხ. (ა)ჟუბხერა.

სიცკვარა – იხ. სისკვარა.

სოლომკაა რხუ//სოლომკეფიშ ნოხორი - ბორცვი ბარზალკვარის მარც. ნაპირას, სადაც ცხოვრობდნენ უკრაინელები, გვარად სოლომკო (ჯგერიანი). პირველი ვარიანტი აფხაზურია და ნიშნავს სოლომკოს ბორცვს, მეორე ვარიანტი მეგრულია და ნიშნავს სოლომკოს ნასახლარს.

სოლომკეფიშ ნოხორი – იხ. სოლომკაარხუ.

სოუკვარა – მუშათა დასახლება ღალიძგის მარც. ნაპირას (ქ. ტყვარჩელი). სოუ პირსახელია.

სოფელ(იშ)ღალ//ჟინცხირიშ ღალ – ოჯოღორის ერთ-ერთი მდგენელი (ზ. ცხირი, მახუნჯია).

სოფრო(ვანი)შ ნოხორი – იხ. ნაკარჩოვკ.

სტახანოვიშ ნოკვეთი – სახნავი ენგურისპირა ვაკეში (თაგილონი). ინფ.: "ამუშავებდნენ ადგილობრივი სტახანოველები – დამიანე შარია და აკაკი არდაბელია".

სუბეიში – ერქვა სოფელს დღევანდელი აჩიგვარის ტერიტორიაზე. არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან "სამეგრელოს რუკაზე" ოქუმის მარჯ. მხარეს დასახლებულ პუნქტს აწერია Subeis. მალაქია კათალიკოსი (1616 - 1639 წწ.) "ბიჭვინ-

ტისადმი შეწირულების წიგნში“ აღნიშნავს: “ამას გარეთ სუბეიშს სასახლე გამიკეთებია, საყდარი დამიდგამს...“ (იხ. ქსძ, III, გვ. 50). 1621 წელს შედგენილ საეკლესიო გლეხთა ნუსხაში დასახელებულია სუბვი ვარიანტი (იხ. მუხური).

სუკატია//სუკატიაშ წყურგილი – ლიოს მარჯ. შენაკადი (ზენი, ილორი). სუკატია პირსახელია.

სუკატიაშ წყურგილი – იხ. სუკატია.

სუკენწერი//საბეკიშ ენწერი – ჩაის ფართობი ენწერში (სუკი).

სუკი “ბორცვი“ (მეგრ.) – 1. ბორცვი პ. გალის საზღვართან (სამელაიო); 2. სერი ელიაკვარასა და ოხოჯეს შუა (სახახუბიო). გრძელდება აჩიგვარაში და ეწოდება სააფშილო სუკი; 3. გორაკ-ბორცვიანი ზოლი რზენსა და სათანჯოშ ლაკადას შუა. აქ ცხოვრობენ “სუკარეფი“, რზენში - “რზენალეფი“, ხოლო ლაკადაში - “ლაკადარეფი“ (ჭუბურხინჯი); 4. ბორცვი საჭედიოში. ახლომახლო რამდენიმე ბორცვია, მაგრამ “სუკი“ მხოლოდ ამას შეერქვა. აქ მოსახლე სამ კომლს ეწოდება სუკარეფი (ჭყონხუმლა) და სხვ.

სუკია – მცირე ბორცვი საკობახიოში (ნახინგუ).

სუკიშ ზენი – უბანი ღალიძგის მარც. ნაპირას (ზენი, ილორის თემი).

სუკიშ ცვანა – სახნავი ბორცვზე, რომლის სახელია სუკი (სამელაიო).

სუკიშ ცუნა – იხ. ცუნა.

სუმარკათი – იხ. ხირზანეფი.

სუმგვალა “სამი გორი“ (მეგრ.) – ტყიანი სამი გორა კეიშის მარჯ. მხარეს (ზ. ღუმურიში).

სუმი ლანჯი “სამი კოპიტი“ (მეგრ.) – სახნავი ხვითის ნაპირას (საშამუგიო).

სუმი ცც “სამი თელა“ (მეგრ.) – ტყე ჭირის ნაპირას (ბოკვეთი).

სუმი ჯიმა წიფური “სამი ძმა წიფელი“ (მეგრ.) – ტყე-საძოვარი ჭითა წყურგილში (მთა)

სუმი ჯიმა ჭანდარი – სასაფლაო სოდაწყარის მარც. მხარეს (სიდა). ინფ.: “ასზე მეტი წლის წინათ კიწიიდან ჩამოსახლებულ სვიმოია გადელიას აქ დაურგავს 12 ჭადარი. მათგან სამია დარჩენილი“.

სუმღალ – წიფონის სამი ტოტი, რომლებიც ბოლოს ისევ ერთდებიან (თხინაშკარი).

სუმშარაიკართუ "სამი გზის გასაყარი" (მეგრ.) – გზათგასაყარი, სადაც გალი-გინძე ეწრის გზას გამოეყოფა "საბარღებო შარა" და "საკილანოშ შარა" (რეფი-ეწერი).

სუჯონა – პარიზის ეროვნულ მუზეუმში დაცულ ლათინურენოვან "სამეგრელოს რუკაზე" ენგურის მარც. მხარეს, დაახლოებით დღევანდელი საბერიოს თემის ტერიტორიაზე, არის წარწერა Sugiona. რუკის ქართულ ვარიანტში იგი გადმოტანილია არასწორი სუგიონა ფორმით. სუჯონა მეგრული სიტყვაა და ნიშნავს ცვარნამიან ადგილს ან სუროვანს.

სქვამწიფური "ლამაზი წიფელი" (მეგრ.) – ტყე რეჩხი-ოჭაკის გზაზე, სადაც ოდესღაც მდგარა ფართოდ გაშლილი ლამაზი წიფელი (ნაკარღალი).

სქვერებ(უ)დე//სქურებ(უ)დე//ოსქვერებუდე//ოსქვერებუდე- ოხურეიწყარის მარჯ. შენაკადი (ოხურეი, ილორის თემი). ხომ არ ნიშნავს შვლების საბუდარს?

სქურებ(უ)დე – იხ. სკვერებ(უ)დე.

სქვრტგბუ – ოხურეიწყარის მარჯ. შენაკადი. გაედინება ონახვაშედან (სუკი, ილორი). თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო სქურტიბუ "თბილი სქური".

სხაპღალ- თხუმონაღალის მარჯ. შენაკადი (პ. ოტობაია). ინფ.: "ვიწრო ღელეა და გახტომა შეიძლებოდა". სხაპუა (მეგრ.) "ხტომა, გადახტომა. ცეკვა".

სხული – მცირე ბორცვი აძიხის ნაპირას (ხუმუშქური).

სჯდა – იხ სიდა.

სჯდა//სჯდაწყარი – ხუმუშქურის მარც. შენაკადი (სიდა, საშამუგიო, საბუთბაიო).

სჯდაშ ეიორთუ – გადასახვევი, საიდანაც იწყება გზა სიდისაკენ (შაშიკვარა).

სჯდაწყარი – იხ. სჯდა.

სჯზგუში – საძოვარი ჰარულ საჯობაში (ზ. ღუმურიში).

სჯრსოლა "სრიალა. ლიპი" (მეგრ.) – აბდახარის მარც. შენაკადი (ხუმენი-ნათოფური). იწყება სამარკელიოში (მ. შეშელეთი).

სჯრყვაშ პლანი//ანჩბაიეფიშ პლანი – ერქვა ტყეს ილორგანის საზღვართან (პ. ოხურეი). სჯრყვა პირსახელია.

სჯსკვარა – იხ. სისკვარა.

ტაიაშ ნატომბ – იხ. ნატომბ.

ტამაკვარა – ღელე სამქვარისა და ფართოღალის (ცხირის თემი) საზღვარზე. ჩაედინება გალის წყალსაცავში.

ტამაკვარაშ ოტოფუე – იხ. ოტოფუე.

ტანიშ ობონუე "ტანსაბანელი" (მეგრ.) – საბანაო მორევები ნაბაკევში (ქირწყარზე), ლეკუხონასა (ერისწყალზე) და სამქვარში (უჩაღალზე).

ტანწყარი – ენგურის მთავარი დინება (ნაბაკევი, მ. ოტობაია...). ტანწყარი (მეგრ.) "მდინარის მთავარი დინება".

ტატაჩიშ ნაპარონ – საბანაო ნოყელინგგრზე, სადაც ტატაჩი ანჩბაიას ბორანი ჰქონია XIX ს. II ნახევარში (ზარწუფა).

ტატაჩიშ რიყე – მინდორი ტატაჩიშ ნაპარონთან (იხ.).

ტაფა მუხვაშ ფონი – ერქვა ფონს ენგურზე. აერთებდა პ. ოტობაიასა და ორსანტიას (ნაბაკევი). ორსანტიაში ამ ფონთან ესახლა ტაფა მუხვაში, შარაშიების ყმა, წარმოშობით ყარაჩი.

ტახილი – ტყე ოქუმაბსთაში (მთა). ტახილი (მეგრ.) "(გა)ტეხილი, (და)მტვრეული", როგორც ლანდშაფტური ტერმინი, აღნიშნავს ატეხილ-დატეხილ, ოღროჩოღრო ადგილს.

ტახტი – 1. ბორცვი, სასაფლაო სატორუოში (ფართონოხორი); 2. ბზანარი ჰარვაში (ზ. ღუმურიში). ტახტი (მეგრ.) ფართო, ბრტყელი ლოდია, რომელზეც დაჯდომა ან სულაც წამოწოლა და დასვენება მოსახერხებელია. ამიტომ გზაზე შესასვენებელ ადგილსაც შეიძლება დაერქვას.

ტახტიშ ტომბა – საბანაო ერისწყალზე, სადაც კლდეს ბუნებრივი ბაქანი აქვს (საბერიო).

ტაჰერიშ ნაკარ – იხ. ოცალუე.

ტემიშიშ წყურგილი – იხ. აჰა(ფ)ძიხ.

ტერენტიშ გოჭოფილი – იხ. გოჭოფილი.

ტერენტიშ ხინჯი – ბონდის ხიდი ოხოჯეზე. ტერენტის თავკაცობით გაუკეთებიათ (ფშაური, ბედიის თემი).

ტეფიკარე – მინდორი ხუმუშქურის მარც. მხარეს (საშამუგიო). ტეფი (მეგრ.) ფართო ხის ნაპობია, სახურავად გამოყენებული. სახელწოდება ფახულანიდან გადმოუტანიათ შონიებს.

ტვეფი – ფერდობები საბერიოს საზღვართან (დიხაზურგა).

ტკილიშ ტომბა – იხ. ნაჩიხაშდუდი.

ტკილიშ ღალ – რეჩხიწყარის მარც. შენაკადი (რეჩხი). ტკილი (მეგრ.) "მერგელის ქანი".

ტობა "ტბა; ღრმა წყალი მდინარეში" (მეგრ.) – 1. ღრმა წყალი ჯვარამღალში (ნაბაკევი); 2. ასლანგერიშ ღალის ზემო წელი. ვარ.: ტობაღალ (სიდა, საშამუგიო).

ტობავარჩხილი – იხ. ოქროწყარი.

ტობაღალ – იხ. ტობა.

ტომბა – იხ. აძმიქ.

ტომბა მელიორაცია – იხ. დიდი მელიორაცია.

ტომბა წყარი "ღრმა წყალი" (მეგრ.) – ოხარჩალაიის მარჯ. შენაკადი. გაედინება ნალამუსა და სათანჯოს შუა. უწინ ერთგან ჰქონია დიდი ტბორი (ოცარცე, ჭუბურხინჯი)

ტომბა ხაია – საბანაო ხაიაზე (სალხინო).

ტოროშ ნანთხორა "ტოროს ნათხარი" (მეგრ.) – ერქვა ზღვამდე ხე-ტყის გასაზიდ არხს (დიხაგუძბა).

ტრანჩაი – ჩაის ფართობი ქვემო ჩხორთოლში (ჩხორთოლი) შდრ. რუს.: траншея.

ტუგუ იღდარა "ტუგუს ეკლნარი" (აფხ.) – ჩაის ფართობი პატუხე იკვარის ნაპირას. აქვე ტყეს ერქვა თანთარ იღდარა (ფოქვეში).

ტუიაშ ნანაცუნ – იხ. რზენი.

ტუნგონა – 1. ტუნგის პლანტაციები ოცარცესა (საგამსახურდიოს უბანში) და მუხურში; 2. იხ. ჩეშონა.

ტუნგონი – იხ. ოტუნგონი.

ტუნელი – მღვიმე, წყარო ანჭაგვართაში (აგვავერა). შდრ. რუს.: тоннель "გვირაბი".

ტურაშ ბარცხენი – იხ. ოტურე ბარცხენი.

ტურაშ ოჭოფუე "ტურის საჭერი" (მეგრ.) – ტყე ერისწყლის მარჯ. მაღლობზე (მახუნჯია).

ტურაშ სუკი//წკერგიმაშქუშ სუკი – ბორცვი ჭითა ოხურეის საზღვართან (სუკი). ინფ.: "ტყე იყო და ტურა იცოდა". ტურა(ვა) გვარიცაა. იხ. წკერგიმაშქუ.

ტურეფიშ მხარე – იხ. სატურაო.

ტურუშ (ტანიშ) ობონუე – საბანაო ნიშნზე. ტურუ პირსახელია (სამქვარი).

ტუტუშ გითალ – ტყე ქირის მარჯ. ნაპირას, სადაც ტუტუს ტყეში ბილიკი გაუკაფავს (ბოკვეთი). გითუულა (მეგრ.) "რაიმეს ქვეშ გავლა" → გითალ " (რაიმეს ქვეშ) გასასვლელი".

ტუტუშ ღალ – იხ. ჭგფე ღალ.

ტუჩიშ ცხიმურონი – იხ. ცხიმურონი.

ტყადოხორე//დოხორე – ერქვა ტყეს იმ ადგილას, სადაც განახლების თემის ცენტრია (ოკვინორე, განახლების თემი). დოხორე (მეგრ.) "სასახლე". ტყადოხორე ← ტყაშ დოხორე "სასახლე ტყეში".

ტყებჩეფიშ დიხა – იხ. პიტომნიკი.

ტყოპოღალ – ჩეღალის მარჯ. შენაკადი საჭედიოში (ჭყონხუმლა). ტყოპო (მეგრ.) "ბლანტი ტალახი".

უ

უბადო მიკოლ – იხ. წგბგრყულა.

უბილეფიშ ღალ – უჩა ღალის ზემო წელი (ზ. ბარღები).

უბილეფიშ ოწყურგელე – იხ. ოწყურგელე.

უგვარეფიშ სუკი – ბორცვი ელაღირის მარჯ. მხარეს. უგვარე გვარია (აჯრა).

უდეღალ – იხ უ(დუ)დეღალ.

უდიაროღალ "უძოვარი ღელე" (მეგრ.) – ალაჰვარის შენაკადი (კოხორა). ჩრდილიანი ადგილია, უმზეო. ბალახი უხვად იზრდება, მაგრამ კლდე-ფერდობებზე საქონელი ვერ გადის მოსაძოვებლად.

უდინაფწყურგილი- წყარო საკვეკვესქირიოში (სამქვარი). უდინაფუ (მეგრ.) "დაუკარგავი" (ე.ი. დაუმშრალი). მართლაც, ამ წყაროში წყალი ყოველთვის დის, არ შრება, არ იკარგება.

უდუდე "უთავო" (მეგრ.) – ქირის შენაკადი გაბარში (ნაბაკევი).

უდუდე//ჰიჭე ბუღაზი – ზღვისპირა ტბორი, ყოფილი ყურე. ზღვისგან ჰყოფს დიუნის ვიწრო ზოლი (გაგიდა). ჩაედინება გაგიდაღალ და პაპაშ ღალ, მაგრამ ჩამწყვდეულია, ზღვისკენ არა აქვს გასასვლელი. ამიტომაა უდუდე, ანუ უთავო. იხ. ბუღაზი.

უდუდეღალ – 1. ხუმუშჭურის მარჯ. შენაკადი. იწყება ჭყონხუმლაშ სუკიდან (პ. აკვაღა); 2. ოკვინორეღალის შენაკადი (ოკვინორე, განახლების თემი). ამ ღელეებს წყარო-სათავეები არ კვებავს. ამიტომაც არიან უთავონი.

უ(დუ)დელალ – კოლოშანიშ ღალის შენაკადი. იწყება საჯიგანიოს სერზე (წარჩე).

უდულაფუ//არტემიშ წყურგილი – წყარო, უჩაღალის შენაკადი დიდწიფურში (დიხაზურგა). წყარო არასოდეს შრება, ყოველთვის ერთ დონეზე დის. ამიტომაც დარქმევია უდულაფუ, რაც მეგრულად ნიშნავს დაუვარდნელს, დაუმშრალს, ყოველთვის ერთ დონეზე მდინარს.

უზარასქუალეფიშ ღალ – იხ. ორკეში.

უთრათგფ – საძოვარი ანარის სამხ. ნაწილში (მთა).

უკულ იარა "უკულის კაკალი" (აფხ.) – ფერდობი ოხოჯის მარჯ. მხარეს (აძხიდა, ტყვარჩელის თემი).

უკულიაშ ნანოყუნ "უკულიას ნაყანევი" (მეგრ.) – ტუნგის ნარგავები ლაბჟანიაშ ღალის ნაპირას (ახეცარა).

ურეკი//ჭყონა – ერქვა ტყის მასივს ერისწყლის მარც. ნაპირას (გალი, მახუნჯია). ურეკი მეგრულში გურული დიალექტიდან შესული სიტყვაა და აღნიშნავს ეკალბარდიან ტყეს, სადაც საქონლის შერეკვა შეუძლებელია. სიტყვა შეუთვისებია აფხაზურსაც ურაკ ფორმით (თ. გვანცელაძე).

ურთხელამღალ "ურთხლიანღელე" (მეგრ.) – ქოროშონის მდგენელი. ვარ.: ზუგბაიეფიშ ღალ (კოხორა).

ურთხელ(იშ)სუკი "ურთხლის ბორცვი" (მეგრ.) - ბორცვი საგამსახურდიოში (ოცარცე).

ურთხელონა "ურთხლნარი" (მეგრ.) – 1. სახნავი ოხურეიწყარის მარჯ. მხარეს (ნაგვალოუ); 2. ტყე ლეკუხონიდან მთისკენ მიმავალ გზაზე (მთა) და სხვ.

ურწუმტობა//ემხვარეფიშ ტობა – მორევი ოქუმწყარზე (სამელაიო). ურწუმი (მეგრ.) "ღრმა, უძირო".

ურწყანაძმახ//უწყარე – ნატბევარი საბულისკერიო-ანარის გზაზე (მთა). უწყარე (მეგრ.) "უწყლო". იხ.: აძმახი.

უსახელე ბორკი – იხ. გენძე ბორკი.

უსქვრაფუ წყურგილი//ჩონჩორიშ წყურგილი – წყარო საფიფიოში (ზენი, დიხაზურგის თემი). უსქვრაფუ (მეგრ.) "დაუმშრალი". ჩონჩორი პირსახელია.

უტშაშ ნამაღაზ – იხ. ნამაღაზ. უტშა ← უტუშა პირსახელია სამეგრელოში.

უქვინჯე "უძირო" (მეგრ.) – ტბორი საზუხბაიოს სერზე. კარსტული ჭის ადგილას გაჩნდა XX ს. 40-იან წლებში (ცხირი).

უ(ღ)ქელა//ღუქელა – დავაკება მელენფერდში (ჟირღალიშქა). შდრ.: აღუქელა.

უშულიშ ღუქელა – ტყე აბზაკვარის ხეობაში (მთა). იხ.: აღუქელა.

უშქურონა "ვაშლნარი" (მეგრ.) – 1. ჩაის ფართობი ნახაჯსა და ნაღეჯს შუა (ნახინგუ); 2. ბუჩქნარი, სადაც უწინ პანტა-ვაშლი ხარობდა (ზარწუფა); 3. მინდორი თხირამღალის მარც. მხარეს (ფიცარღალი) და სხვ.

უშქურონაშ ონტყოლაშე – ტლაპო უშქურონაში (ფიცარღალი). შდრ.: ონტყოლაშე.

უშქურონი – 1. ჩაის ფართობი საქეცბაიოში (სამქვარი); 2. სახნავი წყურგელის მარჯ. მხარეს (ჩხორთოლი) და სხვ.

უჩა ანარია – ტბორი ზღვისპირას, ანარიაწყარის მარჯ. მხარეს (ნაგვალოუ). იხ. ანარია.

უჩა ბალოტი – იხ. უჩა პალოტი.

უჩადიხა "შავი მიწა" (მეგრ.) – სახნავი ენგურის რიყესთან (ზენი, ჭუბურხინჯის თემი).

უჩანაშ ნაცოთემი "უჩანას ნასროლი" – ტყე საბერიო-ოფუჯის გზაზე, ძვრცოვასა და ბეცეშს შუა (მთა). გადმოცემით, უჩანამ აქ თოფის სროლით შეაშინა ანჩიბაია და უკან დააბრუნებინა გატაცებული საქონელი. ცოთამა (მეგრ.) "სროლა, ტყორცნა".

უჩან ირა – სერი პატრახუწისა (აგუბედიის თემი) და ნარჯხეუს საზღვარზე. ინფ.: "უჩან აჩბას ტყეში უპოვია ნორჩი კაკლის ხე და შემოუკაფავს ეკალ-ბარდი. ხე გაზრდილა და უჩან ირა "უჩანის კაკალი" დარქმევია".

უჩა ოზერო – ტბა, რომელიც არხით შეუერთეს გაგიდაწყარს (გაგიდა). შდრ. რუს.: озеро "ტბა".

უჩა ონტყოლაშე – ტლაპო ავასარის ხეობაში (კოხორა). შდრ.: ონტყოლაშე.

უჩა პალოტი//უჩა ბალოტი – ტბორი, ღელე, საძოვარი (მ. გუდავა). პალოტი, ბალოტი ← რუს.: болото "ჭაობი".

უჩა სუკი – იხ. ახუეაქუაწ(უ)ა.

უჩა ტომბა "შავი მორევი" (მეგრ.) – ერქვა მორევს ჩეგემღალერისწყლის შესართავთან (დიხაზურგა).

უჩა ფსორი//უჩა ღალ – ხევი ოქუმწყარის მარც. ნაპირას (მთა). ფსორი (მეგრ.) "წყლის ვიწრო სადინარი ტყეში".

უჩაღალ – 1. ხუმუშქურის მარც. შენაკადი (საბუთბაიო); 2. ნიშონის მარჯ. შენაკადი (ზ. გალი); 3. წარჩის ტოტი. ვარ.: წარჩეშ კინტირღალ (ჩხორთოლი) და სხვ.

უჩა წყარი – 1. რთომის მარჯ. შენაკადი (ლეჭარაიე); 2. გუბურა ერისწყალსა და ქუაჯვარს შუა (ზ. ცხირი) და სხვ.

უწკვარა – იხ. (მ)უ(ნ)წკვარა.

უწყარე გვალაია "უწყლო საძოვარი" (მეგრ.) – მთა-საძოვარი წყარამგვალაიასა და ოფუჯეს შუა (მთა). გვალაია (მეგრ.) "მცირე საძოვარი მთაში".

ფ

ფათი იბზაძიხ "ფათის ნაპოვნი წყარო" (აფხ.) – წყარო საფა-ჩულიოში (კაციჰაბლა). აღმოუჩენია ფათი ფაჩულიას, ამ სოფლის ერთ-ერთ პირველმოსახლეს.

ფანჯაშ ეკაღალ – მორევი ქირწყარზე (ქვ. ბარღები). ფანჯა პირსახელია. ეკაღალ (მეგრ.) "ამოსატანი. ადგილი მდინარეზე, საიდანაც წყალი ამოაქვთ".

ფართო აძმახი – საძოვარი სარაგვოსა და უჩანაშ ნაცოთემს შუა (მთა). იხ. აზმახი

ფართო დიხაგუძბა – იხ. დიდი დიხაგუძბა.

ფართო ნანოცუნ "ფართო ნაყანევი" (მეგრ.) – მინდორი კეიშის ხეობაში. აქვეა ჭგფე ნანოცუნ "ვიწრო ნაყანევი" (რეჩხი).

ფართო ონტყოლაშე – 1. ტლაპო ნაჭკადუში; 2. იხ. ონტყო-ლაშე.

ფართო რეყე – რიყე ოქუმისა და კოჩკეკეს შესართავთან (მთა).

ფართო სარაგვო – ფართო მინდორი სარაგვოსა და რთომის სათავეს შუა (მთა). შდრ.: სარაგვო.

ფართოღალ(ი) "ფართო ღელე" (მეგრ.) – მდინარე. ერთოდა ერისწყალს მარჯ. მხრიდან. ამჟამად ჩაედინება გალის წყალსაცავში. სიგრძე 5 კმ. აქვს ფართო ხეობა, სადაც მდებარეობს ამავე სახელ-წოდების ორი სოფელი: ერთი – ღუმურიშის თემში, მეორე – ცხირის თემში.

ფართოღალიშ სანაყოფიო – იხ. სანაყოფიო.

ფართოღალიშ ოტოფუე – იხ. ოტოფუე.

ფართო შარა "ფართო გზა" (მეგრ.) – ნაგზაური, სადაც უწინ გადიოდა ოქუმი-აჩიგვარის გზა (ფუწყური, აჩიგვარის თემი).

ფართო ჩკრე "ფართო ტლაპო" (მეგრ.) – ფიცარღალის მარც. შენაკადი (ოკვინორე, განახლების თემი).

ფარონი "ხშირი ტყე" (მეგრ.) – 1. სახნავები საჯიქიოში (ილორგანი); 2. ჩაის ფართობი ქვემო ჩხორთოლში, სადაც უწინ უღრანი მუხნარი ყოფილა (ჩხორთოლი); 3. ტყე კეიშის მარჯ. მხარეს (ცხირი); 4. ხეხილნარი მორინჯის მარც. მხარეს (აგვავერა) და სხვ.

ფარფალია ჯა – იხ. მაფარფალე ჯა.

ფარყე ივასსარა – ტყე წუჰვალკკრის სათავესთან (ატიშადუ). "ინფ.: "აქ უწინ ცხვრის საკრეჭი ადგილი ყოფილა. ვასსარა სწორედ ამას ნიშნავს". იხ. ფარყი, ვასასართა.

ფარყეფი – ფერდობები ქაცვაარკვარის მარც. მხარეს (აძხიდა, აგუბედიის თემი)

ფარყი – 1. ფერდობი საკოზმაში (სამელაიო); 2. ფერდობი საციკოლიოში. ვარ.: ზუხბაიეფიშ ფარყი (ცხირი) და სხვ. ფარყი (მეგრ.) "ტყებუჩქიანი დაფერდება" შესულია აფხაზურშიც.

ფარჯნი – ერქვა ტყეს სოფლის სამხ. ნაწილში (ჰუბურხინჯი). შდრ.: ფარონი.

ფაფალა "ციცაბო კლდე" (მეგრ.) – კლდე ერწყარის მარც. ნაპირას (ღვაშგვერდი); 2. მორევი ენგურზე, კლდის ძირას (თაგილონი); 3. საბანაო ხურჩაზე (ნაბაკევი).

ფაფალაშ ინოსოფილი – იხ. ინოსოფილი.

ფაღვახეშ ნოხორი – ჩაის ფართობი სოფლის სამხ. ნაწილში (შქაშისუკი).

ფაშთიაშ ინჭა "ფაშთიას ჭა" (მეგრ.) – ჭა ფაშთიაშ ჯასთან(იხ.).

ფაშთიაშ ჯა "ფაშთიას ხე" (მეგრ.) – ჭადარი სოფლის ცენტრში, სადაც გვარად ფაშთია ესახლა (მუხური).

ფაშტია ინხართა "ფაშტიას სამოსახლო" (აფხ.) – ნატყევარი ზემო ჩხორთოლში. აქვეა ტყეები დიანო ინხართა და ჭუჭ(უ) იჰვისთა (ჩხორთოლი).

ფაშუშ წყურგელი – იხ. ნავეშ წყურგელი.

ფაჩულია რჰაბლა//საფაჩულიო – ფაჩულიების უბანი პ. ოხურეის საზღვართან (კაციჰაბლა).

ფაცალიშ ნაცვილა – ტყე ოხურეის საზღვართან, სადაც მოუკლავთ აბრაგი ფაცალი (პ. გუდავა).

ფაცურიეფიშ კუნთხუ – იხ. საფაცურიო.

ფაცურიეფიშ მინდორეფი – იხ. მინდორეფი.

ფაცურიეფიშ ოწყარშე//ფაცურიეფიშ წყარიშ ეკაღალ – წყლისპირი ენგურზე (ვეშკუდელი). ოწყარშე მეგრულში იგივეა, რაც წყარიშ ეკაღალ, ანუ მდინარიდან წყლის ამოსაღები ადგილი. შდრ.: ფანჯაშ ეკაღალ.

ფაცურიეფიშ წყარიშ ეკაღალ – იხ. ფაცურიეფიშ ოწყარშე.

ფერდი – ფერდობი ცუმურიშში (ჟირღალიშქა).

ფერდიშჯინჯი "ფერდობისძირი" (მეგრ.) – 1. სახნავები სამარღანიოში (დიხაზურგა) და ლაკადის ძირას (ფართონოხორი); 2. მინდორი ფერდის ძირას (ჟირღალიშქა) და სხვ.

ფეტერიშ ნაზავოდ – იხ. ნაფეტერ.

ფეფიაღალ – იხ. მაჭირხოლიშ ღალ.

ფიდოშ კონკია – იხ. კონკია.

ფიცარიშ კიბე – იხ. აღრუპყრა.

ფიცარღალ "ფიცრის ღელე" (მეგრ.) – ოკვინორეღალის მარჯ. შენაკადი, რომელზეც ოდესღაც ფიცრის ხიდი ყოფილა გადებული (საბჭოთა ჩაი, ფიცარღალი, ოკვინორე განახლების თემისა).

ფიცარხინჯი – ენგურის შენაკადი. ჩამოედინება სათანჯოშ ბორკიდან (ოცარცე, ზენი ჭუბურხინჯის თემისა).

ფიჭვიშ ოხვამე "ფიჭვის ეკლესია" (მეგრ.) – ქვითკირის ეკლესია ქვაღეშ ღალსა და კგნტკრღალს შუა, ბერეფიშ სუკზე (ფშაური, წარჩის თემი). ინფ.: "თურქებთან ომის შემდეგ აუგიათ. ირგვლივ ფიჭვები ყოფილა დარგული".

ფონი – 1. საბანაო ჭიჭე ოხურეიზე (ანარია); 2. წყალმარჩხი ერისწყალზე (მახუნჯია).

ფონიშ ტომბა "ფონის მორევი" (მეგრ.) – მორევი ერისწყალზე, ფონთან (მახუნჯია).

ფოქვა "მცირე მღვიმე" (მეგრ.) 1. გამოქვაბული სათანჯოს კალთაზე (დიხაზურგა); 2. მღვიმე თომის ზემოთში (ჟირღალიშქა) და სხვ. იხ. აგრეთვე: აჰაფუ, ჯვეშ კოჩიშ ცუდე.

ფსორო "წყლის მცირე სადინარი ტყეში" (მეგრ.) – იხ. დიდი დიხაგუძბა.

ფსოროღალ – ტობის მარჯ. შენაკადი (სიდა). შდრ.: ფსორო.

ფუთქურონა "ხავსნარი" (მეგრ.) – ერქვა ტყეს მარჩხაფონში (ნაბაკევი).

ფუცაშ ნაშქვიდერი "სადაც ფუცა დაიხრჩო" (მეგრ.) – მორევი ოხურეიწყარზე (პ. ოხურეი).

ფუწყურულოხვამე – ეკლესია საბენიოში (ფუწყური, წარჩის თემი).

ფშალიონი – ტყე ოქუმაბსთაში (მთა). ფშალი, ფშალო (მეგრ.) "სვია".

ფშაურიშ გოხორხილი – იხ. გოხორხილი.

ფშაურიშ ღალ – ოხოჯის მარც. შენაკადი. იწყება ჯიხასთან (ფშაური, ბედიის თემი).

ფშქერი "შქერი, შქერნალი" (მეგრ.) - ბუჩქნარი წკელკარში (ხოლე).

ფშქერიშდუდი "შქერისთავი" – ტყე, ფერდობი შქერნალის თავზე (რეჩხი).

ფშქერონი "შქერნალი" – 1. ხევი ელიაკვარის მარც. მხარეს (სახახუბიო); 2. ტყე ფშქერონღალის სათავესთან (ფშაური, წარჩის თემი).

ჰყონბურზულამი//ბურზულამჰყონი "კოჟრიანი მუხა" (მეგრ.) – ერქვა დავაკებას კეიშის ნაპირას. დაფარა გალის წყალსაცავმა (რეჩხი). ინფ.: "იყო სახნავები. შუაში იდგა დიდი მუხა. მისთვის ხელის ხლება ვაშინერდ (აღკვეთილი იყო), ახლოს მისვლა და ჩრდილში დასვენებაც კი იკრძალებოდა. მეხდაცემულია და ზედ ბორზალი (ორკაპა ისარი) ჰკიდიაო, სჯეროდათ". სინამდვილეში ხეს კანზე ჰქონდა მრავალი კოჟრი, ბურთისებური გამონაზარდი, რასაც მეგრულში ბურზული ეწოდება. ასეთ ხეზე გობურზულერსაც ("დაკოჟრილი") იტყვიან.

ჰყონიშ თგფ - დავაკება აქგდგრაში. თიფუ, თგფგ "სადგომი" (მეგრ.) მუხასთან იყო გამართული (რეჩხი). შდრ.: ნათიფ.

ჰყონიშ წყურგილი – წყარო საქეცბაიოში. წყარო მუხის ძირიდან გამოდიოდა (სამქვარი).

ჰყონკაკირი "დაჭდევებული მუხა" (მეგრ.) – ტყე ელიაკვარის მარც. მხარეს (აჩიგვარა, პ. ოხურეი).

ჰყოჰყონი "ჰეჰყობი" – ჰეჰყობი სისკვარის ხეობაში. ვარ.: ოლებე (რეჩხი). იხ. ლები.

ჰყოჰყონია – 1. მთა-საძოვარი აშთასა და აბქვაცს შუა (მთა); 2. ტყე, ჰეჰყობი სალემონჯოში (პ. ოხურეი).

ჰყოჰყონიაღალ - ბებეშიაღალის მარჯ. შენაკადი. გამოიქლის ჰყოჰყონიას (პ. ოხურეი).

ჰგფე ეწერი – ჰენჯყი ზ. ბარღების საზღვართან (საბჭოთა ჩაი).

ჰგფე ნანოცუნ "ვიწრო ნაყანევი" (მეგრ.) – იხ. ფართო ნანოცუნ.

ჰგფე ღალ "ვიწრო ღელე" (მეგრ.) – 1. აბდახარის მარც. შენაკადი (ხუმენი-ნათოფური); 2. გაგიდაღალის მარჯ. შენაკადი. ვარ.: ტუტუშ ღალ (გაგიდა).

ხ

ხაბმე – იხ. სამკვანდრო.

ხაბო "ხევი; ხრამი" (მეგრ.) – ქვიანი ადგილი ღუმურიშ-ოჭაკის გზაზე (ზ. ღუმურიში).

ხაბრაფონი – იხ. ხავრაფონი.

ხავრაფონი//ხაბრაფონი//ხაფრაფონი – ღელე, ერთვის ჭიქე ბებესირს (ოხურეი, გუდავის თემი).

ხაზალიაშ ჯიხა – იხ. ნაჯიხ.

ხაია "ისლურა" (მეგრ.) – ენგურის მარჯ. შენაკადი (თაგილონი). ჩამოედინება სათანჯოდან (ზენი, ჭუბურხინჯის თემი).

ხაიაშ ნაჯიხი - იხ. ნაჯიხი.

ხაიონა – 1. ჭაობნარი ქირის მარჯ. მხარეს (საბჭოთა ჩაი); 2. ტბა ჭკადიშ ღალის მარც. მხარეს (თხინაშკარი); 3. ერისწყლის მარც. შენაკადი (პატრახუწა, მ. შეშელეთი). იხ. ხაია.

ხალერიშ ნაცვილა "სადაც ხალერი მოკლეს" (მეგრ.) – გზისპირი ჯვეშ ცხირში, გოხორხილთან (ზ. ცხირი).

ხამგშიშ მგკნაღურა "სადაც ხამგში მოკვდა" (მეგრ.)- ფერდობი კეიშის მარც. ნაპირას (ზ. ღუმურიში). ხამგშ ძროხას ერქვა.

ხანგეფიშ გინაბირა "სადაც გიჟებმა იმღერეს" (მეგრ.) – მინდორი ხუმუშქურში. ინფ.: "აქ ორი მთვრალი მეზობელი შეხვდა ერთმანეთს, იჩხუბეს, ერთმანეთი გალახეს და მერე იმღერეს".

ხანგონი – მორევი ჯუხუზე (ჩხორთოლი). იხ. ხანგუ.

ხანგუ – 1. თორხულის მარც. შენაკადი (ზენი, დიხაზურგის თემი); 2. კლდე მორინჯის ნაპირას (ოქუმი); 3. მორევი წარჩეზე (წარჩე) და სხვ. ხანგუ წყალგაუმტარი ყვითელი ფერის ქანობია.

ხანგუშ მგკონწყვილი – იხ. მგკონწყვილი.

ხანგუშ ოჩაიე – ჩაის ფართობი ხანგუსთან (ჩხორთოლი).

ხანგუშ ტომბა – მორევი მორინჯეზე, ხანგუსთან (ოქუმი).

ხანდაკი – ერისწყლის მარც. შენაკადი (გინძე ეწერი).

ხანძეშ ნანწყვი – ფერდობები საგვაგვალიოში, სადაც უცხოვრია მოხუც ქალს, სახელად ხანძეს (დიხაზურგა).

ხაპა იფან//ხაპაშ ფონი "ხაპას ფონი" (აფხ., მეგრ.) – ფონი ოხურეიზე (საჩინო). აფხ. ა-ფან "ფონი" ← ფონი (ქართ.-მეგრ.).

ხაპაშაბშაჰვა – დავაკება ოხურეიწყარის მარც. მხარეს (აყვარაში, ფოქვეშის თემი). ხაპაშ პირსახელია. აფშაჰვა (აფხ.) "წყლისპირი, სანაპირო" (თ. გვანცელაძე).

ხაპაშ ფონი – იხ. ხაპა იფან.

ხარახენი//ერმანეშ ხარახენი – საძოვარი სამარკელიოში (მ. შეშელეთი). ხარახენი (მეგრ.) - მრგვალი ან ნაპობი ხეების ერთმანეთზე დაწყობით აგებული ღობე. ერმანე პირსახელია.

ხარებაშ დიხაგუძბა - ბორცვი ნაკარღალის ნაპირას (ნაკარღალი).

ხარებაშ ოხვამე – ეკლესიის შენობა სოფლის ცენტრში. საბჭოთა პერიოდში გამოყენებული იყო კლუბად (ოქუმი).

ხარჩილაშ ღალ – ნიშონის მარც. შენაკადი (სამქვარი). ხარჩილა(ვა) გვარია.

ხატიშ დახვენჯი – იხ. (ა)ცვაშნგხა.

ხატიშ წყარი – იხ. მიქამგარიაშ წყურგილი.

ხაფალარა//ხაფალარე – უბანი ოისგრის ძირას (ზ. ღუმურიში). შდრ. (ა)ხაფალარა.

ხაფალარე – იხ. ხაფალარა.

ხაფაშ ურთხელი – ურთხლის ხე კალამონასთან (რეჩხი). ხაფა პირსახელია.

ხაფრაფონი – იხ. ხავრაფონი.

ხაშაა რჰაბლა – ხაშბების უბანი ქვაღაის მარჯ. მხარეს (ურთა)

ხახუბიეფიშ ოღურელე "ხახუბიების სასაფლაო" (მეგრ.) – ბორცვი სიკოშ ღალის სათავესთან (ქვალონი).

ხახუშ ნანოყუნ – იხ. ნანოყუნ.

ხაჰუსარა "წვრილქვიანი" (აფხ.) - ფერდობი კირ იგვავესთან (აძხიდა, აგუბედიის თემი).

ხეჟუკვარა "ბებერი წაბლის ღელე" (აფხ.) - ტყე ოხოჯის მარც. მხარეს (აძხიდა, აგუბედიის თემი).

ხერაჯონი – 1. ჯაგნარი ფერდობზე (საბულისკერიო, ოქუმის თემი); 2. ტყე ახრაჯარაში (მ. კოპიტი). ხერაჯი, ხჯრაჯი (მეგრ.) "ჯაგრცხილა".

ხეშ ნანთხორა "ხელით ნათხარი" (მეგრ.) – არხი თხუმონაში (რამი, პ. ოტობაია). ინფ.: "სხვა არხები ექსკავატორით გათხარეს, ეს კი - ბარითა და ნიჩბით".

ხვითი – ხუმუშქურის შენაკადი (საშამუგიო). გადმოცემით, ხვითი ერქვა კაცს, რომელიც ამ ღელის სათავესთან ცხოვრობდა. ხვითი ძველისძველი გეოგრაფიული სახელია. არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან "სამეგრელოს რუკაზე" (1654 წ.) შეშელეთსა და სიდას შუა აღნიშნულია დასახლებული პუნქტი Quiti ხვითი.

ხვითიპიჯი – ტყე ხვითის ნაპირას (საშამუგიო).

ხვითიშ ონტყოლაშე – ტლაპო ხვითის ნაპირას (საშამუგიო).

ხვითიშ ხკარა – საძოვარი ხვითის ნაპირას (სიდა). იხ.: ახკარა, ხეკარა. შდრ. ხკარა.

ხვიმონა "ხურმნარი" (მეგრ.) - ბუჩქნარი ჭიქე თომის ხეობაში (ლეჩარაიე).

ხვირმონა "ხურმნარი" – 1. ფერდობი ეშქითში (ჩხორთოლი); 2. საძოვარი აქკდგრაში (რეჩხი).

ხიმუ რატხეშ ნადიხ - სახნავი მარჩხაფონში (ნაბაკევი).

ხირზანეფი//სუმარკათა – უბანი ბორსვში (ნაჭკადუ). ინფ.: "შარავაშიძეების მიწაზე დასახლებულმა ხიზნებმა მოითხოვეს, რომ მათთვის არ ეწოდებინათ სუმარკათა "სტუმარი ხალხი" და უფლებებით გაეთანასწორებინათ სოფლის ძირძველ მაცხოვრებლებთან. მათვე მოითხოვეს ნაჭკადუს (იხ.) ცალკე სოფლად გამოყოფა". ხირზანი (მეგრ.) "ხიზანი".

ხიტუშ მუხური – ერქვა სოფელს ქირის მარჯ. მხარეს თავად ხიტუ ანჩბაიას სახელის მიხედვით. 30-იან წლებში გააშენეს ჩაი და დააარსეს კოლმეურნეობა "საბჭოთა ჩაი", რაც შემდგომში სოფლის სახელად იქცა. იხ. საბჭოთა ჩაი. შდრ.: მუხური.

ხიტუშ ფოქვა "ხიტუს მღვიმე" (მეგრ.) – გამოქვაბული ფშქერონღალის მარც. მხარეს (ფშაური, წარჩის თემი).

ხობზონი – 1. ბუჩქნარი საჯახაიოში (ლეჭარაიე); 2. ფერდობი საბერიოს საზღვართან (დიხაზურგა). ხობზი (მეგრ.) შქერისნაირი მცენარეა.

ხობზონღალ – ერისწყლის შენაკადი. იწყება ხობზონში (საბერიო).

ხოირი – იხ. ოხურეი.

ხოქკვარა//ხოჯკვარა//ხოჭკვარა – ოხოჯის შენაკადი. იწყება ხოქონში (იხ.).

ხოქონი – ტყე, ხევი სუკის აღმ. კალთაზე (სახახუბიო). ა-ხუაქვ (აფხ.) "შქერი" შესულია მეგრულში ხოქო ფორმით.

ხორგონა – ტყე ჭამგვარის კალთაზე, სადაც ჩამონაყარი ლოდები ყრია (რეჩხი). ხორგი (მეგრ.) "ლოდი. ქვა-ღორღის გროვა".

ხორშონა – ტყე სისკვარის ხეობაში. ხორში ყურძნის ჯიშია (რეჩხი). შდრ.: ხორში ზემო სამეგრელოში ატმის ჯიშია. შდრ.: ხურშონა ერქვა სოფელს, რომელიც შედიოდა რეჩხო-ცხირის სას. საბჭოში გასული საუკუნის 30-იან წლებში.

ხოჭკვარა – 1. ღელე, სამქვარისა და ფართოღალის (ცხირის თემი) საზღვარი. ერთოდა ერისწყალს. ამჟამად გალის წყალსაცავში ჩაედინება. ვარ.: ბუაშ ღალ. ბუავა (გვარია). ღელისპირას ცხოვრობდა; 2. იხ. ხოქკვარა.

ხოჭკიაშ ნაფაცხ – ბუჩქნარი თომის მარჯ. მხარეს (ლეკუხონა). ხოჭკია (პირსახელია) აქ ჰქონია ფაცხა (მეგრ.) "წნელისგან მოწნული ქოხი".

ხოჯკვარა – იხ. ხოქკვარა.

ხუბუტიეფიშ ნაცუდუ – იხ. თარასხანიშ ნაცუდუ.

ხუმენი – იხ. ხუმენი-ნათოფური.

ხუმენწყარი – სკრსოლას ზემო წელი (ხუმენი-ნათოფური).

ხუმლა ერწყარი "მშრალი ერისწყალი" (მეგრ.) – ერისწყლის მარჯ. შენაკადი, სადაც წყალი მხოლოდ ნაწვიმარზე დის (მ. გუდავა).

ხუმლა ფეცხონა – ბუჩქნარი რეჩხის მარც. მხარეს (რეჩხი). ინფ.: "აქედან ხშირად გამოაქვთ ხუმლა ფეცხი (მეგრ.) "ფიჩხი; გამხმარი წვრილი ტოტი"

ხუმლა ღალ "მშრალი ღელე" (მეგრ.) – 1. ჭითა ფონის ზემო წელი (სიდა, თაგილონი); 2. ღელე ოისგრეში (რეჩხი). "ითვლება რეჩხიწყარის სათავედ. წყალი მხოლოდ ნაწვიმარზე მოედინება".

ხუმლა ჯალონი – ისლნარი უდუდესა და არკვანიშ კარეს შუა (გაგიდა). ინფ.: "ერთ დროს წყალი დაგუბებულა, ხეები გამხმარა და დიდხანს მდგარა". ხუმლა ჯა (მეგრ.) "გამხმარი ხე".

ხუმუშქური//ხუმუშქურწყარი – მდინარე. ჩამოედინება სათანჯოს კალთებიდან. მდგენლებია ბარდღუშ ღალ და იასონიშ ღალ პ. აკვაღაში. გამოიცლის მ. აკვაღას, მზიურს, სიდას, ხუმუშქურს და თხინაშკარში ერთვის ოჯოღორეს მარც. მხრიდან. ამის შემდეგ მდინარე ორივე სახელს (ხუმუშქური, ოჯოღორე) ატარებს. ერთვის დიდგაგიდას მარჯ. მხრიდან.

ხუმუშქურღალ – ხუმუშქურწყარის ვარიანტი თხინაშკარში.

ხუმუშქურწყარი – იხ. ხუმუშქური.

ხუნაშ ღალ//ჩანთაშ ღალ – ეშმაკიშ ღალის ზემო წელი (მიშველი). ხუნა, ჩანთა პირსახელებია.

ხურგი "მიჯნა, საზღვარი, ხორგი" (მეგრ.) – ერქვა მცირე ბორცვს რკინიგზის ხაზთან. შეეწირა არხის გათხრას (სალხინო).

ხურმანა – ტყე ბჟანიეფიშ სუკის კალთაზე (რეკა). ხურმა (//ხვიმა, ხვირმა) მეგრულშიც ხურმას აღნიშნავს.

ხურჩა – ეწოდება ხაიას მას შემდეგ, რაც ვარადიშ ნაჯიხთან (ნაბაკევი) შეუერთდება ენგურის ტოტს. გადის მ. ოტობაიაში და ტატაჩიშ ნაჯიხთან ჩაედინება ენგურში. მდინარის მარცხენა მხარესაა სოფელი ხურჩა (ზუგდიდის რ.). ხურჩა ← ხურუ უჩა (მეგრ.) "შავი ხურუ". ხურუ "მიმწყვდეული ადგილი; ნაღირის ბუნაგი". მეგრულში "უჩა" აღნიშნავს ჩავარდნილ, ჩაბნელებულ ადგილსაც.

ხუსა იძიე – იხ. ხუსაშ ტომბა.

ხუსაშ კვარა – ქვაღაის მარც. შენაკადი (ოხოჯა).

ხუსაშ ტომბა//ხუსა იძიე "ხუსას მორევი" (მეგრ., აფხ.) – მორევი ხუსაშკვარაზე (ოხოჯა). ა-ძმკე (აფხ.) "პატარა ტბა; დაგუბებული წყალი მდინარეში".

ხუტიშ მკაჯინუ "ხუტის შემოსახედი" (მეგრ.) – ფერდობი ნიშონის მარც. ნაპირას (სამქვარი). "ხუტი გალმა ცხოვრობს და ამ ფერდობს შემოსცქერის".

ხუტუშ ნა(ა)გვართ – იხ. ნა(ა)გვართ.

ხუფინაშ წყურგილი – წყარო სამიქაოში (წარჩე). ხუფინა პირსახელია.

ხუშუმბა – ბორცვი ჰარუასა და ოქუმის ხეობას შუა (ზ. ღუმურიში).

ხუჭ ივნიჟუ – სახნავი ქვაღაის მარჯ. მხარეს, სადაც ხუჭის სახლი დიდხანს მდგარა და მერე დაქცეულა (ურთა).

ხუხუნი – უბანი ღალიძგის მარც. ნაპირას (ქ. ტყვარჩელი).

ხუხუნიშ ნაკაზარმუ – იხ. ნაკაზარმუ.

ხუხუტიშ აშნაცვილა "სადაც ხუხუტი მოკლეს" (მეგრ.) – ტყე ენგურის ნაპირას (ღვაშიგვერდი).

ხგბილქუა – ტყე ძველი ღობე-ყორის ნაშთით (ფშაური, ბედიის თემი). ხგბუა (მეგრ.) "ქვის მშრალი წყობით რაიმეს (მაგალითად, ქვის ღობის) აგება"→ ხგბილი "ყორე, ხერგილი".

ხგბლარე – მთა მაჰმესა და ლაშქინდარს შუა (ქ. ტყვარჩელი).

ხგკალა – ფერდობი საფარსანძოში (რეჩხი). შდრ. ხგკარა.

ხგკარა – ტყე ხგკარაშ ღალის ნაპირებზე (ლეკუხონა). ა-ხკაარა (აფხ.) "საქონლის საძოვრად შემოკავებული ადგილი" → მეგრ. ხგკარა "საქონლის სადგომი მწყემსის ბინასთან".

ხგკარაშ ღალ – ობარხალაიის ზემო წელი (ლეკუხონა).

ხგმბაბ ლადგილ – სახნავი ლამკაცის მარც. მხარეს(აყვარაში, ფოქვეშის თემი). ხგმბაბ აფხაზებში ქალის სახელია. ქართ.-მეგრ. ადგილი შესულია აფხაზურში ადგილ ფორმით. მნიშვნელობა: ადგილი, მიწა, მიწის ნაკვეთი.

ხგნდა – ოქუმწყარის მარჯვენა მორღვეული ნაპირი, 3-4 მ. სიმაღლისა (აჩიგვარა). ხგნდა (ხგნჯა, ხგჯუ) მეგრულში აღნიშნავს ჩამორღვეულ მდინარისპირს.

ხგნჯა – იხ. ხგჯუ.

ხგჯ იხუ – იხ. არაფ იხუ.

ხგჯონი – ქვავნარი ჭითა წყურგილში (მთა). შდრ.: ხგჯუ//ხგნჯა.

ხგჯუ//ხგნჯა "წვეტიანი ქვა" (აფხ.) – კლდე-ფერდობები კეიშის მარჯ. ნაპირას (რეჩხი).

ჯ

ჯაბუშ დგნანჯირა "ჯაბუს დანაწოლი" (მეგრ.) – მინდორი ტყეში, რომელსაც ეწოდება სუში ჯიმა წიფური (მთა). ინფ.: "ჯაბუ, ჯვა-

რელი მწყემსი, მოერეკებოდა საქონელს და თოვლმა მოუსწრო, აქ დაიბარგა, დაიძინა და მოკვდა". იხ აგრეთვე: აფშირაშ დჳნადგჳმ.

ჯაგაშ ნამარან – იხ. ნამარან.

ჯალონი – მთის ტყიანი ზონა ლაკადიდან შუშელამდე (მთა). ჯა (მეგრ.) "ხე" → ჯალონი "ტყე; ტყიანი".

ჯამაშ ნათჳფ – იხ. დოდონიშ ნათჳფ.

ჯამპონა "თუთნარი" (მეგრ.) – 1. სახნავი საგამსახურდიოში (ოცარცე); 2. სახნავი ქოროშონის მარჯ. ნაპირას. ვარ.: ოჯამპონა (პ. შეშელეთი); 3. ტყე ოჩხომურსა და ჰიჭე ერწყარს შუა. თუთები დაურგავს კვარაცხელიას და ამიტომ კვარაცხელიეფიშ მამულიც ეწოდება (ხუმენი-ნათოფური) და სხვ.

ჯანტუხა//ჰანტუხა – დასახლება ღალიძგის მარც. ნაპირას (ქ. ტყვარჩელი).

ჯანჳმჳში დუქანი – ნადუქნარი საჩინოს სერის ძირას (რეკა). ჯანჳმჳ პირსახელია.

ჯაპიშხინჯი – ერქვა სოფელს, რომელიც 1886 წ. შედიოდა მუხურის თემში.

ჯარგვილი – შურო ჰარუაში. ვარ.: დიშქაშ გჳმარღვაფუ "შეშის ჩამოსაყარი" (ზ. ღუმურიში). "როცა ფერდობი დიდი დაქანებისაა და უსწორმასწორო, მაშინ მრგვალი ხეებისაგან შეკრავენ ღარს. ისაა ჯარგვილი".

ჯარგუშ ნანთხორა "ჯარგუს ნათხარი" (მეგრ.) – ხე-ტყის დასაცურებელი არხი ტყეში. აერთებდა მარაჭასა და გაგიდაწყარს. ახლოსაა ასეთივე არხი "ემხვარეფიშ ნანთხორა" (გაგიდა, გინძე ეწერი).

ჯარმაშ ნაჭკრა "ჯარმას განაპერი" (მეგრ.) – გზა ენწერიშ ოხვამედან ბარღეფიშ შარამდე (ენწერი, ნაბაკევის თემი).

ჯაყობა – იხ. ჯოყობა.

ჯახაიეფიშ ოსხაპური – იხ. ოსხაპური.

ჯახუტიშ ნოხორი//ჯახუტ ლხართა "ჯახუტის ნასახლარი" (მეგრ., აფხ.) – სახნავი საშნაშ ღალის მარჯ. მხარეს (რეკა). ჯახუტი ქალის სახელია. პირველი ვარიანტი მეგრულია და ნიშნავს ჯახუტის ნასახლარს. მეორე ვარიანტი აფხაზურია და ნიშნავს ჯახუტის სამოსახლოს, სამკვიდროს.

ჯახუტ ლხართა – იხ. ჯახუტიშ ნოხორი.

ჯ(გ)ეგეცუდნა – იხ. თუდოლენი ოხვამე.

ჯგეგეცხირი – იხ. ჯვეშ ცხირიშ ოხვამე.

ჯგერიანაბაა – იხ. ჯგერიანიშ ჯიხა.

ჯგერიანაბაარხუ – იხ. ჯგერიანიშ სუკი.

ჯგერიანიშ სუკი//ჯგერიანაბაარხუ – სერი ოხურეისა და მის მარც. შენაკად ბებეშიაღალს შუა (ჯგერიანი).

ჯგერიანიშ ჯიხა//ჯგერიანაბაა – ნაეკლესიარი ჯგერიანაბაარხუზე. გადმოცემით აქ ესვენა ხატი ჯგემარია, რაც ჯგეგე მარიამის ("წმინდა მარიამის") შემოკლებული ფორმაა (ჯგერიანი).

ჯგერნაიეფიშ კუნთხუ "ჯგერნაიების კუთხე" (მეგრ.) – ჩაის ფართობი თხირამღალის ნაპირას (ტოგონი).

ჯგობოშ ფონი – ფონი ქირზე. აქვეა მიხელიშ ფონი (ქვ. ბარღები). ჯგობო, მიხელი პირსახელებია.

ჯერღვამღალ - ხუმუშქურის შენაკადი (თხინაშკარი). ინფ.: "ჯერღვი ძარღვიცაა და ხის ფესვებიც. წყალში მოჩანდა".

ჯერღვანა – აღმართი ერისწყლიდან საშარაშიომდე (ფართონოხორი). ჯერღვი "ძარღვი" მეგრულში ორი გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარება: 1. ხის ფესვები" 2. მრავალძარღვა (იგივე მაჯერღვაია). -ანა(//-ონა) კრებითობის სუფიქსია. ხალხური ეტიმოლოგია: "მხოლოდ მაგარძარღვიანი კამეჩები თუ დაძლევდნენ ამ აღმართს. ამიტომ დარქმევია".

ჯვანგიშ აფთ(გ)რა – ტყე ოისგრეში. აქვეა დათაშ აფთ(გ)რაც (მთა). ჯვანგი პირსახელია. შდრ. აფთგრა.

ჯვარამქუა "ჯვრიანი ქვა" (მეგრ.) – აშთაწყარისა და ოკალმახის შესართავი. აქ წყალში იდო ჯვრის ფორმის ქვა (მთა).

ჯვარამღალ – ქირის შენაკადი მარჩხაფონში. გზა და ღელე ქმნის ჯვარედინს (ნაბაკევი).

ჯვარამწიფური – წიფელი ჩხორთოლის შემოგარენში. აქვს ჯვრის ფორმის ნაჭდევი (მთა).

ჯვებერეშ ნაისგრ – იხ. ნაისგრ.

ჯვეშ ბარღეფი – იხ. ბარღები.

ჯვეშ გაგიდა – იხ. გაგიდაწყარი.

ჯვეშ გესი – შენობის ნანგრევი. ჰესი ენგურის ტოტზე იყო აგებული (მ. აკვაღა).

ჯვეშ კოჩიშ ცუდე "ძველი კაცის სახლი" (მეგრ.) – კლდე კეიშის ნაპირას. კლდის ძირას სახლისოდენა შელრმავებაა. ვარ.: ფოქვა (ზ. ღუმურიში).

ჯვეშ ნაინგგრ – იხ. ზენი ჰუბურხინჯი.

ჯვეშ ნამანდარინ – ფერდობი ლაჰაგვაჯონასთან, სადაც ახლო წარსულში მანდარინი იყო გაშენებული (რეჩხი).

ჯვეშ ნაოხვამ – იხ. მაღანჯ(გ)ალა.

ჯვეშ ნაოხური//ნაოხური – დაერქვა ოხურეიწყარის ქვემო დინებას მას შემდეგ, რაც მდინარე არხით გადააგდეს ღალიძგაში (ანარია, ნაგვალოუ).

ჯვეშ ნაპრისტან – ტყე გაგიდაწყარის ნაპირას (გინძე ეწერი). რუს. пристань "ნავმისადგომი".

ჯვეშ ნარჯს – ნაგზაური ჩხორთოლიდან გალამდე, ოქუმისა და პ. გალის გავლით (ჩხორთოლი). ინფ.: "გაუჭრიათ რუსებს თრუქებთან ომის დროს". რჯსჯ (მეგრ.) "რუსი".

ჯვეშ ნაშარ "ძველი ნაგზაური" (მეგრ.) – 1. ძველი გზა საბერიოდან ოფუჯემდე. შეცვალა საავტომობილო გზამ (მთა); 2. იხ. ჰოჰოშ გჯნაჭკრა.

ჯვეშ ნაშუკ//ჯვეშ შარა – ნაგზაური. გზა გადიოდა ოკვინორისკენ (ნაბაკევი). შუკა (მეგრ.) "შუკა".

ჯვეშ ნაჯიხ – იხ. ნარჯს.

ჯვეშ ნოხორი//სამსონიეფიშ ნოხორი – სახნავი ალრაში (აძხიდა, აგუბედიის თემი).

ჯვეშ ფონი "ძველი ფონი" (მეგრ.) – ფონი ჯოცობაზე (მ. გაგიდა).

ჯვეშ ღალ "ძველი ღელე" (მეგრ.) – ოკვინორეღალის შენაკადი (ოკვინორე, ოტობაიის თემი). ინფ.: "სამელიორაციო არხმა ღელეებს შეუცვალა მიმართულება. ეს კი თავის კალაპოტში დარჩა".

ჯვეშ შარა "ძველი გზა" (მეგრ.) – 1. ნაგზაური ენგურისპირას (ზენი, ჰუბურხინჯის თემი); 2. ერქვა საურმე გზას, რომელიც აჩიგვარიდან გადიოდა რეფში, ომუნჩქვეფონის გავლით. ვარ.: ომუნჩქვეფონიშ შარა (ტოგონი); იხ. ჯვეშ ნაშუკ.

ჯვეშ ცხირი – სოფლის ნაწილი ერისწყლის მარც. მხარეს (ზ. ცხირი). იხ. ცხირი.

ჯვეშ ცხირიშ ოხვამე//ქუაჯვარიშ ოხვამე//ჯგეგეცხირი – ნაეკლესიარი, სასაფლაო ქუაჯვარში (ზ. ცხირი). ინფ.: "ჯგეგეცხირი ხატია. ხალხს ვნებდა: დაწყევლას, ხატზე გადაცემას მაშინვე ასრულებდა. ერთი თურქი მოიყვანეს და წამალი გააკეთებინეს: ხატი ქვაბში ჩასვეს, ზემოდანაც ქვაბი დაახურეს, ღრმა ჭაში ჩამარხეს და ზედ კაკლის ხე დარგეს". იხ.: ქუაჯვარი, ჯვეშ ცხირი.

ჯიმანწვარა – იხ. აჯმანწვარა.

ჯინჯალაა რჰაბლა – ჯინჯოლავების უბანი ქვაღაის მარც. მხარეს (ურთა).

ჯინჯია რხუ "ჯინჯიების ბორცვი" (აფხ.) – ბორცვი ლამკაცაყვარაშის წყალგამყოფზე (აყვარაში, ფოქვეშის თემი).

*ჯიჰონი//*ივანეშ ნაწისქვილ – სახნავი ხურჩის ნაპირას (ნაბაკევი). ჯიჭონი, ჭიჭონი (მეგრ.) "ტირიფი".

ჯიხა (მეგრ.) "ციხესიმაგრე" – 1. ნაციხარი, სათანჯოს მწვერვალი. ზღვის დონიდან 472 მეტრი (დიხაზურგა); 2. ბედიის მონასტერი. ვარ.: აგუბედიაშ ჯიხა (აგუბედია); 3. ნაეკლესიარი, ნაციხარი წარჩის საზღვართან, სადაც იწყება ფშაურიშ ღალ (ფშაური, ბედიის თემი) და სხვ. იხ. აგრეთვე: მიქამგარია.

ჯიხაშ ახუწა – იხ. აბაახუწა.

ჯიხაშკარი//ნაოხვამ – მცირე შემაღლება ოქუმის მარც. მხარეს (მ. გუდავა).

ჯიხაშ კურსუბი – დავაკება ტყეში, ჯუხუს მარჯ. ნაპირას, ჯიხასთან (მ. კოპიტი). კურსუბი (მეგრ.) არის შენობის ან ბორცვის მრგვალი თავი. ქვევრის ძირსაც (გარეთა მხარეს) კურსუბს უწოდებენ.

ჯიხაშ სუკი "ციხის სერი" (მეგრ.) – 1. სერი წარჩეწყარის მარჯ. მხარეს (ფშაური, წარჩის თემი); 2. სერი, რომელზეც მდებარეობს ჯიხა, ანუ ცნობილი ბედიის მონასტერი (აგუბედია).

ჯიხაშ ფარყი – ფერდობი ჯიხაშ სუკის კალთაზე (ფშაური, წარჩის თემი). იხ. ფარყი.

ჯიხაშ ღალ – ღელე. იწყება ჯიხაშ სუკის კალთაზე (ფშაური, წარჩის თემი).

ჯობააშ ნაგრად – იხ. ქეცბაიაშ ნაგრად.

ჯობეფიშ ნაწისქვილ//პავლეშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი კეიშზე (რეჩხი).

ჯოგლო ინხართა//ჯოგლოშ ნოხორი – სახნავი ჯოგლოშ კვარის ნაპირას (ოხოჯა).

ჯოგლოშ კვარა//ჯოგლოშ ღალ "ჯოგლოს ღელე" (მეგრ.) – ქოლეის მარც. შენაკადი (ოხოჯა).

ჯოგლოშ ნოხორი – იხ. ჯოგლო ინხართა.

ჯოგლოშ ღალ – იხ. ჯოგლოშ კვარა.

ჯოგონიშ ობამბაყე – იხ. ობამბაყე.

ჯოგოშ ცხიმურონი – იხ. ცხიმურონი.

ჯონდიშ ოთხირე – იხ. რამი.

ჯორიშ ნასხაპა "სადაც ჯორი გადახტა" (მეგრ.) – კლდე ცგღ-მუაში (რეჩხი).

ჯოღორძაგა "ძაღლის ვეძა" (მეგრ.) – საძოვარი აკიბოს მთაზე (მთა).

ჯოყობა//ჯაყობა "ჭაობი" (მეგრ.) – უბანი და ნაჭაობარი, რო-მელიც გასდევს აყვარაშისა და ოხურეის მარჯ. ნაპირებს თითქმის 3 კმ-ზე (ფოქვეში, აყვარაში ფოქვეშის თემისა).

ჯოყობა – ნაჭაობარი, სადაც გაედინება ჯოყობაწყარი (მ. გუდავა).

ჯოყობაწყარი – ღელე, რომელიც იწყება დიდ ბებესირში და გამოიყვლის ნაჭაობარ ჯოყობას. ერთვის ცორკას – ზღვის ყურეს (მ. გუდავა). არქანჯელო ლამბერტის "სამეგრელოს რუკაზე" (1654 წ.) მდინარეს, რომელიც დაახლოებით ამ ადგილას მიედინება და პირდაპირ ერთვის შავ ზღვას, ეწოდება Giobaschari. რა თქმა უნდა, ეს არის ჯოყობაწყარი (ო ხმოვნის წინ gi კომპლექსი იკითხება როგორც ჯ). ამასთანავე, პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და-ცულ ლათინურენოვან რუკაზე, რომელიც შედგენილია 1654 წელს (ფაქტობრივად, არქანჯელო ლამბერტის რუკის ასლს წარ-მოადგენს) და ეწოდება "კოლხეთი, თანამედროვე სამეგრელო", ამ მდინარეს აწერია Goibaschari, რაც, აშკარად კალმისეული შეც-დომაა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ რუკის ქართულ ვარიანტშიც ეს მცდარი გოიბაწყარი არის გადმოტანილი (იხ. ი. ტაბაღუა, საქარ-თველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, თბ., 1986. რუკა ქართულად გადმოღებულია ავთ. თორდიას მიერ ა. ურუშაძის კონსულტაციით).

ჯოჯიშ კვარა "ჯოჯის ღელე" (მეგრ.) – ჯოგლოშ კვარის შენა-კადი (ოხოჯა).

ჯუხუ//ჯუხუწყარი – ოხოჯის მარც. შენაკადი აჯრაში. იწყება ოისირეს კალთებიდან. მდინარის მარც. მხარესაა ჩხორთოლი, მარჯ. მხარეს – მ. კოპიტი.

ჯუხუშდუდი – წყარო, ჯუხუს სათავე (მთა).

ჯუხუშ ნოცელა "ჯუხუს ტოტი" (მეგრ.) – საწისქვილე არხი ოხოჯეშ რზენში (აჯრა).

ჯუხუწყარი – იხ. ჯუხუ.

ჯღამწიფური//დიდწიფური – წიფელი დიდინჯასთან, რეჩხი-ოჭაკის გზაზე (რეჩხი). ჯღა, ანუ ტოტებიანი წვრილი ხე კიბედ იყო

მიყუდებული წიფელზე: ადიოდნენ წყლის დასალევად, რომელიც წვიმის შემდეგ გროვდებოდა ხის ქოთნისებურ ჩაღრმავებაში.

ჰ

(ჰ)აბჭვაცი – საძოვარი ჭყოჭყონიასა და აბჯიკვარას შუა (მთა).

ჰაეროპლანხჯახაზ "სადაც თვითმფრინავი დავარდა" – ტყე აკვარაში (ქ. ტყვარჩელი).

ჰაზარათიშ ნოხორი – სახნავები პ. გუდავასა და პ. კოპიტში.

ჰაიჰაფუ – იხ. აჰიჰაფუ.

ჰამაქერა//მაქერე სხული – სახნავი ნიშონის ნაპირას, საჯიჯეიოში (სამქვარი). აფხაზურ-მეგრული ვარიანტები აღნიშნავენ საადრეო მსხლის ჯიშს.

ჰამაქერაშ ფონი – ფონი ნიშონზე, ჰამაქერასთან (სამქვარი).

ჰამოუშქური "ტკბილი ვაშლი" (მეგრ.) – 1. სერი საჭარაიოში, მოხკვარის სათავესთან (საბულისკერიო, ოქუმის თემი); 2. მინდორი (ოცარცე).

ჰარასთაული//ჰარასთაულიშ დიხა – ბუჩქნარი საკოზმისა და აჭაფარის წყალგამყოფზე (სამელაიო).

ჰარასთაულიშ დიხა – იხ. ჰარასთაული.

ჰარუა – ლაკადისძირები დასახლებებითა და ტყე-ფერდობებით რეჩხის სათავესთან (ზ. ღუმურიში). ინფ.: "აქაურ მწყემსებს ივლის-აგვისტოში საქონელი მიჰყავთ ჰარუაში, რაც სვანეთ-სამეგრელოს საზღვარზეა. ალბათ ამის გამო დაურქმევიათ".

ჰარულსაჯობა – ჯობავების უბანი ჰარუაში, რეჩხიშდუდის მარჯ. მხარეს (ზ. ღუმურიში). იხ. აგრეთვე: საჯობა.

ჰაფუ – კლდისძირი სამახარიოში (აგუბედია). იხ. აჰაფუ.

ჰაფუძგე – საძოვარი აჰაიჰაფუსა და დადალჩგრთას შუა (მთა).

ჰაჯალიშ ფონი "ჰაჯალის ფონი" (მეგრ.) – ფონი ქირზე. ამ ფონთან ესახლა თურქი ჰაჯალი" (ქვ. ბარღები).

ჰაჯიბეიკვარა – იხ. აბჯიკვარა.

ჰეროპლანიშ დგნანთხეფი "თვითმფრინავის დანავარდნი" (მეგრ.) – 1. სახნავი კოლოშანისა და ოხოჯის შესართავთან (ფშაური, ბედიის თემი); 2. მინდორი ხვითის მარჯვ. მხარეს. ინფ.: "აქ დაზიანებული თვითმფრინავი დაეშვა. მეორე დღესვე გაფრინდა. სახელი მაინც ასეთი შერჩა" (სიდა).

აგვავერა – სოფელი ოქუმის თემში (გალის რ.), სამურზაყანოს მთის ძირას, მორინჯის (და არა მარიჯის, როგორც დაფიქსირებულია ქსე-ში) ხეობაში. ზ. დ. 160 მ. გალიდან 17 კმ. ესაზღვრება: ოქუმი, საბულისკერიო, ჩხორთოლი... ადგ. ვარიანტები: აგოვარა, აგვავარა, აგუაუარა. აფხ.: ა-გუაუარა "ჩავარდნილი ადგილი" (ბ. ჯანაშია). ინფ. "აგუაუე არის ჩავარდნილი ადგილი, ხევი, რასაც მეგრულში ნოღო ეწოდება. აგვავერა//აგუავარა ამგვარ ადგილთა სიმრავლეს აღნიშნავს. ამ სოფელში ცხოვრობენ ახელედიანები, ბულისკერიები, ჯუმუტიები... რომელთაც მეგრულთან ერთად აფხაზურიც იცოდნენ, რადგან მათ მამა-პაპებს ქალები აფხაზეთიდან ჰყავდათ მოყვანილი. ამჟამად აფხაზური დავიწყებული აქვთ". 1991 წლის მონაცემებით ამ სოფლის ყველაზე მრავალრიცხოვანი და თანაც ძირძველი გვარებია: შამათავა – 50 კომლი, ლაცუზბაია – 43 კ., ქვაჩახია – 40 კ., ახვლედიანი – 30 კ., ჯუმუტია – 17 კ., გამისონია – 14 კ. (ამ გვარებს აგვავერელნი თვითონვე უწოდებენ ჯინჯი, ანუ ძირძველ გვარებს). გადმოცემით, ქვანიების ჯინჯიხატი ახუთშია, ლაცუზბაიების წინაპრები გადმოსულან "ფსხუდან", ჯუმუტიებისა – გურიიდან, ახვლედიანებისა – ლეჩხუმიდან (შამუკა ახვლედიანი და მისი ორი ძმა რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ემხვარს აქ დაუტოვებია. ერთი მათგანი გუდაუთაში დამკვიდრებულა და გააფხაზებულა. "ძველებმა" თანაბრად იცოდნენ მეგრული და აფხაზური). "საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის" 1930 წლის გამოცემაში აგვავერა ჯერ კიდევ არაა სოფლის სტატუსით დაფიქსირებული. სოფლის მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1975 წელს. ინფორმატორები იყვნენ:

ახვლედიანი ილარიონ დავითის ძე, 78 წლისა;
ახვლედიანი იურა ჯოდოს ძე, 29 წლისა;
ახვლედიანი ჯოდო საბას ძე, 85 წლისა;
ბერიძე არდალიონ ბესოს ძე, 48 წლისა,
ბულისკერია მამანტი ევგენის ძე, 45 წლისა;
ბულისკერია შაჰანი კეხუცას ძე, 92 წლისა;
ზუხბაია რემიკო ფოთოს ძე, 38 წლისა;
ქვანია ხვათა დანაყეს ძე, 63 წლისა;
შამათავა ფოცხო ხახუტის ძე, 75 წლისა;
ჯუმუტია მეგონა როზანის ძე, 49 წლისა;

ჯუმუტია პილა ღვაღვას ძე, 56 წლისა.

აგუბედია – სოფელი აგუბედიის თემში, ოხოჯის მარჯ. მხარეს, თემის ცენტრი. შედის სოფლები: აგუბედია, აძხიდა, ახეცარა, აჯრა, მეორე კოპიტი, მიშველი, ნარჯხეუ, ოხოჯა, პატრახუწა, პირველი კოპიტი, ქვალონი (ოჩამჩირის რ.). ზ. დ. 120 მ. ოჩამჩირიდან – 21 კმ. ესაზღვრება: პატრახუწა, ახეცარა, ნარჯხეუ, ქვალონი. ადგ. მეგრ. ვარიანტი: გურბედია; ისტ. ვარიანტი გულიბედია იგივეა, რაც "შუა ბედია". აფხაზური ეკვივალენტი აგუბედია "შუა ბედია" წარმოიშვა XVIII ს-დან, როცა ამ მხარეში მკვიდრდება აფხაზური მოსახლეობა. ვ. კვარჭიას ცნობით, 1925 წლამდე ბედიის ნაწილს ეწოდებოდა ბედია-გუ და მერე დაერქვა აგუ-ბედია. ფაქტია, რომ 1886 წელს ჩატარებული აღწერის მასალებში (რომელიც 1893 წელს გამოიცა როგორც Свод статистических данных о населении Закавказского Края..) სამურზაყანოს უბნის ბედიის თემში შემავალ სოფელთა შორის აგუბედია არ არის დასახელებული. მაგრამ "საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის " 1930 წლის გამოცემის მიხედვით, გალის მაზრის ბედიის სასოფლო საბჭოში უკვე შედის სოფელი აგუ-ბედია (73 კომლით). შემდგომში აგუბედია სასოფლო საბჭოს ცენტრად იქცა. ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლი - ბედიის მონასტერი (ეკლესიით, სამრეკლოთი და სასახლით) – ამჟამად სწორედ ამ სოფლის ტერიტორიაზეა, მდ. ოხოჯის მარჯ. ნაპირას აღმართულ სერზე.

გადმოცემა აგუბედიაში დამკვიდრებულ ზოგ გვარზე: აბსავები ყულიშკარიდან არიან; ტყებუჩავების წინაპარი ოთხი ძმა ზანიდან ჩამოსულა (იქ "პატონსქუა" მოუკლავთ). ერთი ძმა ნააში დამკვიდრებულა, მეორე – სოხუმში, მესამე – ოჩამჩირეში, მეოთხე კი გურბედიაში დარჩენილა. ბედიის მონასტრის დარაჯის, 92 წლის პალიკო სათის ძე ტყებუჩავას ნაამბობი: ბაბუაჩემი ანუხვაში (გუდაუთის რ.) გაზრდილა, აფხაზი გამხდარა, მუსლიმანობა მიუღია და მერე აქ დაბრუნებულა. მიუხედავად ამისა, მისი შთამომავლები მაინც ზანაში (სენაკის რ.) აგზავნიან ხურდა ფულს ჯინჯიხატის შესაწირავად. სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1982 წელს (ამ წელს აქ ცხოვრობდა 69 კომლი). ინფორმანტები:

აბსავა კუნტა ქელამათის ძე, 88 წლისა;

აბსავა ნოე გოჯოს ძე, 58 წლისა;

ბიგვავა გვადია ხაპაშის ძე, 71 წლისა;

მატკავა კალი დათოს ძე, 74 წლისა;

მატკავა ხუხუტი ბადას ძე, 68 წლისა;
ტყებუჩავა ველოდი ღაბალის ძე, 40 წლისა;
ტყებუჩავა პალიკო სათის ძე, 92 წლისა;
ტყებუჩავა ტონტო ჩიქვათის ძე, 97 წლისა;
ჭოლარია ძიკა ხაზარათის ძე, 56 წლისა.

აკვარიქვა – სოფელი რეფი-შეშელეთის თემში (გალის რ.), მდ. აკვარიქვასა და შაშიკვარას შუა. ზ.დ. 75 მ. გალიდან 10 კმ. ესაზღვრება: მზიური, ხუმუშქური, მ. შეშელეთი, სიდა. სახელწოდება აფხაზურია (დარჩენილი აფხაზთა კუნძულებრივი დასახლების ადგილას) და ნიშნავს შავ ღელეს (თავდაპირველად იყო მდინარის სახელი). ადგ. ვარიანტები: აკვარიკვა, საგადელიო. გადმოცემით, გადელიები წარმოშობით ყოფილან იაშვილები რაჭიდან ("ძველებს" იქ მიჰქონდათ საღვთო შესაწირავი); ხოლო ეზუგბაიების წინაპრები – ძმები ქვამზაჩი, საკუტი და ზორყანი – ჩამოსულან სოფ. ჯირხვიდან (გუდაუთის რ.). 1930 წელს აკვარიქვას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიკუთვნებული სოფლის სტატუსი. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წელს. ინფორმატორები:

გადელია ლუკიანე (ბირჯალი) ბეგლარის ძე, 61 წლისა;
ეზუგბაია ერმინე ნარიჭის ძე, 90 წლისა;
ფარფალია ჯვედე ბეკოს ძე, 81 წლისა.

ანარია – სოფელი გუდავის თემში (გალის რ.), ოხურეიწყარის მარც. მხარეს (ქსე-ში შეცდომითაა მითითებული: "ოქუმის მარც. მხარეზე"), სადაც გაედინება ანარია//ანარიაწყარი. ზ.დ. 20 მ. გალიდან 10 კმ. ადგ. ვარიანტი: ახალი ოხურეი (ერქვა კოლმეურნეობას). ესაზღვრება აჩიგვარის ოხურეი, გუდავის ოხურეი, ნაგვალოუ. სახელწოდება მეგრულია. ამოსავალია ზმნა ნარუა, რაც რაიმეს რწევას (ვთქვათ, ტბის ზედაპირისას), რყევას, ლივლივს აღნიშნავს. სამეგრელოში ანარია, ონარია (ო-ნარ-ე-ა → ონარია →ანარია) რამდენიმეგან ჰქვია ჭაობს ან ნატბევ-ნაჭაობარ ადგილს. ანარია მცირე სოფელია, მასალის ჩაწერისას, კერძოდ, 1980 წელს, იქ ცხოვრობდა მხოლოდ 13 კომლი (რუხაიები, ბარგანჯიები, ქულავები, პაპავები...). ინფორმატორები:

კვარაცხელია ხიხუ ივანეს ძე, 57 წლისა;
კვაშილავა სპირიდონ ნესტორის ძე, 78 წლისა;
ქულავა კარლო შალვას ძე, 12 წლისა;
წურწუმია შალვა კოჯოს ძე, 68 წლისა.

ატიშადუ – სოფელი ტყვარჩელის თემში (ოჩამჩირის რ.), ღალიძგასა და მის მარც. შენაკად ოტაფს შუა. ზ.დ. 210 მ. ოჩამჩირიდან 26 კმ. ტყვარჩელიდან 4 კმ. ესაზღვრება: აყვარჩაფანი, აძხიდა (ტყვარჩელის თემი), ნარჯხეუ... 1930 წელს შედიოდა კოდორის მაზრის ტყვარჩელის სასოფლო საბჭოში ათიშადუს სახელწოდებით (ცხოვრობდა 109 კომლი). ერთ პერიოდში ერქვა ვარდისუბანი (1955 წლამდე). ადგ. ვარიანტები: ათიშადუ, ატჷშადუ, გარამი (იშვიათად). ატჷშადუ აფხაზური სიტყვაა და ნიშნავს დიდ უფსკრულს, ჭისებურ ღრმულს, ე.ი. იმასვე, რასაც მეგრული გარამი. სავარაუდებელია, რომ სწორედ გარამი არის თავდაპირველი, ძირძველი სახელი ამ დასახლებული პუნქტისა, ხოლო ატიშადუ მისი გვიანდელი თარგმანია, აფხაზთა მიერ ამ კუთხის ეთნიკურ-ენობრივი ათვისების შემდგომდროინდელი. ადგილთა სახელები აღინუსხა 1982 წელს (ცხოვრობდა 37 კომლი). ძირითადი გვარებია: შაკაია, ხარჩილავა... ინფორმანტები:

არგუნი ბაჯგა აჯუს ძე, 77 წლისა;
დელბა იური მიხეილის ძე, 41 წლისა;
ჭყონია შალვა შალვას ძე, 56 წლისა.

აყვარაშე – სოფელი ოხურეის თემში (ოჩამჩირის რ), ოხურეიწყარის მარჯ. ნაპირას. ზ. დ. 80 მ. ოჩამჩირიდან – 12 კმ. დაერქვა 50-იან წლებში. ესაზღვრება: კაციჰაბლა, რეკა, აყვარაშე (ფოქვეშის თემისა), პირველი ოხურეი. 1886 წლის კომლთა ოფიციალური აღწერის მასალების მიხედვით, კოდორის უბანში არის სოფელი და თემი ფოქვეში, აყვარაში კი არ ჩანს, მაგრამ 1930 წლისათვის კოდორის მაზრაში ორი აყვარაშია: ერთი ოხურეის თემში, მეორე – ფოქვეშის თემში. აყვარაში აფხაზური სიტყვაა და ნიშნავს: "თეთრი ქვებით მოფენილი რიყე". თავდაპირველად ასე ეწოდებოდა მდინარეს, რომელიც ოხურეიწყარის მარჯ. შენაკადია. მის ზემო წელს სოფ. ფოქვეშში უწოდებენ ჩეღალს (მეგრ. "თეთრი ღელე"), ხოლო ქვემო წელზე – აყვარაშთან ერთად ჩექუალონსაც (მეგრ. "თეთრქვიანი"). სწორედ ჩექუალონი უნდა იყოს თავდაპირველი სახელწოდება. სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1982 წელს. ცხოვრობდა 17 კომლი. ძირითადი გვარები: წურწუმია, ლემონჯავა, უბირია, მეფორია, ქარდავა, კორტავა... ინფორმატორები:

კუპრეიშვილი ნოე ბეგლარის ძე, 78 წლისა;
მეფორია ესტატე სვიმონის ძე, 83 წლისა;

ქვანია ნუგზარ ვანოს ძე, 32 წლისა;
სოლომკო ანდრეი გიდის ძე, 70 წლისა;
უბირია მიხა ფილუს ძე, 85 წლისა;
ქარდავა კირილე ჯოგოს ძე, 64 წლისა;
შონია იზოლდა ვიქტორის ასული, 31 წლისა.

აყვარაში – სოფელი ფოქვეშის თემში (ოჩამჩირის რ.), ოხურეი-წყარისა და აყვარაშის ნაპირებზე. ზ. დ. 120 მ. ოჩამჩირიდან 13 კმ. ესაზღვრება: აყვარაში (ოხურეის თემისა), ფოქვეში, რეკა, საჩინო. 1928 წ. სოფელში ცხოვრობდა 75 კომლი, ხოლო 1982 წელს – 102 კომლი. ძირითადი გვარებია: აკაბა, ბუთბა, ბულია, ლაგვილავა, სკვერია, ფაჩულია, შანავა, ჯინჯია, ჯინჯოლია, ხაშბა... ლაგვილავების წინაპრები ყოფილან ნაფიჩხოვოდან: ერთი ძმა აქ დამკვიდრებულა, მეორე – ბედიაში, მესამე – გუდავაში. მათი სალოცავი – წმ. გიორგის ხატი – ესვენა ხის ეკლესიაში, საჯაია რხუში. ერთი წინაპარი მოჰაჯირიც კი ყოფილა და მერე უკან დაბრუნებულა. სოფლის მიკროტოპონიმია ჩაწერილ იქნა 1982 წელს. ინფორმატორები:
ბუთბა ბაბუში ბურდღუს ძე, 62 წლისა;
ლაგვილავა მიჯა მიხეილის ძე, 76 წლისა;
ფაჩულია ივანე ჩანთას ძე, 57 წლისა;
ფაჩულია ჭიჭინი ივანეს ძე, 62 წლისა;
ხაშბა ბაგრატ ბურდღუს ძე, 72 წლისა;
ხაშბა მიხეილ ხარიტონის ძე, 72 წლისა.

აყვარჩაფანი – სოფელი ტყვარჩელის თემში (ოჩამჩირის რ.), ღალიძგის მარც. ნაპირას. ზ.დ. 300 მეტრი, ოჩამჩირიდან 29 კმ. ესაზღვრება: ქ. ტყვარჩელი, აძხიდა (ტყვარჩელის თემისა), ატიშადუ, საჩაჩხალია. 1930 წელს შედიოდა ტყვარჩელის სასოფლო საბჭოში. ცხოვრობდა 94 კომლი. 1982 წლისათვის კომლთა რაოდენობა გაიზარდა 148-მდე. ძირითადი გვარებია: ადლეიბა, აკაბა, არგუნი, დელბა, კვარჭია, ლაგვილავა, ფაჩულია, ქირია, ჯინჯოლია.. სახელწოდება აფხაზურია: აყვარჩ არის "ადგილი მდინარეზე, სადაც ხეტყეა დახერგილი", ხოლო ა-ფან არის ქართული სიტყვა ფონი, შეთვისებული აფხაზურის მიერ. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1982 წელს. ინფორმატორები:
არშბა ვლადიმერ ვარტანას ძე, 76 წლისა;
არშბა მუშნი თარაშის ძე, 72 წლისა;
არშბა შალვა ვარტანას ძე, 57 წლისა;
დელბა ზურაბ ცაკვას ძე, 33 წლისა;

დელბა იურა ესტატეს ძე, 45 წლისა;
ლაგულაა ივანე სერგოს ძე, 42 წლისა;
შაკაია სარპიონ ტარასის ძე, 59 წლისა.

აჩიგვარა "ცხენის სადგომი (ადგილი)" – სოფელი, თემის ცენტრი (გალის რ.) ოქუმწყარის ორსავე ნაპირას, სოხუმი–ზუგდიდი–თბილისის საავტომობილო და სარკინიგზო გზაზე. შედის სოფლები: აჩიგვარა, ბულიშხინჯი, გუდავა, ოხურეი, ტოგონი, ფუწყური. ზ. დ. 20 მ. გალიდან 9 კმ. ზღვიდან 13 კმ. ესაზღვრება: საბულისკერიო, ტოგონი, პირველი შეშელეთი, პირველი გუდავა, ბულიშხინჯი, ოხურეი (ოხურეის თემისა). 1886 წლის კომლობრივი აღწერის სტატისტიკური მონაცემების ცნობარში, რომელიც გამოიცა ქ. თბილისში 1893 წელს, სამურზაყანოს უბნის სოფლების სიაში აჩიგვარა არ ჩანს. მას მოგვიანებით მიუღია სოფლის სტატუსი და საბჭოთა პერიოდში სასოფლო საბჭოს ცენტრიც გამხდარა. 1930 წელს გალის მაზრის აჩიგვარის სასოფლო საბჭოში შედიოდა სოფლები: აჩიგვარა (121 კომლი), ბულიშხინჯი (38 კომლი) და ოხურეი (36 კომლი). აჩიგვარასა და მასში შემავალი სოფლების ტერიტორიაზე ნაპოვნია პალეოლითის ხანის არქეოლოგიური მასალა, რაც ინახება სანქტ-პეტერბურგის პეტრე პირველის სახელობის ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მუზეუმში. არქანჯელო ლამბერტის რუკაზე (1654 წ.) დღევანდელი აჩიგვარის ადგილას აღნიშნულია სოფელი კოლხური სუფიქსით. ესაა სუბეიში. აჩიგვარა აფხაზური სახელია, ნიშნავს ცხენის სადგომს და, ცხადია, უკანასკნელი 2-3 საუკუნის მანძილზეა დამკვიდრებული. გასული საუკუნის 80-იან წლებში აჩიგვარა მრავალგვარიანი და მრავალკომლიანი სოფელი იყო. გადმოცემით, ლემონჯავების წინაპრები ჩამოსულან ზუმიდან, მებონიებისა – ჯაღრიდან, ღურწკაიებისა – ყულიშკარიდან, ჭკადუებისა – პატრახუწიდან (ოჩამჩირის რ.) და სხვ. ადგილის სახელთა აღწერა ჩატარდა 1980 წელს. ინფორმატორები:

გვაძაბია გრიგოლ სტეფანეს ძე, 75 წლისა;
გობეჩია ვალიკო სტეფანეს ძე, 58 წლისა;
გოგოხია ხარიტონ ეგნატეს ძე, 63 წლისა;
კაკაჩია ილია ანდრიას ძე, 73 წლისა;
კალანდია ვალიკო დივას ძე, 65 წლისა;
კვარაცხელია ფუტუ ზოსიმეს ასული, 60 წლისა;
კვირაია ქიშვარდი ბერუკას ძე, 54 წლისა;
ლემონჯავა ლავრენტი ევგენის ძე, 56 წლისა;

მებონია რევაზ (ზაურ) ვლადიმერის ძე, 45 წლისა;
ნაჭყებია რაჟდენ დომენტის ძე, 50 წლისა;
ქვაჩახია შალიკო დიმიტრის ძე, 58 წლისა;
ღურწკაია ბოჩია ქუქუს ძე, 49 წლისა;
შაკაია ვალიკო ბეჩუს ძე, 71 წლისა;
ცაავა ბუბლი იონას ასული, 48 წლისა;
ცაავა დურუ იდოს ძე, 75 წლისა;
ჭკადუა ასკალონი ხარიტონის ძე, 41 წლისა.

აძხიდა — სოფელი აგუბედიის თემში (ოჩამჩირის რ.), სამურზაყანოს მთის ძირას, ოხოჯის ზემო წელზე. ზ. დ. 160 მ. ოჩამჩირიდან 29 კმ. ესაზღვრება: აძხიდა (ტყვარჩელის თემისა), ნარჯხეუ... 1930 წელს აძხიდა ერთი სოფელი იყო 81 კომლით და შედიოდა ტყვარჩელის სასოფლო საბჭოში. შემდეგ მას გამოეყო ერთი ნაწილი და იგი ცალკე სოფლის სტატუსით მიეკუთვნა აგუბედიის სასოფლო საბჭოს. ინფორმატორის განმარტებით, აძხიდა აფხაზური სიტყვაა და ნიშნავს უთავო წყალს. ასე ეწოდება წყარო-ნაკადულს, რომელიც ალრაში კლდის ძირას გამოდის და მდ. ოხოჯის ერთ-ერთი მდგენელია. 1982 წელს ამ აძხიდაში ცხოვრობდა 44 კომლი. გადმოცემა ზოგ გვარზე: არშბების წინაპრები ფსხუდან ყოფილან ლტოლვილნი. ერთი ძმა აძხიდაში დამკვიდრებულა, მეორე - ჭკადუაშში (ზუგდიდის რ.). მათ ერთმანეთში მიმოსვლა ბოლო დრომდე ჰქონდათ; გვარამიებიც ფსხუდან გამოქცეულან მებატონის მოკვლის გამო. ერთი ძმა გუფუში მინდობია მარშანიას, მეორე - ბედიაში შარვაშიძეს, მესამე კი — ენგურს იქით დადიანს. აძხიდაში დროდადრო სვანეთიდან ჩამოდიან გვარმიანები, რომელთაც სჯერათ, რომ აძხიდიდან (კერძოდ, ქაცვაარკვარიდან) გადახვეწილი გვარამიას შთამომავლები არიან; ლაკაშიები ირწმუნებიან, ნაკაშიძეები ვართო და გურიაში აგზავნიან ხურდა ფულს სალოცავებისათვის შესაწირავად. სოფლის ადგილთა სახელები ჩაიწერა 1982 წელს. ინფორმატორები:

არშბა ვალოდია დურუს ძე, 61 წლისა;
არშბა მიშა ედგის ძე, 77 წლისა;
არშბა ნუარბეი ძაკუს ძე, 48 წლისა;
გვარამია ევგენი როზანის ძე, 69 წლისა;
გვარამია ლუბა ვასილის ასული, 70 წლისა;
გვარამია ჟენია აბრამის ასული, 58 წლისა;
ელარჯია ვლადიმერ მიხეილის ძე, 53 წლისა;

ლაკაშია ტონტო ტიმოთეს ძე, 64 წლისა;
სამსონია ბაგრატ პატუხუს ძე, 72 წლისა;
შაკაია შანა თემრაზის ძე, 65 წლისა;
ხარჩილავა ვანია კუკუტის ძე, 54 წლისა.

აძხიდა – სოფელი ტყვარჩელის თემში (ოჩამჩირის რ.), ღალიძგის აუზისა და ოხოჯის ზემოთის წყალგამყოფ ვაკე-სერზე, მთა ლაშქინდარის ძირას. ზ. დ. 250 მ. ოჩამჩირიდან 32 კმ. ესაზღვრება: ქ. ტყვარჩელი, ატიშადუ, აძხიდა (აგუბედიის თემისა), ნარჯხეუ. 1982 წელს სოფელში ცხოვრობდა 202 კომლი. ძირითადი გვარებია: არშბა, კაჭარავა, კვეკვესქირი, მინაია, ტაჩულია, ხანაგუა, ხაჟბა, ჯაღმაზია, ჯოპუა. გადმოცემა ზოგ გვარზე: ჯაღმაზიების წინაპრები ყოფილან ჯღამაძეები; არგუნები გამოქცეულან აფსუადან: ერთი ძმა გუდაუთაში დამკვიდრებულა, მეორე – ტყვარჩელში, მესამე – ჭუბურხინჯში; არშბაიების "ძველები" ფსხუდან გადმოსულან. ერთი მათგანის შთამომავლები ჭკადუაშში (ზუგდიდის რ.) ცხოვრობენ და აქვთ ერთმანეთში მიმოსვლა (იხ. აგრეთვე აძხიდა აგუბედიის თემისა). სოფლის მიკროტოპონიმია ჩაწერილ იქნა 1982 წელს. ინფორმატორები:

არგუნი ერასტო ჯარმას ძე, 82 წლისა;
არგუნი მიხეილ შახანის ძე, 88 წლისა;
არშბა გვანჯა პეხუს ძე, 88 წლისა;
არშბა ჯოჯო კონსტანტინეს ძე, 75 წლისა;
ჯაღმაზია ვლადიმერ ტახვას ძე, 58 წლისა.

ახეცარა – სოფელი აგუბედიის თემში (ოჩამჩირის რ.), ოხოჯის მარჯ. მხარეს. ზ. დ. 120 მ., ოჩამჩირიდან 25 კმ. ზღვიდან 18 კმ. ესაზღვრება: რეკა, ქვალონი, აგუბედია, სანარდო. ადგ. ვარიანტები: ახაცარა, ცხიმურონა. სოფელი ახეცარა არც 1886 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებში ჩანს და არც 1930 წელს გამოცემულ "საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის" ცნობარში. სახელწოდება აფხაზურია და, ისევე როგორც მისი ადგილობრივი მეგრული ვარიანტი ცხიმურონა, ნიშნავს რცხილნარს. გადმოცემით, ახეცარა თავდაპირველად ერქვა სერს ოხოჯესა და მის შენაკად ლაბჟანიაშ ღალს შუა. სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1982 წელს (ცხოვრობდა 32 კომლი). ინფორმატორები:

ლაბჟანია ალიოშა პავლეს ძე, 66 წლისა;
ნარმანია გრიშა ელიზბარის ძე, 58 წლისა;

ჰანტურია შალიკო პავლეს ძე, 64 წლისა.

აჯრა – სოფელი აგუბედიის თემში (ოჩამჩირის რ.), ოხოჯის მარც. მხარეს, ძირითადად ელაღირის ხეობასა და მიმდებარე ბორცვებზე. ზ. დ. 130 მ., ოჩამჩირიდან 25 კმ. ესაზღვრება: აგუბედია, პირველი კოპიტი, მიშველი, ჩხორთოლი. 1930 წელს ამ დასახლებულ პუნქტს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიკუთვნებული სოფლის სტატუსი. სახელწოდება აფხაზურია და ნიშნავს მუხნარს. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1982 წელს (ცხოვრობდა 49 კომლი). გადმოცემა ერთ გვარზე: ბუაევების წინაპარი სამი ძმა რაჭიდან წამოსულა. ერთი მათგანი სოფ. კოკში (ზუგდიდის რ.) დარჩენილა, მეორე – აქ, მესამე კი გუდაუთაში გამგზავრებულა. "ძველებს" ჯერ კიდევ ახსოვდათ ჯინჯიხატი რაჭაში და იქ აგზავნიდნენ ხურდა ფულს. ინფორმატორები:

ბიგვავა გუდუ ხაკუცის ძე, 76 წლისა;

ბუავა ვლადიმერ ბურდღუს ძე, 66 წლისა;

ბუავა მიტრო ჯიგოგუს ძე, 87 წლისა;

ნარმანია დიგვა ვასილის ძე, 86 წლისა;

ჩერქეზია თომა კიბას ძე, 88 წლისა;

ჩერქეზია ლავრენტი ხალიტონის ძე, 87 წლისა.

ბედია – სოფელი, ბედიის თემის ცენტრი (გალის რ.). მდებარეობს ოხოჯის მარჯ. ნაპირას. ზ. დ. 160 მ. გალიდან 20 კმ. ეწოდებოდა მეორე ბედია, უფრო ადრე კი – სანარდო//სანავარდო. ბედიის თემი გაშლილია აგუბედიისა და აჩიგვარის თემებს შორის მდებარე დაბალ პლატოზე. თემში შედის სოფლები: ბედია, სახახუბიო, ფშაური. ბედია (ადგ. ვარიანტი: ბეიდია) ერქვა ვრცელ ტერიტორიას, სადაც ამჟამად მდებარეობს სამი თემი – აგუბედიისა (ოჩამჩირის რ.), რეკისა (ოჩამჩირის რ.) და ბედიისა (გალის რ.). 1886 წელს სამურზაყანოს საბოქაულოს ბედიის თემში შედიოდა სოფლები: ბედია, კოპიტი, მიშველი, ნაჯიხევი, ოხური, პატრახუწა, რეკა, საღარწკია, საგურგულია, სამახარია, სანარდო, სახახუბია, საცუშბაია, საჩინო, ეშქითი. ამ 15 სოფელში ცხოვრობდა 824 კომლი (4118 სული). "საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის" 1930 წლის გამოცემის თანახმად, გალის მაზრაში შედის: პირველი ბედიის სასოფლო საბჭო (სოფლები: აძხიდა-ადშიდა, პირველი კოპიტი, მეორე კოპიტი, ნოჯიხევი, საღარწკიო, ცუშქითი//საგრიგოლიო), მეორე ბედიის სასოფლო საბჭო (სოფლები: აგუ-ბედია, პირველი მიშველი, მეორე მიშველი, საბიგვა//საბშვა, სანავარდო,

სახახუბიო, პატრახუწა) და რეკის სასოფლო საბჭო (სოფლები: ოხურეი, რეკა, საჩინო, ჯერგიანი//დემგერფანი).

ქართლის მატიანეში მოთხრობილია, რომ ბაგრატ მესამემ (X–XI სს.), გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პირველმა მეფემ, ააგო ბედიის მონასტერი და გუდავიდან აქ გადმოიტანა საეპისკოპოსო კათედრალი (თვით მეფე აქვეა დაკრძალული). ახლანდელი ნაგებობა განეკუთვნება XIII–XIV სს. ამავე პერიოდისაა ქტიტორისა (ბაგრატ III) და დადიანთა გვარის წარმომადგენლების გამოსახულება. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია "ბედიის ჭედური თასი" – X–XI სს. მიჯნაზე შესრულებული ოქროს ბარძიმი ქრისტეს, ღვთისმშობლისა და წმინდანების გამოსახულებითა და ასომთავრული წარწერით, რომელიც გვამცნობს, რომ აფხაზეთის მეფე ბაგრატი და მისი დედა გურანდუხტი ბარძიმს სწირავენ მათ მიერვე აშენებულ ბედიის ეკლესიას. ბედიის ლაპიდარული ასომთავრული წარწერა, რომელშიც მოიხსენიება სვიმეონ გალატოზთუხუცესი, თარიღდება X საუკუნით და, მაშასადამე, ერთ-ერთი პირველი ეპიგრაფიკული ძეგლია დას. საქართველოში (როგორც ცნობილია, IX ს-ზე ადრინდელი ქართული წარწერა დასავლეთ საქართველოში არ დასტურდება). ბედიის სხვა წარწერები უკვე XIII ს-ს განეკუთვნება.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ბედია მდებარეობს "ეგრისის მდინარესა ზედა, მთასა შინა" (ეგრისის მდინარეში, როგორც ვარაუდობენ, მდ. ოქუმს გულისხმობს). არქანჯელო ლამბერტის "სამეგრელოს რუკაზე" (1654 წ.) ოქუმის (იგივე ტარსურის) ორ მდგენელს შუა არის ეკლესიის სილუეტი და წარწერა "ბედიის ეპარქია". იგივე ავტორი "სამეგრელოს აღწერაში" აღნიშნავს, რომ ოდიშში ექვსი ეპისკოპოსია და მათ შორის "მესამე არის ბედია, რომელიც აშენებულია გორაკზე აგრეთვე ღვთისმშობლის სახელობაზე. მისი ეპისკოპოსი იწოდება ბედიელად". ბედია აღნიშნულია 1654 წლის ლათინურენოვან (პარიზის) რუკაზეც. იმ პერიოდში (XVII ს.) ბედიაში ბაზრობაც იმართებოდა. 1980 წელს, სოფლის ტოპონიმური აღწერისას, ჩაწერილ იქნა ასეთი გადმოცემა: ყოფილა მეფე ბაგრატი. დედა ჰყოლია აფხაზი, სახელად გურიანდელი. აქ ეკლესია აუშენებია და ანდერძი დაუტოვებია: ეგ ყოფილა ჩემი ბედი და აქ დამმარხეთო. ორ კაცს დაუმარხავს და მერე ორივეს თავი მოუკლავს. ამის მერე დარქმევია ბედია. ინფორმატორები:

აბშილავა ვალერი გერასიმეს ძე, 27 წლისა;
აფშილავა ალიოშა (კუტა) აკაკის ძე, 51 წლისა;
აფშილავა ოსტარი ილიას ძე, 43 წლისა;
გვარამია ლეონტი ვასილის ძე, 67 წლისა;
მატკავა კაპიტონ ხითჭოს ძე, 75 წლისა;
ნიჟარაძე სარდიონ ნიკოს ძე, 85 წლისა;
მელია კონდრა ივაკის ძე, 78 წლისა;
ჩერქეზია დანე(ლ) მიხეილის ძე, 65 წლისა;
ჭკადუა ჩანთა ქაქუს ძე, 67 წლისა.

ბოგვეთი – სოფელი ქვემო ბარღების თემში, ქირის მარჯ. ნაპირას. ზ. დ. 17 კმ. გალიდან 18 კმ. 1930 წელს შედიოდა ქვედა ბარღების სასოფლო საბჭოში როგორც ბოკვათი//ფიცარიღალი. ქსეშიც შეცდომითაა შეტანილი ბოკვეთი ფორმით. ესაზღვრება: გინძე ეწერი, რეფი-ეწერი, ზ. ბარღები, ხუმუშქური. სოფელში გაედინება მდინარეები ალენი, ხუმუშქური. ბოგვი მეგრულში ერთგვარი ბალახის სახელია. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმატორები:

ბუთბაია გრიშა ალეს ძე, 83 წლისა;
ბუთბაია მიხა ბასას ძე, 65 წლისა;
ქობალია რადიონ სების ძე, 56 წლისა.

ბულიშხინჯი – სოფელი აჩიგვარის თემში (გალის რ.), მდ. ოქუმწყარისა და ოხოჯის მარჯ. ნაპირებზე. ზ. დ. 70 მ. გალიდან 10 კმ. ესაზღვრება: ფუწყური (აჩიგვარის თემი), აჩიგვარა, ბედია... სოფელს საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია მაინც აქვს. 1886 წლის კომლობრივი აღწერის მიხედვით "ბულისხინჯი" შედიოდა მუხურის თემში, ხოლო 1930 წელს "ბულიშიხინჯი"ფორმით განეკუთვნებოდა აჩიგვარის სასოფლო საბჭოს. სახელწოდება მეგრულია და ნიშნავს ბლისხიდს. ხიდი გადებული ყოფილა ოხოჯისა და წარჩის შესართავთან. ადგილის სახელები ჩაწერილია 1980 წელს 64 წლის ჭიჭიკო (ნიკოლაი) გუგუს ძე ქირიასაგან.

გაგიდა – სოფელი განახლების თემში (გალის რ.), ზღვის ნაპირზე, გაგიდაწყარის შესართავთან. ზ. დ. 5 მ. გალიდან 30 კმ. ესაზღვრება: დიხაგუძბა, ქვიშონა, ოკვინორე (განახლების თემისა), პ. ოტობაია, გინძე ეწერი. უწინ საძოვრები ყოფილა. სოფელი, ფაქტობრივად, შექმნილა XIX საუკუნის დამდეგს სამურზაყანოსა და სამეგრელოს მთისწინეთის სოფლებიდან გადმონაცვლებულთაგან (მაგალითად, კვარაცხელიები გადმოსულან ფუქიდან, კვაშილავები

– ნოღა-კიწიიდან და სხვ.). 1930 წელს გალის მაზრის გაგიდა-ნაჭკადოუს სას. საბჭოში შედიოდა სოფლები: გაგიდა, ბოცვი, დიხა-გუძბა, ნაკარღალ, ნაჭკადოუ, ოკვინორე. შემდგომ არსებობდა გაგიდის სასოფლო საბჭოც. გაგიდა აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტის რუკაზეც (1654 წ.) და ამავე წელს შედგენილ ლათინურენოვან (პარიზში დაცულ) სამეგრელოს რუკაზეც Gaghida ფორმით. ამ რუკებზე ერისწყალი ერთვის არა ოქუმს, არამედ პირდაპირ შავ ზღვას და ამ შესართავის დას. ნაპირზეა აღნიშნული გაგიდა. (იხ. აგრეთვე: ნაჭკადუ). ხალხური ეტიმოლოგია: "აბრაგებს გაგის და მოუკლავთ. მერე დარქმევია გაგიდა". სოფლის მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1985 წელს. ინფორმანტები:

ბიგვავა ლენგი ვალიკოს ძე, 45 წლისა;
გერგედავა ვალიკო სანდროს ძე, 59 წლისა;
კვარაცხელია გრიშა მიხეილის ძე, 75 წლისა;
კვარაცხელია ესტატე დავითის ძე, 92 წლისა;
კვარაცხელია კაკა ესტატეს ძე, 65 წლისა;
კვაშილავა სანდრო პავლეს ძე, 82 წლისა;
მებონია ძიკა მიხეილის ძე, 80 წლისა;
საჯაია მელენტი ჯოტოს ძე, 39 წლისა;
ქობალია რევაზ ილიას ძე, 39 წლისა;
ქობალია შალვა პირისტოს ძე, 57 წლისა;
ღურწკაია მიხეილ ადამურის ძე, 53 წლისა;
შენგელია ლადი ფიდოს ძე, 83 წლისა;
ხურცია გულიკო ექვთიმეს ძე, 53 წლისა.

გალი – ქალაქი, გალის რაიონის ცენტრი. მდებარეობს ერისწყლის მარც. მხარეს (ქსე-ს მიხედვით: "მდ. ერისწყლის ორივე ნაპირზე"), სოხუმი-თბილისის საავტომობილო და სარკინიგზო ტრასაზე. ზ. დ. 48 მ. სოხუმიდან 83 კმ. თბილისიდან 361 კმ. გარშემორტყმულია მზიურისა და პირველი გალის თემებში შემავალი სოფლებით. ქალაქის ტერიტორიაზე ნაპოვნია პალეოლითური და ნეოლითური ხანის მასალა. არქანჯელო ლამბერტის რუკაზე დღევანდელი გალის ადგილას წარწერილია გოგიელი. 1886 წელს სამურზაყანოს უბნის გალის თემში შედიოდა სოფლები: გალი (454 კომლი, 2401 სული), რეჩხი (269 კომლი, 1483 სული), ცხირი (171 კომლი, 1016 სული). 1906 წელს ოქუმიდან აქ გადმოუტანიათ სამურზაყანოს საპოლიციო უბნის ცენტრი. 1928 წელს გალი იქცა დაბად და გალის მაზრის ცენტრად (ამ წელს გალის მაზრაში

ცხოვრობდა 1073 კომლი, 50086 სული), ხოლო 1930 წლიდან არის გალის რ-ნის ცენტრი. გალი 1931 წელს რკინიგზით დაუკავშირდა თბილისს, 1932 წელს კი მიენიჭა ქალაქის სტატუსი. 1974 წელს ქ. გალში იყო 13,8 ათასი მცხოვრები. რაიონის ტერიტორია 1002, 5 კვ.კმ-ია. მოიცავს ერთ ქალაქს (გალი), 25 თემს (აჩიგვარის, ბედიის, განახლების, გუდავის, დიხაზურგის, ზემო ბარღების, თაგილონის, ლეკუხონის, მზიურის, მუხურის, ნაბაკევის, ოტობაიის, ოქუმის, პირველი გალის, რეფი-შეშელეთის, რეჩხის, საბერიოს, სიდის, ფიჩორის, ქვემო ბარღების, ღუმურიშის, ჩხორთოლის, წარჩის, ჭუბურხინჯის) და 92 სოფელს. შემდგომში ყოფილი გალის თემის ტერიტორიაზე გაჩნდა ორი სასოფლო საბჭო: პირველი გალისა (სოფლებით: ზემო გალი, პირველი გალი, ლეკუმხარა, ცხირი) და რეჩხი-ცხირისა, რომელშიც შედიოდა თვით დ. გალიც. ქალაქის ადგილის სახელები ჩაწერილია 1973, 1980 და 1986 წლებში. ინფორმატორები:

ეხვაია აკაკი, 65 წლისა;
თორია ნოდარ ირაკლის ძე, 47 წლისა;
მალაზონია ლავრენტი ივანეს ძე, 58 წლისა,
ქეცბაია არტემ, 68 წლისა;
ჩეხერია არჩილ ივანეს ძე, 44 წლისა.
ჯახაია ხუხუტი პატუხის ძე, 54 წლისა;

გინძე ეწერი//გინძე ენწერი – ნასოფლარი, ამჟამად ვრცელი ზღვისპირა ვაკე-საძოვარი ოქუმწყარსა და გაგიდაწყარს შუა. ესაზღვრება: გუდავა, მ. გუდავა, ხუმენი-ნათორფური, გაგიდა, ქვემო ბარღები. XIX ს. მეორე ნახევარში ყოფილა უღრანი ტყე, რომელიც ეკუთვნოდა ჰამუთბეი შარაშიას. მისგან უყიდია გერმანელ მრეწველს ფეტერს. მას მთელი ტყე გაუჩეხავს და გაუზიდია. 1930 წელს გინძე ეწერი ერქვა აქ წარმოქმნილ დასახლებას (62 კომლი, 220 სული), რომელიც შედიოდა გუდავის სას.საბჭოში. იგი მალევე დაცარიელდა და გადაიქცა საზამთრო საძოვრად. განაგებდა სატყეო მეურნეობა. გასული საუკუნის 70-იან წლებში აქ გაშენდა ენგურჰესის მშენებელთა დასახლება, რომელსაც პრიმორსკი ერქვა. ადგილის სახელები ჩაწერილია სხვადასხვა წლებში მიმდებარე სოფლების მცხოვრებთაგან.

გუდავა – სოფელი აჩიგვარის თემში (გალის რ.), ოქუმწყარის მარც. ნაპირას, პ. გუდავასა და აჩიგვარას შუა. ზ. დ. 20 მ. გალიდან 12 კმ. ზღვიდან 11 კმ. ესაზღვრება აგრეთვე ტოგონი. იშვიათი ადგ.

ვარიანტები: გუდა, გუდაყვა, აფხ. ვარიანტი: გუდაა. 1886 წელს არსებობდა გუდავის სასოფლო თემი, რომელშიც შედიოდა სოფლები: რგვალი ეწერი, გუდავა, ჯაყობა, ოხური, რეფი, ტაგონი, შეშელეთი. 1930 წელს კი გუდავის სას. საბჭო შედგებოდა სოფლებისაგან: გიძე ეწერი, პ. გუდავა, მ. გუდავა, ოხურეი, პ. ჯოყობა, მ. ჯოყობა. 1992 წელს გუდავის თემში დამკვიდრებული იყო 336 გვარის 684 კომლი (2416 სული). ისტორიულად გუდავა (გუდაყვა) მოიცავდა ვრცელ ზღვისპირა ტერიტორიას მდ. ოქუმის ორსავე მხარეს აჩიგვარამდე და შეშელეთამდე. ამჟამად აქ განლაგებულია სოფლები: გუდავა, პირველი გუდავა, მეორე გუდავა, ნასოფლარი გინძე ეწერი. ამ ადგილებში ადამიანს ჯერ კიდევ 3 ათასი წლის წინათ უცხოვრია. გუდავის ადგილას IV–V საუკუნეების ბერძნულენოვანი წერილობითი წყაროების მიხედვით გაშენებული ყოფილა რომაელთა ციხე-ქალაქი ზიგანისი (ზიღანისი). ქართულ საისტორიო წყაროებში დამოწმებულია როგორც გუდავა, ისე გუდაყვა. "ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს, რომ VII–IX სს-ში აქ არსებული გუდაყვის საეპისკოპოსო კათედრა მეფე ბაგრატ III-ს გადაუტანია ახალაშენებულ ბედიის ეკლესიაში (ხალხში შემონახული გადმოცემის თანახმად, ეს იმიტომ მომხდარა, რომ გუდავის ეკლესიას წყალი შემოსდგომია). არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან "სამეგრელოს რუკაზე" (ორივე 1654 წ.) ზღვისპირას, მდ. ოქუმის მარცხ. მხარეს, ზედ შესართავთან, აღნიშნულია ეკლესია და მის თავზე არის წარწერა Gudas "გუდა". ნაეკლესიარზე პროფ. პ. ზაქარაიამ ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები (იხ. აგრეთვე: მეორე გუდავა). გუდავის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმანტები:

ნარსია იროდიონ ანტონის ძე, 69 წლისა;

რეკვავა კირილე ივანეს ძე, 73 წლისა;

როსტობაია ილარიონ კოსტას ძე, 71 წლისა;

შონია მეგონა იასონის ძე, 62 წლისა.

დიხაგუძბა – სოფელი განახლების თემში (გალის რ.), შავი ზღვის პირას. ზ.დ. 5 მ. გალიდან 30 კმ. ესაზღვრება: ფიჩორი, პირველი ოტობაია, ქვიშონა, გაგიდა. 1930 წელს დიხაგუძბა დიხიგუძუბა-ს ფორმით შედიოდა გაგიდა-ნაჭკადოუს სასოფლო საბჭოში. სოფელში ცხოვრობენ ჭობალიები, მებონიები, ოყუჯავები, გოჯოლანძეები, ღურწკაიები, ეფენიები, გაგუები, ჭანიები, ბელქანიები, ბარქაიები, ჯინჯოლიები... ამ უკანასკნელთა წინაპრები

კირცხიდან გადასახლებულან ბზიფში და იქ გააფხაზებულან. მოგვიანებით ერთი მათგანი დიხაგუძბაში გადმოსულა საცხოვრებლად. დიხაგუძუბა, ისევე როგორც დიხაზურგა, გორა-ნამოსახლარია, ე.ი. არქეოლოგიური ძეგლების ერთ-ერთი კატეგორიაა. როგორც ცნობილია, ნეოლითის ხანაში, ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, კოლხეთის დაბლობზე დაიწყო პირველყოფილ გვართა დასახლება ბუნებრივ შემაღლებებზე. თავდაპირველად ასეთ გორებს სამოსახლო, სამეურნეო და საკულტო დანიშნულება ჰქონდათ, მოგვიანებით კი თავდაცვითი (იშვიათად სამარხი) ფუნქციაც მიიღეს. კოლხეთის დიხაგუძუბათა ერთი ნაწილი ხელოვნურის შთაბეჭდილებას ტოვებს. სოფელ დიხაგუძბის ასეთი გორა-ნამოსახლარი, რომლის მიხედვით სოფელს სახელი დარქმევია, უკვე ჩანთქმულია ზღვის მიერ. სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1974 და 1980 წლებში. ინფორმატორები:

გამახარია ტარასი (კანდიორი) ერმინეს ძე, 61 წლისა;

კვარაცხელია იროდი გულადის ძე, 64 წლისა;

ჯინჯოლია გვაჯა ქეზუს ძე, 64 წლისა;

ჯინჯოლია ჟორჟი (კუჭა) მიხეილის ძე, 60 წლისა.

დიხაზურგა – სოფელი, თემის ცენტრი გალის რ-ნში, ენგურერწყარის წყალგამყოფ დაბალ ზეგანზე. ზ.დ. 200 მ. გალიდან 15 კმ. დიხაზურგის თემში შედის სოფლები: ზენი, ოცარცე (ორივე ენგურის ნაპირას) და დიხაზურგა. ესაზღვრება აგრეთვე: საბერიო, ზ. ცხირი, ჭყონხუმლა, ჭუბურხინჯი, სათანჯოს მთა, გალის წყალსაცავი. მთა სათანჯოზე, რომელიც არის საზიარო დიხაზურგისა, ოცარცისა და ჭუბურხინჯისა, აღმართულია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – რიყის ქვით ნაგები ციხე და სათოფურეებიანი სამსართულიანი კოშკი XVII საუკუნისა. ხოლო დიხაზურგის სასაფლაოზე ნაპოვნი მხედრული წარწერა, სადაც დასახელებულია გრიგოლ გალატოზთუხუცესი, დათარიღებულია XI საუკუნით და, ამდენად, დას. საქართველოში დადასტურებული ერთ-ერთი უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლია. სოფ. დიხაზურგა 1886 წელს შედიოდა საბერიოს თემში. 1930 წლისათვის კი უკვე შექმნილი იყო დიხაზურგის სას. საბჭო, რომელშიც შედიოდა სოფლები: დიდწიფურა, დიხაზურგა, კუადლევარი, ოცარცე, ოცარცე-სამიქაო, ოხახუ, სატანჯიო. სახელწოდება მეგრულია: დიხა ნიშნავს თიხას, მიწას (შდრ. ქართ.: თიხა), ზურგა კი არის მეტაფორული გეოგრაფიული ტერმინი და ნიშნავს მცირე ბორცვს, ამაღლებულ ადგილს.

საერთოდ კი, დიხაზურგა, ისევე როგორც დიხაგუძ(უ)ბა, არქეოლოგიური ძეგლების ერთ-ერთი კატეგორიაა, გორა-ნამოსახლარია კოლხეთის დაბლობზე. ხალხური ეტიმოლოგია: 1. თურქებთან ომის დროს აქ ქართველებს ზურგი ჰქონიათ გამაგრებული. ამიტომ დარქმევია დიხაზურგა; 2. ას წელს მიღწეული მარტოხელა, დავრდომილი მოხუცი ხეს რგავდა. უთხრეს: რა გრჯის, ვის ურგავო. უპასუხა: დიხას ურგვ ("მიწას ვურგავ"). ამის მერე დაერქვა დიხაზურგა. ინფ.: "დიხაზურგა უწინ არ ერქვა სოფელს. იყო სამი დიდი უბანი – ოცარცე, რზენი და დიდწიფური. რზენისა და დიდი წიფურის ცენტრი იყო დიდი ჭყონი, რაც ამჟამად დიხაზურგის ცენტრშია. დიდი წიფურის პირველმოსახლე ყოფილა აზნაური ასლანგერ მარღანია. იგი ჩამოსულა ზუფუდან, კერძოდ, აფუცხვადან (ამჟამად გუდაუთის რაიონის სოფ. მუგუძირხვის უბანია), თან ჩამოუყვანია მეჯინჯიხატე, ფიოჩი (აზატი), გვარად გვაგვალია (აფუცხვაში ახლაც ცხოვრობენ გვარები: გოგულცი, ანუ გოგულია და მანი, ანუ მარღანია). აქ შემოღამებიათ, ნორჩი მუხისათვის ნაბადი გადაუფენიათ, მეორე ნაბადი ძირს დაუგიათ და დაწოლილან. რომ გათენებულა, ადგილი მოსწონებიათ და აქ დარჩენილან. ის ნორჩი მუხა, ამჟამად რომ დიხაზურგის ცენტრში ძველისძველი მუხა დგას, ისაა და ეწოდება დიდი ჭყონი. შემდეგ ჩამოსულან ლამანძია, ჩარგაზია, მიქია, ცანავა, კვირკველია, ჭელიძე... ჭელიძეთა წინაპარი დურგალი ყოფილა რაჭიდან, სოფ. ნამანევიდან, დურგლობდა და აქ დარჩენილა; ცანავების შორეული წინაპრები თამაკონიდან ჩამოსულან, კვირკველიებისა – ჩხოროწყუდან. 1991 წელს სოფ. დიხაზურგაში დამკვიდრებული იყო 17 გვარი. კომლთა რაოდენობით გამოირჩევიან: ზაქარაია – 36 კომლი, გვაგვალია – 14 კ., კვირკველია – 13 კ., კაჭარავა – 8 კ., ბერაია – 7 კ., ლამანძია – 7 კ. სოფლის მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმანტები:

გვაგვალია აპილო ისაკის ძე, 61 წლისა;
გვაგვალია ნესტორ დათას ძე, 80 წლისა;
გვაგვალია პატიკო ნესტორის ძე, 55 წლისა;
ზაქარაია არსენა ფუცორას ძე, 76 წლისა;
ზაქარაია დომენტი პატუხუს ძე, 80 წლისა;
ზაქარაია ჟორა სებუს ძე, 41 წლისა;
ზაქარაია ფარნა ნაუს ძე, 72 წლისა;
ზაქარაია შალვა ძეგვას ძე, 62 წლისა;
კაჭარავა შოთა გაძას ძე, 48 წლისა;

კვირკველია სერგო ნესტორის ძე, 38 წლისა;
კვირკველია ხარტონ ივანეს ძე, 63 წლისა;
მარღანია აკაკი ოთარის ძე, 62 წლისა;
ცანავა ტარიელ სანდროს ძე, 25 წლისა;
ცანავა სანდრო ზოსიმეს ძე, 73 წლისა;
ჭელიძე ნესტორ სარდიონის ძე, 71 წლისა.

ეწერი – სოფელი ნაბაკევის თემში (გალის რ.), ოგგრჯნელალსა და მარქვალიშგურს შუა. ზ. დ. 20 მ., გალიდან 23 კმ. ესაზღვრება: სიდა, ქვემო ბარღები, ოკვინორე (განახლების თემისა), ნაბაკევი. ადგ. ვარიანტი: ენწერი. უწინ ეწოდებოდა კუთხე ეწერი//კუნთხუ ენწერი. კოლხური სიტყვა ეწერი, რაც აღნიშნავს უნაყოფო (ზოგან ჭაობიან) ნიადაგს, იქცა სამეცნიერო ტერმინად (იხ. ეწერი ნიადაგი: ქსე, ტ. 4). ადგილის სახელები ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმატორთა სია იხ. ნაბაკევის თემის ინფორმატორთა საერთო სიაში.

ვეშკუდელი – სოფელი ოტობაიის თემში (გალის რ.), ენგურის მარჯ. ნაპირას. ზ. დ. 5 მ. გალიდან 35 კმ. ესაზღვრება: მ. ოტობაია, ქვიშონა, განარჯიის მუხური (ზუგდიდის რ.). მეგრულიდან ითარგმნება როგორც "ველის კუდი". ვე ერქვა ენგურის რკალში მოქცეულ ველს, სადაც ამჟამად მდინარის მთავარი დინებაა. კუდელი "კუდი" აღნიშნავს ადგილმდებარეობის დავიწროებულ ბოლოს, წვეტს. 1930 წელს ამ დასახლებულ პუნქტს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიკუთვნებული სოფლის სტატუსი. 1974 წელს ვეშკუდელში ცხოვრობდა 157 კომლი. აქაური ჰალვაშები აჭარიდან ყოფილან წარმოშობით, სოტკილავების წინაპარი გურიიდან გადმოხვეწილა თაგილონში და ანჩიბაიას "მინდობია". ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1974 წელს. ინფორმატორები:

ანჩაბაძე პილა ომარის ძე, 80 წლისა;
ანჩაბაძე ფუფა ბახვას ასული, 97 წლისა;
ანჩაბაძე შოთა ღუბურის ძე, 52 წლისა;
ბესელია ლავრენტი კონსტანტინეს ძე, 77 წლისა;
ჰალვაში თამშუქ ბოძოს ძე, 52 წლისა.

ზარწუფა – სოფელი ოტობაიის თემში (გალის რ.), ენგურის მარჯ. მხარეს, ოტობაია–ჭუბურხინჯის საავტომობილო გზაზე. ზ. დ. 5 მ. გალიდან 30 კმ. ესაზღვრება: რამი, პ. ოტობაია, ოკვინორე... 1930 წელს ზარწუფას ოფიციალურად ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიკუთვნებული სოფლის სტატუსი. სამურზაყანოელთა მეტყველებაში ზარწუფა აღნიშნავს ერთგვარ ხეს, რომელიც ისხამს წვრილ

წითელ ნაყოფს. ეს უნდა იყოს ძახველი. 1974 წელს სოფელში ცხოვრობდნენ: თაკალანძეები – 18 კომლი, ფაცურიები – 17 კ., მესხიები – 16 კ., კვიტიები 13 კ., ხუფენიები – 11 კ., შენგელიები – 9 კ., აგრეთვე: სახეიშვილები, ქირთბაიები, ანჩაბაძეები, ფარულუები, კვინჩიები და სხვ. თაკალანძეები გურიიდან ყოფილან და იქ აგზავნიდნენ ხურდა ფულს "ჯინჯიხატის" მოსალოცად. ქირთბაიების წინაპარი ორი ძმა კი ჩამოსულა ლიხნიდან. მათ აქირთავასაგან მიუღიათ სამოსახლოები თაგილონსა და ზარწუფაში. სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1974 წელს. ინფორმატორები:

თაკალანძე აკაკი ციხოს ძე, 69 წლისა;

თაკალანძე ბოკო ტაგუს ძე, 75 წლისა;

კვიტია აკაკი პავლეს ძე, 64 წლისა;

ქირთბაია დომე ჯაგას ძე, 64 წლისა;

ქირთბაია იპოლიტე ვლადიმერის ძე, 70 წლისა.

ზემო ბარღები – სოფელი, ზემო ბარღების თემის ცენტრი (გალის რ.). მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, ასლანგერიშ წყურგილის (ქირის მარჯ. შენაკადი) ნაპირებზე. თემში შედის სოფლები: ზემო ბარღები, საშამუგიო, საბუთბაიო. ზ. დ. 20 მ. გალიდან 12 კმ. სოფელს ესაზღვრება: საბჭოთა ჩაი, სიდა, ნაბაკევი (ჭითა ფონთან), ქვემო ბარღები, საშამუგიო. ადგ. ვარიანტები: ზემო ბარღეფი, ჟინბარღეფი. უწინ ერქვა ეწერ-ბარღები. ამჟამად შედგება ორი ნაწილისაგან: ეწერბარღეფი და თუდოლენბარღეფი. ხალხური ეტიმოლოგია სახელწოდებას აკავშირებს გამოთქმასთან: ბარგი ღაფეს "ბარგი შეღებეს" (ვითომ ჩოხას ღებავდნენ).

ბარღები, როგორც ჩანს, უწინ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას ეწოდებოდა ქირის ზემო წელზე. 1886 წელს სამურზაყანოს საპოლიციო უბნის ბარღების თემში შედიოდა სოფლები: ბარღები (ცენტრი 297 კომლით), მაბირი (10 კომლით), სიდა 100 (კომლით), ხიტუშ მუხური (84 კომლით). საქართველოს სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის (ტფილისი, 1930 წ.) მიხედვით, გალის მაზრაში შედის: ზედა ბარღების სას. საბჭო (სოფლები: ზედა ბარღები, პირველი ხიტუშ მუხური), სიდა-ნაბაკევის სას. საბჭო (ერთადერთი სოფლით: სიდა-ნაბაკევი), ქვედა ბარღების სას. საბჭო (ქვედა ბარღები, ბოყვათი-ფიცარღალი, მეორე ხიტუშ მუხური). ბარღები, როგორც დასახლებული პუნქტი, აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან რუკებზე Barghebi ფორმით მდ. ერისწყლის მარც. მხარეს. ეს სოფელი დატანილია

თბილისში 1842 წელს გამოცემულ "კავკასიის მხარის დასავლეთი ნაწილის რუკაზეც". ბარღებში ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია მირცხულავა, რომლის ძირძველი სამკვიდროა ნოღა (მარტვილის რ.). მათი ერთი ნაწილი მორცხულავად იწერება. სოფლის მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმატორები:

მესხია სებრიონ ჯაგუს ძე, 63 წლისა;

მირცხულავა ილარიონ ქოჩოს ძე, 61 წლისა;

მირცხულავა ილიკო მახას ძე, 62 წლისა;

მირცხულავა სოგრატ ქოჩოს ძე, 72 წლისა;

შონია უშანგი ვახტას ძე, 74 წლისა.

ზემო გალი – სოფელი პირველი გალის თემში (გალის რ.), მდ. ნიშონის მარჯ. ნაპირას (შდრ. ქსე: "მდ. ერისწყლის მარჯვ. მხარეს"). ზ.დ. 100 მ., გალიდან 8 კმ. ესაზღვრება: საბულისკერიო, სამელაიო, კოხორა, სამქვარი. ზემო გალი, როგორც სოფელი, 1930 წელსაც შედიოდა პირველი გალის სას. საბჭოში (126 კომლით, 594 სულით). სოფლის მაცხოვრებელთაგან როსტობაიების წინაპრები ჩამოსულან ბზიფიდან, ხოლო ჯეჯეიების წინაპარები ყოფილან საჯაიები ფოცხოდან. ადგილთა სახელები ჩაწერილია 1973 და 1986 წლებში. ინფორმატორები:

ეზუგბაია ავალიონ პავლეს ძე, 43 წლისა;

მიქაია ჯაკუ ისმედის ძე, 58 წლისა;

როსტობაია სტეფა ბაჯგვალას ძე, 77 წლისა;

ქეცბაია აკაკი ნაუს ძე, 73 წლისა;

ქეცბაია ევგენ ძაკას ძე, 63 წლისა;

ქეცბაია ერასტი ნაუს ძე, 83 წლისა;

ქეცბაია მოსე კიჭის ძე, 74 წლისა;

შამათავა დამიანე (კიკი) სანდროს ძე, 37 წლისა;

შამათავა იასონ კოკოს ძე, 66 წლისა;

ჯეჯეია არხიპო გადის ძე, 64 წლისა.

ზემო ღუმურიში – სოფელი, ღუმურიშის თემის ცენტრი (გალის რ.) მდებარეობს სამურზაყანოს მთის ძირას, ოქუმწყარის მარც. მხარეს. ზ. დ. 240 მ. გალიდან 10 კმ. ესაზღვრება: რეჩხი, ქვემო ღუმურიში, ფართოღალი. 1886 წლის კომლობრივი აღწერის მასალებში სოფელი ღუმურიში არ გვხვდება. მაგრამ 1930 წელს გალის მაზრაში უკვე არის ღუმურიშის სას. საბჭო 250 კომლითა და სოფლებით: ფართოღალი, ღუმურიში, ხარვა (უნდა იყოს: ჰარუა). ღუმურიში სვანური სუბსტრატია: ღუმირ სვანურად ნიშნავს ნაძვს,

–იში ზანურ-სვანური სუფიქსია, რომელიც ფონეტიკურადაც და დანიშნულებითაც შეესატყვისება ქართულის –ის ნათეს. ბრუნვის ნიშანს. მას ქართულშივე აქვს შეძენილი სიტყვაწარმოებითი ფუნქცია (შდრ.: შინდისი, ცხემლისი...). სვანები რომ თავდაპირველად კოლხეთის დაბლობზეც ცხოვრობდნენ, ისტორიოგრაფიაში ცნობილი ფაქტია. ზემო ღუმურიშში ცხოვრობენ ბეჭვაიები, ზუხბაიები, კაკუბავები, ნანავები, ქვაჩახიები... ზუხბაიები ირწმუნებიან: "ჩერქეზები ვართ, საჩერქეზოდან. ჯინჯიხატი "შაგნოხა" ყარაჩში გვაქვს. ღალიძგასა და ენგურს შუა ქვეყანა დაცარიელებული ყოფილა, აქა-იქ თუ ესახლა ვინმე. რეჩხი, ღუმურიში და ჩხორთოლი მურზაყან შარაშიას ემხვარისათვის უჩუქებია. ამ ემხვარს დედა ჩერქეზი ჰყოლია, წასულა და ჩამოუყვანია დედის ძმისშვილები ქკნთზი და ლაწკსი. ღუმურიშელი ზუხბაიები მათი შთამომავლები ვართ. ჩვენზე უწინ აქ ახლომახლო მხოლოდ ქვაჩახია და მელიავა სახლებულან". ღუმურიშში მცხოვრები კაკუბავები კი, მათივე განმარტებით, სათურქოდან გამოქცეული სამი ძმის – მეგრელების – შთამომავლები ყოფილან. სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1975 და 1986 წლებში. ინფორმატორები:

ბეჭვაია გენადი ძიკის ძე, 23 წლისა;
ბეჭვაია ძიკი სტეფანეს ძე, 59 წლისა;
ზუხბაია ბასა ჩაჩის ძე, 91 წლისა;
ზუხბაია ეთმე ვასილის ძე, 75 წლისა;
ზუხბაია ვენორი ვლადიმერის ძე, 38 წლისა;
ზუხბაია იასონ ნოჩოს ძე, 69 წლისა;
ზუხბაია ჯოხი ხიდოს ძე, 67 წლისა;
კაკუბავა რუსიკო კოლიას ასული, 42 წლისა;
კაკუბავა შირა ბეხუს ძე, 70 წლისა;
კაკუბავა ძუკუ ქვაბლუხუს ძე, 96 წლისა;
ნანავა ნიკოლოზ ქუთუს ძე, 59 წლისა;
ნანავა ქეზუმბეი იონას ძე, 45 წლისა;
ქვაჩახია მაჟარა მელიტონის ძე, 35 წლისა;
ხუფენია ლავრენტი კუზას ძე, 65 წლისა.

ზემო ცხირი – სოფელი მზიურის თემში (გალის რ.), მდ. ერისწყლის მარც. მხარეს, გალიდან 7 კმ-ზე. ამჟამად ეკვრის გალის წყალსაცავს. ესაზღვრება: მახუნჯია, დიხაზურგა, სამქვარი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით, გალის წყალსაცავის მიერ სოფელ ცხირის ორ

ნაწილად გაყოფასთან დაკავშირებით რეჩხი-ცხირის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ზემო ცხირი და მიეკუთვნა იგი მზიურის სასოფლო საბჭოს. უფრო ადრე კი ზემო ცხირსა და ქვემო ცხირს ყოფდა გალი-ზუგდიდის საავტომობილო გზა. ცხირი კოლხური სიტყვაა. ნიშნავს: 1. ძუის მახე; 2. წნელის შორი-შორს მოდებით გამართული თხელი ღობე. ასეთ ღობეებს ხშირად აკეთებდნენ კუთვნილი ტყის შემოსასაზღვრავად. სახელწოდების ადგ. ვარიანტია ჟინცხირი. სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1974 და 1986 წლებში. ინფორმანტები:

ცატავა ბოჭო მაცის ძე, 109 წლისა;

ცატავა ბაგრატ ბოჭოს ძე, 64 წლისა;

ცატავა მიტრო ჩონჩორის ძე, 72 წლისა.

ზენი – სოფელი დიხაზურგის თემში (გალის რ.), ენგურის მარჯ. მხარეს. ზ. დ. 120 მ. გალიდან 15 კმ. ესაზღვრება: სამარქვალო, დიხაზურგა, ოცარცე. "ზენი" კოლხური სიტყვაა და ნიშნავს ვაკეს, სწორ ადგილს. ენგურის მარჯ. ნაპირის ვაკეს მთლიანად ეწოდება (რ)ზენი. როგორც გეოგრაფიულ ტერმინს, მას უპირისპირდება გა "დაბალი ვაკე-სერი" და სუკი "სერი, გორა". 1886 წელს სოფელი ზენი, ისევე როგორც დიხაზურგა, შედიოდა საბერიოს თემში. ამჟამად ენგურისპირა ვაკეში ორ სხვა სოფელსაც ეწოდება ზენი (ნაბაკევისა და ჭუბურხინჯის თემებში). 1992 წელს დიხაზურგის ზენში (ასეც აღნიშნავენ მეტყველების პროცესში) ცხოვრობდა 29 გვარი. მათგან: ეთერია – 16 კომლი, გვაგვალია – 14 კ., ძიგუა – 14 კ., ცანავა – 12 კ., ქვანია – 9 კ., ზარქუა – 7 კ., ბერაია – 6 კ., კეკუა – 6 კ. და სხვ. გადმოცემა სოფელში მცხოვრებ რამდენიმე გვარზე: ძიგუების წინაპარი სამი ძმა (ბოშილია, სიცილია და სახარია) მოსულა საჩიჩუოდან და მინდობიან მარღანიებს; ქვანიების წინაპარი სამი ძმა გამოქცეულა დოშაყედან (მარტვილის რ.): ერთი ხაბუმეში დარჩენილა, მეორე აქ დამკვიდრებულა, ხოლო მესამე სოხუმში წასულა; ცანავების პაპის პაპა ჯოლორია ხონიდან ყოფილა. იქ ბატონი მოუკლავს (რომელსაც მის საცოლესთან სამი ღამის გატარების უფლება მოუთხოვია), აქ მარღანიას მინდობია და საცხოვრებლად მიუღია ის ადგილები, სადაც ახლა საცანოს უბანია. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმანტები:

გამსახურდია ლადი ჯაგას ძე, 50 წლის;

გვაგვალია ონისიმე სეიდუყის ძე, 73 წლის;

ქვანია გრიშა პეტრეს ძე, 65 წლის;

ჟვანია მიხეილ ბახვალას ძე, 73 წლის;
ფიფია გრიშა ბაგრატის ძე, 54 წლის;
ცანავა ვიოლა ალექსის ასული, 55 წლის;
ცანავა სეველი სტეფანეს ძე, 70 წლის;
ძიგუა ილარიონ კალისტრატეს ძე, 73 წლის;
ძიგუა ლავრენტი ერასტოს ძე, 53 წლის;
ძიგუა რეზო (გული) კაბეს ძე, 51 წლის.

ზენი – სოფელი ილორის თემში (ოჩამჩირის რ.), ღალიძგის მარც. ნაპირას. ზ. დ. 15 მ. ოჩამჩირიდან 2 კმ. ესაზღვრება: ილორი, სუკი. "საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის" 1930 წლის გამოცემაში სოფელი ზენი ილორის ან რომელიმე მეზობელი სას. საბჭოს შემადგენლობაში არ ჩანს. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1982 წელს. ინფორმატორები:

ძალამიძე ნიკოლოზ ანდრიას ძე, 82 წლისა;
ჯიტავა მიშა ლუკას ძე, 76 წლისა.

ზენი – სოფელი ნაბაკევის თემში (გალის რ.), ენგურის მარჯ. ნაპირას. ზ. დ. 25 მ. გალიდან 26 კმ. ესაზღვრება: ნაბაკევი, თაგილონი, ეწერი (ნაბაკევის თემისა). 1930 წელს ამ დასახლებულ პუნქტს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სოფლის სტატუსი. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1980 წელს. იხ. ინფორმატორთა სია ნაბაკევის თემის ინფორმანტთა საერთო სიაში.

ზენი – სოფელი ჭუბურხინჯის თემში (გალის რ.), ენგურის მარჯ. ნაპირას. ზ. დ. 100 მ. გალიდან 10 კმ. ესაზღვრება: ოცარცე, ჭუბურხინჯი... 1930 წელს ზენი ჭუბურხინჯის ერთ-ერთი უბანი იყო და სოფლის სტატუსი შემდგომ მიიღო. გადმოცემა სოფელში მცხოვრებ ძანძავებზე: სამი ძმა ძანძავა გამოქცეულა "საქორთოდან": ერთი მინდობია ჩხოლარიას, მეორე – ჩხოტუას, მესამე – ანჩიბაიას და ასე დამკვიდრებულან სამურზაყანოში. სოფლის მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1973 წელს. ინფორმანტები:

აქირთავა ვარლამ ბახვას ძე, 72 წლისა;
აქუბარდია სევერ ბეჩუს ძე, 62 წლისა;
აქუბარდია შალვა ბეჩუს ძე, 73 წლისა;
კაკაბაძე სამი ძაყვას ძე, 73 წლისა;
ქირია აქსენტი თედოს ძე (რზენული აქსენტი), 75 წლისა;
ქირია აქსენტი მუსას ძე (ენწერული აქსენტი), 87 წლისა;
ძანძავა ჯოგო ნოჩოს ძე, 87 წლისა;
ჭედია ტარასი კოსტას ძე, 78 წლისა.

თაგილონი – სოფელი, თემის ცენტრი გალის რ-ნში, ენგურის მარჯ. ნაპირას, ოტობაია-ჭუბურხინჯის ცენტრალურ გზაზე. ზ. დ. 60 მ. გალიდან 16 კმ. თემში შედის სოფლები: თაგილონი, სალხინო. ესაზღვრება სიდა, სალხინო... 1886 წელს შედიოდა ნაბაკევის თემში თაგელონის სახელით. 1930 წელს უკვე ცალკე იყო გამოყოფილი თაგელონის სასოფლო საბჭო და მასში შედიოდა ორი სოფელი: თაგელონი, ზედა თაგელონი. ტრადიციულად თაგილონი იყოფოდა სამ კუთხედ: 1. პირველი თაგილონი//ზედა თაგილონი//ქინთაგილონი (ამჟამად სოფელი სალხინო); 2. მეორე თაგილონი//შუა თაგილონი//დიდთაგილონი//მაჟია თაგილონ (საბჭოთა პერიოდში ჟდანოვსაც უწოდებდნენ); 3. მესამე თაგილონი//ქვემო თაგილონი//ქვემო უბანი (საბჭოთა პერიოდში კალინინადაც მოიხსენიებდნენ აქ არსებული მისი სახელობის კოლმეურნეობის მიხედვით). ხალხური ეტიმოლოგია: აქ ერთგან კაცი გადავარდნილა. მის თანამგზავრს უთქვამს: თაქი გინოლ – „აქ გადავარდა“. თაგილონის ტერიტორიაზე ნაპოვნი არქეოლოგიური მასალა ცნობილია როგორც „თაგილონის განძი“. ესაა ძველი წელთაღრიცხვის XI–X სს. ბრინჯაოს ქვაბი ვერცხლისა და სპილენძის ნაკეთობებით და I–II სს. მდიდრული სამარხის ინვენტარის ნაწილი. ზოგი მათგანი სარმატული წარმოშობისა აღმოჩნდა, რაც ჩრდ. კავკასიასთან და ყუბანისპირეთთან კოლხთა კონტაქტების მაჩვენებელია. განძი დაცულია ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

გადმოცემები თაგილონში მცხოვრებთა გვარებზე: ბენდელავები ყოფილან ბენდელიანები თამაკონიდან, ხოლო კვიტიები – კვირტიები კირცხიდან, ხუბულავების წინაპრები ჩამოსულან ჭაქვინჯიდან, აკობიებისა – ჯვარიდან, ჯოლოგუებისა – მოხაშიდან; კილასონიას წინაპარი ყოფილა ლეჩხუმელი ხურო, რომელიც აქ ჩასიძებულა; შარიების წინაპარი, სახელად მირდია, ჩამოსულა ლიხნიდან, სადაც არის მათი ჯინჯიხატი „ჯვარი პატიოსანი ლიხნური“; ქილორავების წინაპარი ყოფილა მილორავა „ენგურს გაღმიდან“. იქიდან გამოქცეული სამი წელი ტყეში იმალებოდა, შემდეგ გამოსცხადებია ანჩაბაძეს. მას უთქვამს: რადგან ტყეში ყოფილხარ დამალული ქილორთან ერთად (ქილორი ხოხობია), გვარად ქილორავა იყავიო. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმატორები:

აბლოთია ტარასი ყაიას ძე, 70 წლისა;

აკობია მუხრან ნესტორის ძე, 79 წლისა;

აკობია სერგო პახვალას ძე, 85 წლისა;

არდაშელია აკაკი ტარასის ძე, 81 წლისა;
ბენდელავა იონა მარკოზის ძე, 88 წლისა;
ბენდელავა კიბლა (კირილე) ქვაჩალას ძე;
ბერაია სონჩქა კიმოთეს ასული, 75 წლისა;
ბერაია ხარიტონ იოსების ძე, 51 წლისა,
გვარამია კირილე ნიკოს ძე, 68 წლისა;
გვარამია ჰიჰიკო იბლოს ძე, 50 წლისა;
თორია ვალერი ფილიპეს ძე, 28 წლისა;
კვიტაია ალე(ქსანდრე) ივანეს ძე, 71 წლისა;
კილასონია გეჯე იაკობის ძე, 78 წლისა;
ლუკავა დაფინო ისლამის ასული, 80 წლისა;
მარშავა პართე ეგის ძე, 81 წლისა;
შაგიძე ანტო გერასიმეს ძე, 74 წლისა;
შარია დამიანე ყუბაცის ძე, 74 წლისა;
შარია კაჯა ივაკას ძე, 70 წლისა;
შარია მოსე ბათცრის ძე, 88 წლისა;
ძაძუა ეკატერინე შამილის ასული, 60 წლისა;
ხუბულავა ვანია (ივანე) ფილუს ძე, 59 წლისა;
ხუბულავა ილია უშანგის ძე, 57 წლისა;
ჯოლოგუა შალვა სტეფანეს ძე, 61 წლისა;
ჯღარკავა ბუჯგა ოთარის ძე, 73 წლისა.

თხინაშკარი – სოფელი რეფი-შეშელეთის თემში (გალის რ.), ხუმუშქურის მარჯ. ნაპირას. ზ. დ. 15 მ. გალიდან 8 კმ. ესაზღვრება: ხუმუშქური, ზ. ბარღები, გინძე ეწერი, ხუმენი-ნათოფური... თხინაშკარი კოლხური ტოპონიმია: თხინა (← თხილნარი) ადგილის სახელი უნდა ყოფილიყო. რთულფუძიან მეგრულ ტოპონიმებში ხშირია როგორც კარი, ისე კარე კომპონენტები. გადმოცემით, აქ, თხილნარში, მწყემსს ჰქონია გამართული საზამთრო კარე (მწყემსის ბინა, სადგომი) და სახეწოდებაც აქედანე მომდინარეობს. ადგ. ვარიანტი: თხინაშკარე. "საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის" 1930 წლის გამოცემაში სოფ. თხინაშკარი არაა შეტანილი, მაგრამ სოფ. "ხუმუშკურს" ფრჩხილებში მიწერილი აქვს "თხინკარი". ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წელს. ინფორმატორები:
დგებია ალექსანდრე (ლაიშა) ჯოგოს ძე, 63 წლისა;
სოსელია რეზო ტერენტის ძე, 34 წლისა;
შენგელია ინდიკო ლუკას ძე, 71 წლისა;

შენგელია შალვა კალისტრატეს ძე, 59 წლისა;
შონია კოტე სევერიანეს ძე, 46 წლისა.

ილორგანი – სოფელი ილორის თემში (ოჩამჩირის რ.), ილორგანის ნაპირებზე (შდრ. ქსე: "... მდ. ღალიძგის ნაპირებზე". ღალიძგასა და სოფ. ილორგანს შუა სხვა სოფლებია). ზ. დ. 20 მ. ოჩამჩირიდან 6 კმ. ესაზღვრება: ილორი, სუკი, მეორე ოხურეი, კაციჰაბლა. "განი" მეგრულში აღნიშნავს კუთხეს, მხარეს. მაშასადამე, ილორგანი ნიშნავს ილორის მხარეს, ილორისკენ მდებარე ტერიტორიას. ილორი მომიჯნავე სოფელია. ამგვარ სახელს დაარქმევდნენ მხოლოდ არაილორელები, კერძოდ, ოხურეის მცხოვრებნი. 1930 წელს გამოცემულ "საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის" ცნობარში კოდორის მაზრის ოხურეის სას. საბჭოში შედის სოფ. ოხურეი, რომელსაც ფრჩხილებში მიწერილი აქვს "ილორგანი". 1982 წელს ილორგანში ცხოვრობდა 71 კომლი (გვარები: საჯაია, ბართია, შამუგია, ჯიქია, გოგოხია, ყუფუნია, ღურწკაია და სხვ.). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1982 წელს. ინფორმატორები:

ანჩაბაძე მურთაზ ხუტას ძე, 26 წლისა;
ანჩაბაძე ხუტა თამშუქის ძე, 54 წლისა;
გერგედავა ძიკი კვიკვის ძე, 90 წლისა;
გოგია ამირან ლევას ძე, 50 წლისა;
ზაქარაია მუშნი ნარიქის ძე, 50 წლისა;
მალანია გუჯა ვასილის ძე, 67 წლისა;
მალანია ვალოდია ვასილის ძე, 69 წლისა;
საჯაია შალიკო ელიზბარის ძე, 59 წლისა;
შაკაია გრიშა ივანეს ძე, 65 წლისა;
შამუგია იონა ფარნას ძე, 68 წლისა;
ხელაია ძიკა ივანეს ძე, 55 წლისა;
ჯიქია პროფი სოლომონის ძე, 69 წლისა.

ილორი – სოფელი, თემის ცენტრი ოჩამჩირის რაიონში, ზღვის პირას, ღალიძგის მარც. მხარეს. ზ. დონიდან 10 მ. ოჩამჩირიდან 3 კმ. ილორის თემის სოფლებია: სუკი, ზენი, ილორგანი, ნაგვალოუ. ესაზღვრება იგივე სოფლები. ილორი კოლხური სახელწოდება ჩანს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სეხნია ტოპონიმი (ყოფილი ოიკონიმი) გვხვდება სამტრედიის რაიონშიც. აფხაზური ვარიანტია ელჩრ (აფხაზურს არ მოეპოვება ი და ო ბგერები).

ილორი შუა საუკუნეებში ოდიშის ერთ-ერთი ცნობილი სოფელი იყო. ისტორიულ წყაროებში პირველად მოიხსენიება XI ს-ში. არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან "სამეგრელოს რუკაზე" (ორივე 1654 წ.) წარწერა *Ilori* ილორი დატანილია დღევანდელი ოჩამჩირის ადგილას, ე.ი. ღალიძგის მარჯ. მხარეს. ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ ზღვისპირას "არს ილორს ეკლესია წმიდის გიორგისა". ამათზე ადრე ილორი დამოწმებულია მალაქია კათალიკოსის მიერ 1616-1639 წლებში დაწერილ ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში (იხ. ქსძ, III, გვ. 501). ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სალოცავია დას. საქართველოში. აგებულია იგი XI ს. პირველ მეოთხედში. მის აღმ. ფასადზე შემონახულია ამავე პერიოდის ძველი ქართული წარწერებიანი (როგორც ნუსხური, ისე ასომთავრული და მხედრული) ხუთი ქვა. ერთ-ერთ ლაპიდარულ წარწერაში იკითხება "ქოჩოლავა", რაც კოლხური გვარის პირველი ეპიგრაფიკული დაფიქსირებაა (თ. გვანცელაძე). უფრო გვიანდელ, კერძოდ, XIV ს. დამდეგის წარწერაში დასახელებულია "მეფეთა მეფე კონსტატინე, ძე დავითისი", რომელსაც აიგივებენ დავით ნარინის ძესთან. ილორის ეკლესია XVII ს-ში შეაკეთა ლევან II დადიანმა. 1736 წელს დაწვეს თურქებმა. აღადგინეს ოდიშის მთავრებმა, ხოლო საფუძვლიანად შეკეთდა XIX ს. 40-იან წლებში. ეკლესიის აღდგენასთან დაკავშირებით შემონახულია ასეთი გადმოცემა: "ილორის სალოცავი ბედიისაზე უფრო. ძლიერია. იგი ტყეში ყოფილა ჩაკარგული. ერთ მონადირეს, გვარად მოროხიას, გარეული ტახი დაუჭრია, გაჰკიდებია. და თოვლზე სისხლის ნაკვალევს მიუყვანია მონასტრამდე. იგი ტყე-ბარდითა და სუროთი ყოფილა დაფარული და გარეული ღორების სადგომად გადაქცეული. მერე გაუკაფავთ და გაუწმენდიათ". ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში 20 ნოემბერს იმართებოდა ილორობა. ამ დღესასწაულის დაწვრილებით აღწერას არქანჯელო ლამბერტი ასე იწყებს: "ამ ეკლესიას დიდ პატივსა სცემენ არამც თუ მეგრელნი, არამედ მახლობელი ხალხებიც". ფრანგი კონსული და მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბაც, რომელმაც 1820-1824 წლებში მოიარა კავკასიის შავიზღვისპირეთი, წერს: "აფხაზეთისა და სამეგრელოს საზღვარზე, ილორში, არის კიდევ ერთი უძველესი ეკლესია... ამ ეკლესიას ეთაყვანებიან მეგრელები და აფხაზები... უნდა დავძინო, რომ ბევრმა აფხაზურმა ოჯახმა შემოინახა ქრისტიანობა. მათ წინაპ-

რებად მეგრელები ითვლებიან“. სოფელი და თემი ილორი 1886 წელს შედიოდა კოდორის უბანში (238 კომლი, 1126 სული. მათი 98,5 % რუს მოხელეებს აღნუსხულნი ჰყავთ როგორც სამურზაყანოელნი), ხოლო 1930 წელს კოდორის მაზრის ილორის სას. საბჭოში შედიოდა სოფლები: დოდლანი (ნაუდლენი), ეწერი (ახუადაგდარა), ილორი, ოხურეი, ნაგვალოო. გადმოცემა ერთ გვარზე: ღებრანძეები სინამდვილეში არიან ღიბრაძეები ჩოხატაურის რ-ნის სოფ. ფარცხმიდან: იქიდან გამოქცეულა ორი ძმა. ერთი აქ დარჩენილა, მეორე კვიტოულში დამკვიდრებულა, მაგრამ მისი შთამომავლები გააფხაზებულან და მიუღიათ გვარი აბრანძია. ამ ორ გვარს შენარჩუნებული აქვს ნათესაობა და მიმოსვლა ჭირსა თუ ლხინში. ეს გადმოცემა და სოფლის მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1982 წელს. ინფორმატორები:

თოდუა ვალოდია ნესტორის ძე, 73 წლისა;

ტუჯბა გივი ანდრიას ძე, 32 წლისა;

ღებრანძე ზინობი ხაბუგუს ძე, 74 წლისა;

ხოჭავა ალექსანდრე ვლადიმერის ძე, 75 წლისა.

კაციჰაბლა – სოფელი ფოქვეშის თემში (ოჩამჩირის რ.), ღალიძგის მარც. მხარეს, აწვიშკვარის ნაპირებზე. ზ. დ. 90 მ. ოჩამჩირიდან 18 კმ. ესაზღვრება: ილორგანი, ფოქვეში, პირველი ოხურეი... სახელწოდება აფხაზურია და ნიშნავს კაცის სოფელს. გადმოცემით, მთელი ეს ტერიტორია ეკუთვნოდა კაც აჩბას და ამიტომაც ატარებს მის სახელს. 1930 წელს კაციჰაბლა შედიოდა კოდორის მაზრის ოხურეის სას. საბჭოში 18 კომლით (78 სული). 1982 წელს კაციჰაბლაში ცხოვრობდა 100 კომლი. ძირითადი გვარებია: ბუთბა, გინდია, კვეკვესკირი, კაცბა, ნაჭყებია, ფაჩულია, ჩაჩხალია. გადმოცემა სოფლის წარსულზე: “უწინ აქ ყოფილა მხოლოდ უღრანი ტყე, სადაც ჯათი ნაჭყებია დაბინავებულა თავისი საქონლით. ცოტა მოგვიანებით აფსხუდან ჩამოსულა თავისი ჯოგით ფათი ფაჩულია და ჩამოუყვანია ვაჟიშვილები – გვაჯალა და იოსები. მათ ურთიდან მოგვარენი შემოჰმატებია. შემდეგ ჩამოსულან კოზმავები. გამრავლებულან და ასე გაჩენილა სოფელი ასი წლის წინათ სამი მთავარი უბნით: ფაჩულია რჰაბლა//საფაჩულიო, ნაჭყებია რჰაბლა//სანაჭყებიო და საკოზმა. ჩაჩხალიების წინაპრები – სამი ძმა – ჩამოსულან ხაბუმედან: ერთი მათგანი გალში დამკვიდრებულა, მეორეს აქ ამოურჩევია სამოსახლო, ხოლო მესამეს – ტამიშში. აქვთ ერთმანეთთან მიმოსვლა და ნათესაობა. ჩაჩხალიებსა და

გინდიებს ერთმანეთისთვის ძმობა აქვთ შეფიცული, რაც ამ ორი გვარის წარმომადგენლებს შორის ქორწინებას კრძალავს. ვინც ეს აკრძალვა დაარღვია, ყველა მოკვდა". სოფლის მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1982 წელს. ინფორმატორები:

ბუთბა ბაქა ნარიქის ძე, 80 წლისა;

ფაჩულია ბაგრატ იოსების ძე, 80 წლისა;

ფაჩულია ომეხი ჯვებეს ძე, 58 წლისა;

ჩაჩხალია მაქსიმე ძირგუს ძე, 82 წლისა;

ჯინჯია ზაურ მახაზის ძე, 38 წლისა.

კოხორა – სოფელი პირველი გალის თემში (გალის რ.), ერის-წყალ-ოქუმწყარის გამყოფი ვაკე-მაღლობის დასაწყისში, ქორო-მონის ორსავე მხარეს. ზ. დ. 170 მ. გალიდან 4 კმ. ესაზღვრება: პ. შეშელეთი, საბულისკერიო, სამელაიო, ზემო გალი, ლეკუმხარა. ხალხური ეტიმ.: "კოჩიშ ოხორალი (ე.ი. კაცის სამოსახლო) კარგი ადგილი ყოფილა და ამიტომ დაურქმევიათ კოხორა". გადმოცემით, კოხორა თავდაპირველად ერქვა ტყეს, რომელიც სოფ. ლეკუმ-ხარაში შედიოდა. ყოველ შემთხვევაში, 1930 წელს იგი ჯერ კიდევ არ იყო სოფელი. ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია ეზუგბაია. მათი წინაპარი ბზიფიდან ჩამოსულა. ტოპონიმური მასალა ჩა-წერილია 1973 და 1986 წლებში. ინფორმატორები:

გოგოხია არსენა ჩანთას ძე, 65 წლისა;

ეზუგბაია ალექსანდრე თენგიზის ძე, 78 წლისა;

ეზუგბაია გრამტო თენგიზის ძე, 75 წლისა;

ეზუგბაია ვალოდია კონსტანტინეს ძე, 62 წლისა;

ეზუგბაია იასონ მურათის ძე, 63 წლისა;

ქვანია არტემ ძირგოს ძე, 76 წლისა.

ლეკუმხარა – სოფელი პირველი გალის თემში (გალის რ.), ნი-შონის ნაპირებზე. ზ. დ. 160 მ. გალიდან 3 კმ. ესაზღვრება: კოხორა, ზ. გალი, სამქვარი, პ. შეშელეთი. ადგ. ვარიანტია ლეკუმჰარა, რაც, გადმოცემით, ერქვა ტყესა და უბანს ნიშონის მარც. მხარეს, დღევა-ნდელი სოფ. კოხორის ტერიტორიაზე. ტოპონიმი აფხაზურია, თუმცა ფუძე ლეკუმხა "ხეჭრელი" შესულია მეგრულიდან. ლუკუ-ფხა, ანუ ხეჭრელა, დადასტურებულია სულხან-საბას, ნ. ჩუბინა-შვილისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. ჰანურში გვხვდება ვარიანტი ლუკუმხა, გურულში – ლუკუმხა და ლუკუხო, მეგრულში კი – ლეკუხა და ლეკუმხა. ეს უკანასკნელი შესულია აფხაზურში ა-ლაკუმჰა ფორმით (იხ.: ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი,

თბ., 1954), მაგრამ სამურზაყანოში მოგვიანებით დამკვიდრებულ აფხაზთა მეტყველებაში, როგორც ჩანს, ლეკუმხა ფორმაც იყო გავრცელებული. მას დართვია აფხაზურ ენაში მცენარეთა მრავლობითობისა და კრებითობის მაჩვენებელი სუფიქსი –რა. მაშასადამე, ლეკუმჰარა, ლეკუმხარა არის სუპერსტრატი – მოსული ხალხის დანატოვარი აბორიგენთა მეტყველებაში. გალის რაიონშივე გვაქვს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შექმნილი ოიკონიმი ლეკუხონა (იხ.). სოფელში მრავალრიცხოვანი გვარებია: სარუა, ჯეჯეია, კაკავა, მალაზონია... ჯეჯეიების წინაპრები ყოფილან ჯეჯელავები ახუთიდან, სარუებისა კი – სარიები წალენჯიხიდან. მალაზონიები გადმოსულან საჩინოდან (წალენჯიხის რ.), ხოლო ჭანტურიები – ჯვარიდან (წალენჯიხის რ.). სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1973 და 1986 წლებში. ინფორმატორები:

აბაშია ბუცა კვატაბის ძე, 98 წლისა;
გეთია ტრიფონ (ჯირგა) შილას ძე, 63 წლისა;
კაკავა ბაჯა (სევერ) ნიკოლოზის ძე;
კაკავა მიხეილ დავითის ძე, 57 წლისა;
მალაზონია ვლადიმერ მაცის ძე, 94 წლისა;
მალაზონია სევერ ვლადიმერის ძე, 52 წლისა;
მიქაია ერმანე გუდუას ძე, 84 წლისა;
სარუა გივი კორსანტელის ძე, 37 წლისა;
სარუა ვარლამ მოსეს ძე, 46 წლისა;
სარუა მოსე ქვაზის ძე, 71 წლისა;
სარუა პარმენ ქოჩოს ძე, 79 წლისა;
ჭანტურია თამშუქი ბასას ძე, 80 წლისა;
ჯეჯეია ბიქტორ ივაკას ძე, 85 წლისა.

ლეკუხონა – სოფელი, თემის ცენტრი გალის რ-ნში. მდებარეობს სამურზაყანოს მთისწინეთში, მდ. ერისწყლის მარჯ. მხარეს. ზ. დ. 200 მ. გალიდან 35 კმ. თემში ლეკუხონის გარდა შედის ორი სოფელი, რომლებიც მას ესაზღვრება: ლეჭარაია და ჟირღალიშქა. ლეკუხონა 1886 წელს შედიოდა სამურზაყანოს უბნის საბერიოს თემში (ცხოვრობდა 46 კომლი). 1930 წელს კი უკვე შექმნილი იყო ლეკუხონის სასოფლო საბჭო, რომელშიც შედიოდა სოფლები: ლეკუხონა, აზანიში, ლეცეთი, ლეჭარაია, მეორე რთომი, ჩეშონა, ცხიმურიშგა. ამ სოფლებში ერთად ცხოვრობდა 283 კომლი, მათგან საკუთრივ ლეკუხონაში – 52 კომლი. გადმოცემით, ლეკუხონა თავდაპირველად ერქვა სერს ჯაგულიშ ღალსა და დგრმეცაშ ღალს

შუა, სადაც ამჟამად არის უბანი საღურწკაიო. ტოპონიმი კოლხურია: ლეკუხონა ის ადგილია, სადაც მრავლად ხარობს ლეკუხა, ანუ ხეჭრელი (დუდგულა). -ონა, რაც ქართული ოვან- სუფიქსის მეგრული ეკვივალენტია, გამოხატავს კრებითობას, საწარმოებელი ფუძით აღნიშნული საგნის სიმრავლეს. ზოგი გვარის ამ სოფელში დამკვიდრების ისტორია ასეთია: ოთხი ძმა ქობალია ხანწკიდან ჩამოსულა და შარაშიას მინდობია. შემდგომ ერთი მათგანი სვანეთში გადაბარგებულა, მეორე - კორცხელში; გულუების წინაპრები ჯუმითიდან არიან, ბოკუჩავებისა — ნოღიდან, შამათავებისა — უშაფათიდან, ხარჩილავებისა — ჭოღიდან. სოფლის მიკროტოპონიმია აღინუსხა 1973 წელს. ამ დროს აქ ცხოვრობდა 70 კომლი. ინფორმატორები:

გულუა თარასხან ბადეს ძე, 55 წლისა;
გულუა ქიშვარდი სტეფანეს ძე, 73 წლისა;
გულუა ჯოგო მაქსიმეს ძე;
ლეჟავა გვევგვე (გიორგი) ძუკუს ძე, 42 წლისა;
საბულვაა მიხეილ დაამუს ძე, 74 წლისა;
ქობალია ბებუ ქუთოლის ძე, 90 წლისა;
ქობალია თარაში ჯაგუს ძე, 75 წლისა;
ქობალია ტაჰერი მარკოზის ძე, 68 წლისა;
ქობალია ტრიფონ ბებუს ძე, 45 წლისა;
ქობალია შალვა არსენას ძე, 41 წლისა;
ქობალია ხუხუტი რომას ძე, 62 წლისა;
შამათავა სარდიონ (ჟიჟიკო) ბახვას ძე, 66 წლისა;
ჩაკაბერია რეზო დიტოს ძე, 34 წლისა;
ჯახაია ლავრენტი ტაიას ძე, 62 წლისა:
ჯახაია ნინო ჯუკუს ასული, 76 წლისა;
ჯახაია ნოე პავლეს ძე, 52 წლისა.

ლეჭარაიე — სოფელი ლეკუხონის თემში (გალის რ.) და მაღალი სერი ერწყარსა და ნაწისქვილს შუა (შდრ. ქსე-ში: "... მდ. ენგურის მარჯ. მხარეს"). ზ. დ. 250 მ. გალიდან 36 კმ. ესაზღვრება: ლეკუხონა, ჟირღალიშქა, ღვაშგვერდი... 1886 წელს სოფელი ლეჭარაია შედიოდა საბერიოს თემში (62 კომლი), ხოლო 1930 წელს — ლეკუხონის თემში (46 კომლი). ამჟამად ეწოდება ლეჭარაიე. სოფელში ცხოვრობენ ქობალიები, კირტავები, შონიები... ჭარაიები კი არ ჩანან და არც რაიმე გადმოცემაა მათ შესახებ შემონახული. ლეჭარაიე, ანუ ჭარაიების საცხოვრებელი ადგილი, როგორც ჩანს,

საუკუნეების წინანდელი სახელწოდებაა, აფხაზთა მიერ ამ კუთხის ანექსიის წინადროინდელი. პრეფიქსი ლე- სწორედ შუა საუკუნეებში იყო გავრთაგან უბნის სახელწოდებათა აქტიური მაწარმოებელი. ადგ. ვარიანტია ლეჭარაიო. ასე ეწოდება სოფლის მთავარ სერსაც. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1973 წელს (ცხოვრობდა 85 კომლი). ინფორმატორები:

ქობალია გუგუ ჯუკუს ძე, 72 წლისა;
ქობალია კოლია ქვაბლუხუს ძე, 47 წლისა;
ცაავა გაბო სვიმონის ძე, 75 წლისა;
ხარჩილავა კიჭო კვიკვინას ძე, 83 წლისა;
ჯახაია ვლადიმერ ჯერეს ძე, 80 წლისა.

მახუნჯია – სოფელი მზიურის თემში (გალის რ.), მდ. ერისწყლის მარც. მხარეს, ზ. ცხირსა და ქ. გალს შუა. ზ. დ. 60 მ. გალიდან 5 კმ. ესაზღვრება: ქ. გალი, მზიური, ზემო ცხირი. სოფელს შუა ყოფს მდ. მახუნჯია, ქვიშონის ზემო წელი. ინფ.: "ძველად ხუნჯი ("ხუნდი, ხაფანგი") ჰქონიათ დადგმული მონადირეებს ტურაგლის დასაჭერად". მახუნჯია//მოხუნჯია ერისწყლის მარჯ. მხარესაც ეწოდება მდინარეს. მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1973 წელს. ინფორმატორები:

აქირთავა ბუჯი გრიგოლის ძე, 66 წლისა;
მესხია ესაია ივანეს ძე, 80 წლისა;
ტაბაღუა შალვა ჩექერის ძე, 45 წლისა;
ქარდავა ჩახა ბასას ძე, 88 წლისა;
ქარდავა ჩექერი იოსების ძე, 85 წლისა;
ქობალია შოთა დიმიტრის ძე, 45 წლისა.

მეორე აკვაღა – სოფელი ჭუბურხინჯის თემში (გალის რ.), ხუმუშქურის ზემოთში, სათანჯოს მთის მიმდებარე ვაკე-ფერდობებზე. ზ. დ. 100 მ. გალიდან 7 კმ. ესაზღვრება: ჭუბურხინჯი, პ. აკვაღა, მზიური, სიდა. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხესიმაგრის ნაშთი. ხალხური ეტიმოლოგიისათვის იხ. აკვაღა. გადმოცემები ზოგ გვარზე: მურზაყან შარაშიას დროს ლაკადებს აქეთ მოსახლეობა არ ყოფილა. მაშინ ჩამოსულან ზგუიდან ყოლბაიები და აქირთავები, ხოლო შემდეგ ჯვარიდან – აქუბარდიები. ადგილის სახელები ჩაიწერა 1973 წელს. ინფორმატორები:

აქუბარდია დომე ბასას ძე, 74 წლისა;
პაპავა იონა კაჭას ძე, 73 წლისა;
ყოლბაია ილა კაჭიჭის ძე, 80 წლისა;

ჩოფლიანი შოთა ერმინეს ძე, 49 წლისა.

მეორე გუდავა – სოფელი გუდავის თემში და ამ თემის ცენტრი (გალის რ.). მდებარეობს ზღვისპირას, ოქუმის შესართავთან, გინძე ეწერსა და ნაგვალოუს (ოჩამჩირის რ.) შუა. ზ. დ. 10 მ. გალიდან 20 კმ. თემში შედის სოფლები: მ. გუდავა, ანარია, ოხურეი, პ. გუდავა. ესაზღვრება აგრეთვე: პ. გუდავა, ანარია. 1886 წელს სამურზაყანოს საპოლიციო უბნის გუდავის თემში შედიოდა სოფლები: გუდავა, რგვალი ეწერი, ჯოყობა, ოხური, რეფი, ტოგონი, შეშელეთი. 1930 წელს კი გუდავის სას. საბჭოს მიეკუთვნებოდა: გინძე ეწერი, პ. გუდავა, მ. გუდავა, ოხურეი, პირველი ჯოყობა, მეორე ჯოყობა. 1992 წელს გუდავის თემში ცხოვრობდა 336 გვარის მატარებელი 684 კომლი (2416 სული). ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო სოფელი მეორე გუდავა (465 კომლი, 1557 სული), სადაც დამკვიდრებულია 232 გვარი. კომლთა რაოდენობით გამოირჩევიან: ხუბუა – 26 კომლი, გვაძბა – 17 კ., ხუნწარია – 17 კ., ჩხვირკია – 16 კ., ჯანჯულია – 12 კ., კემულარია – 11 კ., ბაკარანძე – 10 კ., შონია – 10 კ., აკიშბაია – 9 კომლი. გადმოცემა: აკიშბაიებისა და დოჩიების წინაპრები ამ დაუსახლებელ მიწაზე ერთად ჩამოსულან ჯგქეთიდან. მათ ზგფუდან მოჰყოლია ხუტკუბიათა წინაპარი (ეს სამი გვარი ტყეში ახლომახლო დასახლებულა და ერთმანეთისათვის ძმობის ფიცი მიუციათ. ამ ფიცსა და ქორწინების აკრძალვას დღემდე იცავენ). მაგრამ ეს პირველმოსახლენი დღეს კომლთა რაოდენობით სხვა გვარებზე წინ არ არიან: 1992 წელს გუდავის თემში ცხოვრობდნენ: აკიშბაია – 11 კომლი (27 სული), დოჩია – 9 კ. (33 სული), ხუტკუბაია – 6 კ. (25 სული). მათ შემდეგ მოსულან ჩხვირკიები "გურზემიდან", ხუნწარიები - აბაშიდან, გაბუნიები - ბანძიდან, მეფორიები - ნოღიდან, ჟვანიები - ოქუმიდან, როსტობაიები - კორცხელიდან, ნარსიები - ჭაქვინჯიდან, რეკვავები - საჯიჯაოდან. გიგავები არიან გიგაძეები გურიიდან, ხოლო კემულარიას წინაპარს ნარაზენში მიწის საზღვარზე ცილობისას კაცი შემოკვდომია და აქ კვაჯი მარღანიას შეხიზნია. ტოპონიმები ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმატორები:

აბშილავა აბრამ გიორგის ძე, 60 წლისა;
აკიშბაია ტერენტი ძეკვეს ძე, 50 წლისა;
აფხაზავა ლეონტი (კინტუ) გაის ძე, 90 წლისა;
გაბუნია იასონ პეტრეს ძე, 62 წლისა;
გამისონია რობერტი ჯვებეს ძე, 32 წლისა;

გიგავა იასონ ანდრიას ძე, 78 წლისა;
დოჩია აკაკი ზოსიმეს ძე, 58 წლისა;
დოჩია ერმინე ზოსიმეს ძე, 68 წლისა;
ზარქუა ჟუჟა (ჟორა) ნესტორის ძე, 66 წლისა;
ზაქარაია გიტი ბაბილოს ძე, 68 წლისა;
ზაქარაია გუძა ბაბილოს ძე, 68 წლისა;
კემულარია ჯოგო პეტროს ძე, 80 წლისა;
კოტუა აკაკი სიკოიას ძე, 73 წლისა;
კოტუა ხუხუტი კონსტანტინეს ძე, 67 წლისა;
ლაგვილავა აბრამ გიორგის ძე, 72 წლისა;
მგელაძე ვალერიან ბიქტორის ძე, 72 წლისა;
ჟვანია მამანტი ეთმეს ძე, 54 წლისა;
ჩხვირკია ლავრენტი ბეჩუს ძე, 80 წლისა;
ჩხვირკია ტარიელ რაულის ძე, 13 წლისა;
ხუნწარია ხუხუტი კონსტანტინეს ძე, 67 წლისა.

მეორე კოპიტი – სოფელი აგუბედიის თემში (ოჩამჩირის რ.), ნეძფარის ორსაევე მხარეს, მთის ძირას. ზ. დ. 180 მ. ოჩამჩირიდან 27 კმ. ესაზღვრება: მთა ოისირე, ჩხორთოლი, აძხიდა (აგუბედიის თემი). 1886 წელს სამურზაყანოს უბნის ბედიის თემში შედიოდა სოფელი კოპიტი 131 კომლით (726 სული). 1930 წლისათვის კი კოპიტი ორ სოფლადაა გაყოფილი (პირველი კოპიტი, მეორე კოპიტი) და ორივე შედის გალის მაზრის პირველი ბედიის სას. საბჭოში. მოსახლეობა ჩამოსულა სხვადასხვა კუთხიდან: აბუხბათა წინაპრები "ფსხუდან"არიან. იქიდანვე წამოსულა სამი ძმა ჯინჯოლია. მათგან ერთი დამკვიდრებულა კოპიტში, მეორე – ფოქვეშში, მესამე – საბერიოში. ჭოლარიების ჯინჯიხატი ყულიშკარშია... 1982 წელს სოფელში ცხოვრობდა 58 კომლი. ამ წელსვე იქნა ჩაწერილი ადგილის სახელები. ინფორმატორები:

აბუხბა შავგენ კაპჭას ძე, 55 წლისა;
ლაკაშია ინგიშტერი ავთანდილის ძე, 48 წლისა;
პერტაია ზაურ ვლადიმერის ძე, 24 წლისა;
შაკაია დარისმან ჯუბუს ძე, 59 წლისა;
შაკაია ედრეს ნაუს ძე, 73 წლისა;
შაკაია ილარიონ ჩაგუს ძე, 75 წლისა;
შაკაია რომა ძოკის ძე, 88 წლისა;
შაკაია შამშე ანდროს ძე, 49 წლისა;
ჭოლარია გუნა ნარიქის ძე, 76 წლისა;

ჭოლარია სლავიკ კიკის ძე, 29 წლისა;
ჭოლარია შინო ილიკოს ძე, 72 წლისა;
ჯინჯოლია ბესარიონ გიორგის ძე, 71 წლისა;
ჯინჯოლია კოტე მეზის ძე, 71 წლისა.

მეორე ოტობაია – სოფელი ოტობაიის თემში (გალის რ.), ენგურის მარჯ. ნაპირას. ზ.დ. 5 მ. გალიდან 35 კმ. უწინდელი სახელია კუნთხუ ოტობაია. ესაზღვრება: რამი, ნაკარღალი, ვეშკუდელი, პ. ოტობაია. 1974 წელს სოფელში ცხოვრობდა 61 გვარი. მათგან შედარებით მრავალრიცხოვანი იყო: გაბელია – 40 კომლი, ჩიტაია – 27 კ., ტუფურია – 24 კ., კორკელია – 22 კ., შონია – 22 კ., სექანია – 14 კ., აშორტია – 13 კ., გუდაბანძე – 13 კ., ფაცურია – 13 კ., ჩიკვატია – 8 კ. და სხვ. გადმოცემები ზოგ გვარზე: კორკელიები წარმოშობით ყოფილან გურიიდან. იქიდან წამოსული სამი ძმა სხვადასხვა ადგილას დამკვიდრებულა: ერთი დარჩენილა ჭითაწყარში, მეორე – აქ, ხოლო მესამე – თაგილონში; სექანიები ყოფილან საქანიები "სხუდან": მათი ძველები ბარში სამუშაოდ ჩამოსულ სვანებს გაატანდნენ ხურდა ფულს და სთხოვდნენ, გადაეგზავნათ იგი "გითახვამუშა" (ე.ი. შესაწირ-მოსალოცავად) ყარაჩში, სადაც ეგულებოდათ ჯინჯიხატი. იხ. აგრეთვე: პირველი ოტობაია. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1974 წელს. ინფორმატორები:
გაბელია შალვა კოჭოჭის ძე, 71 წლისა;
გოგოხია იბლო ჯუბლას ძე, 80 წლისა;
კორკელია მურად კაჭალას ძე, 80 წლისა;
სექანია ბოკო კვეცას ძე, 75 წლისა;
სექანია პლატონ ქესქინჯის ძე, 70 წლისა;
ხასია კაკა ძუკუს ძე, 64 წლისა.

მეორე ოხურეი – სოფელი ოხურეის თემში (ოჩამჩირის რ.), ოხურეიწყარისა და ელიაკვარის ნაპირებზე. ზ. დ. 120 მ. ოჩამჩირიდან 19 კმ. ადგ. ვარიანტი: ჩე ოხურეი (ერქვა კოლმეურნეობას). ესაზღვრება სამი ოხურეი – აჩიგვარის თემისა, გუდავის თემისა, ილორის თემისა და პ. ოხურეი. 1930 წელს კოდორის მაზრის ოხურეის სას. საბჭო შეიცავდა ერთადერთ სოფელს ოხურეის სახელწოდებით (ფრჩხილებში მიწერილი ჰქონდა: ილორგანი) მაშასადამე, ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი პირველი ოხურეი და მეორე ოხურეი. ეს უკანასკნელი ერთ დროს შედიოდა რეკის სას. საბჭოში, მაგრამ 1939 წლიდან ოხურეის სასოფლო საბჭოს მიეკუთვნა. იხ. აგრეთვე: ოხურეი. 1982 წელს მეორე ოხურეიში

ცხოვრობდა 95 კომლი. ძირითადი გვარებია: დარსანია, სონგულია, შონია, შანავა, ბიგვავა, ჩერქეზია, ცაავა... ტოპონიმები ჩაწერილია 1982 წელს. ინფორმატორები:

კიკორია იურა (ომისტერი) ხარიტონის ძე, 34 წლისა;
ლაგვილავა იასონ მიხას ძე, 69 წლისა;
ლაგვილავა კირილე კიმოთეს ძე, 68 წლისა;
სონგულია ნიკო გუდუს ძე, 82 წლისა;
ცაავა გურამ თეუფანეს ძე, 35 წლისა;
ცირამუა გულიკო დოროთეს ძე, 51 წლისა;
შანავა ტურუ ძოკიას ძე, 74 წლისა;
შერგელია შურა ღაბას ასული, 54 წლისა.

მეორე შეშელეთი – სოფელი რეფი-შეშელეთის თემში (გალის რ.), ერისწყლის მარც. ნაპირას. ზ. დ. 25 მ. გალიდან 7 კმ. ესაზღვრება: ხუმენი-ნათოფური, რეფი-ეწერი, ხუმუშქური, პატრახუწა, პ. შეშელეთი. არქანჯელო ლამბერტის "სამეგრელოს რუკაზე" (1654 წ.) და, როგორც ჩანს, მის მიხედვით შედგენილ ე.წ ლათინურენოვან (პარიზის) რუკაზე ერისწყლის მარც. მხარეს, გოგიელსა (ე.ი. გალსა) და ხვითს შუა, ეკლესიიანი სოფლის სახელად დატანილია Sciascialeti შეშელეთი. 1930 წელს იგი ჯერ კიდევ არ იყო გაყოფილი პირველ შეშელეთად და მეორე შეშელეთად (იხ.: პირველი შეშელეთი). სახელწოდება ქართულია. გამოიყოფა -ეთ სუფიქსი, რაც, ჩვეულებრივ, დაერთოდა ანთროპონიმის ფუძეს და ჰქონდა როგორც მრავლობითობის, ისე კრებითობის გამოხატვის ფუნქცია. ამოსავალი ფუძე შეშელ- დასტურდება სხვა შემთხვევებშიც (შდრ.: გვარი შეშელიძე და შეშელეთი ნამოსახლარების სახელი ხობისწყლის ხეობაში). სოფლის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია კილანავა. დოც ბექან კილანავას ცნობით, მათი წინაპრები გურიიდან გადმოსულან: ორი ძმა კილავად დაწერილა, მესამე კი – კილანავად. სოფლის მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1985 წელს. ინფორმატორები:

კილანავა ილიკო ედუს ძე, 78 წლისა;
ღურწკაია პლატონ ბურდღუს ძე, 77 წლისა;
შამათავა იპოლიტე ძაკას ძე, 61 წლისა;
ჩხაპელია შალვა იასონის ძე, 63 წლისა.

მზიური – სოფელი, თემის ცენტრი გალის რაიონში, ყოფილი ცხირო-გალის სას. საბჭოს ტერიტორიაზე. ეკვრის ქ. გალს სამხ.-აღმ-ით. ზ. დ. 60 მ, გალიდან 2 კმ. თემის სოფლებია: მზიური, ზ.

ცხირი, მახუნჯია, პატრახუწა, შაშიკვარა. მზიური თავდაპირველად (1931 წ.) დარქმევია კოლმეურნეობას, რომელიც შემდეგ საბჭოთა მეურნეობად გადაიქცა. 1952 წელს მზიური ეწოდა სოფელ ქვემო ცხირს, რომელიც 1930 წ. შედიოდა ცხირო-გალის სას. საბჭოში (შდრ. ქსე-ს ინფორმაცია, რომ მზიურს 1952 წლამდე ერქვა ცხირი). მზიურს ესაზღვრება: პ. აკვაღა, მ. აკვაღა, მახუნჯია, შაშიკვარა, ქ. გალი. სოფელში გაედინება მდინარეები: ყოჯელწყარი, ოჯოღორე-წყარი, შაშკვარაღალ, ხუმუშქურღალ და სხვ. აბრუმიების წინაპრები აქ ხორგიდან მოსულან, ნაყოფიებისა – გუდაუთიდან, უბილავებისა – ჭალიდან... ადგილთა სახელები ჩაწერილია 1973 წელს. ინფორმატორები:

აბრუმია ჩახა პავლეს ძე, 75 წლისა;
აქუბარდია კაპიტონ (ცაქვა) მალაქიას ძე, 50 წლისა;
გაბედავა როინ ვადას ძე, 32 წლისა;
ნაყოფია ილია შარმათის ძე, 68 წლისა;
უბილავა დუტუ სალმაქოუს ძე, 83 წლისა;
ჯგერნაია ჩაქა კოსტას ძე, 82 წლისა.

მიშველი – სოფელი აგუბედიის თემში (ოჩამჩირის რ.), მდ. ოხოჯის მარც. მხარეს. ზ. დ. 100 მ. ოჩამჩირიდან 28 კმ. ესაზღვრება: ჩხორთოლი, აჯრა, ფშაური (წარჩის თემისა)... სოფლის მთავარ სერზე (იხ. მიშველიშ სუკი//ჯიხაშ სუკი) ნაეკლესიარს ეწოდება ჯიხა. გადმოცემით, მას ისეთივე ძალა ჰქონდა, როგორიც ცნობილ ბედიის მონასტერს. 1886 წელს მიშველი შედიოდა სამურზაყანოს უბნის ბედიის თემში (59 კომლი, 292 სული). 1930 წლისათვის კი სოფელი ორადაა გაყოფილი – პირველ მიშველად და მეორე მიშველად და ორივე ბედიის სას. საბჭოში შედის 111 კომლით. 1982 წელს მიშველში ცხოვრობდა 83 კომლი. გადმოცემა ზოგ გვარზე: ეშბების წინაპარი სამი ძმა წამოსულა "ლეხნიდან": ერთი დარჩენილა გუფუში, მეორე – ბედიაში, მესამე – ეშქეთში (ეშქეთი "ეშბების სოფელი" ამჟამად უბანია სოფ. ჩხორთოლში); გვაზბაიები წარმოშობით ბზიფიდან ყოფილან; ბუავების "ძველები" ამბროლაურის რ-ნის სოფ. ხონჭიორაში დადიოდნენ ჯინჯიხატის მოსალოცად. სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1982 წელს. ინფორმატორები:

ბუავა ღულუნი კვატას ძე, 49 წლისა;
გვაზბაია ბედღე ექუფის ძე, 80 წლისა;
გვაზბაია კორსანტელი მახაზის ძე, 50 წლისა;

გვაზბაია კვნტვ ბეჩუს ძე, 62 წლისა;
ეშბა ხუხუტი გუჯუჯის ძე, 75 წლისა:
ქუჩუბერია შოთა ასლანის ძე, 54 წლისა;
შაკაია აქვსენტი აზამათის ძე, 75 წლისა;
ჭოლარია ტერენტი პეტრეს ძე, 71 წლისა;
ხურცულავა ვალია (ქსენია) არტემის ასული, 55 წლისა.

მუხური "მხარე, კუთხე" (მეგრ.) – სოფელი, თემის ცენტრი გალის რაიონში, ოქუმწყარის მარც. ნაპირას. ზ. დ. 120 მ. გალიდან 6 კმ. თემში შედის: მუხური, პირველი შეშელეთი, საბულისკერიო. ესაზღვრება: საბულისკერიო, კოხორა, აჩიგვარა, სამელაიო. 1952 წლამდე სოფელს ერქვა საშარანგიო (ამჟამად მუხურის ერთ-ერთი უბანია). მუხური ისტორიული სოფელია. იგი მოიხსენიება XVI საუკუნეში, კერძოდ, 1525–1550 წლებში "აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი იადგარის" მიხედვით ბიჭვინთის ტაძარს ეკუთვნოდა "სოფელი მუხური აზნაურის შვილებითა და ოცდაათის კუამლის კაცითა". 1621 წელს შედგენილ საეკლესიო გლეხთა სიაში დასახელებულნი არიან მუხურსა და სუბეიშში (იხ.) მცხოვრებთა გვარები: კიტია (15 კომლი), ჯაკონია (8 კ.), არტონია (4 კ.), მიქელია (2 კ.), ქორჩოლუა (2 კ.), ღვაჯაგია (2 კ.), ბიგუა, პერტია, ძღირუა, ხვინგია (თითო კომლი) და სხვ. (იხ. ქსძ, III, გვ. 426–428). მუხურის ტერიტორიაზე შემორჩენილია განვითარებული შუა საუკუნეების ციხისა და ეკლესიის ნაშთები. 1886 წელს მუხური თემის ცენტრია და მასში შედის სოფლები: ბულიშხინჯი, გვანჭკა, ჯაპიშხინჯი, მუხური, ნახიტოუ, ფუწყური, ფშაური, საკენჯიო, ტაგონი, წარჩე. 1930 წლისათვის კი მუხურის სას. საბჭო არ არსებობდა და სოფელი მუხური შედიოდა წარჩის სასოფლო საბჭოში. 1992 წელს ამ სოფელში მკვიდრობდა 27 გვარი. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანია შარანგია (47 კომლი, 239 სული). სხვა გვარები: ხასაია – 10 კომლი, მიქელბაია – 7 კ., თარბაია – 6 კ., გოლანძია – 6 კ., როსტობაია – 6 კ., საჯაია – 5 კ., გასაშვილი – 5 კ. და სხვ.

მუხური სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში გავრცელებული სიტყვაა (ხშირია ტოპონიმიაშიც) და ნიშნავს კუთხეს, მიმწყვდეულ ადგილს, მხარეს (შდრ. ქართული: მხარე). გალის რ-ნის სოფელი მუხური ერთ-ერთი უძველესი კოლხური ტოპონიმია სამურზაყანოში. გადმოცემები სოფელში დამკვიდრებულ ზოგ გვარზე: შარანგიების წინაპრები ყოფილან შარაბიძეები რაჭიდან. იქიდან გამოქცეული სამი ძმა, რომელთაც აქ დარქმევიათ სახელები

ვეშქვიდი ("არ დაიხრჩვე". ენგურში ჩავარდნილა და გადარჩენილა), ჯერგეთა და ჯურუმია, ჯერ ზუგდიდში მინდობიან დადიანს, მერე ენგური გადმოულახავთ და დამდგარან ანჩაიასთან, რომელსაც მათთვის ბედიის ფშაურის უღრან ტყეში დასახლების უფლება მიუცია; ქარცხიების წინაპარი ჩამოსულა ხიბულიდან, ოქუმში დაუწყია ვაჭრობა და იქვე ჩასიძებულა; ბენიების "ძველებს" ჯინჯიხატი ყულიშკარში აქვთ. სამი ძმიდან ერთი გუდაუთაში წასულა და გააფხაზებულა; კაჭაღმაძეთა წინაპარი, სახელად სოლომონი, ამბროლაურის რ-ნის სოფ. ტბეთიდან, აქ დურგლობდა და აქაურივე ქალი შეურთავს. ანძიბაიების წინაპრები სოფ. ჯგერდიდან ჩამოსულან. სოფლის ადგილის სახელები 1980 წელსაა ჩაწერილი. ინფორმატორები:

ანძიბაია პლატონ გუჯას ძე, 57 წლისა;
ბენია ამირან ივას ძე, 56 წლისა;
ბოკუჩავა დალი დამიანეს ასული, 31 წლისა;
გაბელია ბიქტორ კოსტას ძე, 77 წლისა;
მიქელბაია აპილო მამსურხვას ძე, 66 წლისა;
მიქელბაია უჯულა იოსების ძე, 65 წლისა;
ქარცხია აპილო აქვსენტის ძე, 58 წლისა;
შარანგია აკაკი მიხას ძე, 72 წლისა;
შარანგია თამაზ სანდროს ძე, 41 წლისა;
შარანგია სანდრო ფშუყანის ძე, 83 წლისა;
შარანგია შალვა ალექსის ძე, 75 წლისა;
ხარჭამაძე როლანდი ჰიჰიკოს ძე, 27 წლისა;
ხასაია რაჟდენ ლუკას ძე, 72 წლისა.

ნაბაკევი – სოფელი, თემის ცენტრი (გალის რ.), ენგურის მარც. მხარეს. ზ.დ. 20 მ. გალიდან 25 კმ. თემში ნაბაკევის გარდა შედის და კიდევაც ესაზღვრება ეწერი და ზენი. სავარაუდოა, რომ არქანჯელო ლამბერტის სამეგრელოს რუკაზე (1654 წ.) დაფიქსირებული NaAlbachia სწორედ ნაბაკევი უნდა იყოს. ადგ. ვარიანტებია ნაბაკი(ი) და ნობაკი. ი. ყიფშიძე ასახელებს ნაბაკები ფორმასაც. ზმნა ბაკუა მეგრულში აღნიშნავს ტკეპნას. სულხან-საბას მიხედვით, ბეკება არის კუნტრუშობა: იბეკნ "კუნტრუშობს". ქეგლ-იც იმეორებს: ბეკნა "პირუტყვის კუნტრუში, ხტომა". ამ მნიშვნელობიდან უნდა გამომდინარეობდეს ამ ზმნური ფუძის კუთხური, კერძოდ, იმერული მნიშვნელობაა: "ტკეპნა, ზერგნა (მიწისა)". მეგრული ბაკ- ფუძე ქართული ბეკ-ნ ფუძის ფონეტიკურ-სემანტი-

კური შესატყვისია (შდრ. ო. ჭაჭაია: დობაკუა "დატკეპნა; დაბეკნა"). ასე რომ, ნობაკი, ნაბაკიი და ნაბაკევი შეიძლება აიხსნას მეგრულისავე მონაცემებით. გადმოცემაც ამაზე მეტყველებს: ჯვარელ მეჯოგე ბათაია ჭარდავას აქ ტყე გაუკაფავს და საქონელი დაუბაკებია. ამიტომ დარქმევია ნაბაკიი. იტყოდნენ კიდეც: ნაბაკიი ბათაიაშ ორინჯიშ ნაბაკა რენია "ნაბაკიი ბათაიას საქონლის ნატკეპნი არისო". მეორე მხრივ, გამორიცხული არაა, მეგრულს შეეთვისებინა ქართული სიტყვაა ბაკი "საქონლის უსახურავო დასამწყვდევი, ირგვლივ შემოზღუდული", მით უმეტეს, ზემოიმერულში დადასტურებულია: ბაკი "საჩეხი", ე.ი. "სარით ან წნელით შემოღობილი გადაუხურავი საზაფხულო სამწყვდევი საქონლისა"; ბაკე "ეზო" (იხ. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974). ზ. ჭუმბურიძეც ასე განმარტავს: "ნაბაკევი ჰქვია სამ სოფელს (სამტრედიის, გალისა და ზნაურის რაიონებში). სახელწოდება ნაწარმოებია ნა-ევ თავსართ-ბოლოსართით, რომელიც წინანდელ ვითარებაზე მიუთითებს: ნა-ბაკ-ევ-ი აღნიშნავს ადგილს, სადაც წინათ ბაკი ყოფილა". არაა გამორიცხული სახელწოდების გადატანაც. 1886 წელს არსებობდა ნაბაკევის თემი, რომელშიც შედიოდა სოფლები: ნაბაკევი (148 კომლი, 681 სული), თაგელონი (358 კ., 1627 სული) და ოტობაია (401 კ., 2049 სული). მოსახლეობა წარმოშობით სხვადასხვა კუთხიდანაა: შონიების წინაპარი კოჩიშკოჩი სოფელ ბიიდან გამოუყოლებიათ ანჩაბაძეზე გათხოვილი დადიანის ასულისათვის; ნაკიფუდან გამოქცეული ლუკავები დამკვიდრებულან ტამიშში, აბჟაყვაში, გაგიდასა და ნაბაკევში; გელენავები ყოფილან გელოვანები სვანეთიდან; ქორიძეებისა და ქორიშვილების წინაპრები ჩამოსულან გურიიდან, ბერაიებისა – თეკლათიდან, ელიავებისა – მარტვილიდან, ლაგვილავებისა – ნაფიჩხოვოდან, ხოფერიებისა – სენაკიდან, ფაცაციებისა- ჭოლიდან... ნაბაკევის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმატორები ნაბაკევის თემის სამივე სოფლისათვის:

ბერაია ბოგდან ბორისის ძე, 39 წლისა;
ბერაია ძაგვა მემეს ძე, 81 წლისა;
გამსახურდია გაგალი ნიკოლოზის ძე, 59 წლისა;
გელენავა თამშუქი ჯაკოს ძე, 59 წლისა;
გელენავა თეუფანე გაბეს ძე, 95 წლისა;
გუნჯუა აკაკი ჩამას ძე, 70 წლისა;
ელიავა დიმიტრი პახვალას ძე, 85 წლისა;

ესართია ვალოდია გვეგვეს ძე, 63 წლისა;
ესიავა თეუფანე სიმონის ძე, 77 წლისა;
თორია აკაკი აპალონის ძე, 43 წლისა;
თორია ოტო კუტატის ძე, 78 წლისა;
თორია ღუღუნი ირაკლის ძე, 56 წლისა;
ლაგვილავა ვანო (ივანე) ძიგის ძე, 79 წლისა;
ლუკავა ხარიტონ ყარას ძე, 65 წლისა;
მებონია ორდენ თანასის ძე, 57 წლისა;
ფაცაცია იროდი კირილეს ძე, 66 წლისა;
ქარდავა ვალოდია ანდრიას ძე, 65 წლისა;
ქორიშვილი გიორგი ბიქტორის ძე, 58 წლისა;
ქორიძე გერა ქუზუს ძე, 88 წლისა;
ყოლბაია დურუ ქვაცას ძე, 66 წლისა;
შონია ალექსი ტერენტის ძე, 47 წლისა;
ჩარგაზია ადგერი ბადრას ძე, 57 წლისა;
ჩარგაზია სევერიანე სტეფანეს ძე, 66 წლისა;
ჩეხერია გახა პავლეს ძე, 85 წლისა;
ხოფერია გრიშა სერაპიონის ძე, 47 წლისა;
ჯაიანი ღუდა ასლამურის ძე, 52 წლისა.

ნაგვალოუ – სოფელი ილორის თემში (ოჩამჩირის რ.), ზღვის ნაპირას, ანარია-ოხურეიწყარსა და ილორს შუა. ესაზღვრება აგეთვე: მ. გუდავა, ანარია, ოხურეი (ილორის თემისა). ზ. დ. 5 მ. ოჩამჩირიდან 5 კმ. 1930 წელს შედიოდა ილორის სას. საბჭოში ნაგვალოო ფორმით (85 კომლი). ადგ ვარიანტი: ნაგვალუ. ხალხური ეტიმოლოგიით, ამ ადგილას გვალა ("მთა") ყოფილა და ზღვას დაუნთქავს. ამიტომ დარქმევია ნაგვალუ. უფრო სარწმუნოა ასეთი გადმოცემა: ნაგვალ, ე.ი. ნამთევი (მთის საზაფხულო საძოვრებზე ნამყოფი) საქონლის საზამთრო საძოვარი ყოფილა. არაა გამორიცხული, ტოპონიმისათვის ამოსავალი იყოს გვარი გვალია. სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1982 წელს. ინფორმატორები:

მიქელაია ლაუ (ლავრენტი) ძაკალას ძე, 84 წლისა;
ჩალიგავა გვაჯა (კირილე) ივანეს ძე, 69 წლისა;
ხოჭავა რაჟდენ არტემის ძე, 54 წლისა.

ნაკარღალი – სოფელი ფიჩორის თემში (გალის რ.), სამურზაყანოს დაბლობზე. ზ. დ. 3 მ. გალიდან 40 კმ. ესაზღვრება : განარჯიის მუხური (ზუგდიდის რ.), მ. ოტობაია, ფიჩორი... 1930 წელს ნაკარღალი შედიოდა გაგიდა-ნაჭკადოუს სას. საბჭოში. მეგრულში

ნაკარ აღნიშნავს ადგილს, სადაც იდგა კარე, ანუ მწყემსის დროებითი სადგომი. მაშასადამე, ნაკარღალი "ნაკარვალის ღელე" წარმოიქმნა როგორც ღელის სახელი და მოგვიანებით იქცა სოფლის სახელად, რის შემდეგაც თვით ღელეს ეწოდა ნაკარღალიშ ღალ. 1992 წელს ნაკარღალში ცხოვრობდა 20 გვარი (77 კომლი). მათგან შედარებით მრავალრიცხოვანი იყო: ხასაია – 21 კომლი, გოგოხია – 8 კ., ტუფურია – 7 კ., პატარაია – 6 კ., ბიგვავა – 5 კ. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1974 წელს. ინფორმატორები:

გაბელია ბესა ბახვას ძე, 72 წლისა;
პატარაია აქვსენტი ელიზბარის ძე, 71 წლისა;
პატარაია ტარასი სიკოს ძე, 75 წლისა;
პერტაია დურუ პეტრეს ძე, 76 წლისა;
შენგელია ვარლამ გრიგოლის ძე, 70 წლისა;
ხასაია კოჩობა ძოკიას ძე, 66 წლისა.

ნარჯხეუ – სოფელი აგუბედიის თემში (ოჩამჩირის რ.), მდ. ოხოჯის მარჯ. ნაპირას, გორა ოხოჯესა და ქოლეის შუა. ზ.დ. 100 მ. ოჩამჩირიდან 35 კმ. ესაზღვრება ამავე თემის სოფლები პატრახუწა და აძხიდა. 1886 წელს ნარჯხეუ შედიოდა სამურზაყანოს უბნის ბედიის თემში როგორც სოფელი ნაჯიხევი. 1930 წელს უკვე ნოჯიხევი ფორმით შედის პირველი ბედიის თემში (ამ დროს აქ 66 კომლი ცხოვრობდა). ამჟამად ოფიციალურად ეწოდება ნარჯხეუ. მისი ადგ. ვარიანტებია: ნაჯ(ი)ხეუ, ნეჯხეუ, ნოჯ(ი)ხეუ, ნოჯიხეი. ამოსავალია მეგრული ნაჯიხ//ნოჯიხი "ნაციხარი". მართლაც, ოხოჯე-ქოლეის წყალგამყოფი სერის (ნოჯიხი სწორედ მისი სახელი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად) თხემსა და კალთებზე რამდენიმე ნაციხარ-ნაეკლესიარია. გორის დაბალ განშტოებას ქოლეის სათავესა და ოტაფის ზემო წელს შუა ეწოდება "ნოჯხეუშ აკუდელი". გადმოცემები: 1. "ნარჯხეუ ზღვით ყოფილა გარშემორტყმული. ერთ კლდეზე, სადაც გემების მისაბმელი ჰქონიათ, დღესაც რკინის რგოლია ჩასობილი" (მსგავსი გადმოცემა ი. ყიფშიძესაც ჩაუწერია); 2. "ნარჯხეუ და საჩინო ძმები ყოფილან. უფროსი ნარჯხეუ ამ გორაზე ესახლა, უმცროსი საჩინო კი – ქოლეის გაღმა. საჩინომ ერთხელ მარტომ მიირთვა სადილი, ნარჯხეუს არ დაუძახა. გაბრაზდა ნარჯხეუ, მოგლიჯა დიდი ლოდი (ნათითარი ახლაც ატყვია კლდეს) და გასტყორცნა იგი საჩინოსაკენ (იქამდე 4–5 კმ იქნება). ის ლოდი ამ ბოლო დრომდე ეგდო საჩინოს სერზე"; 3. "ნეჯხეუ კაცს ერქვა, ამ გორაზე ეკლესიას აშენებდა. ერთხელ

სოფლიდან საშმლის ამოტანა დააგვიანდათ და გაბრაზებულმა ქოლეის გაღმა ლოდი ისროლა"; 4. "ნეჯხეუ იყო დევგმირი. ყუბანში 199 ძმა ნართს მოსტაცა ერთადერთი და გუდაფშა. ნართი სგსგრყვა დაეწია შვიდ გზაგასაყართან, მაგრამ ამ დროს დედის წყევლამ უწია და სამივენი ქვად იქცნენ. ეს მომხდარა ყუბანსა და ფსხუს შუა" (ცნობილი ნართების ეპოსის ერთი ეპიზოდის პერიფრაზირებაა). 1886 წელს ნარჯხეუში ცხოვრობდა 55 კომლი, 1928 წელს – 66 კომლი, ხოლო 1982 წელს – მხოლოდ 14. ამავე წელსაა ჩაწერილი სოფლის გეოგრაფიული სახელები. ინფორმატორები:

კვეკვესკირი კუტია სისოს ძე, 71 წლისა;
კვეკვესკირი რუშნი გაჩის ძე, 53 წლისა;
ლაკაშია გოდო პეხუს ძე, 80 წლისა;
ნარმანია მიშა ჰანაშუს ძე, 90 წლისა;
ჰკადუა ილია (ძღვიტა) ტამშუქის ძე, 71 წლისა;
ჰკადუა ქარბეი სიდოს ძე, 56 წლისა;
ჭოლარია ბორის ტერენტის ძე, 43 წლისა.

ნაჰკადუ – სოფელი ფიჩორის თემში (გალის რ), შავი ზღვის ნაპირას. ზ. დ. 5 მ. გალიდან 36 კმ. ესაზღვრება: განარჯიის მუხური (ზუგდიდის რ.), ფიჩორი. სოფელი ნაჰკადოუ 1930 წელს შედიოდა გაგიდა-ნაჰკადოუს სას. საბჭოში (100 კომლით). 1992 წელს კი ნაჰკადუში ცხოვრობდა 27 გვარის მატარებელი 93 კომლი. მათგან შედარებით მრავალრიცხოვანი გვარია: გოგოხია – 11 კომლი, სიჭინავა – 10 კ., აქუბარდია 8 კ., აგრეთვე: გოგოხია, შენგელია, გითოლენდია, თორია, გვარამია. ნაჰკადუ უნდა დარქმეოდა იმ ადგილს, სადაც ცხოვრობდა ჰკადუ (მეგრ.) "მჭედელი" ან გვარი ჰკადუა. გადმოცემა: "აქ ტყეში, რომელსაც ერქვა "შარვაშიძეფიშ ნადელი", დასახლებულან "ხირზანები", ანუ უსამართლობას გამოქცეულნი. მათ მოუთხოვიათ სოფლის სტატუსი და ადგილობრივი მაცხოვრებლის უფლებები. ამის მისაღწევად ჯერ სოხუმში, ხოლო შემდეგ ქუთაისსა და თბილისში გაუგზავნიათ გვადია მეფორია და 1910 წელს შექმნილა კიდეც სოფელი და თემი გაგიდა-ნაჰკადუ, რაც შემდეგ დაყოფილა ორ სოფლად" (იხ. გაგიდა). სოფლის მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1974 წელს. ინფორმატორები:

გოგოხია ვალოდია სიუფანეს ძე, 60 წლისა;
ხასაია შალვა ფარნას ძე, 54 წლისა.

ნახინგუ – სოფელი წარჩის თემში (გალის რ.), მდ. ოქუმის მარჯ. მხარეს (მორინჯის ორსავე ნაპირას). ზ. დ. 50 მ. გალიდან 15 კმ.

ესაზღვრება: წარჩე, ოქუმი... 1930 წელს წარჩის სას. საბჭოში შედიოდა ნახინგოუ ფორმით (ცხოვრობდა 44 კომლი). თავდაპირველად ნახინგუ ერქვა ვაკე-ფერდობებს მორინჯესა და კაკიშ ღალს შუა. გადმოცემა ზოგ გვარზე: გერზმავების წინაპარი ნახინგუში მოსულა ბზიფიდან, იქაა მათი ჯინჯიხატი და კიდევაც აგზავნიან შესაწირავს; ზარაქუების წინაპრები წალენჯიხიდან მოსულან მეზობელ ჩხორთოლში; ანთიების ჯინჯიხატი ჭკადუაშია, ხოლო თოლორაიებისა – ჯვარსა და ყულიშკარში. სოფლის მიკროტოპონია ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმატორები:

ანთია მაკარი ჯოტოს ძე, 70 წლისა;
ბეკერია ლეონტი ათანასას ძე, 78 წლისა;
გერზმავა ლადი ნავროზის ძე, 81 წლისა;
ვაზგანავა კოლია (ნიკოლოზ) ჯამას ძე, 77 წლისა;
ზარაქუა შამა (შალვა) სიდოს ძე, 54 წლისა;
თოდუა ნოდარ ვლადიმერის ძე, 41 წლისა;
თოლორაია იასონ მიხას ძე, 76 წლისა;
კაკუბავა ივა პეტროს ძე, 87 წლისა;
კობახია ცირქვა (ბიქტორ) ნოჩოს ძე, 86 წლისა;
მიქაია ნუგზარ მაკარის ძე, 28 წლისა;
საჯაია მაკარ დათას ძე, 64 წლისა;
ფარფალია ჟორჟი (გიორგი) გაძას ძე, 48 წლისა;
ჯახაია უჯუში მიხას ძე, 70 წლისა.

ნაჯიხური – სოფელი საბერიოს თემში (გალის რ.), ლაკადისძირებში, (რ)თომის ნაპირებზე. ზ.დ. 280 მ. გალიდან 35 კმ. ესაზღვრება: ლეკუხონა, ლეჭარაიე, ფართონოხორი, საბერიო... ნაჯიხურუ საბერიოს სას. საბჭოში შედიოდა 1930 წელსაც (29 კომლით). სახელწოდება მეგრულია და ნიშნავს ნაციხარს ან ნაჯიხურალს (ჯიხა "ციხესიმაგრე, კოშკი"; ჯიხური "ჯიხური. ერთოთახიანი ძელური ნაგებობა"). გადმოცემა: "საიდანღაც მოსულა მეჯოგე, აქ გაუკეთებია ჯიხური, ანუ ჯარგვალი, და რძითა და მოხარშული წაბლით გაუტანია თავი". სოფლის ტოპონიმი ჩაწერილია 1973 წელს. ინფორმატორები:

ლაგვილავა როზანი გუსას ძე, 72 წლისა;
სოსელია ავალი ბურდღუს ძე, 50 წლისა;
ტაბაღუა თარა ქვეთეს ძე, 83 წლისა;
ცხუცხუბაია ვლადიმერ ჩანთას ძე, 85 წლისა.

ოკვინორე – სოფელი განახლების თემში (გალის რ.), ოკვინორეწყარის ორსავე ნაპირას. ზ. დ. 6 მ. გალიდან 22 კ. ესაზღვრება: ფიცარღალი, ეწერი, ოკვინორე (ოტობაიის თემისა), გაგიდა, ზარწუფა... 1930 წელს ეს სოფელი "ოქვინორე" ფორმით შედიოდა გაგიდა-ნაჭკადოუს სას. საბჭოში (ერთი ნაწილი) და ოტობაიის სას. საბჭოში (მეორე ნაწილი). შემდგომში გაგიდა-ნაჭკადოუს სას. საბჭოს გამოეყო ოკვინორის სას. საბჭო, რომელსაც 1952 წელს უკვე განახლების სას. საბჭო ერქვა. "საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის" 1987 წლის გამოცემის თანახმად, განახლების სას. საბჭოში შედის სოფლები: განახლება (ცენტრი), გაგიდა, დიხაგუძბა, ოკვინორე. მაგრამ, ფაქტობრივად, განახლება და ოკვინორე (განახლების თემისა) ერთმანეთს ფარავს, ერთსა და იმავე ტერიტორიას გულისხმობს. ქსე-ს მიხედით, განახლება არის ყოფილი მარჩხაფონი, რაც გარკვეულ უზუსტობას შეიცავს: მარჩხაფონი არის სოფ. ეწრის უბანი ქვემო ბარღებისა და ოკვინორის საზღვარზე. სოფლის სახელწოდების ადგ. ვარიანტებია: ოკნორე, ოკგნორე. ოკვინორე მეგრული სიტყვაა და ნიშნავს საკვერნეს. როგორც ჩანს, იგი თავდაპირველად ტყის სახელი იყო. სოფელში გადის ოკვინორეწყარი//ოკვინორეღალ – გაგიდაწყარის მარც. მდგენელი. 1985 წელს განახლების სას. საბჭოში შემავალ სოფლებში ცხოვრობდა 350 კომლი. ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარებია: ქობალია, კვარაცხელია, ჯიქია, კახიანი, ღურწკაია, მებონია, გერგედავა, ფაცაცია, კვაშილავა, ბიგვავა, ლაგვილავა, ბელქანია, მინჯორაია. ეს უკანასკნელნი წარმოშობით ყოფილან ნიჟარაძეები მაღლაკიდან: ერთი ძმა ბარღებში დამკვიდრებულა და გვარი შეუნარჩუნებია, მეორე ძმის შთამომავლები კი მინჯორაიები გამხდარან ჯერ კიდევ ჭკადუაშში და მერე ენგურს აქეთ გადმოსულან (ამ ორ გვარს შორის ქორწინება, რა თქმა უნდა, აკრძალულია). სოფლის მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1974 და 1985 წლებში. ინფორმატორები:

იზორია აკაკი ისლამის ძე, 80 წლისა;

ლაგვილავა ნიკოლოზ ეგნატეს ძე, 80 წლისა:

ლაგვილავა სერაპიონ ეგნატეს ძე, 75 წლისა;

მინჯორაია იოანე გედლაჩის ძე, 79 წლისა;

ფაცაცია გრიშა გვაჯას ძე, 75 წლისა.

ოკვინორე – სოფელი ოტობაიის თემში (გალის რ.), ოკვინორეწყარის მარც. მხარეს, განახლების თემში შემავალი ოკვინორის

გაგრძელებაზე. ზ. დ. 5 მ. გალიდან 34 კმ. ესაზღვრება აგრეთვე: ზარწუფა, პ. ოტობაია, ქვიშონა... (იხ. ოკვინორე განახლების თემისა). 1992 წელს სოფელში დამკვიდრებული იყო 39 გვარის მატარებელი 132 კომლი. შედარებით მრავალრიცხოვანი გვარებია: გითოლენდია – 22 კომლი, გამისონია – 13 კ., ჯოჯუა – 12 კ., ბეინავა – 9 კ., ფასანძე – 7 კ., ჭანია – 6 კ. და სხვ. სოფლის მიკროტოპონიმები ჩაწერილია 1974 წელს. ინფორმატორები:

ბელქანია ბაბუცა ათანასის ასული, 60 წლისა;

ბელქანია ბაჯგა პავლეს ძე, 69 წლისა;

ბელქანია რაულ ტიტიკოს ძე, 11 წლისა;

ბელქანია ძირგუ (გრიგოლ) ცაქვალას ძე, 60 წლისა;

კვიკვინია სტეფანე ზურაბის ძე, 95 წლისა;

ჯოჯუა ჟორჟი ნიკოლას ძე, 48 წლისა.

ოქუმი – სოფელი, თემის ცენტრი გალის რ-ნში. მდებარეობს სამურზაყანოს მთისწინეთში, ოქუმწყარის მარჯ. ნაპირას. ზ. დ. 200 მ. გალიდან 25 კმ. თემში შედის სოფლები: ოქუმი, აგვავერა, საბულისკერიო, სამელაიო. ესაზღვრება: სამელაიო, საბულისკერიო (ოქუმის თემისა), აგვავერა, წარჩე. სამეცნიერო ლიტერატურაში ოქუმი განმარტებულია როგორც "საქუმელე" (ზ. ჭუმბურიძე). მაშასადამე, აგროონიმი ჯერ ოიკონიმად ქცეულა, ხოლო შემდეგ ჰიდრონიმად. ადგ. ვარიანტია ოქუმუ. ოქუმი ისტორიული სოფელია. არქანჯელო ლამბერტის "სამეგრელოს რუკაზე" (აგრეთვე ე.წ. პარიზის ლათინურენოვან რუკაზე) მდინარეს, რომელიც შავ ზღვას ერთვის გუდავასთან, აწერია "ოქუმი, ანუ ტარსურა". იმავე ავტორის "სამეგრელოს აღწერაში" კი ვკითხულობთ. "ხეთის (იგულისხმება ერისწყალი – პ.ც) იქით არის ოქუმი, რომელიც ჩაუდის ტარშენს (იგულიხმება წარჩე – პ. ც.) და რომელმაც შეიძლება ამ ადგილისაგან მიიღო თავისი სახელი". სოფელი ოქუმი მოხსენიებული აქვს შვეიცარიელ მოგზაურსა და გეოლოგს დიუბუა დე მონპერეს, რომელმაც კავკასიაში იმოგზაურა 1831-1834 წლებში. 1840 წელს ბედიიდან ოქუმში გადაუტანიათ სამურზაყანოს საბოქაულოს ცენტრი. 1886 წელს ოქუმის თემი შედგებოდა ორი სოფლისაგან – ოქუმი (512 კ., 2619 სული) და ჩხორთოლი (206 კ., 1012 სული). . 1930 წელს კი გალის მაზრის ოქუმის სას. საბჭო შეიცავდა მხოლოდ ერთადერთ სოფელს სახელწოდებით "ოქუმი-ელალო". 1992 წელს ოქუმში მკვიდრობდა 53 გვარი. მათგან ძირძველ გვარებად ითვლებიან: ჯგუბურია – 30 კომლი, ჯანჯულია – 22 კ., რიგვავა – 15

კ., ბაღიშვილი – 14 კ., ფარფალია – 12 კ., შონია – 12 კ., წირღვავა – 10 კ.. და სხვ. გადმოცემა ზოგ გვარზე: ჯგუბურიების წინაპარი, სახელად მაკურჩხია, ხორგიდან გამოქცეულა და აფხაზეთში მარშანიას შეხიზვნია. იმას კი უჩუქებია ჩხორთოლელი ემხვარისათვის, ამ უკანასკნელს კი იგი ოჯახით ოქუმელი ანჩბაიასათვის დაუთმია მიწის საფასურად; ბაღიშვილები წარმოშობით რაჭიდან არიან, ქვაჩახიები – ჭალადიდიდან, ჯუმუტიები – ონიდან; ჯინჯოლიები გელათში აგზავნიდნენ ჯინჯიხატისათვის შესაწირ სანთელსა და ხურდა ფულს; სირგინავებს სჯერათ, რომ მათი წინაპრების გვარია ციბა, თუმცა კი მოსალოცავად ყულიშკარში დადიოდნენ. სოფლის გეოგრაფიული სახელები ჩაწერილია 1975 და 1991 წლებში. ინფორმატორები:

ბაღსკუა (ბაღიშვილი) ღოღო დუტუს ძე, 58 წლისა;
მელაია შურა ნარიქის ასული, 63 წლისა;
სირგინავა ჯოგო ვასილის ძე, 72 წლისა;
შონია გიორგი ნიკოლოზის ძე, 63 წლისა;
შონია ლადი ბახვას ძე, 70 წლისა;
ქვაჩახია იაკობ ბოღოს ძე, 84 წლისა;
წირღვავა ვანია ალექსის ძე, 58 წლისა;
ჯინჯოლია ინალი ფილუს ძე, 75 წლისა;
ჯგუბურია კიტო ივაკას ძე, 67 წლისა;
ჯგუბურია ტერენტი ანდრიას ძე, 58 წლისა.

ოცარცე – სოფელი დიხაზურგის თემში (გალის რ.), ენგურის მარჯ. ნაპირას. მოიცავს სათანჯოს კალთებსაც. ზ. დ. 130 მ. გალიდან 15 კმ. ესაზღვრება: ზენი (დიხაზურგის თემისა), ზენი (ჭუბურხინჯის თემისა), დიხაზურგა, ჭუბურხინჯი. 1930 წელს დიხაზურგის სას. საბჭოში შედიოდა ორი ოცარცე: 1. ოცარცე; 2. ოცარცე-სამიქაო. ცნობილი "ოცარცეს ციხე", რომლის კვალი უკვე გამქრალია, XVII ს-ში ყოფილა აგებული. მეგრულში ცარცი ეწოდება კირის გამოსაწვავ ქვას, რომელიც აქვე, სათანჯოს კალთაზე, მოიპოვება. სახელწოდება ოცარცე "საცარცე" სწორედ ამ სიტყვიდან წარმოქმნილა დანიშნულების ო-ე პრეფიქს-სუფიქსით. ხალხური ეტიმოლოგია: "ხალხის საძარცვავი (ოცვარცუე) ადგილი ყოფილა და ამიტომ დაურქმევიათ ოცარცე". 1991 წელს ოცარცეში ცხოვრობდა 33 გვარი, მათგან: ჯინჯოლია – 26 კომლი, გამსახურდია – 22 კ., კოკაია – 16 კ., გოგოხია – 14 კ., გვაგვალია – 7 კ. და სხვ. გადმოცემა ზოგ გვარზე: გამსახურდიების წინაპარი, სახელად

ჭკვერკოჩი, ახუთიდან მოსულა. სხვა გადმოცემით, გამსახურდიები აბაშიდან თუ ობუჯიდან არიან, მაგრამ ჯინჯიხატი სათურქოში ჰქონიათ; პატარაიები გადმოსახლებულან ბანძიდან, ხოლო პერტაიები – კგწიიდან. ოცარცეს ტოპონიმური აღწერა ჩატარდა 1980 წელს. ინფორმატორები:

ბართავა ლენტიკო როსტოს ასული, 78 წლისა;
გამსახურდია ბიკი (ბიქტორ) კოსტას ძე, 68 წლისა;
გამსახურდია იურა ბეგის ძე, 55 წლისა;
გამსახურდია მადიშა მაქსიმეს ასული, 61 წლისა;
გამსახურდია პართენ ძუკუს ძე, 70 წლისა;
პატარაია მამია არჩილის ძე, 53 წლისა;
პერტაია რაჟდენ ნარჩუს ძე, 70 წლისა;
ხარჩილავა შალვა არტემის ძე, 53 წლისა.

ოხოჯა – სოფელი აგუბედიის თემში (ოჩამჩირის რ.), ოხოჯე-ქოლეის შესართავთან. ზ. დ. 230 მ. ოჩამჩირიდან 32 კმ. ესაზღვრება: ნარჯხეუ, აგუბედია, პატრახუწა. ადგ. ვარიანტი: სახოჯა. აფხაზური ოხოჯა მიღებულია მეგრული ოხოჯე-საგან (შდრ. ოჩამჩირე→ ოჩამჩირა), რაც სახარეს ნიშნავს. გადმოცემით, ტყეში ერთგან ხარების სამწყვდევი ადგილი ჰქონიათ. ოხოჯეც სწორედ ამას ნიშნავს. სოფელში გამავალ მდინარეს ეს სახელი შერჩა. ამჟამად სოფელში ცხოვრობენ გვარად ხოჯავები და ამიტომ სახოჯასაც უწოდებენ. ფაქტობრივად, ოხოჯა ოხოჯესა და სახოჯაას კონტამინაციით მიღებული ფორმაა (ხოჯავა ადგილობრივ გამოითქმის როგორც ხოჯაა). სოფელი იყოფა ორ ნაწილად: რზენიშ სახოჯა და სუკიშ სახოჯა. სოფელი ოხოჯა არც 1886 წლის აღწერის მასალებში ჩანს და არც 1930 წლის ცნობარში. ე.ი. დასახლებულმა პუნქტმა სოფლის სტატუსი 5–6 ათეული წლის წინათ მიიღო. 1982 წელს, მასალის ჩაწერისას, აქ ცხოვრობდა 31 კომლი. ინფორმატორები:

გვარამია სოგრატ კადგრის ძე, 59 წლისა;
კაკაჩია მიშა ჰანაბუს ძე, 76 წლისა;
ნარმანია ვალიკო მიხეილის ძე, 43 წლისა;
წულაია აგრაფინა ხვაფის ასული, 70 წლისა;
ხოჯავა მინო ვასილის ძე, 56 წლისა.

ოხურეი – სოფელი აჩიგვარის თემში (გალის რ.), ოხურეიწყარის მარც. მხარეს. ზ. დ. 20 მ. გალიდან 11 კმ. ესაზღვრება: აჩიგვარა, ანარია, პ. გუდავა, ოხურეი (ილორის თემისა). ადგ. ვარიანტი: ოხური (იხ. აგრეთვე: ოხურეი – თემი ოჩამჩირის რ-ნში). გადმოცემა

ზოგ გვარზე: ჯობავების წინაპარი სამი ძმა წამოსულა ხორგიდან. ერთი დამდგარა რეჩხში, მეორე – რეჩხიშდუდში, მესამე კი კვიტოულში დამკვიდრებულა. ამ უკანასკნელის შთამომავლები გააფხაზებულან და ჯოპუად დაწერილან; ლაგგრვანძეები გურიიდან გოფილან. სოფლის მიკროტოპონიმია აღინუსხა 1980 წელს. ინფორმატორები:

ბელქანია ლევან თედოს ძე, 62 წლისა;
გოგოხია ხარიტონ ეგნატეს ძე, 63 წლისა;
ელერჯია ვალოდია დიტოს ძე, 69 წლისა;
ლაგგრვანძე სანდრო (კუკუტი) მიქელას ძე, 74 წლისა;
მიქაძე კოლია გიორგის ძე, 70 წლისა;
ნარმანია ვლადიმერ (ღუჩი) კოსტას ძე, 79 წლისა;
ნიჟარაძე ივანე შაჰანის ძე, 70 წლისა;
ქაცაბაია სანდრო მიხეილის ძე, 75 წლისა;
ჯობავა არდევან ძაკას ძე, 63 წლისა.

ოხურეი – სოფელი გუდავის თემში (გალის რ.), ოხურეიწყარის მარც. მხარეს. ზ. დ. 10 მ., გალიდან 17 კმ. ესაზღვრება: პ. გუდავა, მ. გუდავა, ანარია, ოხურეი (აჩიგვარის თემი), ოხურეი (ილორის თემი). 1992 წელს სოფელში ცხოვრობდა 40 გვარის მატარებელი 85 კომლი (348 სული). მათ შორის: ქუთელია, ხაბურზანია, გოგოხია, კიკორია, კვაშილავა, შამათავა, წურწუმია და სხვ. ზაქარაიების წინაპრები ბანძიდან რეკაში ჩასულან და იქ გააფხაზებულან, ლიპარტიების წინაპრები კი ახუთიდან ყოფილან. სოფლის ტოპონიმური აღწერა ჩატარდა 1980 წელს. ინფორმატორები:

ბერძენია კირილე რომანის ძე, 60 წლისა;
ბერძენია შალიკო სტეფანეს ძე, 54 წლისა;
ზაქარაია ბოჭო ჯაგუზის ძე, 60 წლისა;
ზაქარაია ტარასი ჯაგუზის ძე, 68 წლისა;
ლიპარტია ბიჭიკო ელიზბარის ძე, 52 წლისა;
პაპასქირი პროფი ტაგუს ძე, 68 წლისა;
ხურცილავა ვალიკო სოლომონის ძე, 73 წლისა.

ოხურეი – სოფელი ილორის თემში (ოჩამჩირის რ.), ოხურეიწყარის მარჯ. ნაპირას. ზ. დ. 20 მ., ოჩამჩირიდან 7 კმ. ესაზღვრება: ილორგანი, ოხურეი (გუდავის თემი), ნაგვალოუ, ანარია (იხ. ოხურეი – თემი ოჩამჩირის რ-ნში). ადგილის სახელები ჩაწერილია 1982 წელს. ინფორმატორები:

მიქაია კიკიტო კოწიას ძე, 60 წლისა;

მიქაია ხარიტონ ივანეს ძე, 77 წლისა;
ხასია კაპიტონ გიორგის ძე, 75 წლისა.

პატრახუწა – სოფელი აგუბედიის თემში (ოჩამჩირის რ.), ოხურეის სათავესთან (შდრ. ქსე.: "...ოხოჯის ზემოთში"). ზ. დ. 200 მ. ოჩამჩირიდან 30 კმ. ამ სოფელშია ოხურეის სათავე – წყარო შარვან იძიხ და მდგენლები: აძგძკვარა, გაბიკვარა. ესაზღვრება: სა-ჩინო, ნარჯხეუ, ატიშადუ, ქვალონი. სოფელი პატრახუწა 1886 წელს შედიოდა სამურზაყანოს უბნის ბედიის თემში, ხოლო 1930 წელს – გალის მაზრის მეორე ბედიის სას. საბჭოში. ამ დროს სოფელში ცხოვრობდა 65 კომლი (297 სული). გადმოცემა: "საჩინოს გორის ძირას ერქვა პატარა ახუწა. სოფლის სახელი იქიდან მოდის. აფ-ხაზურ ენაში ახუწა აღნიშნავს მთისძირს". 1982 წელს, როცა ჩაწერილ იქნა სოფლის ადგილთა სახელები, აქ ცხოვრობდა 37 კომლი. ზოგ გვარზე გადმოცემა ასეთია: კვიწინიები ათარადან მოსულან, შანავები – წალენჯიხიდან, ქუჩულორიები და ქუჩუბე-რიები – საჩინოდან. შერგელიები სინამდვილეში შენგელიები არიან. მათი ჯინჯიხატი ობუჯშია. ინფორმატორები:

კვიწინია ევგენი ტარასის ძე, 75 წლისა;
მარშანია გივი არჩილის ძე, 27 წლისა;
ქუჩულორია სერგო გოჯოს ძე, 39 წლისა;
შანავა ხოთო კვატაიას ძე, 70 წლისა;
შერგელია დურუ მერას ძე, 69 წლისა;
ჭოლარია ლადიკო ხუსეინის ძე, 56 წლისა.

პატრახუწა – სოფელი მზიურის თემში (გალის რ.), ერისწყლის მარც. ნაპირას, ქ. გალსა და მ. შეშელეთს შუა (ქსე: "...ენგურის არხის მარცხ. ნაპირას"). ზ. დ. 60 მ. გალიდან 3 კმ. 1930 წელს შედიოდა ცხირო-გალის სას. საბჭოში. გადმოცემა: "სახელი გად-მოუტანიათ აგუბედიის პატრახუწიდან აქ გადმოსახლებულ აფხაზებს, გვარად ქვამბაიებსა და შენგელიებს". როგორც ჩანს, შემდეგ მოხდა მათი ენობრივ-ეთნიკური შერწყმა ადგილობრივ მოსახლეობასთან. ტოპონიმები ჩაწერილია 1973 წელს. ინფორ-მატორები:

ბასარია ჩაქა ნაუს ძე, 78 წლისა;
კილანავა იაკობ გელდაჩის ძე, 82 წლისა;
შენგელია ნიკოლოზ ერის ძე, 48 წლისა;
შენგელია სოფრო ივანეს ძე, 69 წლისა;
ხასაია სარდიონ გოჩას ძე, 50 წლისა;

ხუხუა კონსტანტინე ივანეს ძე, 77 წლისა.

პირველი აკვაღა – სოფელი ჰუბურხინჯის თემში (გალის რ.), ხუმუშჭურის სათავესთან. ზ. დ. 80 მ. გალიდან 6 კმ. ესაზღვრება: მ. აკვაღა, მზიური, ჰუბურხინჯი, ჰყონხუმლა. 1930 წელს პ. აკვაღა და მ. აკვაღა შედიოდა ჰუბურხინჯის სას. საბჭოში. იხ აგრეთვე : მეორე აკვაღა. ხალხური ეტიმოლოგია: "ერთ კაცს ტყეში დაკარგვია კვაღა (ცული). უძებნიათ. მპოვნელს უყვირია: ა, კვაღა". მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1973 წელს. ინფორმანტები:

აბლოთია შოთა ბარდღუს ძე, 52 წლისა.

აბლოთია ჩონჩორი ბადრას ძე, 67 წლისა;

ყოლბაია ვასილ (ჩარამი) ჭუჩუს ძე, 61 წლისა;

ყოლბაია ვლადიმერ დომენტის ძე, 61 წლისა;

ყოლბაია ტრიფონ იასონის ძე, 59 წლისა.

პირველი გუდავა – სოფელი გუდავის თემში (გალის რ.), ოქუმწყარის მარჯ. ნაპირას. ზ. დ. 15 მ. გალიდან 18 კმ. ესაზღვრება: მ. გუდავა, გუდავა (აჩიგვარის თემი), აჩიგვარა, ოხურეი (აჩიგვარის თემი). იხ. გუდავა, მეორე გუდავა. 1886 წელს პ. გუდავაში ცხოვრობდა 181 კომლი, ხოლო 1992 წელს – 57 გვარის მატარებელი 121 კომლი (468 სული). შედარებით მრავალრიცხოვანი გვარებია: ბერაია – 11 კომლი, ჩხვირკია – 7 კ., ზაქარაია – 5 კ., ლიპარტია – 5 კ., ხუტკუბია – 5 კ. და სხვ. სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმანტები:

ბერაია ღუდა სამსონის ძე, 55 წლისა;

დოჩია იტე ივანეს ძე, 78 წლისა;

ზაქარაია სანატრელი ხოთოს ძე, 54 წლისა;

კემულარია შურა რაჟდენის ასული, 50 წლისა;

კვაშილავა დათიკო ხარიტონის ძე, 48 წლისა;

კვირაია აკაკი რაჟდენის ძე, 68 წლისა.

პირველი კოპიტი – სოფელი აგუბედიის თემში (ოჩამჩირის რ.), ჯუხუსა და ელაღირის ნაპირებზე (შდრ. ქსე: "...ოხოჯის ზემოთში"). ზ. დ. 180 მ. ოჩამჩირიდან 30 კმ. ესაზღვრება: აგუბედია, ჩხორთოლი, აჯრა, მ. კოპიტი. იხ. აგრეთვე: მეორე კოპიტი. 1930 წელს პ. კოპიტი შედიოდა პირველი ბედიის სას. საბჭოში. ცხოვრობდა 56 კომლი (277 სული). 1982 წლისათვის კი კომლთა რაოდენობა შემცირდა 29-მდე. ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია ჭოლარია. ისინი გადმოსცემენ: ჩვენი წინაპრები ყოფილან ჩხოლარიები ჭალადიდიდან. ერთი ძმა აქ დასახლებულა, მეორე – აჩიგვარაში,

მესამე – პატრახუწაში. აქედან ნაწილი გადასულა თაგილონში. "ძველები" ჯინჯიხატის მოსალოცავად დადიოდნენ ჭალადიდში, ახლა კი დადიან ყულიშკარსა და მის გვერდით მდებარე ალერტში. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1982 წელს. ინფორმანტები:

შაკაია ბაგრატ ნერას ძე, 69 წლისა;

ჭოლარია გახა დუღუს ძე, 71 წლისა;

ჭოლარია ვალოდია ბეკოს ძე, 42 წლისა.

პირველი ოტობაია – სოფელი, ოტობაიის თემის ცენტრი გალის რაიონში, ენგურის მარჯ. მხარეს. ზ. დ. 5 მ. გალიდან 31 კმ. თემში შედის: პ. ოტობაია, ვეშკუდელი, მ. ოტობაია, ოკვინორე, რამი, ქვიშონა. სოფელს გარს აკრავს: რამი, მ. ოტობაია, ქვიშონა, ოკვინორე (ოტობაიის თემი). უწინ მოიცავდა ამჟამინდელი ნაბაკევის, რამისა და ზარწუფის ნაწილს. 1974 წელს სოფელში მკვიდრობდა 118 გვარი. მათგან შედარებით მრავალრიცხოვანი იყო: გამისონია – 38 კომლი, ალფენიძე – 29 კ., თაკალანძე – 26 კ., ხუფენია – 24 კ., გითოლენდია – 23 კ., მესხია – 20 კ., ზანთარაია – 19 კ., ჯოჯუა – 16 კ., კვიტია – 15 კ., ჭანია – 14 კ., ბჟინავა – 12 კ., დგებუაძე – 12 კ., ფარულუა – 11 კ., ტაბაღუა 8 კ. და სხვ. (ბახტაძე, თორდუა, ძაძუა, ტუფურია, წარაღბაია, იზორია, ბელქანია, უჩავა...). ალფენიძეები თვლიან, რომ მათი წინაპრები იყვნენ ყოფლანძეები გელათიდან. ტაბაღუების ჯინჯიხატი ხორგაშია. სოფლის ტოპონიმები ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმანტები:

ალფენიძე ჯოტორო ქკლას ძე, 81 წლისა;

ბახტაძე მიხეილ კაპიტონის ძე, 39 წლისა;

ბჟინავა ზაურ მეგონას ძე, 31 წლისა;

გითოლენდია აქვსენტი როზდანის ძე, 61 წლისა;

გითოლენდია ზაურ თაის ძე, 30 წლისა;

რატია ჭუჭული ჯამას ძე, 54 წლისა;

ტაბაღუა გუგუა ძოკიას ძე, 75 წლისა;

ჯოჯუა ქორქი ნიკოლას ძე, 48 წლისა;

ჯოჯუა შალვა კოჭოჭას ძე, 53 წლისა.

პირველი ოხურეი – სოფელი, ოხურეის თემის ცენტრი ოჩამჩირის რაიონში, ოხურეიწყარის ნაპირებზე. ზ. დ. 80 მ. ოჩამჩირიდან 17 კმ. ადგ. ვარიანტი: ჰითა ოხური (ერქვა კოლმეურნეობას). ესაზღვრება: ილორგანი, აყვარაში, მ. ოხურეი, აჩიგვარა. იხ. აგრეთვე: ოხურეი. 1939 წლამდე შედიოდა ფოქვეშის სასოფლო საბჭოში. 1982 წელს სოფელში ცხოვრობდა 164 კომლი. ძირითადი

გვარებია: კვეკვესქირი, ზარქუა, ჩხარჩხალია, გაბედავა, წურწუმია, ნარმანია, ჩემინავა, ლემონჯავა... კვეკვესქირები ყოფილან პაპასქირები ახუთიდან. იქიდან პირველი ჩამოსულა ინფორმანტ შ. ბ. კვეკვესქირის პაპის პაპის პაპა, სახელად უჩა; ხანწკელი ლაგვილავები და დარსანიები სამურზაყანოში სათოხნად დადიოდნენ და მერე აქ დარჩენილან; სონგულიების წინაპრები ობუჯიდან არიან, ზარქუებისა- წალენჯიხიდან. სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1982 წელს. ინფორმანტები:

ზარქუა კოპილა შაგუს ძე, 76 წლისა;
კვეკვესქირი აბელ ჩანთალას ძე, 55 წლისა;
კვეკვესქირი შალვა ბახვას ძე, 61 წლისა;
ლაგვილავა ილარიონ მიხას ძე, 69 წლისა;
ჟვანია ივანე დათას ძე, 58 წლისა;
სალია შოთა აქვსენტის ძე, 53 წლისა;
სონგულია ნიკო გუდუს ძე, 82 წლისა;
შანავა ტურუ ძოკოს ძე, 74 წლისა.

პირველი შეშელეთი – სოფელი მუხურის თემში (გალის რ.), ერისწყლის მარჯ. მხარეს, მეორე შეშელეთის პირდაპირ. ზ. დ. 70 მ. გალიდან 7 კმ. ესაზღვრება: ლეკუმხარა, კოხორა, საბულისკერიო (მუხურის თემისა), ტოგონი, მ. შეშელეთი. იხ. აგრეთვე: შეშელეთი, მეორე შეშელეთი. 1992 წელს პ. შეშელეთში ცხოვრობდა 46 გვარი. მათგან შედარებით მრავალრიცხოვანი იყო: უზარაშვილი – 17 კომლი, ქვაჩახია – 17 კ., მარკელია – 16 კ., გულუა – 8 კ., კილანავა – 6 კ., როდონაია – 6 კ., სანაია – 6 კ., ასლოიანი – 6 კ. და სხვ. გადმოცემა ზოგიერთ გვარზე: აბუხბაიები ჩამოსულან ბზიფიდან, ზვამბაიები – ჟვანდრიფშიდან, ხარშილავები – წალენჯიხიდან, ხურცილავები – კვაუთიდან, ბაღიშვილები – მარტვილიდან; კილანავების წინაპრებს წალენჯიხის რ-ნში უცხოვრიათ. იქ ისინი ამოუხოცავთ. გადარჩენილი ფეხმძიმე ქალი გამოქცეულა და ილორის ეკლესიას შეჰკედლებია, მერე კოზმავას ცოლი გამხდარა, მაგრამ შვილისთვის ნამდვილი მამის გვარი შეუნარჩუნებია. შეშელეთელი კილანავები მისი შთამომავლები არიან. ისინი ძმობით შეჰფიცებიან ზვამბაიებს, რომლებიც მერე ჩამოსულან ჟვანდრიფშიდან. თავის მხრივ, კილანავების ერთი შტო ბზიფში გადასულა და იქ მიუღია გვარი კილბა. იხ. შეშელეთი. სოფლის მიკროტოპონიმია აღინუსხა 1980 წელს. ინფორმატორები:

აბუხბაია ტერენტი პაჭვალას ძე, 76 წლისა;

ბარკალაია ნერბი ალმასხანის ძე, 76 წლისა;
ბაღიშვილი არტემ თემურის ძე, 78 წლისა;
ემხვარი შალიკო მიხას ძე, 76 წლისა;
ზვამბაია ჩაქა გუჯუს ძე, 78 წლისა;
თუნგია ბიქტორ პავლეს ძე, 94 წლისა;
კილანავა ილარიონ (ჯოტო) ხანაშუს ძე, 88 წლისა;
მალანია ალიოშა ალექსანდრეს ძე, 36 წლისა;
მაჭავარიანი დუშელი ლუკიანეს ძე, 34 წლისა;
უზარაშვილი ისაკი თემურის ძე, 74 წლისა;
ხარშილავა ვენორი შალვას ძე, 26 წლისა;
ჩქოტუა ტკტკში ნესტორის ძე, 65 წლისა;
ხურცილავა ვალოდია თამაზის ძე, 66 წლისა;
ხურცილავა მაჟარა არტემის ძე, 50 წლისა.

ჟირღალიშქა – სოფელი ლეკუხონის თემში (გალის რ.), სამურზაყანოს ლაკადისძირებში, ერისწყლის მარჯ. მხარეს. ზ. დ. 220 მ. გალიდან 35 კმ. ესაზღვრება: ლეკუხონა, ლეჭარაიე... სოფელი ძირითადად მდებარეობს მდ. (რ)თომის ორ მდგენელს შუა და აქედან მიუღია კიდეც სახელწოდება ჟირღალიშქა (მეგრ.) "ორღელეშუა". ადგ. ვარიანტებია: ჟგრთომ(ი)შქა "ორ (რ)თომს შუა" და ჟგრღალიშქა. არქანჯელო ლამბერტის "სამეგრელოს რუკაზე" (1654 წ.) ერწყარის სათავესთან, ორ შენაკადს შუა, არის ეკლესიის პირობითი ნიშანი და წარწერა Girpigi, რაც უნდა წავიკითხოთ როგორც ჟირპიჯი. მეგრული ჟირპიჯი, ისევე როგორც ქართული ორპირი, აღნიშნავს ორი მდინარის შესართავს. მაშასადამე, უწინდელი ჟირპიჯი გვიან შეუცვლიათ ტოპონიმური სინონიმით ჟირღალი, საიდანაც წარმოიქმნა სოფლის სახელი ჯირღალიშქა. "საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის" პირველ გამოცემაში (1930 წ.) სოფელი ჟირღალიშქა არ ჩანს, მაგრამ არის სოფელი პირველი რთომი საბერიოს სას. საბჭოში და მეორე რთომი ლეკუხონის სას. საბჭოში. შემდეგ ეს ორი სოფელი გააერთიანეს და უწოდეს ჟირღალიშქა. მანამდე კი, კერძოდ, 1886 წელს, რთომი (37 კომლი, 168 სული) შედიოდა საბერიოს თემში. 1973 წელს სოფელში ცხოვრობდა 75 კომლი. ამ წელსვე იქნა ჩაწერილი ადგილთა სახელები. ინფორმანტები:

ბოკუჩავა იასონ ნიკოს ძე, 71 წლისა;
მანია სარდიონ ბაგრატის ძე, 44 წლისა;
ტაბაღუა ალია თეუფანეს ძე, 42 წლისა;

ჩაკაბერია ამროზი ივანეს ძე, 65 წლისა;
ჩაკაბერია ციქორი ქოქურას ძე, 73 წლისა;
ხვარავა როინ ლადის ძე, 31 წლისა;
ჯახაია კუპუჭი ეთმეს ძე, 64 წლისა;
ჯახაია რედიონ კვეცას ძე, 67 წლისა.

რამი – სოფელი ოტობაიის თემში (გალის რ.), ენგურის მარჯ. მხარეს. ზ.დ. 5 მ. გალიდან 32 კმ. ესაზღვრება: მ. ოტობაია, პ. ოტობაია, ქვიშონა, ზარწუფა. "ქსე-ში აღნიშნულია, რომ რამი არის ყოფილი თხუმონა. სოფლის ხანდაზმულნი კი გადმოსცემენ: "სოფლის აღმ. ნაწილში ტყეს ერქვა ჯონდიშ ოთხირე. ოცდაათიან წლებში იგი გაკაფეს, დათესეს რამი და შეიქმნა რამის საბჭოთა მეურნეობა. ცოტა ხანში რამი სოფლის სახელად იქცა. შემდეგ აქ ციტრუსების გამოყვანა დაიწყეს და დაერქვა ნარამუ//სანერგე". სოფელში ცხოვრობს 43 გვარის 168 კომლი. მათგან შედარებით მრავალრიცხოვანია: ალფენიძე – 25 კომლი, ხუფენია – 24 კ., რატია – 14 კ., საჯაია – 8 კ., ახალაია – 6 კ., ბერანძე – 6 კ., თორდუა – 6 კ., სალაყაია – 6 კ., იზორია – 5 კ., ფარულუა – 5 კ., ჩიტაია – 5 კ., ძაძუა – 5 კ. და სხვ. ადგილის სახელები ჩაწერილ იქნა 1974 წელს. ინფორმატორები:

ბოკუჩავა ვანო ნიკოს ძე, 75 წლისა;
რატია მიშა ვლადიმერის ძე, 67 წლისა.

რეკა – სოფელი, თემის ცენტრი ოჩამჩირის რაიონში. მდებარეობს ოხურეის მარც. მხარეს, ელიაკვარის ზემო წელზე. ზ. დ. 100 მ. ოჩამჩირიდან 18 კმ. ესაზღვრება: ბედია, საჩინო, ჯგერიანი... სოფელში შემონახულია ადრინდელი შუა საუკუნეების სამი ნაციხარი. რეკა ძირძველი კოლხური გეოგრაფიული სახელია. იგი დამოწმებულია ლევან დადიანის მიერ "ბიჭვინტის ტაძრისადმი შეწირულობის სიგელში", რომელიც 1628 წელსაა შედგენილი. აქ ნათქვამია, რომ "ხახუტაი კოზმა რეკას" არის საეკლესიო ბეგრის გადამხდელი (იხ.: ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტფ., 1921, გვ. 41).. 1886 წელს სოფელი რეკა შედიოდა კოდორის უბნის ბედიის თემში (92 კომლი, 378 სული). 1930 წლისათვის უკვე შექმნილია გალის მაზრის რეკის სას. საბჭო, რომელშიც შედიოდა: ოხურეი, რეკა, საჩინო, ჯერგიანი (დემგერფანი). რეკა მეგრულში ლანდშაფტური ტერმინია: აღნიშნავს მდინარისპირა ქვიან ადგილს. საზოგადო (შდრ.: რეკა – მდინარის ქვიანი და ქვიშიანი ნაპირი; რიყე, კრიახი": ო. ქაჯაია, მეგრულ-

ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002). სიტყვის ეს მნიშვნელობა არ დარჩენია შეუმჩნეველი იტალიელ არქანჯელო ლამბერტის, რომელიც წერს: "რადგან რეას კერპი ფაზისის ნაპირას იყო, მე ვფიქრობ, რომ მეგრული სახელწოდება ნაპირისა რეკა აქედან უნდა სწარმოებდეს: სიტყვა რეა გადაუსხვაფერებიათ რეკად". სამეგრელოში რეკა რამდენიმე ადგილას გვხვდება მდინარისპირა წვრილქვიანი ადგილის სახელად. ხალხური ეტიმოლოგია კი ამბობს: "საქიშმარიოს სერზე ეკიდა ზარი და როცა სამუშაოდ უნდა გამოსულიყვნენ, დარეკავდნენ. ამიტომ დარქმევია რეკა". რეკა ეწოდება სოფელს სენაკის რ-ნიც, მდ. ჩხუშიის მარჯ. ნაპირას. იქ მცხოვრები ფაჩულიების მტკიცებით, მათი წინაპრები აფხაზების შიშით გადახვეწილან სამურზაყანოს რეკა-დან, ჩხუშიის ნაპირას დამკვიდრებულან და სოფლის სახელიც გადაუტანიათ. გადმოცემა ორ ძირითად გვარზე: სოფლის პირველი მოსახლის გვარი ყოფილა შათიფა (გვარის ვარიანტები სხვადასხვა დროსა და ადგილას: შაბალუყვა, შაბაალურხვა, სოტიშვილი, ცოცისჭუა). შემდეგ ფსხუდან თუ ჭლოუდან ჩამოსულა ქიშმარიების წინაპარი, რომელიც შათიფებს კარგად მიუღიათ და აქვე დარჩენილა. ადგილის სახელი ჩაწერილ იქნა 1982 წელს. ინფორმანტები:

აბშილავა იროდი პავლეს ძე, 82 წლისა;
აფშილავა მაჭუჭი გაჯის ძე, 71 წლისა;
კორტავა ზაურ უშანგის ძე, 29 წლისა;
ქიშმარია ალიოშა კუპას ძე, 80 წლისა;
ქიშმარია პლატონ ზაფასის ძე, 80 წლისა;
ქიშმარია სოფრომ რომას ძე, 47 წლისა;
ქიშმარია ტურუ გუჯუს ძე, 52 წლისა.

რეფი-ეწერი – სოფელი, რეფი-შეშელეთის თემის ცენტრი გალის რაიონში, ჭიპე ერწყარისა და ოჯოლორის ნაპირებზე. ზ. დ. 20 მ. გალიდან 10 კმ. ესაზღვრება: მ. შეშელეთი, ხუმუშქური, ხუმენი-ნათოფური. რეფი (იხ.) და ეწერი (ოჯოლორის მარც. ნაპირას) სოფლის კუთხეებია, მაგრამ უწინ სოფლებად ითვლებოდა. 1886 წელს სოფელი რეფი შედიოდა გუდავის თემში, ხოლო 1930 წლისათვის კი – ახლად შექმნილ რეფი-შეშელეთის სას. საბჭოში. შემდგომში რეფისა და ეწრის ტერიტორიული შეერთებით წარმოქმნილი სოფლისათვის ორივე სახელი შეუნარჩუნებიათ. სოფლის პირველმოსახლენი ყოფილან უზარაშვილები (სახლობენ ოჯოლორის ნაპირას) და ჯღარკავები (სახლობენ ჭიპე ერწყარის ნაპირას).

მოგვიანებით ბანძიდან ჩამოსულან თუნგიები. ტოპონიმური აღწერა ჩატარდა 1985 წელს. ინფორმატორები იყვნენ:

ადამია სამსონ უთუს ძე, 74 წლისა;
თუნგია ბადღა ბანას ძე, 74 წლისა;
მარღანია არტემ (ღოტო) გუდუას ძე, 74 წლისა;
მარხულია იონა შავას ძე, 73 წლისა;
ორჟონია კირილე ლადის ძე, 59 წლისა;
ორჟონია ხუტუშა ლადის ძე, 53 წლისა;
სამუშია აკაკი კაჭაჭის ძე, 80 წლისა;
ჯონჯუა იროდ ბადრას ძე, 67 წლისა;
ჯღარკავა აბალონ (ლივტერ) რომას ძე, 45 წლისა;
ჯღარკავა ბიქტორ უთუს ძე, 84 წლისა.

რეჩხი – სოფელი, თემის ცენტრი გალის რ-ნში, სამურზაყანოს მთის ძირას, ერისწყლის მარჯ. ნაპირას. ნაწილობრივ დაფარა გალის წყალსაცავმა. ზ. დ. 180 მ. გალიდან 18 კმ. თემი შეიცავს საკუთრივ რეჩხსა და ხოლეს. ესაზღვრება: ხოლე, ზ. ღუმურიში, ცხირი... რეჩხზე გადის მთის საზაფხულო საძოვრებისაკენ მიმავალი გზა, რომელიც გაივლის ოისკრეს, ჩამააძმახს, ლაგვაგვიონს, ჭიჭე ოფუჯეს... სოფელში შემორჩენილია XIX ს. დამლევს აშენებული ეკლესიის ნანგრევები, ხოლო მახლობელ მთაზე – ადრინდელი შუა საუკუნეების ციხესიმაგრის ნაშთი. როგორც გამორკვეულია, ეს ციხე წარმოადგენდა კოლხეთის დაბლობისა და მთიანეთის გამყოფ ხაზზე გამავალი სიმაგრეთა კედლის ერთ-ერთ რგოლს. 1886 წელს რეჩხი შედიოდა გალის თემში (269 კომლით). 1930 წლისათვის შექმნილი იყო რეჩხო-ცხირის (სწორი ფორმაა: რეჩხი-ცხირის. ო რუსული ვარიანტიდანაა გადმოსული) სას. საბჭო, რომელშიც შედიოდა რეჩხი (135 კომლი), ცხირი, ჭანდარი, ხოლე-ტოტოჩანი, ხურშონა. რეჩხის სას. საბჭო კი შეიქმნა 1979 წელს ცენტრით სოფ. რეჩხში. რეჩხი მეგრულში ზოგადად აღნიშნავს ქვიან ადგილს (შდრ. ო. ქაჯაია: "რეჩხი იგივეა, რაც რეკა, რეყე, რეჭე, - რიყე"). გადმოცემა ამ სოფელში დამკვიდრებულ ზოგ გვარზე: ქვაცბაიათა უწინდელი გვარი ყოფილა ქეცბა. ისინი ჩამოსულან ბზიფიდან, მინდობიან ინალიფას და მიუღიათ დასასახლებელი ადგილი რეჩხში. შემდეგ ერთი ძმა გალდოუში გადასულა და ქეცბაიად დაწერილა; ვარდანიები მათი დისშვილის შთამომავლები არიან. ამიტომაც ამ სამი გვარის წარმომადგენელთა შორის ქორწინება აკრძალულია; ჯობავების წინაპრები ჩამოსულან ჭილოურიდან, კონჯარიებისა –

გუდაუთიდან, როდონაიებისა – მოიდანახედან, ფარსანძეებისა – რაჭიდან. სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილ იქნა 1974 და 1986 წლებში. ინფორმატორები:

კონჯარია ვალოდია სამსონის ძე, 75 წლისა;
კონჯარია კაჭიჭი (დიმიტრი) ქვათის ძე, 73 წლისა;
კორსანტია აბას ჭიგვას ძე, 80 წლისა;
კორსანტია აური ჩახას ძე, 27 წლისა;
როდონაია გონერი პართენის ძე, 32 წლისა;
როდონაია ინდიკო ხაფას ძე, 38 წლისა;
როდონაია ხაფა პატუხუს ძე, 74 წლისა;
როდონაია პართენ პატუხუს ძე, 72 წლისა;
ფარსანძე მიტრო ჩუხუტის ძე, 73 წლისა;
ქვაცაბაია ნიკო ძვაძვალას ძე, 74 წლისა;
ციკოლია გიორგი თათაოზის ძე, 48 წლისა;
ციკოლია ვახტანგი გიორგის ძე, 27 წლისა;
ჯობავა აპალონ ნავროზის ძე, 76 წლისა;
ჯობავა არმან ცაკუს ძე, 46 წლისა;
ჯობავა ერმინე იოსეს ძე, 44 წლისა;
ჯობავა მეგრე ჯუმბერის ძე, 55 წლისა;
ჯობავა შალვა ბუჯგას ძე, 77 წლისა;
ჯობავა ჯუმბერ თომას ძე, 94 წლისა.

საბერიო – სოფელი, თემის ცენტრა გალის რ-ნში, ერისწყლის ხეობაში. ზ. დ. 180 მ. გალიდან 20 კმ. შედის სოფლები: საბერიო, ნაჯიხური, სამარქვალო, ფართონოხორი, ღვაშგვერდი, შქაშსუკი. საბერიო 1886 წელსაც იყო თემის ცენტრი და ეს თემი მოიცავდა 20 სოფელს: ღალიხუმლა, განაცუდუ, ღვაშიგვერდი, დაურჩქელა, დიდი წიფური, დიხაზურგა, ზენი, კაკიშონი, ლეკუხონა, ლეცეტი, ლეჩარაია, ნაჯიხურუ, ნაციმერი, ოზანიში, ოხოხუ, ფართონოხორი, რთომა, საბერიო, სამარქვალო, სამიქიო (იმდროინდელი მართლწერა ძირითადად დაცულია). თემის მოსახლეობა შეადგენდა 993 კომლს (5175 სული). მათგან, აღწერის ცნობარის მიხედვით, 3 კომლი მეგრელთა ოჯახია, ხოლო ყველა დანარჩენი – სამურზაყანოელთა. საქმე ისაა, რომ სამურზაყანოელში იგულისხმებოდა ძირძველი მცხოვრები, რომელიც აგრეთვე მეგრელი იყო, ხოლო "მეგრელში" – მხოლოდ სამეგრელოდან ახალგადმოსახლებული. 1930 წლისათვის საბერიოს სას. საბჭოში 11 სოფელი შედიოდა: ღალიხუმლა, განაცუდუ, ღვაშიგვერდი, დაურჩქელა, კაპეშიონა,

ნაძმარი, ნაჯიხური, საბერიო, სამარკვალო, ფართონოხორი, პირველი რთომი. სახელწოდება სა-ბერი-ო წარმოქმნილია მეგრულისათვის დამახასიათებელი ტოპონიმური (ოიკონიმური) მოდელით: ამოსავალი ფუძე არის გვარი ბერია, ხოლო სა-ო პრეფიქს-სუფიქსი დანიშნულებას გამოხატავს (შდრ. გალის რაიონშივე: სა-შამუგი-ო, სა-ბუთბაი-ო და სხვ.). გადმოცემით კი, ნაჯიხში პირველად ბერი დასახლებულა და ამიტომაც უწოდებიათ საბერიო. სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1973-74 და 1991 წლებში. ინფორმანტები:

გამისონია გენო იპოლიტეს ძე, 31 წლისა;
გუნჯუა შალვა ჯოტოს ძე, 46 წლისა;
დგებუაძე სარდიონ დუდას ძე, 73 წლისა;
დგებუაძე ღუღუნი ეთმეს ძე, 51 წლისა;
მალაზონია იონა ჯამას ძე, 72 წლისა;
მეფორია გერასიმე იოსეს ძე, 93 წლისა;
ტაბაღუა თარა ქვეთეს ძე, 83 წლისა;
სიჭინავა შალვა გიორგის ძე, 45 წლისა;
ფიფია იონა სტეფანეს ძე, 68 წლისა;
ქობალია კოლია ექვთიმეს ძე, 48 წლისა;
შონია დიანოზ ბადრას ძე, 77 წლისა;
ცაავა ისიდორე კვიკვინას ძე, 85 წლისა;
წულაია ძიგა ბურდღუს ძე, 75 წლისა;
ჯინორია ნინელი დიმიტრის ასული, 45 წლისა.

საბუთბაიო – სოფელი ზემო ბარღების თემში (გალის რ.), ხუმუშქურის მარც. მხარეს. ზ. დ. 15 მ. გალიდან 13 კმ. ესაზღვრება: ბოგვეთი, საშამუგიო, ხუმუშქური. ამიერკავკასიის მხარეში 1886 წელს ჩატარებული კომლობრივი აღწერის "კრებულის" მიხედვით, გალის რაიონში სოფელი საბუთბაიო (და არც საშამუგიო) არ არსებობს. საბუთბაიოსა და საშამუგიოს არც 1930 წელს ჰქონიათ სოფლის სტატუსი. სახელწოდება საბუთბაიო მიუთითებს, რომ აქ ცხოვრობენ ბუთბაიები. ამავე სოფელში დასახლებულ უბანს მართლაც ეწოდება საბუთბაიო. გადმოცემით, ბუთბაიების წინაპრები ჩამოსულან ბზიფიდან. სოფლის ტოპონიმები ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმანტები:

ბუთბაია იროდი ჩოჩის ძე, 68 წლისა;
სალაყაია ილარიონ ტულას ძე, 67 წლისა;
სალაყაია ძუკა ანდროკას ძე, 85 წლისა;

შამუგია თამშუქი ბასას ძე, 86 წლისა;
შამუგია მირიანე აქვსენტის ძე, 73 წლისა;
შამუგია მიშა ჯოტოს ძე, 64 წლისა;
შარია შალვა დიღას ძე, 64 წლისა.

საბულისკერიო – სოფელი მუხურის თემში, ოქუმწყარის მარც. მხარეს. ზ. დ. 140 მ. გალიდან 9 კმ. ესაზღვრება: პ. შეშელეთი, კოხორა, მუხური, აჩიგვარა. 1886 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებში სოფელი საბულისკერიო არ ჩანს. იგი არც "საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის" პირველ ცნობარში (ტფილისი, 1930) არის შეტანილი. როგორც ჩანს, საბულისკერიო არსებობდა როგორც დასახლებული უბანი და გასული საუკუნის შუა ხანებში მიიღო სოფლის სტატუსი. საბულისკერიო ბულისკერიებით დასახლებული ადგილის სახელია. სოფელში 1992 წელს მკვიდრობდა 24 გვარი. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანია ბულისკერია – 55 კომლი (278 სული). მათი ჯინჯიხატი ჯიხაშკარშია. იქიდან წამოსულა ორი ძმა. ერთი ოქუმში დასახლებულა (იქაცაა საბულისკერიო), მეორე კი – მუხურის ტერიტორიაზე (ოქუმელი ბულისკერიების გადმოცემა სრულებით საპირისპიროს ამტკიცებს). სხვა გვარები: გვალია – 13 კომლი, სვიმონია – 5 კ., კვარაცხელია – 4 კ. და სხვ. გვალიების წინაპრები ხორგიდან ჩამოსულან, გვარამიებისა – ჭოლიდან. ადგილის სახელები ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმანტები:

ბულისკერია ბაგო პეტრეს ძე, 72 წლისა;
ბულისკერია ბუჯგა ივანეს ძე, 68 წლისა;
ბულისკერია ცოცო თედოს ძე, 78 წლისა;
გვალია ბესა ზურაბის ძე, 74 წლისა;
გვალია შალვა ზურაბის ძე, 69 წლისა;
გვარამია კორსანტელი პავლეს ძე, 80 წლისა.

საბულისკერიო – სოფელი ოქუმის თემში (გალის რ.), მდ. ოქუმის მარჯ. მხარეს, მთის ძირას. ზ. დ. 180 მ. გალიდან 27 კმ. ესაზღვრება: აგვავერა, ოქუმი, სამელაიო. საბულისკერიო ბულისკერიებით დასახლებულ უბანსაც ეწოდება ამ სოფელში (იხ. საბულისკერიო – სოფელი მუხურის თემში). 1992 წელს ამ სოფელში მკვიდრობდა 53 გვარი. მათგან ძირძველნი და მრავალკომლიანნი არიან: ბულისკერია – 41 კომლი, შონია – 23 კ., ლაცუზბაია – 20 კ., გოგოხია – 13 კ., ჟვანია – 13 კ., შელია – 12 კ., თოდუა – 10 კ. გადმოცემა ზოგ გვარზე: ბულისკერიების წინაპრები მოსულან მარხე-

ულიდან თუ გულრიფშიდან. ამჟამად გვარის ჯინჯიხატია "ჯგეგეცუდნა" ჩხორთოლში; ლაცუზბაიების წინაპარი ქერექი ლაცგცბაი ყარაჩიდან გამოქცეულა კაცის მოკვლის გამო და ჯერ მარშანიას მინდობია, შემდეგ კი ემხვარისაგან მიუღია ფიოჩობა (აზატობა) და ადგილები ოქუმში. მას აქ დახვედრია ერთადერთი მცხოვრები კუტატი ქვაჩახია; სირგინავას წინაპარი კი ყოფილა ცგცბა, ბზიფიდან გამოქცეული კაცის მოკვლისათვის. იგი შეკედლებია ილორის მონასტერს, სადაც მერჭულეს მეხატედ დაუყენებია. მერჭულესვე უწოდებია მისთვის სერგელა, რადგან ზანტი ყოფილა. აქედან მომდინარეობს გვარი სირგინავა. სოფლის მიკროტოპონია აღიწერა 1975 წელს. ინფორმატორები:

ბულისკერია ბადა ნიჩვას ძე, 80 წლისა;
ბულისკერია ტიონი ნიკოლას ძე, 68 წლისა;
ბულისკერია ძაკვა ჯოგოს ძე, 62 წლისა;
ბულისკერია შაჰანი კეხუცას ძე, 92 წლისა;
ზვედელავა გივი ლეონტის ძე, 32 წლისა;
ლაცუზბაია ბეგო ნიკოს ძე, 69 წლისა;
მელაია ტერენტი ჯიგუს ძე, 65 წლისა;
სირგინავა ანდრო გაჯის ძე, 68 წლისა;
შონია გიორგი ნიკოლოზის ძე, 47 წლისა.

საბჭოთა ჩაი – სოფელი ქვემო ბარღების თემში (გალის რ.), მდ. ქირის ორივე ნაპირზე. ზ. დ. 10 მ. გალიდან 15 კმ. ესაზღვრება: ზ. ბარღები, ნაბაკევი, სიდა, ოკვინორე (განახლების თემისა), ქვ. ბარღები. 1886 წელს სამურზაყანოს უბნის ბარღების თემში ბარღებსა და სიდასთან ერთად შედიოდა სოფლები მაბირი და ხიტუშ მუხური (იხ.). 1928 წელს პირველი ხიტუშ მუხური შევიდა ზედა ბარღების სას. საბჭოში, ხოლო მეორე ხიტუშ მუხური – ქვედა ბარღების სას. საბჭოში. 30-იან წლებში ხიტუშ მუხურში გააშენეს ჩაი და დააარსეს კოლმეურნეობა "საბჭოთა ჩაი", რომელიც შემდგომში ჩაის საბჭოთა მეურნეობად გადაიქცა. ბოლოს საბჭოთა ჩაი სოფლის სახელადაც დამკვიდრდა და დღემდე გადარჩმეული არ არის. სოფელი შედგება ორი ნაწილისაგან: მაბირი – ქირიწყარის მარც. ნაპირას და ხიტუშ მუხური – ამავე მდინარის მარჯ. ნაპირას. გადმოცემა ზოგ გვარზე: სამ ძმა კიკალიას, რომელთაც ერქვათ გიორგობე, თანაფია და ცუტუ, ყარაჩში თავადი მოუკლავს. იქიდან გამოქცეულან და გიორგობე მაბირში დამკვიდრებულა, ხოლო თანაფია – კვიტოულში. მათი შთამომავლები კიკალიებად იწერე-

ბიან. მესამე ძმა ცუტუ ჭუბურხინჯში დასახლებულა და მისი მემკვიდრეები ატარებენ გვარ კიკალეიშვილს (სხვა გადმოცემით, კიკალიების წანაპარი ხუთი ძმა ყარაჩიდან გადმოსულა: ერთი ძმა გურიაში წასულა და გვარად კიკალეიშვილი გამხდარა, მეორე ძმა კოჩარაში დამკვიდრებულა და კაკალიად დაწერილა, მესამის შთამომავლები კი კვიტოულში ცხოვრობენ...); ტურავების წინაპრები – ძმები ბუცა და ივა – ხეთიდან ყოფილან. ერთი ძმა ანჩბაიას ჭითა ფონის ნაპირას დაუსახლებია, ხოლო მეორე – ბარცხენში; ჯოლოგუები ჭოღიდან არიან... გადმოცემები და ადგილის სახელები ჩაწერილია 1980 წელს ინფორმანტთაგან:

კიკალია იროდი ერჩქინის ძე, 74 წლისა;
კიკალია ლოსია პეტრეს ძე, 74 წლისა;
კიკალია ღუბური ნიკოს ძე, 69 წლისა;
პაპასქუა ვალოდია ჯამას ძე, 74 წლისა;
ტურავა პლატონ ბათირის ძე, 74 წლისა;
ჯოლოგუა მიხა ყაიას ძე, 68 წლისა.

სალხინო – სოფელი თაგილონის თემში (გალის რ.), ენგურის მარჯ. მხარეს, სარკინიგზო ტრასაზე. ზ. დ. 80 მ. გალიდან 13 კმ. ესაზღვრება: ზენი (ჭუბურხინჯის თემი), ჭუბურხინჯი, სიდა, თაგილონი. 1930 წელს ამ ტერიტორიზე იყო სოფელი ზედა თაგელონი, რომელიც შედიოდა თაგელონის (ასე ეწოდებოდა) სას. საბჭოში. მისი ადგ. ვარიანტები იყო: ზემო უბანი//ეკიანი უბანი//ჟინი თაგილონი//ზემო თაგილონი. აქ 30-იან წლებში რკინიგზის ბაქანს უწოდეს სათანჯო (მთა სათანჯოს მიხედვით, რომელიც აქედან რამდენიმე კმ-ზეა და დაჰყურებს სამურზაყანოს დაბლობს). ბაქანს ჰქონდა რუსული წარწერაც Сатанджо. ბაქნის სახელი დაერქვა საარჩევნო უბანსაც. შემდეგ რუსული ეკვივალენტი სატანჯო შეუფერებელ სახელად ჩათვალეს, კარგად ვცხოვრობთ, ტანჯვა რა შუაშიაო და აქ დაარსებულ კოლმეურნეობას უწოდეს სალხინო, რაც 60-იან წლებში სოფლის სახელადაც იქცა. გადმოცემა ზოგ გვარზე: კორკელიების წინაპარი სამი ძმა კინჩხიდან ჩამოსულა: ერთი დამკვიდრებულა თაგილონში, მეორე – კუნთხუ ოტობაიაში, მესამე – ორსანტიაში; აბლოთიების მამა-პაპანი გელათში დადიოდნენ ჯინჯიხატის მოსალოცავად, ხოლო ჯანჯღავები-სა და მირცხულავებისა – ყულიშკარში; კვესელავები წარმოშობით მარტვილიდან არიან, აბზიანიძეები – ჯიხაიშიდან. სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმანტები:

აბზიანიძე ზაქარა პეტრეს ძე, 88 წლისა;
აბლოთია გრიშა ჯამას ძე, 74 წლისა;
აბლოთია მამია კადგრის ძე, 70 წლისა;
კვესელავა კიკი იასონის ძე, 70 წლისა;
კორკელია ვასო ნიკოლოზის ძე, 65 წლისა;
მირცხულავა შალვა იოსების ძე, 67 წლისა;
მირცხულავა შედენი თედოს ძე, 58 წლისა;
რიგვავა შალვა გერასიმეს ძე, 55 წლისა;
ძაძუა ლავრენტი ალექსის ძე, 73 წლისა;
ჯანჯღავა ვალიკო ბარნაბას ძე, 55 წლისა.

სამარქვალო – სოფელი საბერიოს თემში (გალის რ.), ენგურის მარჯ. მხარეს. ზ. დ. 160 მ. გალიდან 18 კმ. ესაზღვრება: ღვაშგვერდი, საბერიო, ზენი (დიხაზურგის თემი), შქაშისუკი. სოფელი სამარქვალო 1886 წ. საბერიოს თემში შედიოდა, ხოლო საბჭოთა პერიოდში – საბერიოს სას. საბჭოში. ტოპონიმის საწარმოებლად გამოყენებული სა-ო პრეფიქს-სუფიქსი ორგვარი ეტიმოლოგიის საფუძველს იძლევა: 1. ამოსავალი ფუძე მარქვალ- წარმოადგენს ანთროპონიმს, კერძოდ, გვარს (ალბათ: მარქვალია); 2. ამოსავალი ფუძეა მარქვალი (ვარიანტი: მარქვალიშგური), რაც ერთგვარი სოკოს სახელია (იხ. მარქვალიშგური). სოფლის ტოპონიმური აღწერა შედგა 1973 წელს. ინფორმანტები:

ღურწკაია თანასი მიხეილის ძე, 72 წლისა;
ჩქოტუა ღუღუნი მიხეილის ძე, 70 წლისა.

სამელაიო – სოფელი ოქუმის თემში (გალის რ.), ოქუმწყარის მარც. ნაპირას. ზ. დ. 160 მ. გალიდან 20 კმ. ესაზღვრება: ზ. გალი, კოხორა, ღუმურიში... სამელაიო თავდაპირველად ერქვა საკუთრივ მელაიების უბანს სოფელ ოქუმში. 1930 წელს მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სოფლის სტატუსი. მაგრამ მას შემდეგ, რაც სამელაიო სოფლის სახელად იქცა, მელაიების უბანს ეწოდა სამელაიოშ კუნთხუ. გადმოცემა ზოგ გვარზე: მელაიები ყოფილან მელაძეები ხონიდან; იქ ყოველ 3-4 წელიწადში ერთხელ აგზავნიდნენ ხურდა ფულსა და სანთელს ეკლესიაში; 1992 წელს სამელაიოში ცხოვრობდა 22 გვარი. მათგან ძირძველ გვარებად ითვლებიან: კოზმავა – 21 კომლი, მელაია – 15 კ., ჯონჯუა – 15 კ., კუკავა – 10 კ. ჯონჯუების წინაპარი გუდაუთიდან ჩამოუყვანია მის მორდუს (გამზრდელს) – მარღანიას; გერგაიები ხობიდან არიან წარმო-

შობით, ხოლო წირღვავები – უშაფათიდან. ადგილის სახელები 1975 წელსაა ჩაწერილი. ინფორმატორები:

გერგაია ძიკა კემას ძე, 63 წლისა;
ზაქარაია აკაკი ბაჯას ძე, 61 წლისა;
კოზმავა გულიკო ნაუს ძე, 47 წლისა;
მელაია კაპიტონ ჯოჯის ძე, 47 წლისა;
მელაია იურა ვალოს ძე, 33 წლისა;
მელაია ღუდა ნიკოლას ძე, 50 წლისა;
ფარფალია ხუხუტი ისმელის ძე, 75 წლისა;
წირღვავა ლევარსი ალექსის ძე, 61 წლისა;
ჯონჯუა ვასილ ქოჩოს ძე, 78 წლისა;
ჯონჯუა ფარნა პეტრეს ძე, 80 წლისა.

სამურზაყანოს მთა – (გამოყენებული გვაქვს სახელდებულ მიკროობიექტთა ადგილმდებარეობის მისათითებლად და ამიტომაც მოხვდა ლექსიკონის ამ ნაწილში) მეცნიერებაში დამკვიდრებული "სამურზაყანოს დაბლობი", როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიული ნომენი, მოიცავს უფრო ვრცელ ტერიტორიას – ენგურიდან კელასურამდე (ქსე, 9). წინამდებარე ლექსიკონში მეტი სიზუსტისათვის სახელდებულ გეოგრაფიულ თუ ხელოვნურ ობიექტთა ადგილმდებარეობის მისათითებლად შემოგვაქვს ცნება "სამურზაყანოს მთა" (შემოკლებით: მთა), რომლითაც აღვნიშნავთ კოდორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ განშტოებას – ენგურ-ღალიძგის წყალგამყოფ მთა-მაღლობს. შესაბამისად, სამურზაყანოს მთისწინეთში ვგულისხმობთ ამ მასივის მიმდებარე ტერიტორიას სამურზაყანოს დაბლობამდე. ოქუმის ზემოთისა და ენგურის წყალგამყოფი ქედის ტოპონიმური მასალა ჩავიწერეთ 1973 წელს. მეგზურები იყვნენ მაჟარა ძიმიშვილი და ხუხუტი ჯახაია. მარშრუტი კი ასეთი იყო: სოფელი ლეკუხონა → ოჭაკე → ოფუჯე → კიბოს მთა → ჭითა წყურგილი → ოკალმახის ზემოთი → აშთა → ანარა → ბერზოაფუ → აბჯიკვარა→ კიბოშწყარის ხეობა → ენგურის ხეობა → ქ. ჯვარი. ოქუმის ხეობა და ოქუმ-ღალიძგის შუა მდებარე მთიანი მასივი აღწერილია მომდევნო წლებში. ინფორმატორები ძირითადად იყვნენ მწყემსები, მონადირეები, ტყისმცველები, მთისძირა სოფლების მცხოვრებნი:

არშბა ხუხუნი გურის ძე, 80 წლისა;
არშბა სანდრო სულეიმანის ძე, 93 წლისა;
ახსალბა შოთა კონსტანტინეს ძე, 52 წლისა;

გარგულია გრიშა ხაგეს ძე, 52 წლისა;
გერგაია ჟორჟი გრიშას ძე, 42 წლისა;
გოგოხია ვაჟა გერასიმეს ძე, 41 წლისა;
გოგოხია ინდიკო ელიზბარის ძე, 46 წლისა;
დარსანია არტემ სტეფანეს ძე, 68 წლისა;
კაკუბავა დათიკო სანდროს ძე, 50 წლისა;
კიკორია რაჟდენ თემრაზის ძე, 65 წლისა;
კორსანტია არსანა ზოსიმეს ძე, 62 წლისა;
კორსანტია გოგო ნავრუზის ძე, 73 წლისა;
მალაზონია იოლი სოგრატის ძე, 52 წლისა;
მიქაია ბიქტორ პახვალას ძე, 64 წლისა;
პაიჭაძე შოთა ჰაკის ძე, 54 წლისა;
უბილავა მემე მახაზის ძე, 47 წლისა;
ქარდავა ჟორჟი ალექსის ძე, 40 წლისა;
ჩიჩუა აკაკი აქსენტის ძე, 60 წლისა;
ციკოლია ბესარიონ პავლეს ძე, 66 წლისა;
წირღვავა შალვა აბრამის ძე, 67 წლისა;
ხერგიანი ჰამლეტ ვალიკოს ძე, 33 წლისა;
ჯიმიშვილი მაჟარა უჯუშის ძე, 36 წლისა;
ჯუმუტია ათოშა ლადის ძე, 43 წლისა.

სამქვარი – სოფელი, პირველი გალის თემის ცენტრი (გალის რ.). მდებარეობს ერისწყალსა და ნიშონს შუა (შდრ. ქსე: "... გალის წყალსაცავის ნაპირას, ნიშონის ხეობაში"). ზ. დ. 60 მ. გალიდან 5 კმ. ესაზღვრება: ფართოღალი (ცხირის თემი), ზ. გალი, ლეკუმხარა, ქ. გალი. ინფ.: "სამქვარი თავდაპირველად ერქვა ეკლესიას ერისწყლის მარჯ. ვაკე-მაღლობზე. თემისა და ფოსტის ბეჭედსაც დღემდე აწერია სამქვარი. პირველი გალი დაერქვა საბჭოთა მეურნეობას და მერე თემსაც. ასეთი სახელწოდების სოფელი მანამდე არ არსებობდა". !930 წელს სოფელი პირველი გალი შედიოდა პირველი გალის სას. საბჭოში და იყო ამ სას. საბჭოს ცენტრი. გადმოცემა ზოგიერთ გვარზე: ქეცბაიები, ქვაცაბაიები და ვარდანიები ერთი წინაპრის შთამომავლები არიან. ისინი ბზიფიდან მოსულან; იქიდანვე არიან ჭანტურიებიც და ბასარიებიც; კვეკვესქირის წინაპარი ყოფილა პაპასქირი ნოუღალენიდან; აბაშიები ძირულიდან მოსულან. სოფლის ადგილთა სახელები ჩაიწერა 1973 და 1980 წლებში. ინფორმანტები:

აბაშია ერასტო ლუკას ძე, 73 წლისა;

აბაშია ჯოგო (გაძა) ზოსიმეს ძე, 67 წლისა;
არჯევანიძე ვალოდია პეტროს ძე, 76 წლისა;
არჯევანიძე პილა კაზას ძე, 81 წლისა;
ბიბლაია ერმანე ზოსიმეს ძე, 74 წლისა;
ბიბლაია კაპიტონ დათას ძე, 62 წლისა;
გოგლიძე სევერიან ეგნატეს ძე, 63 წლისა;
ვარდანია სარდიონ ივაკას ძე, 66 წლისა;
ზაქარაია მამანტი პარას ძე, 58 წლისა;
კაკავა ვაჟა გერასიმეს ძე, 44 წლისა;
კაკავა ვლადიმერ პეტროს ძე, 83 წლისა;
კვეკვესქირი კონდრატე ბასას ძე, 78 წლისა;
კვეკვესქირი ტარასი ფახურიას ძე, 93 წლისა;
ქეცბაია ლადი კერას ძე, 80 წლისა;
ქობალია ამირან ანდრიას ძე, 45 წლისა;
ჩხეტია ეთერ მიხეილის ასული, 56 წლისა;
ჯეჯეია ლეონტი ლუთიას ძე, 58 წლისა.

საშამუგიო – სოფელი ზემო ბარღების თემში (გალის რ.), სიდაწყარის (ხუმუშქურის მარც. შენაკადი) ორივე ნაპირას. ზ. დ. 15 მ. გალიდან 15 კმ. ესაზღვრება: სიდა, ზ. ბარღები, ხუმუშქური, საბუთბაიო. როგორც მოსალოდნელი იყო, საშამუგიო ერქვა შამუგიებით დასახლებულ უბანს და შემდეგ იქცა სოფლის სახელად. 1930 წელს საშამუგიო ჯერ კიდევ არ იყო სოფელი. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმატორები:

გულორდავა პეტრე გიორგის ძე, 72 წლისა;
პერტაია ხიხი ასლა(ნი)ს ძე, 73 წლისა;
შამუგია ვალიკო ნოჩოს ძე, 51 წლისა;
შამუგია ზაურ ვალიკოს ძე, 31 წლისა;
შონია ლადიკო ქუზუს ძე, 85 წლისა;
წურწუმია თედორე (ჯიბია) ანტონის ძე, 75 წლისა.

საჩაჩხალია – სოფელი ფოქვეშის თემში (ოჩამჩირის რ.), ოტაფისა და ღალიძგის მარც. ნაპირებზე. ზ. დ. 280 მ. ოჩამჩირიდან 29 კმ. ადგ. ვარ.: საჩაჩხალიო. ესაზღვრება: აყვარჩაფანი, ურთა, კაციჰაბლა. 1930 წ. ცნობარის მიხედვით, საჩაჩხალია, როგორც სოფელი, ჯერ კიდევ არ არსებობდა. სოფლის სახელისათვის ამოსავალია კოლხური გვარი ჩაჩხალია. ქართული პრეფიქსი სა- მეგრულშიც გამოხატავს საგნის ან ადგილის დანიშნულებას. ჩაჩხალიებით დასახლებულ უბანს ამავე სოფელში დღესაც ჩაჩხალია რჰაბ-

ლა//ჩაჩხალიაა ეწოდება. 1982 წელს სოფელში ცხოვრობდა 25 კომლი. ძირითადი გვარები: ჩაჩხალია, ჯინჯოლია, შაკაია... ამავე წელსაა ჩაწერილი ტოპონიმური მასალა. ინფორმანტები:

შაკაია ანდრეი ბარდღუს ძე, 71 წლისა;

ჯინჯოლია ვალიკო სამსონის ძე, 52 წლისა.

საჩინო – სოფელი რეკის თემში (ოჩამჩირის რ.), ოხურეის მარც. ნაპირას. ზ. დ. 200 მ. ოჩამჩირიდან 22 კმ. ესაზღვრება: აყვარაში (ფოქვეშის თემისა), პატრახუწა, რეკა, ჯგერიანი. სოფელი საჩინო 1886 წელს შედიოდა ბედიის თემში, ხოლო 1930 წელს – გალის მაზრის რეკის სას. საბჭოში. იგი ისტორიული სოფელია. არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან (პარიზის) "სამეგრელოს რუკაზე" (ორივე 1654 წ.) ოქუმის ორ მდგენელს შუა ეკლესიის თავზე არის წარწერა Saccino საჩინო. აქედან გამომდინარე, გადმოცემა, რომ სახელი საჩინო XVIII ს-ში დაურქმევიათ წალენჯიხის რ-ნის სოფ. საჩინოდან გადმოსახლებულ და აქ დამკვიდრებულ ქუჩულორიებს, სიმართლეს არ შეესაბამება. საჩინო ძველი ქართული სიტყვაა და აღნიშნავს ცხადს, შესამჩნევს, ჩინებულს, გამოჩენილს. როგორც ჩანს, ეს სიტყვა დროთა განმავლობაში იქცა ლამაზი, მშვენიერი, წარმტაცი, შემკული შენობის, ადგილის, მხარის აღმნიშვნელ ტერმინად. კერძოდ, საჩინო დაარქვეს დედოფალ დარეჯანის (ერეკლე მეორის მეუღლე) სასახლეს თბილისში (შემდგომდროინდელ ღვინის აღმართზე. აშენდა 1776 წ.). საჩინო ერქვა ისტორიულ მხარეს იმერეთში და სოფელს წალენჯიხის რ-ნში. საჩინო-რეკის დამაკავშირებელ სერზე არის რამდენიმე ნაციხარი, რომლებიც ადრინდელ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება. სოფლის მოსახლეთა ძირითადი გვარებია: ქუჩუბერია, აფშილავა, კორტავა, ლაგვილავა, პერტაია, შათიფა და სხვ. გადმოცემით, საუკუნენახევრის წინათ საჩინოდან (წალენჯიხის რ.) ჩამოსულა ოთხი ძმა ქუჩულორია – კვრბეი, ბუჯი, შხანუყვა და ქვათი. მათ აქ მარღანიასათვის უთხოვიათ მიწა და დასახლებულან, თანაც გვარი ქუჩუბერიად გადაუკეთებიათ; კორტავების წინაპრები ხორგიდან (ამჟამად ხობის რ.) გამოქცეულან და თავდაპირველად გუდაუთაში დამკვიდრებულან, შემდეგ ბესლახუბაში უცხოვრით და ბოლოს რეკაში დამკვიდრებულან. სოფლის ტოპონიმური აღწერა ჩატარდა 1982 წელს. ინფორმატორები:

აბშილავა რაულ სტეფანეს ძე, 38 წლისა;

კორტავა არსენა ჩანთალას ძე, 92 წლისა;

ქუჩუბერია დავეხი კამშიშის ძე, 48 წლისა;
ქუჩუბერია კუპუპი გიორგის ძე, 88 წლისა.

სახახუბიო – სოფელი ბედიის თემში (გალის რ.), ოხოჯისა და ელიაკვარის წყალგამყოფზე. ზ.დ. 170 მ. გალიდან 25 კმ. ესაზღვრება: აგუბედია, ბედია... სახახუბიო 1886 წელს შედიოდა ბედიის თემში, საბჭოთა პერიოდში კი ბედიის თემი დაიყო პირველი ბედიისა და მეორე ბედიის სას. საბჭოებად. სახახუბიო აღმოჩნდა მეორე ბედიის სას. საბჭოში. სოფლის სახელისათვის ამოსავალია გვარი ხახუბია. ადგილის სახელები ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმანტები:

აბშილავა ვალოდია მერაბის ძე, 67 წლისა;
გუჩუა გივი ტერენტის ძე, 26 წლისა;
კვიტია ივანე (ვანია) პავლეს ძე, 55 წლისა;
მატკავა ნიკოლოზ პავლეს ძე, 67 წლისა.

სიდა – სოფელი, თემი გალის რაიონში, სამურზაყანოს დაბლობზე, სიდაწყარის (ქირის მარჯ. შენაკადი) ორივე მხარეს. სოფ. თაგილონის თემისაგან გამოჰყოფს მდ. ტობა, ხოლო მზიურის თემისაგან – მდ. ხუმუშქური. ზ. დ. 20 მ. გალიდან 8 კმ. ესაზღვრება: თაგილონი, ზ. ბარღები, ხუმუშქური, მზიური, პ. აკვაღა. სიდა უძველესი სოფელია. იგი აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან "სამეგრელოს რუკაზე" (1654 წ.) ერისწყლის მარც. მხარეს ხვითს ქვეშოთ Suddas ფორმით. 1886 წელს სიდა შედიოდა ბარღების თემში, 1930 წლისათვის კი – სიდანაბაკევის სას. საბჭოში, რაც შემდეგ დაიშალა სიდის, ზ. ბარღებისა და ქვ. ბარღების სას. საბჭოებად. ადგ. ვარიანტი: სჯდა (სიდა//სჯდა სხვაგანაც ჰქვია ადგილს, კერძოდ, ფერდობს შიხიწყარის მარჯ. ნაპირას, მარტვილის რ-ნის სოფ. ვახაში) ხალხური ეტიმოლოგია: "ღელისპირას ოჩოკოჩი (მეგრ. "ტყის კაცი") და ქალიშვილი შეხვედრიან ერთმანეთს. შეშინებული ქალიშვილი ოჩოკოჩს ასე დაუშოშმინებია: სი და დო მა ჯიმა ("შენ და და მე ძმა"). ამის მერე დარქმევია სიდა". გადმოცემა ზოგიერთ გვარზე: სხულანძეები წარმოშობით რაჭიდან არიან, აკობიები, აქუბარდიები და შამუგიები – ჯვარიდან, ხურციები – თეკლათიდან, ყოლბაიები – ბზიფიდან, ხოლო ბასლანძეები ყოფილან ბასილაიები წაჩხურიდან. სოფლის მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმანტები:

აკობია ბაბუში ბებთუს ძე, 67 წლისა;
აქუბარდია ვალოდია ანდრიას ძე, 66 წლისა;

აქუბარდია ჰიჰიკო ძოკიას ძე, 80 წლისა;
ბასლანძე თომა ათანასას ძე, 80 წლისა;
ბუავა ბოკო გახუს ძე, 93 წლისა;
გამისონია გრიგოლ პატუხუს ძე, 68 წლისა;
გელენავა ამბაკო დავითის ძე, 75 წლისა;
გითოლენდია ვალოდია მარკოზის ძე, 65 წლისა;
კილასონია მედიკო ილუშას ასული, 26 წლისა;
ლექავა კოლია გუსარის ძე, 66 წლისა;
პერტაია იასონ ძუკუს ძე, 58 წლისა;
სართანია ვალერიან კიკილის ძე, 54 წლისა;
სართანია ზინობი სანდროს ძე, 66 წლისა;
სხულანძე ტრიფონ გრამიტოს ძე, 41 წლისა;
ქარდავა სევერი ერჩქის ძე, 79 წლისა;
ქობალია გოგი დათუშას ძე, 46 წლისა;
ყოლბაია გერონტი ვახტას ძე, 77 წლისა;
შამუგია ტარასი ძირგის ძე, 79 წლისა;
ჩხეიძე გერასიმე ჯოგოს ძე, 90 წლისა;
ჩხეტია ლევო ბარდღუს ძე, 72 წლისა;
ხუბულავა ამბაკო თემურის ძე, 80 წლისა;
ხურცია ისაკ კემას ძე, 68 წლისა.

სუკი — სოფელი ილორის თემში (ოჩამჩირის რ.), ღალიძგის მარც. ნაპირას. ზ. დ. 15 მ. ოჩამჩირიდან 5 კმ. ესაზღვრება: ზენი, ოხურეი (ორივე ილორის თემი), ილორი, ფოქვეში. მეგრულში სუკი აღნიშნავს ბორცვს, შემაღლებას. სოფლის ძირითადი ნაწილი სწორედ ბორცვზე მდებარეობს. ბორცვის სახელი სოფლის სახელად იქცა რამდენიმე ათეული წლის წინათ. მისი მიკროტოპონიმია ჩაწერილ იქნა 1982 წელს. ინფორმატორები:

ბჟინავა შოთა მურადის ძე, 64 წლისა;
გობეჩია გიორგი (ჯოჯო) ანტონის ძე, 74 წლისა;
ვახანია დათიკო დიმიტრის ძე, 60 წლისა;
კვარაცხელია ვალოდია მიხეილის ძე, 71 წლისა;
ნარმანია სერაპიონ ბეგლარის ძე, 71 წლისა;
უბილავა ორდენ ნიკოს ძე, 69 წლისა;
ღებრანძე იროდი ანდრიას ძე, 50 წლისა.

ტოგონი — სოფელი აჩიგვარის თემში (გალის რ.), ერისწყლის მარჯ. ნაპირას. ზ. დ. 20 მ. გალიდან 13 კმ. ესაზღვრება: პ. შე-შელეთი, პ. გუდავა, აჩიგვარა. 1886 წელს ტოგონი ორ სოფლად იყო

გაყოფილი და ერთი შედიოდა გუდავის თემში (17 კომლი, 71 სული), ხოლო მეორე – მუხურის თემში (9 კომლი, 46 სული). საბჭოთა წყობილების პირველ წლებში ტოგონი, როგორც სოფელი, გაუქმდა ("საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის" 1930 წელს გამოცემულ ცნობარში იგი არ ჩანს). ტოგონი ძველი ქართული სიტყვაა. სულხან-საბას, ნ. ჩუბინაშვილის, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში იგი დასახელებულია ტუგუნი ფორმით და ასეა განმარტებული: "მაღალი საჯდომი მოვლებული"; "მრგვლივ მაღალი საჯდომი"; "მაღალი საჯდომი გარემოვლებით", რაც ამფითეატრს უნდა გულისხმობდეს. ეს სიტყვა ქართული ენის დასავლურ დიალექტებში დადასტურებულია ტ ო გ ო ნ ი ფორმით და გვხვდება იმერეთისა და გურიის ტოპონიმიაშიც. ალ. ღლონტი წიგნში "სუფსა-ნატანების ხეობები" (თბ., 1993) წერს: "რამდენიმე მოხუცი დიდი ცაცხვის ჩრდილში ტოგონზე იჯდა, ჩიბუხს აბოლებდა და ტკბილად საუბრობდა". ზემო იმერეთის სოფ. ქორეთის მკვიდრს ტოპონიმი ტოგონი ასე განუმარტავს: "ტოგონი ყანაა, სწორი ადგილია, მაღლა ვაკეა და აქეთ-იქით გადასახედავი" (ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 613). ასეთი განმარტება საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ლექსემა ტოგონი ქცეულა მეტაფორულ გეოგრაფიულ ტერმინად, რომელიც აღნიშნავს შემაღლებულ ადგილს, ვაკე-ბორცვს. ეს გარემოება ეჭვის ქვეშ აყენებს თ. მიბჩუანის მოსაზრებას, რომ აჩიგვარის თემის სოფ. ტოგონის სახელწოდება უკავშირდება სვანურ სიტყვას ტოგენ//ტუგენ, რაც ნიშნავს: "ქვიტკირის სახლის ქვედა სართულის (მაჩუბის) კედელში საგანგებოდ ამოჭრილი ადგილი, რომელშიც აწყობდნენ სამეურნეო იარაღებს". ტოპონიმის ასეთი მოტივაცია ძნელი გასაზიარებელია, თუმცა კი შეუძლებელი არაა, სვანური ტოგან//ტუგენ სიტყვის სემანტიკა ძველი ქართულის ტუგუნ- ლექსემასთან იყოს დაკავშირებული. ინფორმატორი კი განმარტავს მშობლიური სოფლის სახელს: "ტოგონეს იტყვიან, თუ ძალიან ღრმა და ფართო წყალია. ტოგონე წყალია, მაგალითად, აჩიგვარის ბებესირში". სხვათა შორის, "საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონის" მიხედვით, სამეგრელოში ტოგონი სხვაგანაც დასტურდება ტოპონიმად, კერძოდ, შავღელის (ხობის რ.) მარჯ. შენაკადის სახელად. ტოგონის მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმანტები:

არდია ანატოლი მირონის ძე, 34 წლისა;

გულორდავა პილა ლაუს ძე, 56 წლისა;
დოჩია შალვა გჯას ძე, 48 წლისა;
ესართია ვაჟა აკაკის ძე, 45 წლისა;
თორია შოთა კაპიტონის ძე, 57 წლისა;
კვარაცხელია ბორის აკაკის ძე, 49 წლისა.

ტყვარჩელი – ქალაქი (1942 წლიდან) ღალიძგის ხეობაში. გაშენებულია მდინარის გასწვრივ 17 კმ-ზე. ზღვის დონიდან 200-600 მეტრი, სოხუმიდან 80 კმ., თბილისიდან – 418 კმ. ქვემო დასახლებას, სადაც ადმინისტრაციული ცენტრია, ეწოდება კვეზანი//კვაზანი. სამურზაყანოელნი თვლიან, რომ სწორედ ესაა თავდაპირველი ტყვარჩელი. სხვა დასახლებებია: აკარმარა, ჯანტუხა, კუმიზი. ხალხური. ეტიმოლოგია: "ოდესღაც თურმე ბზას ამზადებდნენ და გასატანი მასალა აქ იყო გრძლად დაწყობილი (მეგრ. "ტკვარჩილი"); "კვაზა აფხაზური სიტყვაა და უხვბალახიანს ნიშნავს". ტყვარჩელია, ტკვარჩელია მეგრულში ბალახია ერთგვარი (ა. მაყაშვილის "ბოტანიკური ლექსიკონის" მიხედვით ესაა ყოჩივარდა). ბალახის სახელის უშუალოდ (აფიქსაციის გარეშე) გადაქცევა ტოპონიმად არაა იშვიათი მოვლენა როგორც სამეგრელო-სამურზაყანოში, ისე სრულიად საქართველოში (თ. გვანცელაძე). ჭ. ლომთათიძე სახელწოდებას უკავშირებს ქვანახშირის ფენებად, შრეებად დალაგებას. წინამდებარე ლექსიკონში შეტანილია ტყვარჩელის იმ ნაწილის მიკროტოპონიმია, რომელიც მდებარეობს ღალიძგის მარც. მხარეს და ჩაწერილია კუმიზში 1982 წელს. ინფორმატორები:
არშბა მუშნი თარაშის ძე, 72 წლისა;
არშბა სანდრო სულეიმანის ძე, 93 წლისა;
არშბა ხუხუნი გურის ძე, 80 წლისა;
ახსალბა შოთა კონსტანტინეს ძე, 56 წლისა;
პაიჭაძე შოთა პავლეს ძე, 54 წლისა.

ურთა – სოფელი ფოქვეშის თემში (ოჩამჩირის რ.), ოტაფის მარც. მაღლობზე. ზ. დ. 240 მ. ოჩამჩირიდან 25 კმ. ესაზღვრება: რეკა, საჩაჩხალია, პატრახუწა (აგუბედიის თემი), ფოქვეში... 1886 წელს ურთას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სოფლის სტატუსი. 1930 წელს სოფელი ურთა შედიოდა ფოქვეშის სას. საბჭოში 78 კომლით (402 სული). სახელწოდების ადგილობრივი ეტიმოლოგიები: "ურთა აფხაზური სიტყვაა და ნიშნავს კარგმოსავლიან ადგილს, ადვილად დასამუშავებელს"; "ურთჳ მეგრულად ნიშნავს განუყოფელს, გაუყოფელს, მთლიანს. ასეთი გაუყოფელი ყოფილა ტერიტორია

ჰეფიკვარის ორივე ნაპირას და ბორცვები მის სათავესთან". ურთა ეწოდება მთას ზუგდიდის რ-ნშიც. ასეთ სახელს ატარებს გეოგრაფიული ობიექტი სამხ.-დას. საქართველოშიც. 1982 წელს ურთაში ცხოვრობდა 48 კომლი. ძირითადი გვარებია: თანია, ტუიბა, ფაჩულია, ხაშბა, ჩაჩხალია. ამავე წელსაა ჩაწერილი სოფლის ადგილთა სახელები. ინფორმატორები:

ფაჩულია სამსონ ზაფასის ძე, 82 წლისა;
ფაჩულია ძიკი ვახტოს ძე, 57 წლისა;
ჩაჩხალია საულე კაის ძე, 55 წლისა;
ხაშბა ივანე ჭუჭის ძე, 78 წლისა;
ხაშბა ნიკოლოზ სათის ძე, 84 წლისა.

ფართონოხორი – სოფელი საბერიოს თემში (გალის რ.), ერწყარის მარჯ. მხარეს, რთომის, ჩეღალისა და ღალხუმლას ხეობებში, სამურზაყანოს მთის ძირას. ზ. დ. 250 მ. გალიდან 25 კმ. ესაზღვრება: ნაჯიხური, რეჩხი, საბერიო, ხოლე. საკუთრივ ფართონოხორი არის ფართო ვაკე-ზეგანი, რამდენიმე ათეული ჰა, სადაც უწინ ყოფილა "შარაშიეფიშ დოხორე". ამ დოხორეს, ანუ სასახლეს, შემდგომ დარქმევია ნადოხორ//ნოხორი. და რადგანაც ფართო ადგილი იყო, სოფლისათვის ფართონოხორი (მეგრ. "ფართო ნასახლარი") უწოდებიათ. ეს სოფელი 1886 წელს შედიოდა საბერიოს თემში (40 კომლი, 411 სული), ხოლო 1928 წლიდან – საბერიოს სას. საბჭოში (34 კომლი, 151 სული). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1973 წელს. ინფორმატორები:

გერგედავა მიხაკო აჟგერის ძე, 78 წლისა;
დგებუაძე ღუტია კოწიას ძე, 82 წლისა;
კვარაცხელია სტეფანე კაჭიჭის ძე, 85 წლისა;
კუპრავა მამია მიხას ძე, 61 წლისა;
მარხულია ბიქტორ თემრაზის ძე, 80 წლისა;
მარხულია ერასტო ბაჯის ძე, 73 წლისა;
მარხულია ხუხუ ქებუს ძე, 73 წლისა;
ღვინჯილია ვალტერ კოლიას ძე, 26 წლისა;
ღვინჯილია კოლია იოსების ძე, 48 წლისა;
ღვინჯილია ჯვებე გოჩას ძე, 72 წლისა;
ცაავა ბაძუ კვიკვინას ძე, 61 წლისა.

ფართოღალი – სოფელი ღუმურიშის თემში (გალის რ.), ძირითადად მდ. ფართოღალის ზემოთში. ზ. დ. 250 მ. გალიდან 10 კმ. ესაზღვრება: ზ. ღუმურიში, ფართოღალი (ცხირის თემისა),

ცხირი. 1886 წლის კომლობრივი აღწერის მასალებში სოფელი ფართოღალი არ ჩანს. 1930 წლის ცნობარის მიხედვით, ფართოღალი სოფელია და შედის ღუმურიშის თემში. 1987 წელს ფართოღალი ორ სოფლად იყო წარმოდგენილი ღუმურიშისა და ცხირის სას. საბჭოებში. ისინი ერთმანეთის გაგრძელებაზეა ფართო ღალის ხეობაში. ფართოღალი (მეგრ.) "ფართო ღელე" (ხეობაა ფართო) ერქვა და ჰქვია მდინარეს, რომელიც ერთოდა ერისწყალს მარჯ. მხრიდან, ხოლო ახლა გალის წყალსაცავში ჩაედინება. მაშასადამე, ჰიდრონიმი იქცა ოიკონიმად. ადგილის სახელები ჩაწერილია 1973 წელს. ინფორმანტები:

კაკუბავა ნუგზარ კირილეს ძე, 30 წლისა;

ქვაჩახია ვლადიმერ პავლეს ძე, 66 წლისა.

ფართოღალი – სოფელი ცხირის თემში (გალის რ.), გალის წყალსაცავის ნაპირას. მოიცავს მდ. ფართოღალის ქვემო წელს (შდრ. ქსე: "მდ. რეჩხის ხეობაში"). სოფლის ნაწილი დაფარა წყალსაცავმა. ზ. დ. 160 მ. გალიდან 13 კმ. ესაზღვრება: ფართოღალი (ღუმურიშის თემისა), ცხირი, სამქვარი. იხ. ფართოღალი (ღუმურიშის თემი). გადმოცემები ზოგიერთ გვარზე: ალესანდრიები ჩამოსულან ბზიფიდან, ბუავები კი რაჭველი ბუაძეები არიან: ერთი ძმა ხუმუშქურში დამკვიდრებულა, მეორე – ცხირში, მესამე – ბედიაში. სოფლის მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1973 წელს. ინფორმატორები:

ალესანდრია სანდრო ჰანასეს ძე, 70 წლისა;

ალესანდრია შალვა ნოჩოს ძე, 60 წლისა;

ბუავა სარდიონ ხახუს ძე, 64 წლისა.

ფიჩორი – სოფელი, თემის ცენტრი გალის რაიონში, შავი ზღვის ნაპირას, დიხაგუძბასა და ნაჭკადუს შუა. ესაზღვრება ნაკარღალიც. თემში შედის: ფიჩორი, ნაკარღალი, ნაჭკადუ. ზ.დ. 3 მ. გალიდან 40 კმ. 1930 წელს გალის მაზრის გაგიდა-ნაჭკადოუს სას. საბჭოში შედის დიხაგუძბაც, ნაკარღალიც და ნაჭკადოუც, ხოლო ფიჩორი შედის ოტობაიის სას. საბჭოში (140 კომლი, 624 სული). 1992 წელს ფიჩორის თემში ცხოვრობდა 109 გვარის მატარებელი 296 კომლი, მათგან საკუთრივ ფიჩორში – 52 გვარი, ნაჭკადუში – 27 გვარი, ნაკარღალში – 20 გვარი. ფიჩორში დამკვიდრებულ გვართაგან შედარებით მრავალკომლიანი იყო: ცქვიტარია – 10 კომლი, ორქონია – 9 კ., სიჭინავა – 9 კ., ალფენიძე – 7 კ., მეფორია – 7 კ. საერთოდ, ფიჩორი პირსახელიცაა და სამეგრელო-გურიის სასა-

ზღვრო მდინარესაც ეწოდება. სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1974 წელს. ინფორმატორები:

თორია ფანჯა გუდუს ძე, 80 წლისა;
ლაგვილავა ტარასი ჩაქალას ძე, 69 წლისა;
მეფორია სანდრო სოსრანის ძე, 74 წლისა;
სოსელია ერა საბეს ძე, 70 წლისა;
სოსელია პილა თემას ძე, 82 წლისა;
ფეტელავა ბიქტორ ალექსის ძე, 84 წლისა;
ქავთარაძე გიორგი სოლომონის ძე, 44 წლისა;
შამათავა ცაკვა ქუთუს ძე, 77 წლისა.

ფიცარღალი – სოფელი ქვემო ბარღების თემში (გალის რ.), ფიცარღალისა და მარაჭის ნაპირებზე. ზ. დ. 5 მ. გალიდან 20 კმ. ესაზღვრება: ოკვინორე (განახლების თემი), გინძე ეწერი, გაგიდა, ბოკვეთი, საბჭოთა ჩაი. 1930 წელს გამოცემული საქართველოს სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში შედის სოფ. ბოკვეთი, რომელსაც ფრჩხილებში მიწერილი აქვს "ფიცარი ღალი", რაც მეგრულში ფიცრის ღელეს ნიშნავს და თავდაპირველად მდინარეს ერქვა. სოფლის ტოპონიმია აღწერილ იქნა 1980 წელს. ინფორმანტები:

გითოლენდია ხუტა მაქსიმეს ძე, 65 წლისა;
ღვინჯილია ლევან ლუდუკის ძე, 25 წლისა;
ღვინჯილია ლუდუკი პოკროს ძე, 59 წლისა;
შამუგია კალისტრატე დიანოზის ძე, 56 წლისა;
შონია ვალოდია იტოს ძე, 71 წლისა;
შონია კოჩა არსანას ძე, 71 წლისა;
ხარშილავა ჯურგა იაკოს ძე, 70 წლისა.

ფოქვეში – სოფელი, თემის ცენტრი ოჩამჩირის რაიონში, ღალიძგის მარც. ნაპირას. ზ. დ. 40 მ. ოჩამჩირიდან 18 კმ. თემში შედის სოფლები: ფოქვეში, აყვარაში, საჩაჩხალია, ურთა. ესაზღვრება: აყვარაში, კაციჰაბლა... სოფელი ფოქვეში 1886 წელს შედიოდა კოდორის საბოქაულოში (უბანში) როგორც სოფელი და თემი (ცხოვრობდა 1 კომლი მეგრელი და 315 კომლი აფხაზი, სულ 1605 სული). 1930 წლისათვის უკვე არსებობს ფოქვეშის სას. საბჭო (კოდორის მაზრაში), რომელშიც შედის სოფლები: აყვარაში, კაციჰაბლა, ურთა, ფოქვეში (აგუაა, საჩაჩხალია). ამ სოფლებში ერთად ცხოვრობდა 393 კომლი (1859 სული), მათ შორის საკუთრივ ფოქვეშში – 176 კომლი (821 სული). 1982 წელს ფოქვეშში ცხოვ-

რობდა 176 კომლი (გამოეყო სოფ. საჩაჩხალია. აგუაა კი ეწოდება თვით ფოქვეშის ცენტრალურ ნაწილს). ძირითადი გვარები: ჯინჯოლია, ფაჩულია, ხაშბა, გინდია, ჩერქეზია, ჩაჩხალია, თანია, ღურწკაია, ჯინჯია. ნესტორ ჩერქეზიას ნაამბობი: "ჩვენი წინაპრები ჩერქეზეთიდან ჩამოსულან. ერთი ძმა წარჩეში დამკვიდრებულა, მეორე – ბედიაში, მესამე – ფოქვეშში. ეს მესამე ძმა იყო ჩემი პაპის პაპა შხანუყვა. დედაჩემი ანთიას ქალია გუდავიდან. ამიტომ მეგრულიც კარგად ვიცი. აფხაზი ვარ, თუმცა კი მეგრელები მიმტკიცებენ, მეგრელი ხარო..." სხვა გადმოცემა: თანიები წარმოშობით ფსხუდან არიან.

ზოგი აფხაზი მკვლევარი (ვ. ინალიფა, ი. ანქვაბი) თვლის, რომ ტოპონიმი ფოქვეში, უფრო ზუსტად, მისი აფხაზური ვარიანტი ფაქუაშ აფხაზური წარმომავლობისაა, კერძოდ, გამოყენებულია ადიღეურ-ჩერქეზული ტოპონიმური სუფიქსი –შ, რაც აღნიშნავს ადგილს და წარმოქმნის დასახლებული პუნქტის სახელს. მაგრამ, არაფერია ნათქვამი ამოსავალი ფუძის სემანტიკაზე. საქმე ისაა, რომ ტოპონიმის ფუძეც და საწარმოქმნო ელემენტიც მეგრულია: ფოქვა (და მისი ვარიანტები: ფაკვა, ფაქვა ფოქვი) აღნიშნავს მღვიმეს, მცირე გამოქვაბულს, შეღრმავებას კლდის ძირას. სუფიქსი –იშ შეესატყვისება ქართულ –ის ნათ. ბრუნვის ნიშანს, რომელსაც სიტყვაწარმოებითი ფუნქცია აქვს მოპოვებული (შდრ.: რუისი, შინდისი... ჯიხაიში). სამეგრელოში დადასტურებულია მიკროტოპონიმები: ფაქვაში, ფაქვაშია, ფოქვაში, ფოქვაშდუდი და სხვ. (ზანური – იშ შესულა სვანურში და ქცეულა აქტიურ ტოპომაწარმოებელ სუფიქსად). ფოქვეში ფორმა მიღებულია ფოქვაიშისაგან ფონეტიკურ გარდაქმნათა შედეგად: ფოქვა-იშ-ი → ფოქვე-იში → ფოქვეში. აფხაზური ფაქუაშ რომ უწინარესი ფორმა ყოფილიყო, იგი მეგრულშიც ასევე, უცვლელად, შემოვიდოდა, მეგრული ფოქვეში კი, აფხაზურ ენის ფონეტიკურ თავისებურებათა გამო, მხოლოდ ფაქუაშ ფორმას მოგვცემდა (თ. გვანცელაძე). ფოქვეშის მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1982 წელს. ინფორმანტები:

თანია ბუჯგა ღუტას ძე, 66 წლისა;
თანია ჯანსულ ბრელის ძე, 44 წლისა;
ღურწკაია გაჯი ბარდღუს ძე, 65 წლისა;
ჩერქეზია ნესტორ ნოეს ძე, 72 წლისა;
ხაშბა არუშან თევეზის ძე, 64 წლისა;
ხაშბა შალიკო კესუგის ძე, 64 წლისა;

ჯინჯია ჰიჰიკო თამშუქის ძე, 64 წლისა.

ფუწყური – სოფელი აჩიგვარის თემში, ოქუმისა და ოხოჯის შესართავთან. ზ. დ. 50 მ. გალიდან 12 კმ. . ესაზღვრება: ფუწყური (წარჩის თემისა), მუხური, აჩიგვარა, ბულიშხინჯი. 1886 წლის კომლობრივი აღწერის მასალების მიხედვით მუხურის თემში შედის სოფელი ფუწყური. 1930 წელს კი ფუწყური (და მუხურიც) წარჩის სას. საბჭოშია გაერთიანებული. შემდეგ იგი ორ დამოუკიდებელ დასახლებულ პუნქტად შეიცდა აჩიგვარისა და წარჩის სას. საბჭოებში. ფუწყური დამოწმებულია XVII ს. უცხოენოვან კარტოგრაფიულ მასალებში (არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინუ-რენოვან "კოლხეთის, ანუ სამეგრელოს, რუკაზე") Pozcuar ფორმით. ხალხური ეტიმოლოგია ასეთია. "ამ ადგილს უწინ რქმევია გოჩიხილი. ჩამოუვლია კაცს, უნახავს, რომ ცუდი, დაქცეული ადგილია და უთქვამს: "ფუ ნწყვილი". ამის მერე დარქმევია ფუწყური". წყური მეგრულში მართლაც დაქცეულ, ჩახრამულ ადგილს აღნიშნავს (მიმღეობაა ნწყუალა "დაქცევა, ჩაძირვა" ზმნისა). ფუ უნდა იყოს ბოლომოკვეცილი ფორმა ფუქი სიტყვისა, რაც ერთგვარი უნაყოფო წითელი ფერის მიწის სახეობას აღნიშნავს და წალენჯიხის რ-ნში სოფელსაც ეწოდება (შდრ. ო. ჭაჭაია: "ფუქი – ბალახია ერთგვარი). მაშასადამე: ფუქი ნწყური → ფუწყური. სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმატორები:

ვაზგანავა სამსონ ჯაგალას ძე, 75 წლისა;

ვაზგანავა იონა კვიკვინას ძე, 77 წლისა.

ფუწყური – სოფელი წარჩის თემში, მდ. ოქუმის მარჯ. ნაპირას. ზ. დ. 48 მ. გალიდან 15 კმ. ესაზღვრება: ფუწყური (აჩიგვარის თემისა), მუხური, წარჩე... უწინდელი სახელი: გოჩიხილი. სოფლის მცხოვრებთა ძირითადი გვარებია: ჭკადუა, გაგუა, თორინავა, ჯახაია, ოთხოზორია, ბეჭვაია, აძინბაია, ხარჭავანძე, კოპოლანძე... იხ. ფუწყური (აჩიგვარის თემი). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმანტები:

ბეკვერია იასონ ჭუნუს ძე, 69 წლისა;

ბეჭვაია არველოდ ერასტოს ძე, 46 წლისა;

სირგინავა კეჭა (სამსონი) ივაკას ძე, 72 წლისა;

ქვაცაბაია ნიგრო ნესტორის ძე, 62 წლისა;

ქობალია შედელი აქვსენტის ძე, 48 წლისა;

ჭოლარია აკაკი ვასილის ძე, 69 წლისა;

ჭოლარია ტერენტი ჯოგოს ძე, 70 წლისა;

ჯიგანია ბაგრატ ბარდღუს ძე, 74 წლისა.

ფშაური – სოფელი ბედიის თემში (გალის რ.), ოხოჯის მარც. მხარეს. ზ. დ. 150 მ. გალიდან 17 კმ. ძველი ვარიანტი: სანარდო. ესაზღვრება: ფშაური (წარჩის თემისა), მიშველი, ბედია. ფშაური 1886 წელს შედიოდა მუხურის თემში და, როგორც კომლობრივი აღწერის მასალები გვაუწყებენ, მასში სულ 2 კომლი (18 სული) ცხოვრობდა. 1930 წელს ფშაური უკვე წარჩის სას. საბჭოში შედის 36 კომლით. შემდგომ იგი ორ სოფლად დანაწილდა. გადმოცემა: "ფშაური თუ ფშაურიანი ყოფილა სახელი თუ გვარი იმ კაცისა, ვისაც აქ, სერზე, "ჯიხა" (ნაციხარია) გაუშენებია". სოფლის ადგილის სახელები ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმატორები:

გოგოხია ბუჯგა კაისინდის ძე, 80 წლისა;
გოგოხია კლიმენტი მახაზის ძე, 56 წლისა;
გოგოხია სანა (სანატრელი) მახაზის ძე, 57 წლისა;
გურგულია ღუდა მიხას ძე, 52 წლისა;
გუჩუა ტერენტი მიხას ძე, 58 წლისა;
ზარაქუა ვანო ქვეის ძე, 31 წლისა;
შელია გაჯა (ვალოდია) ბადღას ძე, 63 წლისა;
ჭოლარია ვალოდია ვლადიმერის ძე, 53 წლისა;
ჯანჯულია იასონ ბახუს ძე, 86 წლისა.

ფშაური – სოფელი წარჩის თემში (გალის რ.), ოხოჯის მარც. მხარეს. ზ. დ. 160 მ. გალიდან 18 კმ. ესაზღვრება: ფშაური (ბედიის თემი), ბედია, წარჩე... იხ. აგრეთვე: ფშაური (ბედიის თემისა). გადმოცემა ზოგიერთ გვარზე: ჯანჯულიები ჩამოსულან მორკულიდან, ელიავები – მარტვილიდან, შონიები – ჭველე-ფახულანიდან; ბენიები გუდაუთიდან არიან, თუმცა კი ჯინჯიხატი "მარდიანიშ ოხვამე" ნაბაკევში აქვთ. მიკროტოპონიმია აღნუსხულია 1980 წელს. ინფორმატორები:

ბენია რაჟდენ გელდაჩის ძე, 83 წლისა;
ელიავა როზან (ლავრენტი) ვიჩის ძე, 68 წლისა;
კვარაცხელია რაჟიკო მოსეს ძე, 50 წლისა;
უბილავა იზდორე (ისიდორე) კოწიას ძე, 80 წლისა;
შონია ღუღუნი იასონის ძე, 53 წლისა;
ჯიგანია ალიოშა სამსონის ძე, 53 წლისა;
ჯიგანია ხუტა კამათას ძე, 52 წლისა;
ჯიგანია ჯაჯი (იოსები) ქვაქვალას ძე, 78 წლისა.

ქვალონი – სოფელი აგუბედიის თემში (ოჩამჩირის რ.), ოხოჯის მარჯ. მხარეს, ქოლეის ნაპირებზე. ზ. დ. 140 მ. ოჩამჩირიდან 35 კმ. ესაზღვრება: აგუბედია, რეკა, პატრახუწა, ახეცარა... ქვალონი მეგრული სახელწოდებაა და ნიშნავს ქვავნარს, ქვიან ადგილს. ოცდაათიან წლებამდე სოფელს ეწოდებოდა საღარწკიო. ღარწკიები აზნაურები იყვნენ, განაკულაკეს და სოფელსაც სახელი შეუცვალეს, უწოდეს ქვალონი. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1982 წელს. ინფორმატორები:

იზორია შალვა ნესტორის ძე, 53 წლისა;

კვეკვესქირი კიტა ბასას ძე, 52 წლისა;

ნარმანია ცაქა ბახუს ძე, 76 წლისა;

ჭკადუა სოგრატ პატუხუს ძე, 70 წლისა.

ქვემო ბარღები – სოფელი, ქვემო ბარღების თემის ცენტრი გალის რაიონში. მდებარეობს მდ. ქირის ორივე ნაპირას. ზ. დ. 5 მ. გალიდან 15 კმ. თემში შედის: ქვემო ბარღები, ბოგვეთი, საბჭოთა ჩაი, ფიცარღალი. ესაზღვრება: გინძე ეწერი, ბოგვეთი, ფიცარღალი... ადგ. ვარიანტებია: ჯინჯი ბარღეფი, ჯვეშბარღეფი, თუდონი ბარღეფი. იხ. აგრეთვე: ბარღები. გადმოცემა ზოგ გვარზე: სამურზაყანოელი მიქავების ერთი ნაწილი ჩამოსულა წალენჯიხის რაიონიდან, მეორე ნაწილი – მარტვილის რ-ნიდან; ჯონჯუების წინაპრები (ძმები: ჯოღორია, უტუია, პახუცია, ნიკოია და ნინოია) ხონიდან გადმობარგებულან, ცობახიებისა კი – გუდაუთიდან. ამათი უწინდელი გვარი ყოფილა ცვეიბა. სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმატორები:

გოგუა რადიონ სოსრანის ძე, 68 წლისა;

მიქავა აპილო (აპალონ) სეიდუყის ძე, 66 წლისა;

მიქავა ინდიკო მალაქიას ძე, 50 წლისა;

სალაყაია ჟილიკო კრიმინტოს ძე, 45 წლისა;

შამუგია არტე(მ) ქესქინჯის ძე, 74 წლისა;

ჯონჯუა ფუცორა ბიბუს ძე, 98 წლისა.

ქვემო ღუმურიში – სოფელი ღუმურიშის თემში (გალის რ.), სამურზაყანოს მთისწინეთში, ნიშონის ზემო წელზე. ზ. დ. 240 მეტრი, გალიდან 13 კმ. ესაზღვრება: სამელაიო, ზ. ღუმურიში, ფართოღალი (ღუმურიშის თემი)... იხ. აგრეთვე: ზემო ღუმურიში. გადმოცემა ხოგიერთ გვარზე: კაკუბიების წინაპრის გვარია ცგცბა, ქათალანძეების წინაპრისა – თაკალაძე (ჩამოსულა ხონიდან. ქათალანძეები სწორედ იქ აგზავნიან შესაწირავს ყოველ მეხუთე წელს);

კეკუები სოფ. ეკიდან არიან ჩამოსულნი. ადგილის სახელები ჩაწერილია 1975 წელს. ინფორმატორები:

გამისონია მარკოზ ძოკიას ძე, 80 წლისა;
დანელია რანო მიშიკოს ძე, 22 წლისა;
დანელია შალვა კუზუას ძე, 55 წლისა;
კაკუბავა ლევარსა კოსტას ძე, 71 წლისა;
კეკუა რომანოზ აზამათის ძე, 80 წლისა;
კეკუა სანდრო კვატაშის ძე, 93 წლისა;
ქათალანძე ისიდორე გაბრიეს ძე, 67 წლისა;
ქვაჩახია ერასტო ფაშას ძე, 76 წლისა.

ქვიშონა – სოფელი ოტობაიის თემში (გალის რ.), ქვიშონაღალის ორივე ნაპირზე. ზ. დ. 8 მ. გალიდან 35 კმ. ესაზღვრება: პ. ოტობაია, ფიჩორი, გაგიდა, ოკვინორე (განახლების თემი). ქვიშონა (მეგრ.) "ქვიშიანი" თავდაპირველად ერქვა ფართო მინდორს ნაენგურალზე, დიდ ოტობაიასა და ჭიჭე (კუნთხუ) ოტობაიას შუა. აქ პეტრე ანჩიბაიას შენობა აუშენებია შვიდწლიანი სკოლისათვის, რომელსაც ოტობაიის სკოლა უწოდეს. მისი მიმდებარე ადგილები თანდათან თემის ცენტრად იქცა და დაერქვა პირველი ოტობაია, ხოლო სოფელ ქვიშონის ტერიტორიამ გადაინაცვლა გაგიდის მიმართულებით. 1992 წელს ქვიშონაში შედარებით მრავალრიცხოვანი გვარები იყო: ბახტანძე – 21 კომლი, ზანთარაია – 16 კ., გამისონია – 13 კ., დგებუაძე – 11 კ., ჭანია – 10 კ., აგრეთვე: გამახარია, ჭარდავა, ძაძუა, იზორია, ტაბაღუა და სხვ. ზანთარაიები გურიიდან ჩამოსულან, დგებუაძეები – ნამკოლუდან; გამახარიების ჯინჯიხატი "თავარანგელოზი მიქელგაბრიელი" არის ახუთში; გამისონიების წინაპარი ორი ძმა კურზუდან წამოსულა და ერთი ამ სოფელში დამკვიდრებულა, ხოლო მეორე – ჩხორთოლში (მისი შთამომავლები გაბისონიებად იწერებიან). სოფლის მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1974 წელს. ინფორმატორები:

გამახარია მამანტი ბეჩუს ძე, 68 წლისა;
გამისონია ათანასა მერაბის ძე, 75 წლისა;
დგებუაძე მამია ყარამანის ძე, 62 წლისა;
ზანთარაია აკაკი სტეფანეს ძე, 72 წლისა;
ტაბაღუა დურუ პეტრეს ძე, 75 წლისა.

ღვაშიგვერდი – სოფელი საბერიოს თემში (გალის რ.), ენგურის მარჯ. მხარეს, ძირითადად კილის ხეობაში. ზ. დ. 160 მ. გალიდან 28 კმ. ესაზღვრება: წყოუში, ქალაღალი (ორივე წალენჯიხის რ-ნი),

შჭაშისუკი, ლეკუხონა. 1886 წლის კომლობრივი აღწერის მასალების მიხედვით, ღვაშიგვერდი სოფელია საბერიოს თემში, ხოლო საბჭოთა პერიოდში იგი საბერიოს სას. საბჭოში შედიოდა. ადგ. ვარიანტია ღვაშგვერდი. ისტორიკოს თ. მიბჩუანის აზრით, ღვაშიგვერდი სვანურ-მეგრული ტოპონიმია: სვანურად ღვაშ ჯიხვია, მეგრული გვერდი კი ნახევარს აღნიშნავს. ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ მაინც რატომ, რა მოტივით უნდა დარქმეოდა ადგილს "ჯიხვის ნახევარი"? ამასთან დაკავშირებით გამოთქმული ვარაუდი, "შესაძლოა ეს ადგილი მონადირეთათვის ნანადირევის გასაყოფი ადგილი იყო", ტოპონიმიკური სახელდების წესების მიხედვით, დამაჯერებელი არ ჩანს. სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1973 წელს. ინფორმატორები იყვნენ:

ახალაია კაპიტონ ივანეს ძე, 60 წლისა;
ახალაია ლეონტი გიოს ძე, 54 წლისა;
ახალაია სერაპიონ ალექსის ძე, 58 წლისა;
ახალაია ხათა თემურის ძე, 73 წლისა;
ახალაია ხუხუტი სანტის ძე, 67 წლისა;
ბაძაღუა ვასილი ზგყვას ძე, 71 წლისა;
გოგოხია ათანასა მარკოზის ძე, 74 წლისა;
გოგოხია ანდრუშქა ისიდორეს ძე, 68 წლისა;
ტაბაღუა ზაურ იპოლიტეს ძე, 28 წლისა;
ტორუა სპირიდონ ვატას ძე, 80 წლისა;
ჭანტურია ბორის ათანასას ძე, 70 წლისა;
ჭურღულია ვალოდია სპირიდონის ძე, 70 წლისა.

შაშიკვარა – სოფელი მზიურის თემში (გალის რ.), შაშკვარა-წყარის შუა წელზე. ზ. დ. 30 მ. გალიდან 6 კმ. ესაზღვრება: ქ. გალი, მზიური, ხუმუშქური, პატრახუწა. 1930 წელს შაშიკვარა შედიოდა ცხირო-გალის სას. საბჭოში. ტოპონიმი აფხაზურია და ნიშნავს შაშის ღელეს. გადმოცემით, ქვრივი ქალი შაში ამ ღელის ნაპირას ესახლა. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1973 წელს. ინფორმატორები:

ახალაია კორსანტელი დიმიტრის ძე, 76 წლისა;
დარსანია ჯარგა ბარდღუს ძე, 70 წლისა;
ვარდანია ლავრენტი ივანეს ძე, 56 წლისა;
კვეკვესქირი ხარიტონი (ძიკალი) პართენის ძე, 72 წლისა;
მიქაია კირილე კუბუცის ძე, 73 წლისა;
შეროზია ისიდორე კვიკვინას ძე, 73 წლისა.

შჭაშისუკი – სოფელი საბერიოს თემში (გალის რ.), ენგურის მარჯ. მხარეს, ერისწყლამდე. ზ. დ. 250 მ. გალიდან 26 კმ. ესაზღვრება: ღვაშიგვერდი, სამარჭვალო, საბერიო... სოფლის მოსახლეობის (30 კომლი) ძირითადი ნაწილი ორ სერს შუა მდებარე სერზეა განლაგებული. ამიტომ დარქმევია "შუა სერი". ადგ. ვარიანტი: შჭაშსუკი. აქვეა ეკლესიაც "საჩჭოტუო ოხვამე//შჭაშსუკური ოხვამე". ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1973 წელს. ინფორმანტები:

ბაძაღუა ნოჯგო სანტის ძე, 69 წლისა;
გამისონია იპოლიტე გიორგის ძე, 73 წლისა;
დარსანია აქვსენტი თედოს ძე, 61 წლისა;
ტაბაღუა დურუ ბადუს ძე, 64 წლისა;
ტაბაღუა სევერ ჯოჯოლის ძე, 50 წლისა;
ტაბაღუა ჯოგო ტოტიას ძე, 83 წლისა;
შელია ედიშერ ნიკოლოზის ძე, 37 წლისა;
შონია იპოლიტე ელიზბარის ძე, 62 წლისა.

ჩხორთოლი – სოფელი, ჩხორთოლის თემის ცენტრი გალის რ-ნში, წარჩენწყარის ზემო წელზე, სამურზაყანოს მთის ძირას. ზ. დ. 200 მ. გალიდან 28 კმ. ესაზღვრება: აგვაერა, წარჩე... არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან "კოლხეთის, ანუ სამეგრელოს რუკაზე" (1654 წ.) დაფიქსირებულია თავდაპირველი ფორმა Scorotoli ჩხოროთოლი (მეგრ.) "ცხრა თვალი", რაც მეგრულში უხვდებიტიანი, გამორჩეული წყაროს (ე.წ ვოკლუზის) ეპითეტია. აფხაზურად გამოითქმის როგორც ჩხვართალ. აქედან გამომდინარე, ზოგმა აფხაზმა მკვლევარმა იგი ჩათვალა –ალ სუფიქსიან აფხაზურ ტოპონიმად, თანაც ისე, რომ არც ჰიპოთეტური "სუფიქსის" დანიშნულებაა გამორკვეული და არც ამოსავალი ფუძის სემანტიკა. ცხრა (მეგრ. ჩხორო) ქართველ ტომებში საკრალური მნიშვნელობის რიცხვია და აღნიშნავს სიმრავლეს, სიშორეს, მიუწვდომლობას. თვალი, თოლი მეტაფორულად აღნიშნავს წყაროსაც. მაშასადამე, ჩხოროთოლი, ისევე როგორც ცხრაწყარო და ჩხოროწყუ, ჩვეულებრივ, დაერქმეოდა მრავალწყაროიან ადგილს, ან ისეთ ადგილს, სადაც მიწიდან მთელი მდინარე ერთბაშად ამოდის. ფუძეთა საზღვარზე ო ხმოვნის ამოვარდნის შემდეგ დარჩენილი ჩხორთოლ ფორმას აფხაზურში, მისთვის დამახასიათებელი ბგერობრივი შედგენილობისა და საზოგადო თუ საკუთარი სახელების სესხების წესების თანახმად, უნდა მოეცა ჩხვართალ. ეს სახელი რომ აფხაზური ყოფილიყო, მეგრული მას ზუსტად ასევე გადმოიღებდა.

ხალხური ეტიმოლოგია კი ასეთია: "წარჩესა და ოხარჩალაიას შუა მდებარე ციხეს ცხრა თვალი ჰქონია და ამიტომ დარქმევია ჩხორთოლი".

ჩხორთოლი 1886 წელს შედიოდა ოქუმის თემში (206 კომლი, 1042 სული). 1930 წლისათვის კი უკვე ჩხორთოლის სას. საბჭო იყო შექმნილი და მასში შედიოდა სოფლები: ეშქითი,ზემო ჩხორთოლი, ქვემო ჩხორთოლი (სულ 288 კომლი, 1361 სული). ამჟამად ჩხორთოლი ერთი დიდი სოფელია სამი დიდი უბნით: ეკიანი ჩხორთოლი "ზემო ჩხორთოლი", გური ჩხორთოლი "შუა ჩხორთოლი", თუდოლენი ჩხორთოლი "ქვემო ჩხორთოლი". ჩხორთოლიდან ანარამდე მწყემსთა გზა გაივლის ადგილებს: (ა)ხაფალარა, აჩგზქვა (აფხ. "ცხენის ზურგი"), დადალძიხ, შიფშხერა, ალაშარაქვა, ჟიპიშხა (აფხ. "ჟიპის მთა"), ათვაშარა (აფხ. "ვიწრობი"), ანარა (აფხ. "ფერდობი") და ჰაბქვაცი. 1992 წელს ჩხორთოლში მკვიდრობდა 63 გვარი. მათგან მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდა: კიკორია – 40 კომლი, ზუხბაია – 29 კ., გამისონია – 24 კ., ფაჩულია – 24 კ., სირგინავა – 17 კ., ქვარანძია – 14 კ., ზარაქუა – 15 კ., ჩერქეზია – 15 კ., ბერზენია – 13 კ., მალიშავა – 13 კ., თარბაია – 12 კ., ბაღბაია – 9 კ., გეგია – 9 კ. და სხვ. გადმოცემა ზოგიერთ გვარზე: აქუბარდიებისა და შამუგიების წინაპრები სოფ. ჯვარიდან ყოფილან: გინძე ეწერში აზამთრებდნენ საქონელს, აქაური ქალები მოსწონებიათ, დაქორწინებულან და დარჩენილან; გვარამიების წინაპარი სამი ძმა ფსხუდან გამოქცეულა: ერთი მათგანი გუფში დამკვიდრებულა, მეორე - ბედიაში, მესამე კი ენგურს გაღმა გასულა; გამისონიებიც წარმოშობით აფხაზები ყოფილან, მუჰაჯირობას გაჰყოლიან "სათურქოში". მაგრამ ბაღსან გამსონიას· პაპის პაპა ბჟაბახი სათურქოდან ჩამოსულა და აქ დამკვიდრებულა; ოჩიგავების წინაპარი ჯეგეთიდანაა, ფაჩულიებისა – ქვალონიდან. კერძოდ, ქვალონიდან ჩამოსულან ინფორმანტ მიხა ფაჩულიას პაპის პაპა შაქარი და მისი ორი ძმა; წითლიძეთა წინაპარი, სახელად კოსტა, წარმოშობით ნატანებელი, ოქუმის ფოსტაში მუშაობდა თურმე, აქაური ქალი შეურთავს და დარჩენილა. პუჭონილი ბერძენიას პაპის პაპა ჟაკური ჩამოსულა წალენჯიხიდან და დასახლებულა უღრან ტყეში, წარჩე-ჯუხუს წყალგამყოფ სერზე; ჩანთა ქვარანძიას პაპის პაპა მოსულა გურიიდან. იქ ყოფილა კიკნაძე, აზნაური. როცა გვარების აღწერა დაიწყო, ჩანთას პაპის მამა დევითი გურიაში წასულა და იქიდან სათანადო საბუთები ჩამოუტანია; სირგინავები და

კიკორიები სააფხაზოდან არიან, ოღონდ სირგინავების იქაური გვარი ყოფილა ცცცბა, ხოლო კიკორიებისა – კიკალია (ბზგფიდან); თარბაიები სხუდან გადმოსულან. სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმატორები:

აქუბარდია სარაპიონ ქიტის ძე, 60 წლისა;
ბერძენია ბიქტორ ასლანის ძე, 58 წლისა;
ბერძენია რევაზ ბიქტორის ძე, 27 წლისა;
ბერძენია პუჭონილი გუჯულის ძე, 86 წლისა;
გამისონია ბაქი ჰაბუჯის ძე, 80 წლისა;
გამისონია ბაღსან ედიგის ძე, 88 წლისა;
გამისონია გერონტი გემშიშის ძე, 75 წლისა;
ზუხბაია ჩანთა თახუხის ძე, 80 წლისა;
თარბაია სანდრო ძვაძვას ძე, 70 წლისა;
თორდუა კგკი (აკაკი) ილიკოს ძე, 68 წლისა;
კიკორია აგა ნარიქის ძე, 79 წლისა;
კიკორია იროდ სტეფანეს ძე, 56 წლისა;
მალიშავა არველოდ ჯოჯის ძე, 47 წლისა;
მგალობელი გრიშა ქვათის ძე, 85 წლისა;
მიქავა დურუ ეთმეს ძე, 85 წლისა;
ოჩიგავა ორდენ ანდრიას ძე, 47 წლისა;
ჟვანია შოთა მალაქიას ძე, 50 წლისა;
სირგინავა კიტა ექუბის ძე, 73 წლისა;
სირგინავა ლეონტი გუგუს ძე, 58 წლისა;
სირგინავა სპირიდონ გიგის ძე, 78 წლისა;
ფაჩულია ატე ივანეს ძე, 73 წლისა;
ფაჩულია დავეხი კვანას ძე, 50 წლისა;
ფაჩულია მიხა ქვაბლუხუს ძე, 86 წლისა;
ქვარანძია სერაპიონ ჩანთას ძე, 45 წლისა;
ქვარანძია–ქარდავა მაროსია ჯოგოს ასული, 71 წლისა;
ქულავა ტაღი ბასას ძე, 75 წლისა;
შამუგია თამაზ მიხეილის ძე, 33 წლისა;
შარაშია ხუტა აკაკის ძე, 55 წლისა;
შედანია ივანე გაძუს ძე, 95 წლისა;
ჩერქეზია ვასილ გადარას ძე, 80 წლისა;
ჩერქეზია ტერენტი ვასილის ძე, 52 წლისა;
წითლიძე ვალერიან ივანეს ძე, 51 წლისა.

ცხირი – სოფელი, თემის ცენტრი გალის რ-ნში, გალის წყალსაცავის ჩრდ.-დას. ნაპირზე. ზ. დ. 90 მ. გალიდან 12 კმ. თემში, საკუთრივ ცხირის გარდა, შედის სოფ. ფართოღალიც. ესაზღვრება: ჩრდილოეთით – რეჩხი (ჰყოფს მდ. კეიში), დასავლეთით – ფართოღალი (ცხირის თემი). ცხირი ერქვა დღევანდელი ქ. გალის აღმოსავლეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიას მდ. ერის-წყლის ორსავე მხარეს, ჭუბურხინჯიდან ღუმურიშამდე (რეჩხისა და ხოლეს გამოკლებით). 1886 წელს სოფელი ცხირი (და რეჩხიც) შედიოდა გალის თემში, 1930 წელს კი ცხირი სამ სოფლად იყო დაყოფილი: ერთი შედიოდა პირველი გალის სას. საბჭოში, მეორე – რეჩხო-ცხირის (სწორი ფორმაა რეჩხი-ცხირის) სას. საბჭოში, ხოლო მესამე "ქვემო ცხირის" სახელწოდებით – ცხირი-გალის (და არა ცხირო-გალის) სას. საბჭოში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით, გალის წყალსაცავის მიერ სოფელ ცხირის ორ ნაწილად გაყოფასთან დაკავშირებით: ა) რეჩხი-ცხირის სას. საბჭოს გამოეყო სოფელი ცხირი და იგი ფართოღალთან ერთად მიეკუთვნა პირველი გალის სას. საბჭოს; ბ) სოფლის ზემო ნაწილს ეწოდა სოფელი ზემო ცხირი, გამოეყო იგი რეჩხი-ცხირის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნა მზიურის სას. საბჭოს. ამასთანავე, რეჩხი-ცხირის სას. საბჭოს ცენტრი სოფელ ცხირიდან გადატანილ იქნა სოფ. რეჩხში. შემდეგ შეიქმნა ცხირის სას. საბჭო ცენტრით სოფელ ცხირში (იხ. აგრეთვე ზემო ცხირი). ცხირი მეგრულში ნიშნავს: ა) ძუის მახე; ბ) "ქექას, თხეთხას ნაღობა", ე.ი. "მსუბუქად", თხლად ნაღობი (შდრ. ქართ.: ცხრილი). ნასახელარი ზმნა ცხირუა აღნიშნავს ძუის მახის დაგებასაც და თხლად ღობვასაც (როცა ღობის წნელი ერთმანეთს მჭიდროდ არ ეკვრის, შორი-შორსაა მოდებული. საჭიროა როგორც სიმბოლური მიჯნა საკუთარი სამფლობელოს შემოსაზღვრავად). ერთი გადმოცემით, გალი-სათანჯოს შუა მდებარე უღრანი ტყის მასივი "დოცხირესია დო გირთესია", ე.ი. თხლად გადაღობეს და გაიყვესო. სხვა გადმოცემით, ამ ტყეში ცხირები (ძუის მახეები) იყო დაგებული ნადირის დასაჭერად. გადმოცემა ზოგიერთ გვარზე: იზორიების წინაპარი სამი ძმა – სქვამკოჩი, გურკოჩი და კაცკოჩი – წამოსულა კირციხიდან. მათგან ერთი "მინდობია" (ე.ი. შეხიზვნია, თავშესაფარი უთხოვია) ოტობაიაში ანჩბაიას, მეორე – თაგილონში აქკრთავას, ხოლო მესამე – ცხირში ნაყოფიას; ნაყოფიები წარმოშობით ბზიფიდან არიან, ხოლო

ცატავები, რომლებიც ზემო ცხირში ცხოვრობენ, ყოფილან ცოტა-ძეები გელათიდან. მათთვის აქირთავას მიუცია საცხოვრებელი ადგილი ზემო ცხირში. სოფლის მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1974 წელს და შემოწმებულ-შევსებულია 1986 წელს. ინფორმატორები:

იზორია ათანასა პეპუს ძე, 70 წლისა;
იზორია შალვა ათანასას ძე, 50 წლისა;
კორსანტია საშა ძუკუს ძე, 63 წლისა;
ნაყოფია ლავრენტი ჩანთას ძე, 73 წლისა;
ნაყოფია შალვა ძაკუს ძუ, 62 წლისა;
ნაყოფია ქორჟი სანდროს ძე, 48 წლისა;
ციკოლია იზდორე მერაბის ძე, 85 წლისა;
ჯობავა ზურაბ არდაშელის ძე.

წარჩე – სოფელი, თემის ცენტრი გალის რ-ნში, წარჩეწყარის ხეობაში. ზ. დ. 100 მ. გალიდან 17 კმ. წარჩის თემში შედის სოფლები: წარჩე, ნახინგუ, ფუწყური, ფშაური. თემს ესაზღვრება მუხურის, ოქუმის, ბედიის, აჩიგვარის თემების სოფლები. წარჩე ისტორიული სოფელია. იგი მეგრული სიტყვაა და ნიშნავს წყალთეთრს, ე.ი. ჰიდრონიმი გადაქცეულა ოიკონიმად, ანუ დასახლებული პუნქტის სახელად. არქანჯელო ლამბერტის "სამეგრელოს რუკაზე" (1654 წ.) ერისწყალსა და ოქუმს შუა აღნიშნული Tarsce და პარიზში დაცულ ლათინურენოვან რუკაზე (აგრეთვე 1654 წ.) დამოწმებული Tarse სწორედ წარჩეა, მაგრამ არქ. ლამბერტი ამ სოფელს ტარშენი ფორმითაც მოიხსენიებს "სამეგრელოს აღწერაში". აღნიშნულ რუკებზე მდ. ოქუმს აწერია "ოქუმი ანუ ტარსურა". ქსე-ს მიხედვით, წარჩე არის ყოფილი ტარსურა, ტარშენი. სოფელში შემორჩენილია XIII-XIV სს. საეკლესიო კომპლექსი "მაფამ ოხვამე" ლაპიდარული წარწერით. ეკლესია XVII ს-ში განუახლებია სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანს. ამ კომლექსს დღეს მოსახლეობა უწოდებს ნოჯიხს ("ნაციხარი". შემორჩენილია ეკლესიის კედლები). გადმოცემა: აქაა დაკრძალული მეფის შვილი, რომელიც ანჩიბაიას – გამზრდელს – არ დაუტირია. ამის გამო დედოფალს დაუწყევლია ანჩიბაიები: არც გამრავლდეთ და არც გაწყდეთო. ალბათ ამიტომ იტყვიან, მაფაშ ჰყელი წარჩე "მეფისგან დაწყევლილი წარჩე". 1886 წელს სოფელი წარჩე შედიოდა მუხურის თემში (70 კომლი, 304 სული). 1928 წლისათვის უკვე შექმნილია წარჩის სას. საბჭო, რომელშიც შედის სოფლები: წარჩე, მუხური, ნახინგუ, საქანჩიო (ალბათ: საკენჯიო), სარაგვო, ფუწყური,

ფშაური. ძირძველ მოსახლეებად ითვლებიან: მიქაია, ბენია, ალანია, ართმელავა, გერზმავა, კენჯია, ჩხორთოლია... სოფლის ადგილთა სახელები ჩაწერილია 1980 წელს. ინფორმანტები:

ალანია პლატონ (პილა) ექვთიმეს ძე, 61 წლისა;
ახვლედიანი მირო ნესტორის ძე, 50 წლისა;
ბენია მეგონა ძვაძვალას ძე, 63 წლისა;
გერზმავა კოლია როზანის ძე, 62 წლისა;
გვაზავა დესი კუკურას ასული, 108 წლისა;
გვალია ხუხუ(ტი) ბარდღუს ძე, 78 წლისა;
გიუნაშვილი ვალერი ირაკლის ძე, 40 წლისა;
გოგოხია გულნაზი დიანოზის ასული, 30 წლისა;
მალანია ტარასი ილარიონის ძე, 69 წლისა;
მიქაია შოთა რომანის ძე, 60 წლისა;
ქირია ბუხუტი ხვნდგგუს ძე, 69 წლისა;
შონია გოგი ღუღუნის ძე, 26 წლისა;
შონია ღუღუნი იასონის ძე, 53 წლისა;
ჩერქეზია ლევანტი ფუძუს ძე, 62 წლისა;
ჩერქეზია ჭინა ხაკუცუს ძე, 78 წლისა;
ჩხორთოლია გრამიტო კოწიას ძე, 56 წლისა;
ცაცუა მამია იონას ძე, 73 წლისა;
ჯიგანია გაჯი კუჭუს ძე, 52 წლისა;
ჯიგანია ხუტა ცაცუნის ძე, 59 წლისა.

ჭუბურხინჯი — სოფელი, თემის ცენტრი გალის რ-ნში, ენგურის მარჯ. მხარეს, სოხუმი-ზუგდიდის საავტომობილო ტრასაზე. მოიცავს სათანჯოს მთის დას. კალთებსა და მიმდებარე ვაკეს. ზ. დ. 150მ. გალიდან 7 კმ. თემში შედის სოფლები: ჭუბურხინჯი, ზენი, პირველი აკვაღა, მეორე აკვაღა, ჭყონხუმლა. ესაზღვრება: ოცარცე, ზენი (ჭუბურხინჯის თემი), სალხინო, პ. აკვაღა, მ. აკვაღა, ჭყონხუმლა. თემის ტერიტორიაზე შემორჩენილია შუა საუკუნეების ორი ეკლესია. ცნობილია ე.წ. ჭუბურხინჯის განძი — კოლხური კულტურის მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა. ესაა 1890 წელს აღმოჩენილი ფურცლოვანი სპილენძის ცილინდრული ჭურჭელი, რომელშიც ეწყო ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და ბრინჯაოს ზოდები, იარაღები, სამკაულები ადრინდელი რკინის ხანისა (ძვ.წ. VIII–VII სს.). მათი ნაწილი ამჟამად ინახება სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟში. ჭუბურხინჯი მეგრული ორფუძიანი სიტყვაა და ნიშნავს წაბლის ხიდს. გადმოცემით, ეს წაბლის ხიდი ერთ ჯვარელ მწყემსს

გაუდვია ბაბაშიაღალზე. ქსე-ს ცნობით, ჭუბურხინჯს 1952 წლამდე ერქვა წალამუხი. ყოველ შემთხვევაში, 1886 წელს უკვე არსებობდა სოფელი და თემი ჭუბურხინჯი, სადაც ცხოვრობდა 400 კომლი (2085 სული). 1930 წელს ჭუბურხინჯის სას. საბჭოში შედის სოფლები: პირველი აკვაღა, მეორე აკვაღა, ეწერი, ზენი, ნალამოუ, ჭყონიხუმლა. საკუთრივ სოფელი ჭუბურხინჯი კი არ ჩანს. სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1973 წელს. ინფორმატორები:

გოგოხია იოსებ კვაჭალას ძე, 74 წლისა;
დემურია შალიკო იაკობის ძე, 60 წლისა;
ეზუგბაია ჭიჭიკო ალექსის ძე, 43 წლისა;
კაკუბავა ჭიჭიკო პეპუს ძე, 73 წლისა;
შამუგია ილია ბახვას ძე, 73 წლისა;
ხასია ტერენტი დურუს ძე, 55 წლისა.

ჭყონხუმლა — სოფელი ჭუბურხინჯის თემში, მთა სათანჯოს ჩრდ. და ჩრდ.-დას. კალთებზე. ზ. დ. 100 მ. გალიდან 6 კმ. ესაზღვრება: ზემო ცხირი, დიხაზურგა, ჭუბურხინჯი, პ. აკვაღა. სოფლის სტატუსი მიუღია გასული საუკუნის ოციან წლებში. იმთავითვე შედიოდა ჭუბურხინჯის სას. საბჭოში. სახელწოდება მეგრულია და ნიშნავს გამხმარ მუხას. ფუძეთა წყობა (ჯერ არსებითი სახელი, შემდეგ ზედსართავი) მიუთითებს ტოპონიმის სიძველეზე. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1973 წელს. ინფორმანტები:

დაუშაძე ალექსანდრე ხალითის ძე, 76 წლისა;
ქარჩავა ისიდორე ალექსის ძე, 73 წლისა;
ყოლბაია ვარლამ სოფროს ძე, 69 წლისა;
ჭედია აქვსენტი ტოჩის ძე, 66 წლისა;
ჭედია ესა მახუს ძე, 75 წლისა;
ჭედია მაჟარა ქიშვარდის ძე, 33 წლისა;
ხურონძე ბაგრატ ურუსის ძე, 73 წლისა.

ხოლე — სოფელი რეჩხის თემში (გალის რ.), სამურზაყანოს მთისწინეთში, ერისწყლის ნაპირებზე. ზ. დ. 180 მ. გალიდან 15 კმ. ესაზღვრება: რეჩხი, საბერიო, დიხაზურგა. გადმოცემით, ხოლე თავდაპირველად ერქვა სამარულო მინდორს ერისწყლის მარჯ. ნაპირზე. სახელწოდებამ შემდეგში მოიცვა წკელკარიც (მაღლობი ერისწყლის მარც. მხარეს) და ბოლოს სოფლის სახელად იქცა. 1930 წელს რეჩხი-ცხირის სას. საბჭოში შედიოდა სოფელი ხოლე-ტოტოჩანი (254 კომლი, 1265 სული). მაღლობზე, რომელსაც წკელ-(ი)კარს უწოდებენ, შემონახულია შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი

არქიტექტურული და ეპიგრაფიკული ძეგლი. ესაა X ს-ის დარბაზული ტიპის ეკლესია XII–XIV სს. მიშენებული ეკვდერებით. ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩნდა ქართული ასომთავრული და მხედრული წარწერები კედლის მხატვრობის მრავალ საინტერესო ნიმუშთან ერთად (იხ. აქვე: წკელკარი). სოფლის ერთ-ერთი მთავარი უბანია სალაგვილო. ლაგვილავების წინაპრები ჭოღიდან სამურზაყანოში ჩამოსულან მიწის სათოხნად, მერე ინალისქუასაგან მიწა შეუძენიათ და აქ დარჩენილან. ადგილის სახელები ჩაწერილია 1974 წელს. ინფორმანტები:

დარსანია ნოჯგო ძოკიას ძე, 82 წლისა;
ლაგვილავა ბუჯა ბეკელას ძე, 64 წლისა;
ლაგვილავა თომა ესას ძე, 60 წლისა;
ლაგვილავა ივა(ნე) მიქეს ძე, 95 წლისა;
ლაგვილავა რაჟდენ პეხუს ძე, 56 წლისა;
ლაგვილავა ძიკი კოკიას ძე, 66 წლისა.

ხუმენი–ნათოფური — სოფელი რეფი–შეშელეთის თემში (გალის რ.), ერისწყლის მარც. ნაპირას (მდ. ოჯოღორემდე). ზ. დ. 45 მ. გალიდან 12 კმ. ესაზღვრება: რეფი–ეწერი, თხინაშკარი, გინძე ეწერი... ასეთი სახელწოდების მქონე სოფელი 1886 წლის მოსახლეობის კომლობრივი აღწერის ცნობარში არაა დაფიქსირებული. "საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის" პირველი (1930 წ.) გამოცემის თანახმად, რეფო–შეშელეთის სას. საბჭოში ცალ-ცალკე სოფლებად შედის ნათოფურუ და ხუმეფი. შემდგომში ეს ორი მცირე დასახლებული პუნქტი ერთ სოფლად გაფორმდა, დაზუსტდა დაწერილობა და მივიღეთ ხუმენი–ნათოფური (შდრ.: რეფი–ეწერი, მუხრან–თელეთი, ხიზაბავრა და მრ. სხვ.). ხუმენი საზოგადო სიტყვაა. ხანდაზმულნი განმარტავენ: "ხუმენი ფარონზე მაღალი და დაბურული ტყეა"; "დიდი ტყე ყოფილა, მაღალი ხეებით, ყოველთვის ხმა ისმოდა: ზევით ქარისა, ქვემოთ — წყლისა, ხუმენს მაღალ სიმინდზეც იტყვიან" (შდრ. ო. ქაჯაია: ხუმინი — ხუილი; ქარის ხმიანობა ხშირი ხეების თავზე). ნათოფურის ხალხური ეტიმოლოგია ასეთია: "ხეთა ფუღუროებში სკები იყო და თაფლი (მეგრ. "თოფური") მოწვეთავდა". უფრო მოსალოდნელია, რომ ნათოფური ნიშნავდეს თოფურიას (გვარია) ნამყოფს, ნასახლარს. გადმოცემა სოფლის ორ გვარზე: უზარაშვილებისა (რომლებიც თავს ანჯაფარიების შთამომავლებად თვლიან) და ჯღარკავების წინაპრები ერთად ჩამოსულან მარტვილიდან და, როგორც ამ

სოფლის პირველმოსახლეებს, ერთმანეთისათვის ძმობა შეუფიცავთ, რაც ამ გვარებს შორის ქორწინებას კრძალავდა. აქაური მარკელიების მამა-პაპანი კი სვანეთში დადიოდნენ ჯინჯიხატის მოსალოცავად. სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წელს. ინფორმანტები:

ადამია სამსონ უთუს ძე, 74 წლისა;
ბაღიშვილი მიშიკო სევერიანეს ძე, 46 წლისა;
გადელია ეთერ ბიცუს ძე, 67 წლისა;
კილანავა გრიგოლ ჯოჯოს ძე, 67 წლისა;
ლაგვილავა ლეონტი იონას ძე, 50 წლისა:
ლაგვილავა მაკარ იონას ძე, 63 წლისა;
მარკელია გაბრიელ სტეფანგეს ძე, 81 წლისა;
მარკელია ნიკო ძოკოს ძე, 71 წლისა;
უზარაშვილი ჭიჭი ხიმეს ძე, 81 წლისა;
ჭითანავა ლუდუკი ბაგრატის ძე, 59 წლისა.

ხუმუშქური – სოფელი რეფი-შეშელეთის თემში, ხუმუშქურწყარსა და შაშიკვარას შუა. ზ. დ. 40 მ. გალიდან 9 კმ. ესაზღვრება: მზიური, სიდა, შაშიკვარა, ზ. ბარღები, რეფი-ეწერი, თხინაშკარი. 1930 წელს გალის მაზრის სასოფლო საბჭოებს შორის ერთ-ერთი ხუმუშკურის სას. საბჭოც იყო. მასში შედიოდა ერთადერთი სოფელი "ხუმუშკური (თხინაშკარი)", რომლის მოსახლეობა შეადგენდა 136 კომლს (566 სული). ხუმუშქური მეგრულად გამხმარ ვაშლს ნიშნავს. ამგვარი სახელდება ადგილისა უცხო არაა ქართველურ ტოპონიმიაში (შდრ. გალის რაიონშივე: ჭყონხუმლა). არსებობს რამდენიმე გადმოცემა სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებით: "გამხმარი ვაშლის ხე იყო გადებული ღელეზე"; "ხუმუ მოკლეს აბრაგებმა ვაშლის ძირას. მერე ის ვაშლი გახმა და ადგილს ხუმლა უშქური დაერქვა"; "ხუმუ იყო აბრაგი და დასდევდნენ დასაჭერად. ერთი ქუსლი (მეგრ. "ქური") მრუდე ჰქონია. სწორედ ამით უცვნიათ მისი ნაფეხური და უთქვამთ: ა, ხუმუშ ქური". სოფლის ადგილის სახელები ჩაწერილია 1985 წელს. ინფორმანტები:

ბელქანია კირილე ფარნას ძე, 64 წლისა;
ჯღარკავა აპალონ (ლივტერი) რომას ძე, 45 წლისა.

ჯგერიანი – სოფელი რეკის თემში (ოჩამჩირის რ.), ოხურეიწყარის მარც. ნაპირას. ზ. დ. 140 მ. ოჩამჩირიდან 22 კმ. ესაზღვრება: რეკა, პ. ოხურეი, აყვარაში, საჩინო. 1930 წელს რეკის სას. საბჭოში შედიოდა სოფელი ჯერგიანი (ფრჩხილებში მიწერილი აქვს: დემ-

გერფანი), რომელიც, რა თქმა უნდა, ჯგერიანის ვარიანტია (ან კალმის შეცდომაა). ქსე-ს ცნობით, ჯგერიანს უწინ ერქვა ლანჯონა. სოფელში, ოხურეისა და მის მარც. შენაკად ბებეშიაღალს შუა, არის სერი ჯგერიანაბაახუ//ჯგერიანიშ სუკი., სადაც ჩანს ნაეკლესიარი. გადმოცემით, აქ ესვენა ხატი ჯგემარია. ცხადია, ჯგემარია და ჯგერიანი არის გამარტივებული ფორმა ჯგეგე მარიამი-სა ("წმინდა მარიამი"). ამგვარი გამარტივება ფონეტიკურად ახსნადია: ჯგეგე მარია → ჯგემარია (ამოვარდა განმეორებადი მარცვალი გე-. ამ მოვლენას ენათმეცნიერებაში ჰაპლოლოგია ეწოდება). სოფლის სახელწოდების მიღების გზაც დაახლოებით ამგვარივეა: ჯგეგე მარიამი "წმინდა მარიამი" → ჯგემარიამი→ ჯგემარიანი → ჯგერიანი. მიკროტოპონიმია ჩაწერილია 1982 წელს ინფორმანტთაგან:

კორტავა მუშნი საათის ძე, 75 წლისა;
კორტავა უშანგი სტეფანეს ძე, 55 წლისა;
ნარმანია იოსე გიგოს ძე, 74 წლისა.

ადგ.	ადგილობრივი
აფხ.	აფხაზური
აღმ.	აღმოსავლეთი
ბუჩქ.	ბუჩქნარი
დას.	დასავლეთი
დასახ.	დასახლებული
ეტიმ.	ეტიმოლოგია
ე.წ.	ეგრეთწოდებული
ვარ.	ვარიანტი
ზ. ბარღები	ბარღები
ზ. გალი	ზემო გალი
ზ.დ.	ზღვის დონიდან
ზ. ღუმურიში	ზემო ღუმურიში
ზ. ცხირი	ზემო ცხირი
თ.	თემი
ინფ.	ინფორმატორი
იხ.	იხილე
კ.	კომლი
კარსტ.	კარსტული
კმ	კილომეტრი
მ.	მეტრი
მაგ.	მაგალითად
მარც.	მარცხენა
მარჯ.	მარჯვენა
მდ.	მდინარე
მეგრ.	მეგრული
მ. აკვაღა	მეორე აკვაღა
მ. გუდავა	მეორე გუდავა
მ. ოტობაია	მეორე ოტობაია
მ. შეშელეთი	მეორე შეშელეთი
მინდ.	მინდორი
პ. აკვაღა	პირველი აკვაღა
პ. გუდავა	პირველი გუდავა
პ. ოტობაია	პირველი ოტობაია
პ. შეშელეთი	პირველი შეშელეთი

რ.	რაიონი
რუს.	რუსული
სამხრ.	სამხრეთი
ს.	საუკუნე
სას.	სასოფლო
საჩრდ.	საჩრდილობელი
სოფ.	სოფელი
სს.	საუკუნეები
სხვ.	სხვა
ქ.	ქალაქი
ქართ.	ქართული
ქვ. ბარღები	ქვემო ბარღები
ქვ. ღუმურიში	ქვემო ღუმურიში
ქსძ	ქართული სამართლის ძეგლები
შდრ.	შეადარე
ჩრდ.	ჩრდილოეთი

სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ - - - - - - - - - - - - 3
ლექსიკონი - - - - - - - - - - - - - - - - - - - 9
სოფლები და ინფორმანტები - - - - - - - - - - 227
შემოკლებანი - - - - - - - - - - - - - - - - - - 316